წერილები ზურაზე

ზურა მუდამ პირველი იყო, პირველი - აზროვნებაში,

პირველი - სიკეთეში, სიკეთის კეთებაში...

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

ილია II

წიგნი მოამზადა ქალბატონმა რემა ჟვანიამ

თბილისი

2008

გამომცემელი: ქეთევან კიღურაძე

რედაქტორი: ცისანა ნიკოლეიშვილი

გამოცემაზე პასუხისმგებელი: ჯგუფი სიესტა

© რემა ჟვანია, 2008

გამოცემულია 2008, თბილისი

ISBN 978-9941-9052-2-3

გამომცემლობა შპს **„სიესტა“**

თბილისი, თაბუკაშვილის ქ.27

ტელ./ფაქსი: +995 32 92 31 49

ელ-ფოსტა: **books@siestagroup.g**

სარჩევი

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II..... 11

ლანა ღოღობერიძე

ჩემი უმცროსი მეგობარი 12

დავით ლორთქიფანიძე

ტივი, ორცხობილა და ჩაშლილი მოგზაურობა 20

ვახუშტი კოტეტიშვილი

დიდი მამულიშვილი 23

ანდრო ბუაჩიძე

ზურაბ ჟვანიას ხსოვნას 26

ზურაბ კიკნაძე

ზურაბ ჟვანია - კაცი და ხელისუფალი 27

ლევან ვასაძე

გამოსათხოვარი 37

ზურას ფენომენი 40

ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი დანიელი

ქართული მართლმადიდებლური კულტურის ღვიძლი შვილი 44

ლევან ბერძენიშვილი

ქართული პოლიტიკა გაღარიბდა 46

დავით გუგუშვილი

თითო ტომარა მადლი და თითო ტომარა ნისლი 49

ალა ტოკაჩიროვა

ხომ ეტკინებოდა 54

ნანა ნემსაძე

ზურასთან მუშაობა ჩემთვის დიდი სკოლა იყო 57

ნინო ხუჭუა

შეიძლებოდა კი ყველაფერი სხვაგვარად წარმართულიყო? 59

ჯუმბერ ლომინაძე

გამორჩეული პიროვნება 63

ალი ფაშა იოსელიანი

გავუფრთხილდეთ ერთმანეთს 67

რუსუდან ლორთქიფანიძე

ქართველი პრემიერი და ორვიეტოს ტაძრის ფრესკები 68

ეთერ მაისაშვილი

... მე არ დავბერდები 72

გივი თუმანშვილი

დირიჟორობდა ყოველთვის ზურა 76

გიორგი მარგველაშვილი

ის ქმნიდა თავის წილ სამყაროს 78

ირაკლი კაკაბაძე

როგორ გვაკლია ზურა ჟვანია 82

მარიკა დარჩია

1000 დოლარი ამსერდამიდან 87

შალვა ოგბაიძე

ჩემი მეგობარი ზურაბი 89

ხათუნა გოგორიშვილი

ზურაბ ჟვანია არის! 91

პერ გარტონი

ვარდების რევოლუციის შემოქმედის მოულოდნელი სიკვდილის შემდეგ - საქართველო ისევ დაიშლება? 93

ნანა შენგელაია

... რაც მხოლოდ რჩეულებს ძალუძთ 99

დედა ელისაბედი

სიწრფელე ღმერთთან 105

ნინო სააკაშვილი

რატომ რიცხავდნენ ზურა ჟვანიას უნივერსიტეტიდან 106

რუსუდან ფეტვიაშვილი

არასოდეს დამავიწყდება 114

ლალი ჟღენტი

ბატონი ზურას ზამთრის ბაღი 115

ნიკა მემანიშვილი

ასეთი ადამიანები გენიალურები არიან 117

დათო დოიაშვილი

ყველასგან განსხვავებული თვისება - დიდი იმედი 119

ქეთი დოლიძე

გმადლობთ, ჩემო პრემიერ-მინისტრო! 121

გარი კალამკაროვი

წახვედი, მაგრამ 125

მართა თარხნიშვილი-ინგილო

კარგ მოყმეს..... 126

ზოია ბეზოიანი

გინდ დაიჯერე, გინდ არა 127

ვაჟა ოკუჯავა

ზურაბი ვერაფერმა შეცვალა 131

გიორგი ბარამიძე

სიცოცხლეშივე ლეგენდად იქცა 136

ნაირა გელაშვილი

დაღუპული შესაძლებლობები 143

ფრაგმენტი რუსთავი 2-ის ტელესიუჟეტიდან საუბრობენ მხატვარი **თენგიზ მირზაშვილი** და ჟურნალისტი **ნინო ჯაფიაშვილი.** 2005 წლის 4 თებერვალი. 148

ეკატერინე ამირბეგოვა

მის საჩუქარს დღემდე ვინახავ 151

მერაბ კოკოჩაშვილი

თადარიგიანი თამადა 153

გია ყანჩელი

გამორჩეული თვისებებით დაჯილდოებული 157

ელდარ შენგელაია

მე ვამაყობ და მუდამ ვიამაყებ, რომ ვიყავი „ჟვანიას გუნდის“ წევრი 158

ნოდარ ანდღულაძე

ის ემსახურებოდა პოლიტიკის საქმეს 163

გიზო ურუშაძე

თავს მუდამ მისი გუნდის ერთგულ წევრად ვთვლიდი 164

გივი გიგინეიშვილი

ღვთიური ნიჭით შემკული 169

გია ხუხაშვილი

პატივს მივაგებ ზურაბ ჟვანიას 171

გურანდა გაბუნია

ოთარ მეღვინეთუხუცესი

რამდენი სიკეთე გვახსოვს 173

პეტრე მამრაძე

თვითდამკვიდრება მისთვის თვითმიზანი არ იყო 175

ციალა ორჯონიკიძე

ახლაც თვალწინ მიდგას 177

ზაირა არსენიშვილი

ახლაც თვალწინ მიდგას 178

ნანა დიმიტრიადი

კეთილშობილებისა და ინტელიგენტობის მაგალითი 180

ნიკა ონიანი

ის თავიდანვე ლიდერი იყო 181

ზურაბ ფაღავა

ზურაბ ჟვანიას „მწუხარე ფურცელი“ 184

გია მაჩაბელი

მოგონებები ჟვანიების ოჯახზე 186

თედო ჯაფარიძე

ზურა ჟვანია - საღად, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე მოღვაწე 189

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ზურაბ ჟვანიას აშშ-ში ვიზიტის ანგარიში 121

საქართველო-აშშს-ის ურთიერთობები 214

ეკონომიკური რეფორმების მდგომარეობა საქართველოში, კორუფციის პრობლემა 217

აფხაზეთის პრობლემატიკა 223

თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში აშშ-სთან თანამშრომლების საკითხები 224

მილსადენების თემატიკა 227

საქართველოს ურთიერთობები რუსეთთან 231

ჯორჯ ბუში

„ზურაბ ჟვანია დაგვამახსოვრდება, როგორც ერთ-ერთი უდიდესი პიროვნება თქვენი უძველესი ქვეყნის თანამედროვე ისტორიაში“. 238

ამერიკის შეერთებული შტატების სენატის სპეციალური რეზოლუცია 239

ზურაბ ჟვანიას ხსოვნისადმი მიძღვნილი სამგლოვიარო საღამო აშშ-ის სენატში 2005 წლის 5 მარტს. 241

რემა ჟვანია

ასე ვცხოვრობდით 255

წერილები

ზურაზე

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II

ბატონი ზურაბ ჟვანია იმ ბედნიერ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომელთაც უფალი მრავალი ნიჭით აჯილდოებს და ასპარეზსაც უქმნის ამ ნიჭის გასასშლელად და გამოსავლინებლად. მან ახალგაზრდობიდან შეძლო თავისი უნარისა და ერუდიციის ნათლად წარმოჩენა და, მიუხედავად ხანმოკლე პოლიტიკური მოღვაწეობისა, ღრმა კვალი დატოვა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში.

იგი იყო თავისი მშობლების, ბესარიონ (ბუსა) და მარიამ (რემა) ჟვანიების ღირსეული შვილი,მოყვარული მამა და მეუღლე, ერთგული მეგობარი, თავისი სამშობლოს თავდადებული მამულიშვილი, კარგი ქრისტიანი. იგი ყველასათვის პოულობდა დროს, ყოველ კეთილ წამოწყებაში იყო პირველი; კარგად იცნობდა ეკლესიისა და სახელმწიფო სტრუქტურების ურთიერთობას; მის თავდაუზოგავ მოღვაწეობას უნდა ვუმადლოდეთ ,,საკონსტიტუციო შეთანხმების'' პროექტის შემუშავებას და შემდგომ მის დამტკიცებას.

სიცოცხლით აღსავსე, ენერგიული, ხალისიანი, მოყვარული ზურაბ ჟვანია ყოველთვის იყო და დარჩება ეკლესიისა და ქვეყნის ერთგულ შვილად.

გვწამს, რომ უფალი შეიწირავს მის უანგარო სამსახურს ქვეყნისა და ეკლესიის წინაშე და დააწესებს მის სულს სავანესა მართალთასა.

ლანა ღოღობერიძე

ჩემი უმცროსი მეგობარი

(წინათქმის მაგიერ)

რა არაბუნებრივია ჩემთვის გარდაცვლილ ზურა ჟვანიაზე წერა! ის ხომ ჩემი დამტირებელი უნდა ყოფილიყო, ბუნების წესითაც და ჩვენი, იუმორით გაზავებული შეთანხმებითაც, მაგრამ განგებამ სხვაგვარად ინება. და ახლა უბრალოდ ვალდებული ვარ, მოვიხადო ჩემი ვალი - გვერდით გადავდო სრულიად არგანელებული ტკივილი და შევეცადო ვთქვა ის, რასაც ვფიქრობ ამ მართლაც გამორჩეულ და ჩემთვის უძვირფასეს ადამიანზე.

ზურაბ ჟვანია - დიდი სახელმწიფო მოღვაწე.

ზურა - ჩემი უმცროსი მეგობარი.

ჩვენთვის ყველასთვის და მთელი ქვეყნისთვის საუბედუროდ, მისი ცხოვრება ასეთი ხანმოკლე აღმოჩნდა, მაგრამ ამ ერთმა სიცოცხლემ იმდენი ფიქრი, გადაწყვეტილება, უმნიშვნელოვანესი საქვეყნო საქმე დაიტია, რომ ვერც კი განსაზღვრავ რეალურად მის სიგრძეს.

ხშირად დავფიქრებულვარ, რით იყო ზურა ასეთი განსაკუთრებული? ალბათ, ნიჭით, ჭკუით, განათლებით, სიმტკიცით, შეუვალობით, მჭევრმეტყველებით, ტემპერამენტით, ამავე დროს, შემწყნარებლობით, სხვისი თვალთახედვის გაგებისა და დათმობის უნარით, იუმორის გრძნობით, რომელსაც ყველაზე რთულ სიტუაციებში იყენებდა. და თუ ცოტა ჩავუკვირდებით, ნათელი გახდება, რომ ყველა ეს თვისება ერთად მხოლოდ ჭეშმარიტ ლიდერს შეიძლება ჰქონდეს.

და მე მგონია, რომ ის, უბრალოდ, დაბადებული იყო ლიდერად.

1989 წელი იყო, ის, ჩვენი ქვეყნისთვის საბედისწერო წელი. კახა ჩიტაიამ დამირეკა და მითხრა, მწვანეთა პარტიის თავმჯდომარეს უნდა შენთან მოსვლაო. გულგრილად ველოდი ვიღაც ორდინალურ, ღვაწლმოსილ მოღვაწესთან შეხვედრას და მოვიდა ... პატარა, მხიარული, თმახუჭუჭა ბიჭი. რაღაც ამბებს ჰყვებოდა და კისკისებდა, მერე უცებ შუბლშეჭმუხნილი შემოგხედავდა გამჭოლი, გამჭრიახი მზერით... გიყურებდა და თითქოს სულ რაღაცის ამოცნობას ცდილობდა. მერე ისევ გადაიხარხარებდა. ექსცენტრულიც იყო და ასაკისთვის შეუფერებლად სერიოზულიც, კონკრეტული აზრებითა და იდეებით სავსე. ცოტა გვიან მისი სიღრმეც აღმოვაჩინე და პოზიციის სიმტკიცეც, და, ასაკში უზარმაზარი განსხავევბის მიუხედავად , ნამდვილი სიახლოვე ვიგრძენი . ზურა ჩემი ცხოვრების ერთადერთ, ასე გვიან შეძენილ მეგობრად იქცა.

მას მერე ზურა სულ სხვადასხვა კრიტიკულ სიტუაციაში მინახავს, - მინახავს მისი შეუვალობა ქვეყნის ძნელბედობის ჟამს, მისი მუდმივი, ღია, თუ შეფარული ბრძოლა ობსკურანტიზმისა და ფანატიზმის წინააღმდეგ.

და მე მიჩნდებოდა განცდა, რომ სულის დაბნელების ეპოქაში ის თითქოს შიგნიდან ასხივებდა გონიერებით შეფერილ სინათლეს და ამ კეთილშობილი ელვარებით ნაწილობრივ მაინც ფანტავდა წყვდიადს.

ზურაბ ჟვანია - პარლამენტის თავმჯდომარე . ეს მთელი ეპოქაა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში - პარლამენტის შექმნის უმნიშვენელოვანესი ეპოქა. გასაოცარია, როგორ აღადგინა, უმოკლეს დროში, ეს დანგრეული შენობა, - თვითონ, პირადად, ხელმძღვანელობდა აღდგენით სამუშაოებს და , რაც მთავარია, როგორ დღითი დღე, თანამიმდევრულად, ამკვიდრებდა საქარფთველოში პარლამენტარიზმს, ანუ ქვეყნის მართვაში საზოგადოების მონაწილეობის პრინციპს. სულ რაღაც ორიოდე წელიწადში მან რეალურად აამუშავა ეს წარმომადგენლობითი ორგანო, პირველი - ქაოსური, მყვირალა, უთავბოლო საკრებულოს ნაცვლად შექმნა მწყობრი, ორგანიზებული სტრუქტურა , სადაც თანდათან ფეხს იკიდებდა თვითონ იდეა დემოკრატიისა. მან იცოდა, რა მნიშვნელობის იყო დემოკრატიზმის გავრცელება ტოტალიტარიზმისგან თავდაღწეულ საზოგადოებაში და ამისთვის ყველა ხერხს მიმართავდა. მაგალითისთვის ასეთი დეტალის მოყვანა შეიძლება: კვირის ერთ-ერთ დღეს, გარკვეული ინტერვალებით, პარლამენტში მოჰყავდათ რომელიმე სკოლის ბავშვები. მათთვის განკუთვნილი იყო ადგილი პლენარული სხდომების დარბაზში, მეორე სართულზე, და უნდა გენახათ, რა პატივისცემითა და ენთუზიაზმით ეგებებოდა მათ პარლამენტის თავმჯდომარე. მერე ბავშვები ხვდებოდნენ ფრაქციებისა და კომიტეტების თავმჯდომარეებს, სვამდნენ კითხვებს და იღებდნენ

პასუხებს. და მე აშკარად ვხედავდი, როგორ იღვიძებდა მათში მოქალაქეობრიობის განცდა. იმ წლებში საქართველოს პარლამენტი თანდათან ქვეყნის დემოკრატიული განვითარების სიმბოლოდ იქცა. ეს იყო მთავარი, რის გამოც 1999 წელს ასეთი ენთუზიაზმით, დაჩქარებული წესით და ერთხმად მიგვიღეს ევროპის საბჭოში. მაშინ წარმოთქვა ზურამ - ჯერ კიდევ ქართულად და მერე ინგლისურად - ის საყოველთაოდ ცნობილი ფრაზა: „მე ვარ ქართველი და, მაშასადამე, ვარ ევროპელი“. ეს იმ ტიპის ფრაზაა, როგორითაც მსოფლიოში მეფეები და სახელმწიფო მოღვაწეები სამუდამოდ შედიან ისტორიაში. რადგანაც ეს უბრალოდ მოსწრებულად ნათქვამი სიტყვები კი არ არის, არამედ საქართველოს ისტორიული გზის დადასტურება. ამ გამონათქვამში ჩაქსოვილი იყო ფიქრი იმ კავშირებზე, რომლებიც ჯერ კიდევ არგონავტების დროიდან ჩაისახა საქართველოსა და საბერძნეთს (მოგვიანებით ბიზანტიას) შორის; დავით აღმაშენებელზე, რომელმაც ჯერ კიდევ XI საუკუნეში გაიაზრა სახელმწიფო ინტერესი, როგორც უმაღლესი და უზენაესი ღირებულება, ანუ „ის, რაც რიშელიემ გააკეთა მე-17 საუკუნის ევროპაში“ (ზურაბ ჟვანია: „ჩვენი თაობის პრივილეგია“); ფიქრი შუა საუკუნეების სიღრმეში დაბადებულ რენესანსულ იდეებზე, რომლებიც ასე აშკარად არის ჩამოყალიბებული „ვეფხისტყაოსანში“; და ბოლოს, საქართველოს მუდმივ მისწრაფებაზე ევროპისაკენ, ვინაიდან:

„...დემოკრატიული და ევროპული არჩევანი საქართველოსთვის სინამდვილეში არის ერთადერთი შესაძლებელი და ერთადერთი მისაღები არჩევანი. ევროპის ოჯახი არის ის ერთადერთი ოჯახი, სადაც ჩვენ თავს ვგრძნობთ საკუთარ ნავსაყუდელში და არ ვგრძნობთ თავს გაუცხოვებულად და მუდმივად, ასე ვთქვათ, უბედურების მოლოდინში“ (ზურაბ ჟვანია: „ჩვენი თაობის პრივილეგია“).და იქვე: „თუ ავიღებთ ჩვენი ისტორიის თითოეულ ფურცელს, თითოეულ ეპიზოდს, ეს იქნება იმის საბუთი, იმის დემონსტრირება, რომ ქართული მენტალიტეტი ყოველთვის ახდენდა საკუთარი თავის იდენტიფიკაციას საერთო ევროპულ სამყაროსთან“. რა აქტუალურია ამ წუთას, ჩვენი ისტორიის კიდევ ერთ ტრაგიკულ მომენტში, ეს სიტყვები!

და მე დღესაც თვალწინ მიდგას ეს ხატი: ევროპის საბჭოს ტრიბუნაზე, გასუსული და აღელვებული დარბაზის წინ - ძალიან ახალგაზრდა სახელმწიფო მოღვაწე, ანთებული ჭკვიანი მზერით, რომელსაც მხრებით მოაქვს თავისი ქვეყნის ათასწლოვანი გამოცდილება და ამაყად უცხადებს ტრადიციულ ევროპელებს: - მე ვარ ქართველი და, მაშასადამე, ვარ ევროპელი!

დღეს ყველამ იცის, რომ ზურა იყო ჭკვიანი, ინტელექტუალური, გამჭრიახი. მე კი მინახავს ზურა - მსუბუქი, გულგახსნილი, უდარდელი, დაინტერესებული

ცხოვრების სულ უმნიშვნელო წვრილმანებით. ჩემი დაკვირვებით, ის განსაკუთრებული და გულღია გახდა მაშინ, როცა ოპოზიციაში გადავიდა და სახელმწიფო მანქანის ამოქმედების შედეგად ყოველგვარი უდიერი ცილისწამების ობიექტად იქცა. თუმცა, ალბათ, „უდარდელი“ ზუსტი სიტყვა არ არის. მან, უბრალოდ, უფრო ღრმად ჩაიხედა საკუთარ თავში , განსაცდელმა, ალბათ, ბევრი რამ დაანახვა და მეტი სიმაგრეც შესძინა. ჩამოვიდა სტრასბურგში, ზურა ოპოზიციონერი, სახელმწიფო მინისტრობიდან გადამდგარი, ზურა. რომელიც პარლამენტმა (მის მიერ შექმნილმა პარლამენტმა) არ აირჩია ევროპის საბჭოში დელეგაციის თავმჯდომარედ. თვითმფრინავი აგვიანებდა, ვისხედით ჩვენი საელჩოს დაბურულ ეზოში, რომელიც მას ჩემსავით უყვარდა, ვწვავდით მწვადებს. ჩამობნელდა, მე გულისფანცქალით ველოდებოდი. ნეტავი როგორია ახლა, - ვფიქრობდი ჩემთვის, - ნუთუ შეიცვალა, გაბოროტდა, დაიბოღმა... შემოვიდა ისეთი ლაღი, როგორც არასდროს. ნაკვერჩხალიც დაგვიწუნა, მწვადებიც, ახალი ცეცხლი გააჩაღა, ლამის თვითონ შეეკეთა ალს... მერე მთელი ღამე ვისხედით და ვლაპარაკობდით... იმ წუთიერ პოლიტიკაზე, ზოგადად საქართველოს ბედზე, კიდევ უფრო ზოგადად - ცხოვრებაზე და, რატომღაც, სიკვდილზეც კი. მე ვეუბნებოდი, არ დაგავიწყდეს, რომ ბევრი დრო არ დაგრჩა ჩემთან საურთიერთოდ - მეთქი, - ცხადია, ჩემს ასაკს ვგულისხმობდი. ზურა თავს იკლავდა, რას ამბობთ, რას ამბობთო. მაშინ რომ წარმომედგინა, რა ტრაგიკულკად შემოგვიტრიალდებოდა ეს სიტყვები!

ის ნამდვილად ვიზიონერი იყო, ჰქონდა თავისი მკაფიო ხედვა - სად უნდა მისულიყო საქართველო და რა გზით უნდა მისულიყო. დემოკრატია მისთვის აბსტრაქტული ცნება არ იყო. მან იცოდა, როგორ უნდა აეშენებინა ეს ,, რაღაც'', რასაც ყოველი ადამიანისთვის უნდა მოეტანა კეთილდღეობა და ბედნიერებაც კი. რამდენად მკაფიო იყო დემოკრატიის ზურასეული ხედვა, ალბათ, ყველაზე მეტად გამოჩნდა მის წიგნში, რომელსაც ასეთი მრავლისმთქმელი სათაური აქვს: ,,ჩვენი თაობის პრივილეგია''. რა ბედნიერებაა, რომ დაგვრჩა ლექციების ეს კურსი, ვინაიდან სხვაგავარად, ვერავინ მიხვდებოდა, რამდენად მწყობრი და დალაგებული იყო მისი პოლიტიკური კონცეფცია; რამდენად ღრმად ესმოდა დემოკრატიის ფილოსოფიური, პოლიტიკური და ისტორიული ასპექტები; რამდენად ზუსტად ხედავდა საქართველოს ადგილს მსოფლიოში და მისი განვითარების პერსპექტივებს.

,,ოთახში აღარ იყო მსმენელთა ტევა. დრო ძალიან სწრაფად გადიოდა. ეს იყო გრძნობებით და ემოციებით დატვირთული ლექციები. ეს იყო ზურა ჟვანია - პოლიტიკოსი უნიღბოდ. ყველანი ვგრძნობდით, თუ როგორ აინტერესებდა მას

ჩევნი აზრი. მისი პიროვნული სიძლიერე, ჩემი აზრით, ზუსტად ეს იყო. პირადად მე ზურაბ ჟვანიას ლექციებზე ვიგრძენი მთელი არსით, თუ რაა ,, ხალხის სამსახურში ყოფნა''. ეს სიტყვები ,, ჯიპას'' კურსდამთავრებულს - თემურ ცაგარეიშვილს ეკუთვნის. მეორე სტუდენტი - ირინა გაბაევა - ამბობს: ,, მისთვის შეიძლებოდა ძალაუფლების მინდობა. სახელმწიფოს მართვის სადავეებთან დგომისას მან შეძლო ადამიანად დარჩენა, ურთულეს ვითარებაში შეინარჩუნა ჯანსაღი სულიერი ფასეულობები, რომელმაც გაუძლეს ადამიანისთვის, შესაძლოა, ყველაზე დიდ გამოცდას - ძალაუფლებას...მას ჰქონდა გლობალური ხედვა. იგი თითქოს ზევიდან დასცქეროდა ისტორიულ მოვლენებსა და პოლიტიკურ პროცესებს''.

გასახარელია, რომ ზურაბ ჟვანიას ასეთი კარგი მსმენელები ჰყავდა. თუმცა ეს ლექციები უდიდესი მონაპოვარია არა მარტო მისი სტუდენტებისათვის, არამედ მთელი ჩვენი საზოგადოებისათვის. სწორედ ამ ლექციებიდან ჩანს, რომ მისი არც ერთი პოლიტიკური ნაბიჯი არ იყო იმპულსური და შემთხვევითი, რომ ყოველი ქმედება, როგორც პარლამენტის თავმჯდომარისა, სახელმწიფო მინისტრის, ოპოზიციონერის თუ პრემიერ-მინისტრისა, ღრმად გააზრებულ და გლობალურ ხედვას ექვემდებარებოდა.

განსაკუთრებულია მისი ჰორიზონტის სიფართოვეც, ასეთი უჩვეულო ქართველი პოლიტიკოსისთვის. როგორ თავისუფლად აპელირებს ეპოქებით, მოაზროვნეებით, პოლიტიკოსებით ანტიკური სამყარო, არისტოტელეს პოლიტიკა, პლატონის რესპუბლიკა, რომასკიე, ამერიკული კონსტიტუცია, ჯეფერსონი, ლინკოლნი, კონსტიტუციონალიზმი, ანუ კანონის უზენაესობა და სხვა და სხვა... მისი მიზანია დაანახვოს სტუდენტებს, როგორ და რა დაბრკოლებების გადალახვით ყალიბდებოდა საუკუნეთა მანძილზე თანამედროვე დემოკრატია. ის მისთვის ფილოსოფიური და პოლიტიკური ცნებაც არის და პირადი მრწამსიც. „დემოკრატიის მანქანის ასამუშავებლად საჭიროა ძალიან სპეციფიკური საწვავი. ეს არის სამოქალაქო ღირსების განცდა. ეს არ არის პოლიტიკური კატეგორია, ეს, ალბათ, საზოგადოებისა და მისი ცალკეული წევრებისგან თავიანთი პრინციპების ერთგულების უნარია“ (ზურაბ ჟვანია: „ჩვენი თაობის პრივილეგია“).

ზურაში საკვირველად იყო შეთავსებული მოქმედი პოლიტიკოსი და რეფლექსიისადმი მიდრეკილი ადამიანი. და რაკი დღისით ფიქრსა და ჩაღრმავების დრო არ ჰქონდა, ამისთვის ღამეს იყენებდა. ასე დარჩა ჩემს მეხსიერებაში ჩვენი ღამის საუბრები - თბილიში, და განსაკუთრებით, სტრასბურგში. 1999-2005 წლებში, როდესაც მე წარმოვადგენდი საქართველოს ევროპის საბჭოში, ზურა ხშირად

ჩამოდიოდა სტრასბურგში, ხან როგორ პარლამენტის თავმჯდომარე - სახელმწიფოს მეორე პირი, ხან თანამდებობიდან გადამდგარი ოპოზიციის ლიდერი, მერე როგორც სახელმწიფო მინისტრი და პრემიერ-მინისტრი; მაგრამ თანამდებობების ცვლა სრულებით არ ეტყობოდა, ის ყოველთვის რჩებოდა ზურად, ანუ ადამიანად, რომელსაც ასე მწვავედ აინტერესებდა სიცოცხლე ყველა თავისი გამოვლენებით. და აი, ჩამოდიოდა ეს უკიდურესად ცნობისმოყვარე ბიჭი, და იმისათვის, რომ ურთიერთობებისა და ბაასისთვის მეტი დრო გვქონოდა, ხშირად უარს ამბობდა სასტუმროს კომფორტაბელურ აპარტამენტებზე და ჩემთან ერთ პატარა, სტუმრისთვის განკუთვნილ ოთახში ჩერდებოდა. ისიც და მეც მთელი დღეები საქმეებში ვიყავით ჩაფლული, ურთიერთობებისთვის კი ღამე გვქონდა გამოყოფილი. დღეს, უკან რომ ვიყურები, ვხვდები, რომ ეს - ღამის სტრასბურგული საუბრები - ჩემი ცხოვრების ერთი მნიშვნელოვანი ფურცელია. მახსოვს ერთი ასეთი ღამე: ზურა ჩემი წიგნის - „რაც მაგონდება და როგორც მაგონდება“ - ხელნაწერს კითხულობდა (სხვათა შორის, ის იყო ერთადერთი, ვისაც ეს სურვილი გაუჩნდა, - კომპიუტერში წაეკითხა ჩემი ჯერ დაუმთავრებელი მოგონებები) და გადააწყდა მამარდაშვილის სიტყვებს: „რუსეთი არის ქვა, რომელიც შეიძლება ყოველ წუთს დაგეცეთ თავზე. იყავით მზად სიკვდილისთვის. იყავი მზად, განსაკუთრებით, თუ თქვენი თავი ძალიან ახლოსაა ქვასთან“, - კითხულობდა ამ სიტყვებს და თავისებურად ხითხითებდა. აღფრთოვანებული იყო ასე ხატოვნად და სხარტად გამოთქმული აზრით, რომელსაც სავსებით იზიარებდა. მე ვუთხარი, გაგრძელებაც წაიკითხე-მეთქი. და ზურამ წაიკითხა: „მაგრამ რუსეთი მარტო ქვა არ არის, არამედ მისი საპირისპიროც: კულტურა, პოეზია, თვით იდეა, რომ მშვენიერება გადაარჩენს სამყაროს“. ჩაფიქრდა. მერე ამაზე მთელი ღამე ვლაპარაკობდით. როგორ უნდა მოახერხოს იმან, ვისი თავიც ასე ახლოსაა ქვასთან, გაიხსენოს ეს მეორე მხარეც, ანუ ის, რომ ეს საოცარი იდეა - მშვენიერება გადაარჩენს სამყაროს - ამ მომაკვდინებელი ქვის შიგნითაა დაბადებული. არა, ეს არ იყო ყბადაღებული საუბარი ორ რუსეთზე, არამედ დაფიქრება იმაზე, რომ რუსეთი თავის თავში მოიცავს პუტინს და ახმატოვას, მედვედევს და პუშკინს, რომ ის ერთდროულად ჯალათიც არის და მსხვერპლიც. და რომ მასთან ურთიერთობაში მისმა მეზობელმა ეს ორივე მხარე უნდა გაითვალისწინოს, რათა დროზე გააჩეროს მოსაკლავად გამზადებული ქვა

თავის თავს პოლიტიკურ ცხოველად არ თვლიდა. **I am not politican animal,** - მითხრა ერთხელ. და მე მას სრულიად დავეთანხმე. ის ვერ იქნებოდა პოლიტიკური ცხოველი იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ უყვარდა ადამიანი, ეს კი დიდი ფუფუნებაა პოლიტიკოსისთვის, განსაკუთრებით ისეთ აუწყობელ ქვეყანაში, როგორიც

საქართველოა, სადაც ერთმანეთისადმი უნდობლობა და სიძულვილი ლამის ცხოვრების, და განსაკუთრებით, პოლიტიკური ცხოვრების წესად იქცა.

და ბოლოს: ზურა, უბრალოდ, კარგი ადამიანი იყო, თბილი, ყურადღებიანი და დაჩაგრულისადმი თანაგრძნობით სავსე. მეტიც, მე ვფიქრობ, რომ მთელი მისი მსოფლმხედველობა ამ გენეტიკურად განსაზღვრულ თვისებებს ემყარებოდა (ვინც მის მშობლებს - ბუსა და რემა ჟვანიებს იცნობდა, მიხვდება, რატომ მიმაჩნია თანდაყოლილად მისი სიკეთე და კარგი ადამიანობა).

ზურა ნამდვილად დარჩა ამ ქვეყანაში, ამ ცხოვრებაში.

პირადად ჩემში კი მან ისეთი სიცარიელე დატოვა, რომელსაც ვერასდროს ვერაფერი ამოავსებს. ხანდახან ჩემს სახლში, ყაზბეგის ქუჩაზე, როცა საათის ისარი ღამის თორმეტს გადასცდება, მეჩვენება, რომ აი, ახლა დაირეკება ზარი და მე მაშინვე მივხვდები, რომ ეს ზურაა, რადგანაც მხოლოდ მას შეუძლია შუაღამისას თავი დააღწიოს ესკორტს და ასე, გაუფრთხილებლად, მოვიდეს ჩემთან, მოვიდეს მხოლოდ იმისათვის, რომ ვისხდეთ მცენარეების გარემოცვაში - ამ პალმებით, კაქტუსებით და სხვა გაურკვეველი მცენარეებით შემოფარგლულ ადგილს ზურა, შთაგონებულ „მწვანე“ , ბაღს ეძახდა, - დიახ, მე ნამდვილად ვიცი, რომ ის მოვა, მოვა მხოლოდ იმისათვის, რომ ვისხდეთ ამ „ბაღში“, ვსამდეთ ჩაის და გათავებლად რაღაც-რაღაცეებზე ვლაპარაკობდეთ

ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მე ის სულ უბრალოდ ადამიანურად მენატრება.

დავით ლორთქიფანიძე

ტივი, ორცხობილა და ჩაშლილი მოგზაურობა

ზურას განსაკუთრებულობას ყველა აღიარებს, რაზედაც მე, როგორც მის თანაკლასელს, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მისი ეს გამოხატული თვისებები ბავშვობის ასაკიდანვე ჩანდა. სკოლაში სწავლის საწყის ეტაპზევე მას უფრო სიღრმისეული ცოდნა ჰქონდა, ვიდრე თანაკლასელ მეგობრებს. თუ ჩვენი ინტერესები მაინ რიდის ან ჟიულ ვერნის კითხვით შემოიფარგლებოდა, ზურა იმ დროს უკვე კარგად იცნობდა ქვეყნის ისტორიას, ზეპირად ახსოვდა სახელმწიფოთა სიმბოლიკა, გერბი, დროშა...

განსაკუთრებით იტაცებდა სათავგადასავლო ამბები ახლის ძიება. მისი შთაგონებით ჯერ კიდევ სულ პატარები ვოცნებობდით დედამიწის გარშემო მოგზაურობაზე, განსაკუთრებით კი აფრიკის სავანებში მოხვედრაზე, რაც იმჟამად საბჭოთა ბავშვებისთვის წარმოუდგენელი რამ იყო. მეოთხე კლასში ვიყავით, როდესაც ზურას ინიციატივით ცნობილი მოგზაურის, ტურ ჰეიერდალის მიბაძვით ტივის აგება გადავწყვიტეთ.

მოგვიანებით მივხვდით, რომ ტივით თბილისიდან აფრიკაში მოხვედრა ძალიან გაგვიჭირდებოდა. ამიტომ გადავწყვიტეთ სოხუმამდე ჩავსულიყავით, იქ რომელიმე გემზე ავპარულიყავით და, ტრიუმში დამალულებს, აფრიკამდე მიგვეღწია. ამ გეგმის განხორციელებას მატერიალური უზრუნველყოფა სჭირდებოდა. სოხუმამდე მატარებლით მგზავრობის პრობლემა გადაჭრილი გვქონდა, გემით მოგზაურობისათვის კი საგზლად ბლომად ორცხობილა უნდა წაგვეღო. ამ მიზნით ზურამ დედას, ქალბატონ რემას, 10 მანეთი სთხოვა. დედის შეკითხვაზე, რისთვის გჭირდებაო, უპასუხა, ორცხობილას საყიდლადო. პასუხმა ქალბატონი რემა, რა თქმა უნდა, დააეჭვა - ამ თანხით ხომ უამრავი ორცხობილას ყიდვა შეიძლებოდა. ამის შემდგომ ზურა გულწრფელად მოუყვა ყველაფერს ჩვენს განზრახვაზე და, შესაბამისად, აფრიკაში გამგზავრების გეგმაც დროებით გადაიდო.

ორივე ეს თვისება - ახლის ძიება და ახლობელ ადამიანებთან გულწრფელობა - ზურას მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვა. მოგვიანებით მან მართლაც იმოგზაურა აფრიკაში, ტურ ჰეიერდალთანაც მოუწია შეხვედრა და, როგორც თვითონ მიყვებოდა, ორივე შემთხვევაში იხსენებდა ჩვენი ბავშვობის ოცნებას ტივით მოგზაურობაზე.

ზურა წარჩინებული მოსწავლე იყო, ერთნაირად წარმატებული როგორც ქართულ წერასა და ლიტერატურაში, ისე ფიზიკასა და ქიმიაში. ჩვენგან განსხვავებით, არ მახსოვს, რომ ვინმესგან გადაეწეროს ან შპარგალკა გამოეყენებინოს. არ მახსენდება შემთხვევა, ზურას ნიშანი დაუმსახურებლად მიეღოს. ასე იყო მუდამ - იგი ხომ მთელი თავისი ხანმოკლე, მაგრამ ღრმად შინაარსიანი ცხოვრების მანძილზე ყოველთვის რუდუნებითა და დამსახურებით

აღწევდა. სკოლაში ზურა კლასიკური ლიდერი არ იყო, მაგრამ არც ,, ძველი ბიჭი'' ყოფილა და არც კომკავშირელი აქტივისტი. იგი სკოლის წლებშივე გამოირჩეოდა ორგანიზატორული ნიჭით, რისი დასტურიც იყო თუნდაც მისი ხელნაწერი ჟურნალი ,,ულენშპიგელი''.

სკოლის შემდეგ, ბუნებრივია, უფრო იშვიათად ვხვდებოდით ერთმანეთს. მიუხედავათ ამისა, მე ვერ ვგრძნობდი ვერავითარ ცვლილებას ჩვენს ურთიერთობაში. მას, ისევე როგორც ადრე, ყველაფერი ახსოვდა და ყველა დეტალი აინტერესებდა. ახლა უკვე ჩემი პროფესიული სფეროს ცოდნით მაცვიფრებდა .

ჩემთვის უდავოა, პოლიტიკური არჩევანი რომ არა, ზურას მეტად წარმატებული სამეცნიერო კარიერა ელოდა. მეცნიერებისადმი ინტერესი მას არასდროს განელებია. იგი არა მარტო არქეოლოგიისა და პალეონტოლოგიის, არამედ მთელი ქართული მეცნიერების უდიდესი მფარველი იყო. კარგად მახსოვს მისი აქტიური მონაწილეობა მეცნიერების რეფორმაში და სურვილი, რომ ცვლილებები უმტკივნეულოდ ჩატარებულიყო. ზურა, როგორც გამოცდილი პოლიტიკოსი, შეგუებული იყო დაუმსახურებელ შეტევებს და ამას უმეტესად ირონიით უყურებდა, მაგრამ როდესაც მეცნიერების ნგრევა დააბრალეს, ძალიან მტკივნეულად განიცადა.

ზურა ხშირად მოდიოდა სტუმრად როგორც გათხრებზე, ისე საქართველოს ეროვნულ მუზეუმში. მახსოვს, დმანისის ექსპედიციის წევრები, განსაკუთრებით კი უცხოელები , როგორ იყვნენ განცვიფრებული მისი უშუალობითა და პროფესიული ცოდნით. ერთხელ მან, უკვე პრემიერ - მინისტრმა, მთელი დღე შვილებთან, ლიზასა და ბუსასთან ერთად მუზეუმში გაატარა. ზურას სამუზეუმო ცხოვრების ყველა დეტალი აინტერესებდა. ამიტომაც იყო, რომ ყველაზე ძნელად მისადგომ საფონდო საცავშიც კი ჩავიდა. ნიშანდობლივია ისიც, რომ მუზეუმში, თუ გათხრებზე ყოველთვის თან ახლდნენ შვილები, ლიზა და ბუსა.

ზურამ, ღრმა ცოდნასთან და უმაღლეს პროფესიონალიზმთან ერთად, მთელი ცხოვრების მანძილზე შეძლო თავისი იდეების შენარჩუნება.

ვახუშტი კოტეტიშვილი

დიდი მამულიშვილი

მე ჩემს თავს უფლებას ვერ მივცემ, ვიმსჯელო ზურაბ ჟვანიაზე, როგორც პოლიტიკოსზე, ვინაიდან ეს ჩემს კომპეტენტურობას აღემატება ამ სფეროში. თანაც, ეს უკვე კარგა ხანია აღიარებულია მთელი მსოფლიოს პოლიტიკურ წრეებში.

მე შემიძლია ვილაპარაკო ამ უაღრესად გამორჩეული პიროვნების დიდ ადამიანურ ღირსებებზე, მის დახვეწილ კულტურაზე, ჭეშმარიტ ინტელიგენტობაზე, რაც ბოლო ხანების უხამსობის ფონზე დიდ იშვიათობად და აბუჩად ასაგდებ თვისებად იქცა.

ზურაბ ჟვანია მე მისი სტუდენტობის დროიდან დამამახსოვრდა. ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, რომელიც 2000 კაცზე მეტს იტევდა, ჩვენ მიერ გამართულ ფოლკლორულ საღამოებზე კი უფრო მეტსაც, ერთ გრუზათმიან, თვალებანთებულ პატარა ბიჭს რომ შენიშნავ და თავს დაგამახსოვრებინებს, ეს, მართლაც, იშვიათობაა. შემდეგ უნივერსიტეტის დერეფნებში მომიკრავს არაერთგზის თვალი. ერთხელ მოვიხმე კიდეც და გამოვკითხე ვინაობა. ბიოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი აღმოჩნდა. უცებ ისეთი საინტერესო შეკითხვები დამისვა ფოლკლორის, ფილოლოგიისა თუ აღმოსავლეთმცოდნეობის სფეროებიდან, რომ გავოცდი:

- ბიჭო, შენ საიდან იცი ეგეთი რაღაც - რუღაცები, ბიოლოგმა კაცმა-მეთქი?
- მაინტერესებს და შეძლებისდაგვარად ვკითხულობ, - მიპასუხა ოდნავ

დარცხვენილმა. დინჯი მეტყველება ჰქონდა, თავისებური, მხოლოდ მისთვის დამახასითებელი დიქცია.

გავიდა დრო. იქმნება ,, რუსთაველის საზოგადოება.'' ფოიეში მოდის ჩემთან ზურაბ ჟვანია და მეუბნება:

- ბატონო ვახუშტი, ჩვენ, ახალგაზრდებს, გვინდა, რომ თქვენ იყოთ

ამ საზოგადოების პრეზიდენტი.

მე მეცინება და ღიმილით ვპასუხობ:

- დიდი მადლობა ნდობისათვის, მაგრამ მე საპრეზიდენტოდ ვერ ვივარგებ.

აჯობებს, კაკო ბაქრაძე ავირჩიოთ.

ზურაბი დაფიქრდა და დამეთანხმა:

- ოღონდ ერთი პირობით: სხდომას მაინც უთავმჯდომარეთ, რომ ვინმე

პარტიული მუშაკი არ დაგვასვან თავზე.

ამის პირობა მივეცი და შევუსრულე კიდეც. არ გასულა ცოტა ხანი და ვიგებ, რომ საქართველოს მწვანეთა მოძრაობას სათავეში უდგას ზურაბ ჟვანია, სრულიად ახალგაზრდა კაცი, და უკვე დიდ წარმატებებსაც აღწევს ამ კეთილშობილურ საქმეში. არ გამკვირვევბია, ვინაიდან ჩემი პედაგოგიური ალღოთი, როგორც იტყვიან, ,, კოჭებშივე'' ვამჩნევდი, ეს ,, ბალღი'' რისი შემძლეც იყო.

მწვანეთა პარტიის თავკაცობისას ზურაბმა დაგვიბარა ქართველი მწერლები და გვთხოვა, მწვანეებთან ერთად მონაწილეობა მიგვეღო დიდ პოლიტიკურ ტურნეში, რომელიც მოიცავდა ჩრდილოეთ კავკასიის კუთხეებს: ყაბარდო- ბალყარეთს, ჩერქეზეთს, ჩრდილო ოსეთს, ჩეჩნეთ- ინგუშეთსა და დაღესტანს. ექსპედიციის დევიზი იყო ,,კავკასია - ჩვენი საერთო სახლი''.

მართლაც, დიდი წარმატებით მოვიარეთ ეს რეგიონი. ვმართავდით ხალხმრავალ შეკრებებს სხვადასხვა ქალაქში და ყველგან დიდი ენთუზიაზმით ხვდებოდნენ ზურაბ ჟვანიასეულ ამ მოწოდებას. ეს ხდებოდა კომუნისტური სისტემის სასიკვდილო კონვულსიების დროს. სწორედ მაშინ გაჩნდა ოდნავი შესაძლებლობა კავკასიის ხალხთა ერთ მუშტად შეკვრისა, მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, რუსეთმა ისე აამღვრია წყალი, რომ მას შემდეგ ოცი წელია, არ დაწმენდილა.

ზურაბს, როგორც განათლებულ, უაღრესად კულტურულ და დახვეწილი გემოვნების ადამიანს, ყოველთვის აფიქრებდა ქართული ხელოვნების, სულიერი კულტურის ბედ-იღბალი და ამიტომ ახლო ურთიერთობაში იყო ქართველ შემოქმედებით ინტელიგენციასთან. აინტერესებდა არა მხოლოდ მათი პროფესიული საქმიანობა, არამედ გულთან ახლოს მიჰქონდა მათი ცხოვრებისეული, ადამიანური პრობლემები. ეს მე პირადადაც არაერთხელ განმიცდია და ყოველთვის

მიკვირდა, როგორ იგებდა იგი ჩვენი გასაჭირის ყოველ ნიუანსს და საოცარი გულისხმიერებით და ტაქტით გვიგვარებდა პრობლემებს.

მე არ მახსოვს ისეთი შემთხვევა, რომ მასთან მობილური ტელეფონით დარეკვისას იმწამსვე არ ეპასუხა: - გისმენთ, ბატონო ვახუშტი, - ანდა ცოტა ხანში თვითონვე არ გადმოერეკა ბოდიშებით: - მაპატიეთ, მეტისმეტად ოფიციალურ შეხვედრაზე გახლდით და ვერ გიპასუხეთ. ახლა გისმენთ. განა ეს ჟესტი არ ააშკარავებს მის ზნეობრივ დახვეწილობას და სულიერ არისტოკრატიზმს?!

რა დამავიწყებს იმ დღეს, როდესაც ქალბატონმა ეთერ მაისაშვილმა დაგვირეკა და გვითხრა, ბატონი ზურაბი გიბარებთო. მივედით: თენგიზ მირზაშვილი, ზურაბ კიკნაძე, ეთერ თათარაიძე, ამირან არაბული და მე. ზურაბი დაგვხვდა გაღიმებული და გვაუწყა თავისი სურვილი, აღგვედგინა ჩვენი ფოლკლორული საღამოები. ჩვენ, რასაკვირველია, აღფრთოვანებით შევხვდით ამ წინადადებას.

ზურაბმა დაგვაარსებინა ,,ხალხური ხელოვნების დაცვისა და აღორძინების ცენტრი'', რომლის თავმჯდომარედ მე დამნიშნა, ხოლო აღმასრულებელ დირექტორად - ამირან არაბული. ექსპედიციებისათვის გადმოგვცა ,,ნივა'', გამოგვიყო მატერიალური სახსრები და ჩაგვატარებინა გრანდიოზული საღამო. ეს ცენტრი ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა მის ტრაგიკულ აღსასრულამდე. ზურაბის გარდაცვალების შემდეგ ფრთები შეგვეკვეცა, ვინაიდან არავინ გამოჩნდა ამ საქმის ჭირისუფალი.

აქვე არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ იგი ბრძანდებოდა არაჩვეულებრივი შვილი, მეუღლე, მამა და ძმა თავისი სანიმუშო ოჯახისათვის, ხოლო ჩვენთვის კი - უახლოესი მეგობარი და გულისხმიერი თანამდგომი.

ზურაბ ჟვანია დაგვაკლდა არა მხოლოდ ჩვენ, მის უახლოეს საძმოს, არამედ სრულიად საქართველოს, ვინაიდან იგი იყო ღირსეული და გამორჩეული მამულიშვილი.

ნათელში ამყოფოს მამაზეციერმა მისი ამაღლებული,უკეთილშობილესი სული.ამინ!

ანდრო ბუაჩიძე

ზურაბ ჟვანიას ხსოვნას

* * *

ო, რა მარტოა, ღმერთო ჩემო, ადამიანი

ისიც, რომელიც თითქოს ქვეყნად არ არის მარტო

სამგლოვიარო რიტუალმა გადაიარა

და შენ იკავებ შენთვის მკაცრად მოზომილ ფართობს.

ყველაზე ერთგულს და ყველაზე უფრო ახლობელს

გაჰყვება შენი ნიღაბივით ჩამქრალი სახე,

და ახსოვს, რადგან სახე მუდამ უნდა ახსოვდეს

გარდაცვლილისაც - ნაკვთებში რომ იგროვებს ნაღველს...

აჰა, მურდალი ბედისწერის ნამოქმედარი,

მან სისაძაგლე ჩაიდინა, როგორც გმირობა,

ის მთელი ღამე ცხენზე იჯდა,- უნდო მხედარი,

ისიც, რომელიც არ ამხელდა ამ მარტოობას,

უკვე დაკრძალვის რიტუალმაც გადაიარა,

ბედისწერა კი მაინც ახვევს ქსელს, ვით ობობა

და მოჰყავს თოვლი! ავანსცენას ანათებს თოვლი!

შუაღამისას აფენს საფლავს მაღალ ფარაჯას...

რადგან მარტომყოფს უსათუოდ სჭირდება ტოლი,

თავსასთუმალთან რომ მიუწვეს ერთგულ დარაჯად...

ზურაბ კიკნაძე

ზურაბ ჟვანია - კაცი და ხელისუფალი

1989 წლის შემოდგომის ერთ მშვენიერ დღეს ჯერ კიდევ სტუდენტმა გიორგი მაისურაძემ მოიყვანა ზურაბი ჩემთან ბინაზე. იმხანად რამდენიმე თანამზრახველთან ერთად უნივერსიტეტის ავტონომიით ვიყავი გატაცებული. გიორგიც ამ ჯგუფში იყო. ერთ დღეს მეუბნება, ერთი მეგობარი უნდა გაგაცნო, მასაც სურს შენთან საუბარიო. სრულიად ახალგაზრდა არისო, ისე ამბობდა, თითქოს თავად მასზე უფროსი ყოფილიყოს. ზურაბი მაშინ 26 წლის იყო, თავად გიორგი - ალბათ ოცის. ასაკზე ალბათ იმიტომ ამახვილებდა ყურადღებას , რომ თავის მეგობარში რაღაც ბავშვურს ხედავდა (თითქოს მაფრთხილებდა) და ასაკისთვის უჩვეულო შესაძლებლობებსაც. მისი აქტივობის ოთხი წელი ჩემთვის ცნობილი არ იყო. მას პირველად ვხედავდი. ახლად გაცნობილი მაინც თავის ასაკზე ახალგაზრდა მომეჩვენა. იჯდა ჩემ წინ სავარძელში თავის ჩანთასთან ერთად და მიღიმოდა. მას სურდა მოესმინა, რას იტყოდა ახალგაცნობილი. სალაპარაკო ბევრი იყო. იმ დღესაც და მერეც. ჩვენი მცდელობა უნივერსიტეტის ავტონომიის აღდგენისთვის, რამაც ჩვენი პირველი შეხვედრა გამოიწვია, ცოტა არ იყოს, რომანტიკული იყო. იმხანად ზურაბ შენგელია, მათემატიკოსი, იყო ერთადერთი, ვინც სხვა საფიქრალთა შორის ფიქრობდა იმაზე , თუ როგორ უნდა დაებრუნებინა ის ქონება და მამულები უნივერსიტეტს, რომლებიც მას თავის დროზე სახელმწიფომ გადასცა. მათ შორის ზოოლოგიური პარკი. ახლად გაცნობილ ზურაბს შეეძლო აეტაცა ეს იდეა, მაგრამ მისთვის სხვა რამ აღმოჩნდა იმხანად აქტუალური.მოწოდება სხვა ჰორიზონტისკენ მიმართავდა მის ინტერესებს. იმხანად ჩემს შეგნებაში, რასაც ზურაბიც იზიარებდა, უნივერსიტეტი, თუმც მინიატურულად, მაინც სრული სისავსით, სხვადასხვაგვარად (თუნდაც დემოგრაფიულად) გამოხატავდა მთელ ქვეყანას. იმ პერიოდის ორომტრიალის, ძველის და ყველაფრის ლეწვა - ნგრევის ხანაში, უნივერსიტეტისათვის ყველაზე ბუნებრივი, აქტუალური მოთხოვნა, მისი ავტონომიურობის აღდგენა უნდა ყოფილიყო.

მაშინ ამ აქტში ვჭვრეტდით ქვეყნის დამოუკიდებლობის ხატს, რადგან უნივერსიტეტის ბედში შეგვეძლო მთელი ქვეყნის ბედი ამოგვეკითხა. თავისუფლად შობილი ჩვენი უნივერსიტეტის ხანომკლე, მაგრამ მრავალტანჯული ცხოვრება ხომ თავის თავში ირეკლავდა საქართველოს უკანასკნელი ხანის ისტორიას. ამიტომ ვფიქრობდით, რომ მისი თავისუფლება ქვეყნის თავისუფლების წინამორბედი იქნებოდა, მაგრამ ყმაწვილი ზურაბი სხვა ასპარეზს უმიზნებდა. თუმცა, უნდა გამოვტყდეთ, რომ ყოველი მაშინდელი მცდელობა, ავტონომიის მოპოვებისაკენ მიმართული (არაფორმალური სახით გამოცხადდა კიდეც უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში), მაინც ჩაიშლებოდა (და ასეც მოხდა) ,,მრგვალი მაგიდის'' ხელისუფლების ხელში, რომლის წარმომადგენლებს არც ერთ ფრონტზე არ უნდოდათ სადავეების ხელიდან გაშვება (ყოველი ხელისუფლების სენი ეს ყოფილა). მან, ვინც ავტონომიის იდეით უნდა გამსჭვალულიყო (და ასეც იყო მისი დისიდენტობის ხანაში), ამჯერად ხელისუფლების უმაღლეს საფეხურზე მოხვედრილმა, ზურგი შეაქცია მას, დაუშვა, რომ თავდ იდეა გაქილიკებულიყო. მერე ხშირად, როცა ეროვნულ მოძრაობაზე და მის შეუქცევად, არც თუ სახარბიელო შედეგებზე ჩამოვარდნილა საუბარი, ზურაბისთვის გამიხსენებია უნივერსიტეტის საზოგადოების იმჟამინდელი გულგრილობა ალმა მატერის ბედისადმი. მახსოვს, ერთი შეხვედრის დროს ზურაბმა (ის უკვე პარლამენტის თავმჯდომარე იყო), ეჭვი გამოთქვა დემოკრატიის (უფრო სწორად, მისი ჩვენებური სახეობის) მიზანშეწონილობაზე. საყვედური ამგვარად იყო გამოთქმული: - თქვენ არ ირჩევთ იმას, ვინც გინდათ, და ირჩევთ იმას, ვინც არ გინდათ, ანუ არჩევანს მოკლებული ხართ. ხომ არ აღვადგინოთ დანიშვნის პრაქტიკა? - როგორ, ამ პირობებში-მეთქი? ირონიით, რომელშიც, შესაძლოა ვინმეს სინანული ამოეკითხა, მიპასუხა: - სწორედ ეს არის საქმე, რომ ამას ვერ ვაკეთებთ ამ პირობებში , და ვერც თქვენსას ვერ აკეთებთ ამ პირობებში . კარგია, თუ ხელისუფლება ძველებურად ვერ იქცევა-მეთქი. ჩვენც ვისწავლით არჩევანს ახლებურად. მაგრამ საქმე ის არის, რომ ეს ჩვენ ჯერ არ არსებობდა, ეს ჩევნ, რომელსაც დემოკრატია უნდა ეტარებინა, შესაძლოა, დღესაც არ არსებობს, როგორც უნდა იყოს.

მხოლოდ და მხოლოდ სიმულაცია (დავესესხები გიგი თევზაძეს), მაშინაც და დღესაც, ,,პოზიციაში'' და ოპოზიციაშიც. წინასწარმეტყველ იერემიას შეძახილი: - გაჰყვირიან, მშვიდობა, მშვიდობაო, მაგრამ არ არის მშვიდობა - ზედგამოჭრილია ჩვენი აქტუალური საზოგადოებრივ- პოლიტიკური ყოფისთვის, ოღონდ, ამ

ყველასთვის გასაგებ სიტყვას საყოველთაოდ გაუგებარი დემოკრატიით შევცვლილი. ყველა, პოზიცია-ოპოზიცია გაიძახის ,,დემოკრატიას'', მაგრამ...

ზურაბ ჟვანიას უპირატესობა, ჩემი ფიქრით, ის იყო, რომ იგი უშუალოდ ეროვნული მოძრაობიდან არ მოდიოდა. მისი პოლიტიკური აზროვნება თავისუფალი იყო იმ ყაიდის პატრიოტიზმისგან, რომელსაც განსაზღვრავდა მეტწილად სიძულვილი ძველი რეჟიმისადმი (ხშირად ნაბანისთვის ბავშვის გადაყოლებით), პარტიებს შორის უნდობლობა და ურთიერთშურიც კი, რაც იმ ხანის მეგაფონებიდან იღვრებოდა (9 აპრილის სისხლი აღმოჩნდა აუცილებელი ეფემერული ერთიანობისათვის, რომელსაც დღემდე მივტირით). დამკვიდრებული იყო დეფამაციის რამდენიმე კლიშე, რომელსაც იარლიყად მიაკერებდნენ მოწინააღმდეგეს (მათ შორის, მომაკვდინებელი სუკის აგენტობა). პოლიტიკური ბრძოლის ამ ხერხმა დიდხანს გასტანა და დღემდე მოდის, როგორც ნაცადი ,,გამანადგურებელი'' საშუალება. ზურაბს უწვნევია თავის თავზე ამ იარაღის დარტყმა - ბეჭდვითი მედიიდან არ წყდებოდა ,,მხილებები'' მას შემდეგ, რაც ის საჯარო პირი გახდა. პოლიტიკური მოღვაწე, თუკი ის გულწრფელად, არა საკუთარი მიზნებისთვის მიჰყვება ამ მოწოდებას, შერიგებულია ყოველგვარ ინსინუაციებს და არ დაუშვებს თავის მართლების მღვრიე მორევში ჩათრევას. ზურაბი ყოველივე ამის ზემოთ იდგა და, თუ აუცილებელი იყო, ღირსეულად, აუღელვებლად, მხოლოდ და მხოლოდ იუმორით პასუხობდა. იგი თავისი მოწოდების სიმაღლიდან ძირს არ ეშვებოდა. მას არ სჩვეოდა აღშფოთების გამოხატვა საკუთარი პერსონის ღირსების შელახვის გამო, რაც ბევრ მის ,,ოპონენტში'' პლებეურ ძირებს ამხელდა.

ამაში ვხედავთ მისი სულის თანდაყოლილ არისტოკრატობას, რაშიც მას იშვიათად თუ ვინმე შეეცილებოდა. ის მიდიოდა თავის გზაზე და სხვა ავტორიტეტს, გარდა თავისი შინაგანად განცდილი სიმართლისა, არ ცნობდა.

მისი მისამართით ამ იარაღის ყოველ გამოყენებაზე მახსენდებოდა: ერთხელ წვეულებაზე მეგობრის ბინაში, სადაც საოჯახო დღესასწაულებზე პერიოდულად იკრიბებოდნენ არცთუ შორეული მომავლის ხელისუფალთა და ოპოზიციის ემბრიონები, ზურაბი ბევრს ხუმრობდა პოლიტიკურ თემებზე, აშარჟებდა, როგორც სჩვეოდა, ზოგიერთ სიტუაციას თუ მოვლენას და, ბოლოს სიცილნარევი სერიოზულობით: ,,მომეცი მეგაფონი და გეტყვი, ვინ ხარ შენ''. ეს სიტყვები, როგორც იგავი და ანდაზა, იყო იმ ეპოქის დიაგნოზი. რა დასამალია: მოძრაობა, რომელიც სრულიად საქართველოს სახელით ლაპარაკობდა, ურთიერთუნდობლობით, ცილისწამებებით და ,,მხილებით'' დაიწყო.

კინოს სახლთან (რომელიც ადგილიც არის და გარკვეული პერიოდის ნიშანიც - ისტორიული ქრონოტოპი) შემხვდა მხარზე ჩამოკიდებული თავისი განუყრელი ჩანთითურთ, რომელთანაც ერთად გავიცანი (იმ ხანებში უჩანთო ზურაბ ჟვანია არ შემხვედრია), ღიმილით გამიმხილა, პარტიას ვაარსებო. რა პარტიას-მეთქი? მწვანეთა პარტიასო. სახელი არ გამკვირვებია (მწვანეთა მოძრაობა თუ ასოციაცია, რომელიც სულ მალე ჩაერთო საერთაშორისო ურთიერთობაში, ალბათ, პარტიად უნდა გარდაქმნილიყო). ცხადია, სახელწოდება ერთგვარად პირობითიც იყო. ეს ეჭვით მივიღე: შენცა, ზურაბ? კიდევ ერთი პარტია?! როგორ არ უნდა მქონოდა ეჭვის მიზეზი, როცა ჩვენ თვალწინ სოკოსავით იბადებოდნენ პარტიები. შემდეგ გაირკვა, რომ ეს მხოლოდ საფეხური იყო. ერთი ეტაპი მისი პოლიტიკური კარიერის გზაზე. ბოლოდან თუ გადავხედავთ, რეტროსპექტულად, მისი ნაბიჯები ცნობიერად თუ არაცნობიერად გათვლილი იყო მომავალზე, იმ პერიოდზე, რომელიც იმხანად უკვე მზადდებოდა, იმ პოლიტიკურ ცხოვრებაზე, რომელშიც მთელი არსებით გადაეშვა. ერთხელ გურამ თევზაძემ მითხრა (ადგილიც მახსოვს, დროც: უნივერსიტეტის წინ, ჭადრების ქვეშ, ნაშუადღევს): ხედავ, დღითი დღე როგორ იზრდება პოლიტიკოსად? მისმა თვალმა მის გზაში ევოლუცია დაინახა, მე კი ნახტომი დავინახე.

რომ არ მცდოდნოდა მისი მრავალმხრივი ინტერესები და უნარები საერთო შემეცნებითი თუ, უბრალოდ, ადამიანური ნიჭის ფონზე, ვიფიქრებდი, რომ მასში ამ ნახტომით მოხდა იმის მანიფესტაცია, რასაც შობითგანვე ატარებდა, ანუ ვიფიქრებდი, რომ პოლიტიკა იყო მისი ერთადერთი მოწოდება. იმ პერიოდში, როცა,

ფიგურალურად რომ ვთქვათ, გაიხსნა თავიუსუფლების საქანელნი, ეროვნულმა მოძრაობამ, როგორც მამულიშვილობის უკიდეგანო, თუმცა ცალმხრივი, გამოვლენის შანსმა, ბევრს გაუჩინა პოლიტიკოსობის ილუზია: მიატოვეს ადრინდელი პროფესიები და უანგაროდ თუ ანგარებით გადაეშვნენ პოლიტიკური ბრძოლის მღვრიე ღურღუმელში. ბევრს ხელი მოეცარა, მცირედნი შერჩნენ პოლიტიკას. უმრავლესობას ჰქონდა ილუზია, რომ ლიტონი და, ამდენადვე, ტოტალიტარული პატრიოტობის გამუდმებული განცხადებით დამყარდებოდა ქვეყანაში ეროვნული სამოთხე (,,წინ დავით აღმაშენებლისკენ!''). დღეს არ სურთ იმის გაცნობიერება, რომ სწორედ ამგავარად აღებულმა გეზმა ეროვნული პოლიტიკის გზაზე შეუწყო ხელი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის, შესაძლოა, სხვაგან ჩაფიქრებულ რღვევას. ზურაბი თავისუფალი იყო ამ პატრიოტული მითოსისგან, რომელიც წარსულისკენ იყო ორიენტირებული. თანამედროვე ეროვნულ პოლიტიკოსს კი მომავლისაკენ უნდა გაეხედა.

სახელმწიფო საბჭოს ერთ-ერთ სხდომაზე (დრო იყო: აფხაზეთის ომის დასაწყისი) ამფითეატრის მოპირისპირე ფრთიდან მომესმა ხმა, რომელიც თანდათან ძლიერდებოდა, იკრებდა ძალას და, ბოლოს, მეხისტეხაში გადაიზარდა. გვერდით მჯდომმა, აწ განსვენებულმა იურისტმა ზურაბ ახვლედიანმა, როცა თავი მივაბრუნე იმ ფრთისკენ, საიდანაც ხმა მოდიოდა, ჩაილაპარაკა: Смотри, он говорит как власть имеющий. მართლაც! ეს ხმა ძალაუფლების ნამდვილი მანიფესტაცია იყო, იმ დაფარულის გამოცხადება, რომელიც ადამიანში მზადდება და შესაფერ ჟამს ეძებს, რომ თავი იჩინოს. და ჟამიც დგება. ამ ხმას ვუწოდე მე ნახტომი. ნუთუ ეს ის არის, ჩანთაგადაკიდებული რომ გავიცანი და გუშინაც და გუშინწინაც შევხვდი- მეთქი? ხდება ხშირად, რომ პირველგაცნობის ხატს გადაფარავს შემდგომი სახე, მაგრამ ზურაბის შემთხვევაში ასე არ მოხდა: შინაგანმა ხედვამ ცოცხლად შეინარჩუნა პირველი შთაბეჭდილება.კერძო კაცს გვერდში ამოუდგა სახელმწიფოს კაცი, და მას მერე მასთან შეხვედრებისას ორივეს ვხედავდი და დღემდე ასე დარჩა ჩემს ცნობიერებაში.

ზურაბი მუდამ რჩებოდა იმ ყოფითი დღეების ზურაბად თუნდაც არცთუ შეზრდილი მეგობრებისთვის: ურთიერთობაში ზომიერად ნაზი, სადა, გულისხმიერი, გულწრფელი, გულახდილი, მუდამ კეთილგანწყობილი,

თანამგრძნობელი, ხელშეწყობისთვის მზადმყოფი (რისი მოწმე პირადად ვყოფილვარ). მაგრამ ეკრანიდან ხშირად გვინახავს გამეხებული ვეფხვის სახე!

ზურაბ ჟვანიას, როგორც პოლიტიკური მოღვაწის ბედი, ტრაგიკული აღმოჩნდა, მაგრამ არა მხოლოდ მისი ამგვარი აღსასრულის ან იმის გამო, რომ სწორედ მაშინ შეწყდა (რამაც მავანთ და მავანთ შვებით ამოასუნთქებინა) მისი პოლიტიკურ-საზოგადოებრივი კარიერა, როცა იგი შემოქმედებითი აღმავლობის შუაძალზე იმყოფებოდა. ტრაგიზმი იყო შეუსაბამობაში, რომელმაც თავი იჩინა იდეასა და იმ წრეს შორის, რომელსაც ეს იდეა უნდა განეხორციელებინა. საუკუნო წინააღმდეგობა ნებასა და რეალობას შორის, რომელშიც ეს ნება ხორცს უნდა ისხამდეს. მას, თუმცა გამჭრიახ ადამიანს, ჰქონდა ილუზია, რომ იმხანად მსოფლიო პოლიტიკურ ასპარეზზე სახელგანთქმული პიროვნება შეძლებდა ეტვირთა საქართველოში დემოკრატიის პრინციპების დანერგვა, ანუ ახალი საქართველოს შენება. ბევრს ჰქონდა იმედი, რომე ეს ადამიანი შეძლებდა დაეძლია თავის თავში ძველი კაცი და შემოსულიყო ახალი კაცით. თითქოს ასეთი გარდაქმნა შეუძლებელი არ უნდა ყოფილიყო. თუმცა იმჟამინდელი ლაპარაკი სავლედან პავლედ გარდაქმნაზე სრული პროფანაცია იყო. მარტივი ლოგიკა, პირველი პირისაგან გაცხადებული, ასე ჟღერდა: მაშინ,როცა სავლე ვიყავი, ისე იყო საჭირო, ახლა კი, როცა პავლე ვარ , ასეა საჭირო. მაგრამ ეს ასე, კვლავ და კვლავ ისე გრძელდებოდა. ისევ და ისევ კონფორმიზმი, გაუბედაობა, ყოყმანი წარსულსა და აწმყოს შორის, აჩრდილის შიში....

თუმცა საკმარისი იყო უბრალოდ უანგარო პრაგმატიზმი, რომელიც ახალი კაცის დაბადებას მისცემდა საზრისს. მაგრამ ეს არ მოხდა: არც ძველი, არც ახალი, რაღაც საშუალო ბურჟუაზიული. ზურაბ ჟვანიას ტრაგედიაც ეს იყო. გაცრუებად განწირულ იმედებს შეალია თავისი ენერგია, პათოსიც და ეთოსიც. ის იძულებითი ნაბიჯები, რომელთაც შორს მიმავალი სტრატეგია მოითხოვდა მისგან, უკვე მისი ნებისგან დამოუკიდებლად წესად ინერგებოდა და დღემდე ასეა. ესეც მისი ტრაგედია იყო. მაგრამ რა იწვევს ტრაგიკულს ადამიანის ცხოვრებაში, თუ არა თავისუფალი არჩევანი, ეს მეტისმეტად ადამიანური აქტი,

იმდენად ადამიანური, იგი განსაზღვრავს ადამიანის, როგორც ღვთის ხატის, არსებას. ბევრი პოლიტიკოსი ისწრაფვის კარიერის მწვერვალისკენ, მათ შორის მცირედნი აღწევენ მწვერვალს, მაგრამ მცირედზე მცირენდი, თითქმის გამონაკლისნი თუ არიან მზად, რომელთაც ძალი შესწევთ, უარი თქვან მიღწეულზე. ვისაც ეს შეუძლია, შინაგანად განცდილი თავისუფლების ძალით შეუძლია. ზურაბმაც, მწვერვალთან მყოფმა, დათმო თანამდებობა პოლიტიკური ჰაერის გასანიავებლად. ამ აქტმა აჩვენა, რა იყო მისთვის უფრო მეტად ღირებული. მაქს ვებერის სიტყვები რომ მოვიხმოთ, ის ცხოვრობდა პოლიტიკისთვის, არა პოლიტიკით, რომ თავისი ყოფითი ცხოვრება მყუდროდ მოეწყო.

ვინც ზურაბს იცნობდა, მისთვის უტყუარი იყო, რომ მას ჰქონდა ადამიანთა ცნობის უნარი. მაგრამ ის არ იყო გულთამხილავი, რომ თვალნათლივ წარმოედგინა თავისი თანამებრძოლების გადადგმული ნაბიჯები მისი ამქვეყნიდან წასვლის შემდეგ. შეცდა თანამებრძოლთა არჩევანში? მაგრამ ვის შეუძლია იმედგაცრუების წინასწარმეტყველება? მაგრამ მას განცდილი ჰქონდა საკუთარი შესაძლებლობები და უნდა სცოდნოდა, რომ რისი გაკეთებაც თავად მას შეეძლო, იმას სხვა ვერ გააკეთებდა, ან არ გააკეთებდა, ან ასე არ გააკეთებდა. ასე მოხდა. ამას წინათ მისმა ახლო მეგობარმა მითხრა: ერთხელ უთქვამს, - მე ვარ მარილი ამ ქვეყნისა. შესაძლოა, ეს (ასეც იქნებოდა) ხუმრობით იყო ნათქვამი, მაგრამ ამგვარი რამის თქმა, გარკვეული შინაგანი გრძნობისა და დაჯერებულობის გარეშე შეუძლებელია. იყო მარილი და განქარდა მარილი. მე ამავე წმინდა წყაროდან სხვა სიტყვებს შევაგებებ: ,, მრავალ არიან ჩინებულ და მცირედნი რჩეულ''. საუბედუროდ თუ კანონზომიერად, სწორედ რჩეულთა ხვედრია ტრაგიკული.

პოლიტიკური კაცი, ძირითადად მოქმედია, მაგრამ ყველა თვალსაჩინო პოლიტიკურ მოღვაწეს აქვს თავისი გამონათქვამი, რითაც ის რჩება ისტორიაში. მის სიტყვებს შორის, რომელბიც ხშირად წარმავალი ინტერსებით არის დატვირთული, რჩება ორიოდე, როემლიც წარუვალ მნიშვნელობას იპოვებს. ზურაბ ჟვანიას ჩვენი ქვეყნის განგებამ წილად არგუნა ყოფილიყო ნამდვილად ისტორიული ფრაზის წარმომთქმელი: ,,მე ვარ ქართველი და, მაშასადამე, ვარ ევროპელი''. ამ ფორმულით გამოთქვა მან ქართული იდენტობის საუკუნო ალტერნატივა, ქართველი ადამიანი საჯაროდ დააყენა ამ იდეის წინაშე, ახალ რეგისტრში გაუღვიძა ეს ფიქრი. ამ ლოზუნგის ავტორს სრულიადაც არ ჰქონდა ილუზია, რომ ემპირიულ პლანში ამ ნათქვამს აბსოლიტური ჭეშმარიტება უნდა გამოეხატა. ეს მაშასადამე პერსპექტივა, არა ფაქტობრივი იგივეობის

დამადასტურებელი. ამ ლოზუნგში **მე** ორია, ერთი - პიროვნილი, მეორე - კოლექტიური,რომლის სახელით პიროვნული მე ლაპარაკობს.ერთი, როგორც პიროვნება, აქტუალურად ატარებს ევროპას, მეორე - პერსპექტივაში, თუმცა სხადასხვაგვარად ისწრაფვის მისკენ . ეს მაშასადამე პროცესის ბოლო ეტაპის გამომხატველია. მანძილი ჯერ კიდევ გასავლელი აქვს.

რა ხატი აღიძვრება ჩვენში, როცა ვახსენებთ ამ სიტყვას - ევროპა? ძალიან ხშირად გვესმის საყვედური - ,,ნებისმიერ ცივილიზებულ ქვეყანაში..., როცა არ მოგვწონს ის, რასაც ყოველდღიურად ვაწყდებით ჩვენს რეალობაში - ყოფასა თუ პოლიტიკაში. არც აზია, არც ევროპა ან, როცა გვსურს, აზია ვართ, როცა გვსურს - ევროპა? გრიგოლ ორბელიანი სიამაყით აცხადებდა, მე აზიატეცი ვარო. ამ გამონათქვამს ბევრი ქართველი არ გაიზიარებს , მას უფრო იზიდავს ევროპული კულტურა , პრაქტიკულად ყოფაში ,, აზიატეცობას'' განაგრძობს. ჩვენი მომავალი იდენტობა თუ დასავლურ- აღმოსავლურ სინთეზშია მოსალოდნელი, ზურაბ ჟვანია იმ მცირედთაგანი იყო ვისაც შეეძლო აქტუალურად ეტარებინა ეს სინთეზი.

პოლიტიკოსებს შორის ძნელად მოიძებნება მეტ-ნაკლებად ავტორიტეტული სახელმწიფო მოღვაწე, რომლისთვისაც სისხლხორცეულია ლოზუნგი ,, კულტურა გადაარჩენს ქვეყანას''. კულტურა ყველა სფეროში: კულტურა ყოფაში, კულტურა ხელოვნებაში, კულტურა მეცნიერებაში, კულტურა ეკონომიკაში, კულტურა სამართალში, კულტურა პოლიტიკაში... ის ხედავდა კულტურის ამგვარ განფენისა და მის სახელმწიფო პოლიტიკის რანგში აყვანის აუცილებლობას; რომ დანაშაულია კულტურის მინებება საბაზრო ეკონომიკის ტალღებისთვის. სახელმწიფო ხელისუფლება უნდა ქომაგობდეს კულტურას და მხოლოდ იმ დღეებში არ ახსენდებოდეს, როცა ელექტორატია მოსაზიდი. ვისაც კი უკანასკნელ წლებში ჰქონია ზურაბ ჟვანიასთან ურთიერთობა, ის გაიხსენებს, რომ მისთვის კულტურა იყო ნამდვილად მიზანი და არა ინსტრუმენტი პოლიტიკურ ასპარეზზე წარმატების მისაღწევად, რომ მისთვის სახელმწიფოს შენება იმავდროულად ნიშნავდა კულტურის შენებას. ის იღვწოდა, რომ ეს ქვეყანა ყოფილიყო არა მხოლოდ სახელმწიფო, არამედ იმავდროულად, როგორც გერმანელები იტყვიან, kulturstaat, კულტურის სახელმწიფო.

მოარულია თქმა, რომ შეუცვლელი ადამიანები არ არსებობენ. ნუთუ მართლაც არ არსებობენ და ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს ამ მოარულ ,, ჭეშმარიტებაში''? ყოველი ადამიანი, ვინც უნდა იყოს იგი, საზოგადოებრივი იერარქიის რომელ საფეხურზეც უნდა იდგეს, უნიკალურია, ერთადერთია, განუმეორებელია.

სახელმწიფო მოღვაწეს აქვს თავისი ჩანაფიქრები, გეგემები, ხედვები და მას იმედი აქვს, რომ ამას ყველაფერს ასე და ამგვარად განახორციელებს. მის ხელთ არის ჟამი. მაგრამ მისი სიცოცხლე შუა გზაზე წყდება, ჟამი გადის და ჩანაფიქრი არათუ ასე, საერთოდ ვერ ხორციელდება. შეუცვლელობა არის ადამიანშიც და იმ ჟამშიც, როცა ეს ადამიანი მოქმედებს და , გარკვეული აზრით, ქმნის ჟამს (ბარათაშვილი: ,,ჟამი ჩემია და ჟამისა მე ვარ იმედი''). ხელისუფალს ყოველთვის გამოუჩნდება შემცვლელი, მაგრამ იდეა, რომელიც მან დატოვა ხორცშესასხმელად, შეიძლება ჩაკვდეს. და მოდის სხვა, რომლისთვისაც უცხოა კულტურის დამკვიდრების პოლიტიკა. მაგრამ დადგება ჟამი და მაინც მოვა , თუნდაც დაგვიანებით, პიროვნება, რომელიც გაითავისებს ჭეშმარიტებას, რომ ადამიანი, თავისი პირველადი მოწოდებით კულტურული არსებაა და არამც პოლიტიკური. ასეთი პიროვნება თავად უნდა იყოს კულტურული ადამიანი ამ ცნების არა მხოლოდ ყოფითი, არამედ სიღრმისეული, ფუნდამენტური გაგებით, ადამიანი, რომელიც სუნთქავს კულტურით და კულტურა სუნთქავს მასში.

ასეთს ვხედავდით ზურაბ ჟვანიას, უნიკალურ ადამიანს და შეუცვლელ ხელისუფალს.

ლევან ვასაძე

გამოსათხოვარი

თავზარი დაგვეცა, ცხოვრება გაჩერდა, იმედი შეირყა, შიშმა მოგვიცვა, მზე ჩაესვენა. ზურა ჟვანია აღარ არის.

სულ ორი დღის წინ დავწერე:

,, მე მენატრება ჩემი სამშობლო,

ზეცა, სუნთქვა და ფერები მისი,

თუ როდის ვნახავ, თუ როგორს ვნახავ,

მხოლოდ მაღალმა უფალმა იცის''.

ახლა კი ვიცი, როდის და როგორს ვნახავ მას. მალე თვითმფრინავში ჩავჯდები, ნახევარ დედამიწას გადავუფრენ და ჩემს მგლოვიარე სამშობლოს ჩავეხუტები, მასთან ერთად ვიტირებ მის საუკეთესო შვილს, რომელიც სიყვარულით და უანგაროდ ემსახურა მას სიცოცხლის ბოლო წამებამდე, ბოლო ამოსუნთქვამდე.

ჩვენთვის წარსულშიც არაერთხელ მოუველნია უფალს გამორჩეული მამულიშვილები, რომლებსაც თავიანთი სამშობლოს თითქოსდა მიმქრალი გულის სითბო სათუთად გაუღვივებიათ, ჩირაღდნად აუბრიალებიათ და ერის იმედად და სიხარულად აუტაცებიათ.

უკიდურესი ხელჩაქნეულობის და სასოწარკვეთის ჟამს, როდესაც გვეგონა, რომ საქართველო დაიშალა, რომ წმინდა გიორგიმ ვერ დაამარცხა ურჩხული, როდესაც დაჩაგრული მონის სენით შეპყრობილები, მტრის ნაცვლად, ერთმანეთს ვერჩოდით, ჩვენს შორის ჩაუქრობელი სანთელივით ენთო ზურას სიცოცხლე. ის დადიოდა თუ დაფრინავდა სულ სხვა გზებზე, ხედავდა სივრცეებს, რომელთა იმედიც კი აღარ გვქონდა. ითმენდა დამცირებებს და ცილისწამებებს, რომლებიც ჩვენ ვერც კი წარმოგვიდგენია. შეუპოვარი ერისკაცის ხასიათის გამო, მას არ შეეძლო დანებებოდა უსამართლობას , უნიჭობას, ბოროტებას. ამიტომ შედიოდა ის ჩვენი სახლის ყველაზე ბინძურ ოთახებში და მათ განათებას ცდილობდა. დაღლილი და გამოფიტული კი იმ სისივავების და რეგვნების კრიტიკას ისმენდა, რომლებიც მას სიბინძურესთან ბრძოლაში ადანაშაულებდნენ - ხელთათმანები დაგესვარაო.

რა ვიცით, როგორი გაწამებული, ზურა მოვიდოდა სახლში, სიბინძურეს და დაღლას ზღურბლზე დაიბერტყავდა და, როგორც დაჭრილი ირმების გუნდი წყაროს ანკარას, ისე დაეწაფებოდა თავის სიყვარულს - თავის ნინოს და თავის საყვარელ შვილებს.

დარჩიო, სთხოვდა ნინო, ნუღარ გახვალო, ხომ ხედავ, არ სჭირდებიო. ოჯახის სითბოსა და სიყვარულში მოსვენებული, იქნებ იფიქრებდა კიდეც ერთი წამით, დაენებებინა თავი ჩვენი მსახურებისათვის, გამხდარიყო უბრალოდ წარმატებული, ოჯახზე ეზრუნა, აღარ ყოფილიყო ერის მამა, მაგრამ მერე წარმოიდგენდა ალბათ სიბნელეს, რომელიც მისი სახლის ზღურბლზეც

მომდგარიყო, სინათლის მეომრის აბჯარს ისევ აისხამდა, ყველაფრის გამგებ ნინოს აკოცებდა და საკუთარ გულის ძახილს გაჰყვებოდა ბრძოლაში სიმართლისათვის, სიყვარულისათვის, სამშობლოსათვის. დავინახავდით რა სიბნელეში ეულ სინათლის მეომარს, ისევ იმედი გაგვიჩნდებოდა, ერთობა შესაძლებელი გახდებოდა, თავდაუჯერებლად და აუხსნელი სიხარულით გვერდში ამოვუდგებოდით. მის გამო ოდნავ უკეთესი ჩვენც გავხდებოდით.

ფხიზელს დაეძინაო, გვეტყვიან, შემთხვევით მოუვიდაო. გვეტყვიან გამოუძიებლად, თან რატომღაც გამოძიებას დაიწყებენ. უნდა დავუჯეროთ - ახლა ასეა, ალბათ, საჭირო. და რა მნიშვნელობა აქვს, რომელმა ჩვენმა მოქმედებამ მოკლა ზურა. ღმერთმა ნუ ქნას, ჩასაფრებული მტერი გავახაროთ და, რაც ზურას არ ენდომებოდა, ისეთი შეცდომები დავუშვათ. დაე, ყველამ, ვისაც ჰგონია, რომ თავი მოგვეკვეთა, დაინახოს თავისი მოლოდინისა და ზრახვების სრული ამაოება. დავარდნილი ამირანის ჩირაღდანი მილიონ სანთლებად ანთია ქართულ ოჯახებში და ჩვენი მომავლის ჩაბნელებას შეუძლებელს ხდის.

მახსოვს, 2003 წლის ზაფხულში ზურა სულ მარტო იყო. ნებაყოფლობით თქვა უარი ძალაუფლებაზე, არც არავის უთხრა მადლობა და სრულიად გარიყული იყო საზოგადოებრივი ასპარეზიდან. დიღომში თავის უბრალო აგარაკზე დამპატიჟა, მის ოჯახთან ერთად ვივახშმეთ და ერთი საათის განმავლობაში საქართველოს ბედ - იღბალზე ვსაუბრობდით. ერთი სიტუაციაც კი არ უხსენებია საკუთარი მდგომარეობა და გაურკვეველი მომავალი.

რითი შემიძლია გვერდში დაგიდგე- მეთქი. მე რა უნდა დამიდგე, ხომ ხედავ, ჩემი აღარ სჯერათო, მიპასუხა გულისტკივილით. როდესაც ვკითხე, რა სჭირს საქართველოს-მეთქი, სრული უმმართველობაო, მიპასუხა. მმართველმა რა უნდა ქნას-მეთქი, ჩავეკითხე დაკვირვებით. თვალის დაუხამხამებლად საოცარი პასუხი გამცა: მმართველის ერთადერთი მოვალეობაა, ხალხს არ შეეშალოს, შთაგონება და აღფრთოვანება მისცეს, რათა ადამიანებმა საკუთარი მომავლისთვის იშრომონო.

დღეს, მიუხედავად მძიმე გლოვისა და დაობლების მიუსაფარი შეგრძნებისა, ჩვენ იმ შთაგონებისა და აღფრთოვანების გამო მადლიერებას ვგრძნობთ, რომელიც ზურამ ჩვენს გულებში სამუდამოდ დატოვა. თითოეულ ჩვენგანს უფალმა წყალობა გვიბოძა, ზურას თანამედროვეები ვყოფილიყავით. ნურავინ იფიქრებს, საქართველოს ამოდენა ბუმბერაზის წაქცევაც კი უკან დახევსო. ზურას ხსოვნა, მისი მაგალითი, მისი შეუდრეკელი რწმენა ჩვენი მომავლისა

გაგვიძღვება ჩვენ ნათელი გამარჯვებისაკენ, სამშობლოს გამთლიანებისაკენ, მისი გარდაუვალი აღმასვლისაკენ.

შენ კი განისვენე ნათელ ყურეში, ჩევნო ძმაო. ნურაფერზე იდარდებ, შენ ხომ ასი ადამიანი სიცოცხლით იცხოვრე, იბრძოლე, იტანჯე, ილოცე. შენს საყვარელ ნინოს და შვილებს უფალი შენი ძმების ხელით მიხედავს, რამეთუ ,, ყრმა ვიყავ და დავბერდიცა და არა ვიხილე მართალი დაგდებულ, არცა თესლი მისი მთხოველ პურისა''.

მიიღე ჩვენი მადლობა ყველაფრისათვის და შეგვინდე ყოველივე. გაიხარე ჩვენი წინაპრების წიაღში, უფლის სინათლე გათბობდეს, კვიპაროსის ბაღების ნამი გაგრილებდეს, კავკასიონიდან შენამდე მოსულ ნიავს შენი საყვარელი სამშობლოს ხილვები მოჰქონდეს, შენი ლოცვა გვფარავდეს, სანამ ჩვენ არ შევხვდებით ერთმანეთს ისევ.

''24 საათი''

04.02.2005

ზურას ფენომენი

უცნაური დღეა. ხვალ საქართველოში არჩევნებია, მე კი ვცდილობ, ნინოს თხოვნით დავამთავრო წერილი ზურაზე, რომლის წერაც ნოემბერში დავიწყე. მოსკოვში სუსხიანი, მზიანი დღეა, კაბინეტში ვზივარ და მაგიდაზე მიდევს ზურას წიგნი ,, ჩვენი თაობის პრივილეგია''. წიგნის გვერდები უხვადაა მონიშნული ჩემ მიერ, ყდას კი ზურას ფოტო ამშვენებს, მისთვის ჩვეული ჭკვიანი და ჩაფიქრებული გამომეტყველებით.

ამ წერილის ბოლო რედაქციაში თავს მაინც ვერ შევიკავებ და ზურას მკვლელობისადმი ჩემს დამოკიდებულებას გამოვხატავ. გაზეთ ,, 24 საათში'' დაბეჭდილ ,,გამოსათხოვარში'' ვწერდი:... ,,გაზით გაიგუდაო, გვეტყვიან, შემთხვევით დაიღუპაო, გვეტყვიან გამოუძიებლად თან რატომღაც გამოძიებას დაიწყებენ. უნდა დავუჯეროთ, ახლა ასეა ალბათ საჭირო''. მაშინ მჯეროდა, რომ ზურა გარეშე მტრებმა მოგვიკლეს და რომ ხელისუფლების ნაჩქარევი განცხადებები ქვეყნის და საზოგადოების დამშვიდების აუცილებლობით იყო

ნაკარნახები. კარგი გაკვეთილია ჩემთვის. არაფერი არ ამართლებს ჭეშმარიტების დამალვას, რა საბაბითა და მიზეზითაც უნდა ხდებოდეს ეს. არ ვიცი, რა მოხდება ხვალ, ვის და რას აირჩევს საქართველო, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ზურას მკვლელობას მკვლელობა დაერქმევა. ამის საფუძველს მაძლევს ის, რომ გასული წლის ნოემბრის სოციალური პროტესტის მიზეზი სიღარიბე ან ოლიგარქიული კონსპირაცია კი არ ყოფილა, არამედ - სიმართლისა და სამართლიანობის ნაკლებობა ჩვენს საზოგადოებაში. ამ მოთხოვნას სიმდიდრის დაპირებით ვერ დააკმაყოფილებ, რადგან მოთხოვნა სულ სხვაა. და, რადგან მოთხოვნა არსებობს, საზოგადოება მისი დაკმაყოფილების საშუალებას აუცილებლად მონახავს. და ამ მოთხოვნის ცენტრალური თემა, რა თქმა უნდა, ჩვენს შემთხვევაში ზურას მკვლელობის გამოძიებაა.

ასეთი სათაური ამ წერილს იმიტომ აქვს, რომ ჩემთვის ბოლომდე ამოუცნობი რჩება ზურას პიროვნებაში ისეთი პრინციპების თანაარსებობა და შეთავსება, როგორიცაა პოლიტიკოსობა და წესიერება, მართლმადიდებლობა და დემოკარტიულობა. ჩვენს დროში მცხოვრებ ოდნავ მოაზროვნე ჩვენს თანამემამულეს არ შეიძლება ეს საკითხები არ აღელვებდეს და ამ მხრივ ზურა მართლა ფენომენია.

დანამდვილებით მოგახსენებთ, რომ ზურას გარდაცვალების შემდეგ ბევრმა ხალხმა მიიღო მონაწილეობა მისი ოჯახის მატერიალურ მხარდაჭერაში და, თუმცა ეს საჯარო საკითხი არ გახლავთ, მაინც მართებულად მიმაჩნია, ხაზი გავუსვა იმ ფაქტს, რომ ამ დროს აშკარა გახდა, რამდენად უანგარო და უმწიკლო ყოფილა ზურა ქვეყნის სამსახურში. ძალიან იშვიათად ნახავთ მისი თანამდებობის მქონე ადამიანს - მით უმეტეს საქართველოში - ასე განცარიელებულს სახსრების თვალსაზრისით. ხშირად მიფიქრია, რამ შეაძლებინა ზურას ასეთი სუფთა დარჩენილიყო ამხელა ცდუნების წინაშე ამდენი წელი და, ვფიქრობ, პასუხი მისი ოჯახის ძირძველ ინტელიგენტურობაში უნდა ვეძებოთ. როდესაც მის დედას, ქალბატონ რემას, ან მის ძმას, გოგლას უცქერ, ყველაფერი გასაგები ხდება. ზურას ოჯახი ჩვენი საზოგადოების იმ ფენას განეკუთვნება, რომელიც, დამოუკიდებლად ეროვნებისა და კუთხური წარმომავლობისა, ყოველთვის გვევლინებოდა ქართული ეთნოკულტურის განუმეორებელ გამოხატულებად და, თუ გნებავთ, ჩვენი ერის ხერხემლად. ამ ფენის სახელი საუკუნეების მანძილზე იცვლებოდა და აკი ვთქვი კიდეც, რომ გასულ საუკუნეში მას ინტელიგენციად მოვიხსენიებდით. მაგრამ, ჩემი აზრით, საზოგადოების ამ ფენის უფრო ფართო სახელწოდება არის წესიერი ქართველი

ხალხის ფენა. ამ ფენაში, რომელიც ზნეობრივ სათავეს უსათუოდ სამოციქულო დროის მართლმადიდებლობიდან იღებს, ღმერთისა და მოძმის წინაშე ნამუსის შერცხვენა ყველაზე დიდი სასჯელია, ხოლო ფული სასურველი ფასეულობა კი არა, სახიფათო ტვირთი გახლავთ. და რაც უფრო ახლოა ჩვენებური ადამიანი თავისი წარმომავლობით ამ ფენასთან (სოფლელი იქნება ის თუ ქალაქელი), მით უფრო უკეთ არის გასაგები მისთვის ის, რაზეც მე აქ ვსაუბრობ; და გასაგებია ისიც, თუ რატომ იყო ზურა ასეთი. რა თქმა უნდა, მით უფრო კანონზომიერია ამ თვალსაზრისით ის დევნა და ცილისწამება, რაც ზურამ განიცადა თავის სიცოცხლეშიც და სიკვდილშიც. ,, ნეტარ იყვნენ, რაჟამს მოგიძულნენ თქვენ კაცთა და ოდეს გამოგასხნენ თქუენ და გაყუედრებდენ და განხადონ სახელი თქუენი, ვითარცა ბოროტთაი, ძისათვის კაცისა''. (ლ.6:22)

და ასევე კანონზომიერი იქნება ის ნათელიც, რომელიც ზურას კეთილ სახელს მოეფინება მომავალში, რადგან ,,არავინ სანთელი აღანთის და დაფარის ჭურჭლითა, გინა ქუეშე ცხედარსა შედგიან, არამედ სასანთლესა ზედა დადგიან, რათა შემავალნი იგი ნათელსა ხედვიდენ. რამეთუ არა არს დაფარული, რომელი არა გამოცხადნეს, არცა საიდუმლოი, რომელი არა საცნაურ იყოს და ცხადად მოვიდეს''. (ლ.8:16)

მეორე ამოცანა ზურას პიროვნებაში გახლავთ ის სიმსუბუქე და თავდაჯერებულობა, რომლითაც იგი ათავსებდა თავის მორწმუნეობას დასავლური საზოგადოებრივი წესწყობილებით აღტაცებასა და მის ასეთ თავდაუზოგავ ქადაგებასთან. აქ ნახსენებ მის წიგნში, უპირველეს ყოვლისა, ეს არის თვალში საცემი. ლექციების სტენოგრაფიული ჩანაწერი საოცარია არა მხოლოდ იმით, რომ ის ავლენს ზურას ფართო, არასისტემურ და თვითნაკითხ განათლებას მსოფლიო ისტორიისა და წესწყობილებათა ევოლუციის საკითხებში, არამედ იმათაც, რომ ზურა, როგორც ჩანს, მნიშვნელოვან კონფლიქტს არ ხედავდა საზოგადოებრივი მოწყობის დემოკრატიული პრინციპებსა და მართლმადიდებლურ საწმუნოებას შორის. ჩემთვის ეს დღემდე ამოუცნობ ამოცანად რჩება, რადგან მე ბევრ საკითხში ვხედავ ამ კონფლიქტს. სამწუხაროა, რომ ზურას სიცოცხლეში არ მომაფიქრდა მასთან ამაზე საუბარი. შეიძლება ვინმეს ეს ფუჭი წიაღსვლებადაც მოეჩვენოს, მაგრამ იმ დროს, როდესაც დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობა მიჩნეულია თანამედროვე კაცობრიობის ერთადერთ მიმართულებად, და როდესაც აშკარაა ამ მიმართულების სარგებლიანობის სათუოობა ჩვენი ერისათვის ზნეობის საკითხებში, საინტერესოა, რას ფიქრობდა ამაზე ჩვენი თაობის ყველაზე თვალსაჩინო მოაზროვნე და სახელმწიფო მოღვაწე.

მე მეჩვენება, რომ ზურას, როგორც ძალიან ეროვნულ და ეკლესიურ ადამიანს, არ შეიძლება არ ჰქონოდა დასავლური დემოკრატიისადმი ამორჩევითი მიდგომა. შეიძლება ვცდები, მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ ეკონომიკის მართვისა და სახელმწიფო ინსტიტუტების მშენებლობაში ზურა (ისევე როგორც ბევრი ჩვენი თაობის წარმომადგენელი) დასავლური გამჭვირვალობისა და უმრავლესობის პრინციპით არჩევის მომხრე იყო. არა იმიტომ, რომ ეს იდეალური სისტემაა, არამედ იმიტომ, რომ ის ნაკლებადაა დამოკიდებული მმართველის ნამუსზე. ხოლო რაც შეეხება ზნეობისა და მორალის საკითხებს, ძალიან მეეჭვება, რომ ზურა, როგორც ეკლესიური ადამიანი, უმრავლესობისთვის მათი მინდობის მომხრე ყოფილიყო. რამედნად არის შესაძლებელი პრაქტიკაში დემოკრატიისადმი ასეთი ამორჩევითი მიდგომა, ძალიან რთული საკითხია და ამაზე ფიქრსა და მსჯელობაში ზურას გარდაცვალება ჩვენი დროის უმძიმესი დანაკარგი გახლავთ.

ვინც ზურას არ იცნობდა, შესაძლოა, ამ წერილის წაკითხვისას იფიქროს, რომ იგი იყო ერთგვარი ზე-მოაზროვნე, მოღვაწე და ადამიანი რომელთანაც ჩვეულებრივი, ყოველდღიური ურთიერთობა უაზრო და უინტერესო უნდა ყოფილიყო. იფიქრებს ასე და ძალიანაც შეცდება. სწორედ თავისი ოჯახისადმი ზურას საოცარ წყურვილსა და სიყვარულში მეგობრობისადმი, სამშობლოსადმი იყო ის ფესვები, რომელბიც მის ამქვეყნიურ პიროვნებას ასეთი სიდიდის ბერმუხად ქმნიდა. ზურას ამა სოფელსა შინა ცხოვრება იმის მაგალითია, რომ, თუ კაცი ოჯახში და მეგობრობაში არ ვარგა, ის ქვეყნისთვისაც არ ივარგებს. მისი საოცარი ხალისი, დანის პირივით ბასრი იუმორი, სრულიად მოულოდნელი გულჩვილობა და გულაჩუყება, წესიერი კაცის სითბო და, რომ ვერ მოსწყდები, ისეთი საინტერესო თანამოსაუბრეობა არის ის, რაც ყველას, ვისაც ზურა უყვარდა, ყველაზე უფრო დაგვაკლდა მისი გარდაცვალებით.

საზოგადოდ, ამ პიროვნული თვისებების ასეთი სიმსუბუქითა და ჰარმონიით შეთავსება უმძიმეს საზოგადოებრივ მოღვაწეობასთან არის კიდევ ერთი, მესამე, თუ გნებავთ, ამოცანა ზურას ფენომენში. სამწუხაროდ, ადამიანებს, და არა მხოლოდ ქართველებს, გვჩვევია აწმყოში, თვალწინ მყოფი სიკეთის არდაფასება, მისი მოკვლა, შემდეგ კი მასზე სინანული და მისი განდიდება. ამ გზაზე ვდგავართ ჩვენ ახლა,როცა საქმე ზურას პიროვნებას ეხება. და უნებლიეთ, ვინ იცის მერამდენედ, ვასრულებთ კიდევ ერთ ბიბლიური შინაარსის წრეს. და მადლობა ღმერთს ამისათვისაც.

ცხუმ - აფხაზეთის მიტროპოლიტი დანიელი

ქართული მართლმადიდებლური კულტურის ღვიძლი შვილი

,, ეძიებდით ქრისტესათვის სიკვდილსა"

(წმ.მეფე ვახტანგ გორგასლის ანდერძიდან)

ძალიან ძნელია იყო დიდ პოლიტიკაში და შეინარჩუნო შინაგანი სულიერი ცხოვრება. ეს გამორჩეული ადამიანების ხვედრია.

მე მუდამ მაცვიფრებდა ზურაბ ჟვანაის უნარი, ტაძარში ყოფნის დროს დაევიწყებინა უმძიმესი ამქვეყნიური ტვირთი და მთელი არსებით, ღრმა სინანულით, უდიდესი მოკრძალებით მდგარიყო უფლის წინაშე.

ერთხელ, სვეტიცხოვლობას, წირვის დროს მან მაჩვენა ტაძრის გუმბათიდან ჩამოვარდნილი კენჭი, რომელიც პირდაპირ ხელში ჩაუვარდა, და მკითხა, რისი ნიშანი შეიძლება ყოფილიყო ეს შემთხვევა. მე ვუპასუხე, რომ ეს იყო წყალობა ღვთისა. იგი გულმოდგინდედ ცდილობდა აღესრულებინა ქრისტიანული ცხოვრების ყველა წესი . ძალიან ხშირად მოილოცავდა ხოლმე როგორც მამათა, ისე დედათა მონასტრებს, ეხმარებოდა მათ როგოც შეწირულობით, ისე სხვადასხვა პრობლემების მოგვარებით. განსაკუთრებული მოშურნეობით ინახავდა შობის მარხვასა და დიდ მარხვას. შობას და აღდგომას მეტწილად ჩვენი უწმინდესის მსახურებას ესწრებოდა, დასაწყისიდან დასასრულამდე, ამბობდა აღსარებას და იღებდა წმინდა ზიარებას. პირად ლოცვებს იგი

აღასრულებდა როგორც სახლში, ისე სამსახურში. მის სამუშაო ოთახში რამდენიმე ხატი მირონის წვეთებით დაიფარა და კეთილსურნელებას გამოსცემდა. ძალიან უყვარდა ღვთისმშობლის ,, მსწრაფლშემსმენელი'' ხატი. ამ ხატის მცირე ზომის ასლი ბოდბის დედათა მონასტერს შეუკვეთა და ინტენსიურად ლოცულობდა მის წინაშე. ამავე ხატის ზუსტი ასლი ზურაბმა შეუკვეთა წმ. ათონის მთის დოქიარის მონასტერს, სადაც იმყოფება ,,მსწრაფლშემსმენელის'' დედანი. სამწუხაროდ, მან ვერ მოასწრო ეხილა ათონის მთიდან ჩამობრძანებული ხატი. ,, მსწრაფლშემსმენელის'' ამ ზუსტმა ასლმა მისი უწმინდესობის ლოცვა-კურთხევით წმ. სამების საკათედრო ტაძარში დაიდო ბინა და საქართველოს მართლმადიდებელთა გამორჩეულად საყვარელი და მანუგეშებელი სიწმინდე შეიქნა.

ჩემი აზრით, ზურაბ ჟვანიას, როგორც პოლიტიკოსის ერთ-ერთ უდიდეს დამსახურებას წარმოადგენს სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის ამსახველი უნიკალური სამართლებრივი დოკუმენტის - კონსტიტუციური შეთანხმების - შექმნა. ამ დოკმუნენტით მან აღადგინა საქართველოს ეკლესიის ისტორიული როლი ჩვენი ქვეყნის განვითარების პროცესში. ეს შეიძლებოდა გაეკეთებინა მხოლოდ იმ პიროვნებას, ვისაც სრულად ჰქონდა გაცნობიერებული, თუ რას ნიშნავს ქართული სახელმწიფოებრიობა და რას ნიშნავს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია.

ზურაბ ჟვანია კარგად გრძნობდა თანამედროვე მსოფლიოს მაჯისცემას, შეეძლო გაეგო უცხო კულტურისა და მსოფლმხედველობის მქონე ადამიანებისათვის და ამას ახერხებდა სწორედ იმიტომ, რომ იყო ჭეშმარიტად ქართული მართლმადიდებლური კულტურის ღვიძლი შვილი, მისი ერთგული მსახური და თავდადებული დამცველი.

მას არ დასცალდა თავისი მდიდარი შესაძლებლობების სრულად გამოვლენა, მაგრამ მიაღწია მთავარს - მიუტევა ყოველთა მოძულეთა და მაჭირვებელთა მისთა, შეიყვარა მოყვასი, ვითარცა თავი თვისი და საკუთარ თავზე უფრო მეტად.

ზურაბ ჟვანიამ თავისი სიცოცხლე შესწირა ქართველ ხალხს.

ლევან ბერძენიშვილი

ქართული პოლიტიკა გაღარიბდა

ზურაბ ჟვანიას სიკვდილით ქართულმა პოლიტიკამ დაკარგა სიმწვავე და,რაც მთავარია, დაკარგა სიმაღლე. ასე ვთქვათ, სხვა მნიშვნელობისა გახდა. ჟვანია ყველა თვალსაზრისით იყო ძალიან მაღალი დონის პილიტიკოსი.

ის იყო უიშვიათესი შემთხვევა პოლიტიკოსისა და ინტელექტუალის გადაკვეთისა.

ინტელექტუალები, როგორც წესი, ჩვენთან პოლიტიკაში არ მოდიან. ჩვენი ინტელექტუალები, ძირითადად, არასამთავრობო ან სამეცნიერო სექტორს ირჩევენ. მთელ მთავრობაში ახლა ორი-სამი ინტელექტუალი თუ არის. ჟვანია ამ მხრივ გამორჩეული იყო, ძალიან საფუძვლიანი განათლების, ფართო ინტერესებისა და ერუდიციის მქონე საინტერესო ადამიანი. პროფესიულადაც ბევრი რამ იცოდა,უამრავ საკითხზე ფლობდა ინფორმაციას. ვხუმრობდი ხოლმე, მირჩევნია საქმეში ვიყო ამჟამინდელ პრეზიდენტთან, მაგრამ თუ სადმე შორეულ მოგზაურობაში უნდა წავიდე, მაშინ უმჯობესი იქნება ჟვანიას თანამგზავრი ვიყო, თუმცა მისი ოპონენტი ვარ-მეთქი. ბატონი ზურაბისთვის ლიბერალური ღირებულებები, დემოკრატია, პოლიტიკური ამოცანა კი არა, არამედ მართლაც ლიბერალური ღირებულებები იყო. რომ არ ყოფილიყო გამოკვეთილი პოლიტიკური კონიუქტურა ანუ ჟვანია მარტო ინტელექტუალად რომ დარჩენილიყო, რა თქმა უნდა, მას გაცილებით მეტი მეგობარი ეყოლებოდა. იგი, როგორც ინტელექტუალი, ხანდახან მეცნიერულად უდგებოდა საკითხებს და ისეთ რამეს მოიმოქმედებდა, რაც, ჩვეულებრივ, დაუშვებელია. მაგალითად, მე მეჩვენება, რომ მან სწორედ ინტელექტუალიზმისა და თავისი მეცნიერული წარსულის გამო ითანამშრომლა ,,აღორძინებასთან''. ჩემთვის ეს იყო ძალიან მიუღებელი და დამანგრეველი ჩვენი ურთიერთობისა; მან იანგარიშა და მიიღო წმინდა პოლიტიკური გადაწყვეტილება. მისმა ტრაგიკულმა გარდაცვალებამ და დაკრძალვამ სავსებით ნათელი გახადა მთავარი

მიღწევა ჟვანიას ცხოვრებისა:მან შეინარჩუნა ადამიანური ურთერთობები იქ, სადაც პოლიტიკური ურთერთობების შენარჩუნება ვერ შეძლო.

ჟვანია იყო ჩემი ერთადერთი ხელმძღვანელი ხუთი წლის განმავლობაში, როდესაც მე ვიყავი ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი. ბატონი ზურაბი იყო პარლამენტის თავმჯდომარე, მან დამნიშნა ამ თანამდებობაზე. იდეა, როგორც ვიცი, ეკუთვნოდა მიხეილ სააკაშვილს და არასამთავრობო სექტორს. ეს იდეა ჟვანიამ აიტაცა და, რაც მთავარია, მოახერხა ჩემი დანიშვნა იმ ვითარებაში, როდესაც საქართველოს პრეზიდენტი იყო ედუარდ შევარდნაძე. მე ვიყავი მისი აშკარა კრიტიკოსი და პოლიტიკური პატიმარი შევარდნაძის ზეობის დროს. არავის არ სიამოვნებს ის კაცი დანიშნოს თანამდებობაზე, რომელიც მისი თანხმობით დააპატიმრეს. მაგრამ ჟვანიას სასახელოდ უნდა ითქვას , რომ მან შეურჩია მომენტი შევარდნაძეს. ისე ნუ წარმოიდგენთ, თითქოს პარლამენტის თავმჯდომარეს შეეძლო დაენიშნა თუნდაც ბიბლიოთეკის დირექტორი (თუმცა კანონი ამბობს, რომ მას აქვს ამის უფლება) პრეზიდენტთან შეთანხმების გარეშე, და ბუნებრივიც მგონია, რომ პარლამენტის თავმჯდომარე უნდა ათანხმებდეს პრეზიდენტთან გარკვეულ საკითხებს. რამდენიმე წლის შემდეგ თვითონ მითხრა ბატონმა ზურაბმა: თურმე შევარდნაძე და ჟვანია ალიევს ელოდნენ წითელ ხიდზე. ალიევი აგვიანებდა, პრეზიდენტი ნერვიულობდა. ამ დროს მოვიდა ინფორმაცია, ალიევი მოდისო. შევარდნაძე კარგ ხასიათზე დამდგარა და გადაწყვეტილა ჩემი ბედიც.

ბიბლიოთეკას უამრავი პრობლემა ჰქონდა ჟვანია ყველაფერში გვეხმარებოდა: ვერავინ ვერასოდეს დაიტრაბახებს ასეთი ნამდვილ დახმარებას. მე, როგორც ბიბილოთეკის დირექტორი, ვცდილობდი წვრილმანი პრობლემების გამო არ შემეწუხებინა, მაგრამ არ იყო ხელფასი, ფული, წიგნი, გათბობა... სამაგიეროდ იყო და, სამწუხაროდ, ბიბლიოთეკაში დღესაც უამრავი პრობლემაა. შემეძლო ბატონი ზურაბისთვის დამერეკა ყოველგავრი მიკიბ-მოკიბვის გარეშე, ნებისმიერ დროს. ცხადია, პარლამენტის თავმჯდომარეს ზოგჯერ არ ეცალა,მაგრამ არ მახსოვს შემთხვევა, რომ იმავე დღეს პირდაპირ თვითონ არ დაერეკა. ბიბლიოთეკაშიც მოსულა და ბევრი პრობლემა იქვე გადაუწყვეტია. არ ყოფილა შემთხვევა, პრობლემა ვერ გადაეწყვიტა. ამასთან,არასდროს ჩარეულა ბიბლიოთეკის შიდა ცხოვრებაში, არ უკარნახია, როგორ მოვქცეულიყავი. არ მგონია, რომ პარლამენტის თავმჯდომარე რაიმე ისტორიულმა ვითარებამ ან წინა სპიკერებმა მომაზადეს: არა, ისტორიაში ჩვენ ეს არ გვქონია: ჟვანია უბრალოდ მოვიდა, შექმნა პარლამენტი და, სამწუხაროდ, წავიდა. ყველაფერი, რაც აქ არის, მისი გემოვნებით არის გაკეთებული და მოწყობილი.

ის იყო ბრწყინვალე თავმჯდომარე. მან ბევრ წარმატებას მიაღწია.

გამოვტყდები, ოპოზიციას ხანდახან გვქონდა სურვილი, რომ ამ ,,პოლიტიკურ მოსახვევში'' ეს დიდი ფიგურა წაბორძიკებულიყო...

დანაკარგი ძალიან დიდია. ქართული პოლიტიკა გაღარიბდა და საკმაო დრო დასჭირდება, სანამ ასეთი კლასის ახალი პოლიტიკოსი გამოჩნდება, ახლა გარკვეული სიცარიელე იგრძნობა. ოპოზიციას, მის თაყვანისმცემლებს ერთი აზრი აქვთ: ზურაბ ჟვანია ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურა იყო ჩვენი პოლიტიკური თაობისა.

პარლამენტის უწყებანი

დავით გუგუშვილი

თითო ტომარა მადლი და თითო ტომარა ნისლი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 1980 წელი. პირველი საგამოცდო დღე ბიოლოგიის ფაკულტეტის აბიტურიენტებისათვის. გოგოებით სავსე ფოიეში ხუთიოდე ბიჭი გაფაციცებით ვეძებდით ერთმანეთს. ბოლოს, როგორც იქნა, ფანჯარასთან მოვგროვდით.

- მდგომარეობა მოითხოვს, გავიცნოთ ერთმანეთი! - უხერხული სიჩუმე დაარღვია და ჭრელკაბიანთა სიმრავლეს მრავალმნიშველოვნად გადაავლო თვალი ერთ-ერთმა.

- ეჰ, რა აზრი აქვს, მაინც სხვადასხვა ჯგუფში მოვხვდებით, - ამოიხვნეშა მეორემ...

მიუხედავად იმისა, რომ მართლაც თითო-თითოდ გავნაწილდით ჯგუფებში, იმ დღეს დაიწყო ჩვენი დიდი და ლამაზი მეგობრობა... დღეს კი ჩვენ ყველას ძალიან გვტკივა ზურა.

ძალზე განსხვავებულები ვიყავით. თავს ვიმკვიდრებდით იმ ახალ ცხოვრებაში. რასაც სტუდენტობა ერქვა, ვეწყობოდით ერთმანეთს ალღოზე დაყრდნობით, იმ ცოდნისა და გამნოცდილების საფუძველზე, რაც ოჯახიდან, უბნიდან, სკოლიდან მოგვყვებოდა. ვიყავით განსხვავებულები და ვქმნიდით ერთობას.

ის იყო გამორჩეული. გამორჩეული ნიჭიერებით, განათლებით, შრომისმოყვარეობითა და სილაღით. ურთიერთობების საოცარი ნიჭით იყო დაჯილდოებული. თითქოს თითოეულს გვავსებდა, რადგან ყოველთვის ჰქონდა სხვისთვის გასანაწილებელი სითბო, სიყვარული და ხალისი. როგორი უხერხული და უსიამოვნო ვითარებაც უნდა ყოფილიყო, მისთვის ჩვეული იუმორით ცდილობდა სიმშვიდე და კეთილგანწყობა დაემკვიდერბინა.

მოგეხსენებათ, 80-იანი წლების დასაწყისში რელიგიური ცხოვრება საკმაოდ იზღუდებოდა, ამიტომ ბევრს ბუნდოვანი წარმოდგენა გვქონდა ეკლესიის დანიშნულებაზე. ზურა კი ამ დროს ეკლესიურად ცხოვრობდა - ჰყავდა მოძღვარი, იცავდა მარხვას, კითხულობდა საეკლესიო ლიტერატურას. ძალიან ფრთხილად ცდილობდა ჩვენს დაინტერესებასაც.

ჩვენ გვიყვარდა მისი ოთახი, სადაც ზურა სწორედ რომ საკუთარ გარემოში ცხოვრობდა. თაროებზე, გარდა უამრავი მართლაც ღირებული წიგნისა, ნახავდით ბევრ საინტერესო სურათს და ნივთს, რომელთანაც მას რაიმე განსაკუთრებული აკავშირებდა. როგორც წესი, ეს იყო კავშირი საქართველოს ისტორიასთან, რომლითაც ძალიან ამაყობდა. გატაცებით საუბრობდა ხოლმე ლიტერატურასა და ხელოვნებაზე, განსაკუთრებით - ამ გარემოში. ოთხფეხა მეგობრები, მცენარეთა სიმრავლე და მრავალფეროვანი ბიოლოგიური ლიტერატურა მაშინვე მიგახვედრებდათ, რომ ეს ოთახი ბიოლოგიასა და სიცოცხლეზე შეყვარებულ ადამიანს ეკუთვნოდა. თავდაპირველად ეს გარემო მშობლებმა, ბატონმა ბუსამ და ქალბატონმა რემამ შეუქმნეს, რომელთა მიმართაც განსაკუთრებულ სიყვარულსა და უდიდეს პატივისცემას დაუღალავად გამოხატავდა.

ძალაინ უყვარდა თავისი მომავლი პროფესია - ბიოლოგია. განსაკუთრებით დაინტერესებული იყო ცხოველთა ქცევით. სტუდენტისათვის უჩვეულო დიდი ცოდნა ჰქონდა. გამუდმებით ინფორმაციის ძიებაში იყო. უაღრესად აქტიური, თითქოს სულ თამასას უწევდა თავის თავს - იქ მიდიოდა, სადაც მეტი სირთულე ეგულებოდა, იმას აკეთებდა, რაც მიაჩნდა საკეთებლად, ისე აკეთებდა, როგორც თავად თვლიდა სწორად. მაშინ ეთოლოგია - ცხოველთა ქცევის შემსწავლელი მეცნიერება - საბჭოთა კავშირში არ იყო აღიარებული, რადგან დამკვიდრებულ სტერეოტიპებს ეწინააღმდეგებოდა. ამ დარგში მეცნიერული კარიერა თითქმის წარმოუდგენელი პერსპექტივა იყო. მიუხედავად ამისა, ზურამ მაინც ის არჩია. მესამე კურსის სტუდენტმა შეძლო ჩვენს უნივერსიტეტში საბჭოთა კავშირის მასშტაბით პირველი სტუდენტური და ასევე პირველი ოფიციალური ეთოლოგიური სამეცნიერო- კვლევითი ლაბორატორია შეექმნა. ამას მართლაც პოლიტიკოსის ტალანტი სჭირდებოდა. გაოგნებულები ვადევნებდით თვალს, როგორ ახერხებდა დაეყოლიებინა რექტორატი, რომ მთავრობისაგან შესაბამისი ფონდები გამოეთხოვათ. ზურა სტუდენტობიდანვე ზრუნავდა სამეცნიერო კონტაქტების დამყარებაზე როგორც ქართველ, ისე საბჭოელ და უცხოელ ქცევათმეცნიერებთან, რაოდენ რთულიც უნდა ყოფილიყო ეს იმ დროს. ზოგი აქ ჩამოიყვანა, ზოგთან თვითონ ჩადიოდა. სადაც უნდა ყოფილიყო,

წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენდა სპეციალისტებზე (და არა მხოლოდ ქცევათმეცნიერებაზე) სამეცნიერო განათლების დონით და ალღოთი.

ერთ სალაღობო ამბავს გავიხსენებ:

თავიდან ზურას ლაბორატორიაში შტატები არ იყო. რადგან სტუდენტური ერქვა, იქ სტუდენტებს უნდა ემუშავათ ენთუზიაზმის ხარჯზე, ზურას კი ნამდვილად შეეძლო ენთუზიაზმით ხალხის ანთება. შეკრიბა ათიოდე პირველკურსელი და დაასაქმა. მღრღნელების ქცევაზე დაკვირვება საკმაოდ რთული და შრომატევადია. განსაკუთრებით მძიმე იყო ,, შავი სამუშაო'' - მიწის ხშირი ცვლა უზარმაზარი საცდელ აკვარიუმებში. ოცდაათი- ნორმოცი ვედრო საკმაოდ შორი მანძილიდან ხელით უნდა ეზიდათ. ჩვენ ხშირად ჩავდიოდით ლაბორატორიაში ლექციების შემდეგ. გვაინტერესებდა, თან დროს ვკლავდით. ზურა ღიზიანდებოდა, რადგან მომთხოვნი იყო და დისციპლინა მაღალ დონეზე ჰქონდა დაყენებული სტუდენტებს შორის, ჩვენ კი უსაქმური ლაზღანდარობით ავტორიტეტს ვუფუჭებდით. ერთი- ორჯერ გვთხოვა, მიწის მოტანაში მივხმარებოდით. რა თქმა უნდა, შორს დავიჭირეთ. ბანქოს თამაშს რომ ვიწყებდით, სულ გიჟდებოდა, მაგრამ ვერაფერს გვიხერხებდა. ერთხელ წავედით ლაბორატორიაში და კარტის თამაში დავაპირეთ. მოვიდა, მოდი, მეც ვითამაშებო. გაგვიკვირდა, რადგან კარტს ვერ იტანდა და არც იცოდა წესიერად. ოღონდ, მოდი, სურვილებზე ვითამაშოთო; თუ წავაგებ, სამივეს სათითაოდ შეგისრულებთ სურვილს, თუ მოვიგებ, მაშინ სამივემ მე შემისრულეთო.

მოკლედ, აგებს და აგებს. ხან მღერის, ხან ლექსს ამბობს, ხან ბუქნავს. ჩვენც უკვე დავიღალეთ სურვილების გამოგონებით, რომ ერთხელაც გაუმართლა და მოგვიგო. მაშინვე წამოხტა - აბა, ახლავე აიღეთ ვედროები, ნიჩბები და მიწა გამოცვალეთო! რაღას ვიზამდით, შევუდექით საქმეს. მას შემდეგ ზურა ლაბორატორიაში აღარ შეგვიწუხებია.

მაგრამ ზურა არ იყო მხოლოდ საქმეზე შეყვარებული ადამიანი. ყველაზე მეტად მას თავისი ქვეყანა უყვარდა. კურსელი გოგო- ბიჭები ძალიან ბევრს დავდიოდით საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, მთასა თუ ბარში. ყველგან ,სადაც ვყოფილვართ, ზურა უმალ გააბამდა ხოლმე ურთიერთობას ადგილობრივ მცხოვრებლებთან, აოცებდა მათ კუთხის ისტორიისა და ტრადიციების ცოდნით, ძალიან ადვილად გაუშინაურდებოდა და მასპინძლის ალალ პატივისცემას იმსახურებდა. განსაკუთრებით გლეხკაცობა უყვარდა მათი უბრალოების გამო. სოფლის მკვიდრებთან გატაცებით საუბრობდა საქართველოსთვის ვაზისა და

ქრისტიანობის მნიშვნელობაზე. მაინც მთა იყო ის ადგილი, სადაც ყველაზე თავისუფლად სუნთქავდა. ფეხით გვქონდა მოვლილი იქით - სვანეთი და ლეჩხუმი, აქეთ თუშეთი და ხევსურეთი. ეს მაშინ, როდესაც ბავშვობიდან აწუხებდა ფეხი. არ ზოგავდა თავს, თუმცა ეს მისთვის სახიფათო იყო. შეგვიმჩნევია ტკივილი, მაგრამ ამაზე არასოდეს ლაპარაკობდა. ხმაურიანი ხალხი ვიყავით, გვიყვარდა ხმამაღალი და ხალისიანი გართობა. თვითონ ყველაზე ხმაურიანი იყო. ბღლაძუნი უყვარდა და ძალას ვერ ზომავდა, უთუოდ მწარედ გატკენდა რაღაცას. სადმე სოფლის მახლობლად დაბანაკებულები კოცონის გარშემო ყოველგვარ საზღვარს რომ გადავიდოდით, პირველივე ისევ ის გამოერკვეოდა. დაგვმოძღვრავდა თავისი საყვარელი ფრაზით: - ,, არ გრცხვენიათ?! სძინავს სოფელს, რას იტყვიან ჩვენზე?! თქვენ ხომ უნივერსიტეტის სტუდენტები ხართო!'' გულით ამბობდა ამას, არ შაყირობა. განსაკუთრებული ხაზგასმით ,, უნივერსიტეტს'' წარმოთქვამდა. მართლაც ეამაყებოდა ქართული უნივერსიტეტის სტუდენტობა.

ყველა ამ სიყვარულმა ერთად მისცა ბიძგი, რომ ეროვნული მოძრაობის ადრეულ ეტაპზე ჩაბმულიყო გარემოსდაცვით საქმიანობაში, თავისი ქვეყნის სამსახურში, საიდანაც დაიწყო მისი უპრეცედენტოდ წარმატებული, მაგრამ, სამწუხაროდ, ხანმოკლე პოლიტიკური კარიერა.

ბევრი მეგობარი ჰყავდა. ყველას ძალიან უყვარდა. ჩვენც გვიყვარდა. როდესაც პოლიტიკამ თავისუფალი დრო წაართვა, ძალიან მოგვაკლდა მასთან ყოფნის სიამოვნება. იშვიათ, მაგრამ ძველებური სიყვარულით აღსავსე შეხვედრებზე, სადაც ზურა ზუსტად ისეთივე ზურად რჩებოდა ჩვენ შორის, ხშირად გვითქცამს ნახევრად ხუმრობით: პენსიაზე რომ გახვალ, მაშინ გავაგრძელებთ მეგობრობასო. ბოლო პერიოდში განსაკუთრებით დატვირთული იყო. მაინც გამონახა დრო და სამეგობრო შეგვკრიბა. არასოდეს დაგვავიწყდება ეს დღე. ძალიან ხალისიანი იყო. სათითაოდ მოგვეფერა, უზარმაზარი სიყვარული დაგვანახა, უამრავი რამ გაიხსენა, თითქოს მთელ განვლილ ცხოვრებას გადაავლო თვალი. ერთ-ერთმა ჩვენგანმა ხუმრობით ჰკითხა - ზურაბ ბატონო, ამხელა კაცი ხარ, პრემიერ - მინისტრი, ჩვენ, შენს ძმაკაცებს, არაფერს გვიწილადებო? ზურამ სიცილით უპასუხა: - თქვენთვის, ძმებო, თითო ტომარა მადლი და თითო ტომარა ნისლი მაქვს დასარიგებელიო!...

მაშინ გულიანად ვიცინეთ ამ სიტყვებზე...

ოთხი დღის თავზე კი თავზარი დაგვცა მისი ნათქვამის გახსენებამ, როდესაც ტელევიზიით გამოაცხადეს, ქვეყნის პრემიერ-მინისტრი დაიღუპაო...

ალა ტოკაჩიროვა

ხომ ეტკინებოდა ...

Напрасно в годы хаоса

Искать конца благого.

Одним кричать и каяться,

Другим - кончать Голгофой.

Борис Пастернак

იანვრის პირველ რიცხვებში მეგობართან შევირბინე ახალი წლის მისალოცად. თანაც, მოვინახულე და ცხოვრებაში პირველად ახალი წელი მივულოცე წინა წელს დაბადებულ ადამიანს. ეს ადამიანი მშობლებმა, რემამ და ბუსამ, ვერაფრით შეარჩიეს შესაფერისი სახელი. დავსხედით და დავიწყეთ ფიქრი. მრავალი სახელი შევთავაზე, მაგრამ ვერც ერთზე გული ვერ შევაჯერე ვერც დედამ და ვერც მამამ. როდესაც სახელი ზურიკო ვახსენე, მშობლება ერთმანეთს შეხედეს და ერთდროულა თქვეს: შეიძლება, რატომაც არა, ზურაბი. შემდეგ რემამ დაუმატა: ოღონდ ზურიკო კი არა, ზურა! - ასეც მოხდა.

შემდეგ ზურა მე დედიკოს მეძახდა, მე კი მას - შვილიკოს (20-25 წლის მერე მან მკითხა, რატომ შევურჩიე მაინცდამაინც ეს სახელი. დაწვრილებით ვუამბე ისტორია, ვუთხარი ისიც, რომ მე ალექსანდრეთი დავიწყე და მინდოდა დამერწმუნებინა მისი მშობლები, დამთანხმებოდნენ ამ სახელზე. ზურა გამხიარულდა - ესე იგი მე სანდრო უნდა მრქმეოდაო).

მახსოვს ერთი ეპიზოდი მათი სახლის ეზოში. მაშინ ზურა სამი წლისა იქნებოდა. წარბშეკრული ზურა ექაჩებოდა თავის სათამაშო ვედროს და ნიჩაბს, რომლის წართმევასაც მეზობლის ბიჭუნა ცდილობდა. მერე ამ ბავშვმა მუშტიც კი დაარტყა. მე მივედი და ზურას ვუთხარი: ხომ დაგარტყა, შენც დაარტყი საპასუხოდ-მეთქი. ზურამ დამიჯერა, მუშტი მოიქნია,მაგრამ მოწინააღმდეგეს არც შეხებია. როცა ვკითხე, რატომ მოიქცა ასე, მიპასუხა, ხომ ეტკინებოდაო. მე მისგან გაკვეთილი მივიღე. - არ უნდოდა ტკივილი მიეყენებინა თუნდაც მისთვის, ვინც აწყენინა.

ეს ზურასნაირებზე თქვა პოეტმა:

,, Он весь дитя добра и света''

გადიოდა წლები, ბიჭუნა იზრდებოდა ყურადღებიანი, ინტელიგენტი და ღრმად განათლებული მშობლების გარემოცვაში, ბებიებთან, რომლებიც აღმერთებდნენ, შემდეგში კი - უმცროს ძმასთან

გიორგისთან ერთად. მათი სახლის კარი ფართოდ იყო ღია. ეს იყო სტუმართმოყვარე, კეთილგანწყობილი ოჯახი. სახლში უამრავი წიგნი ჰქონდათ, ისმოდა სასიამოვნო, უფრო ხშირად კლასიკური მუსიკა. ადრეულ ასაკში ბავშვს ხშირად უკითხავდნენ წიგნებს დედა და ბებია, ქალბატონი სარა, ხოლო მეორე, როცა თვითონვე შეძლო, ძალიან ბევრს კითხულობდა დამოუკიდებლად. აშკარად უსწრებდა თავის ასაკს.

თავდაპირველად სათავგადასავლო და ფანტასტიკურ ლიტერატურას ეწაფებოდა, ასევე ინტერესდებოდა კლასიკური ნაწარმოებით. 10-11 წლის ასაკში სულმოუთქმელად წაიკითხა შექსპირის დრამები. 30 წლის კვლავ მიუბრუნდა შექსპირს, მე კი მითხრა, რომ ბავშვობაში უფრო ომები და ორთაბრძოლები აინტერესებდა. კითხულობდა და კვლავ უბრუნდებოდა ჯერალდ ადრელის წიგნებს ცხოველებზე, ყველას ,რაც კი თარგმნილი იყო. უნდოდა გამოსულიყო ხან მსახიობი, ხან მწერალი, ბოლოს გადაწყვიტა, ეთოლოგი გამხდარიყო - ცხოველების ფსიქოლოგიის სპეციალისტი. მაშინ მოზარდი იყო. სხვადასხვა დროს მათს ბინაში მრავალი ცხოველი სახლობდა - ზაზუნებით და ძაღლებით დაწყებული, უზარმაზარ ფრთამოტეხილ არწივამდე.

ჯერ კიდევ უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტზე სწავლისას დაიწყო ზურამ კვლევითი მუშაობა და საინტერესო შედეგებსაც მიაღწია, აქვეყნებდა სტატიებს. უნიჭიერესი ახლგაზრდისგან დიდ მეცნიერს მოელოდნენ. მაგრამ დრომ სულ სხვაგვარად წარმართა მისი საქმე. ზურას არ შეეძლო ქვეყნისთვის ბობოქარ პერიოდში გვერდზე გამდგარიყო და გულგრილად დარჩენილიყო მისი ბედ- იღბლისადმი.გარკვეულ დროს ცდილობდა სამეცნიერო საქმიანობა შეეთავსებინა პოლიტიკურ ცხოვრებასთან, მაგრამ საბოლოოდ არჩევანი პოლიტიკაზე შეარჩია. ეს იყო ღრმად გაცნობიერებული, მტკიცე გადაწყვეტილება.

შემდეგ კი მოხდა ის, რაც მოხდა...

ნანა ნემსაძე

ზურასთან მუშაობა ჩემთვის დიდი სკოლა იყო

,,ყველას!ყველას!ყველას! ვისაც აწუხებს ჩვენი გარემოს მდგომარეობა და სურს მონაწილეობა მიიღოს მის გადარჩენაში, ვთხოვთ, მობრძანდნენ მეორე აუდიტორიაში'' (შემდეგ მითითებული იყო თარიღი და დრო) - დაახლოებით ასეთი შინაარსის განცხადება დაგვხვდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტზე 1987 წლის ნოემბერში. განცხადების ავტორი იყო ზურაბ ჟვანია რამდენიმე თანამოაზრესთან ერთად. მაშინ ზურას უნივერსიტეტი ახალი დამთავრებული ჰქონდა, მხოლოდ 24 წლის იყო. ზურაბმა შემოგვთავაზა მე და ბატონ გივი თუმანიშვილს, მასთან ერთად შეგვექმნა საინიციატივო ჯგუფი ახალი, ეკოლოგიური მოძრაობის ჩამოსაყალიბებლად. ძირითადი საქმე, ცხადია, ზურამ თავად იტვირთა და 1989 წლის აპრილში უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში დაფუძნდა რუსთაველის საზოგადოებასთან არსებული ეკოლოგიური ასოციაცია. ზურაბის გამჭრიახობა და ალღო არასამთავრობო ორგანიზაციის ამ სახით დაფუძნებაშიც გამოვლინდა. საბჭოთა პერიოდის მიწურულს, მოსახლეობის მოთხოვნით, მინისტრთა საბჭომ დაარსა რუსთაველის საზოგადოება, რომელსაც ჰქონდა უფლება, თავისი ზედამხედველობით ჩამოეყალიბებინა საზოგადოებრივი ორგანიზაციები. მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაციის ძირითადი მამოძრავებელი ძალა სწორედ ის იყო, ზურას არანაირი პოსტი არ დაუკავებია. ასოციაციის პრეზიდენტად კრებას ბატონი გივი თუმანიშვილის, აღმასრულებელ მდივნად კი ჩემი კანდიდატურა შესთავაზა.

ჩემთვის ზურასთან მუშაობის წლები დიდი სკოლა იყო, მიუხედავად იმისა, რომ მისი მშობლების თაობას ვეკუთვნოდი. განსაკუთრებით მაოცებდა მისი უნარი, არასოდეს მოეხვია თავს სხვისთვის თავისი აზრი და გადაწყვეტილება. ის შორსმჭვრეტელი და წინდახედული იყო, მე მოვლენებს უფრო ემოციურად ვაფასებდი. თუ მის რომელიმე გადაწყვეტილებას არ ვეთანხმებოდი, არ ცდილობდა დავერწმუნებინე თავის სისწორეში, მოთმინებით ელოდა იმ მომენტს, როდესაც მე თვითონ მივხვდებოდი ამ გადაწყვეტილების უალტერნატივობას. ზურას ერთნაირად მაღალ დონეზე შეეძლო ჩაეტარებინა მასობრივი აქციები და ხალხისათვის გასაგებ ენაზე ესაუბრა ან მეცნიერებთან ერთად ეთათბირა საკითხის გადაწყვეტის მეცნიერულ საფუძვლებზე.

ზურა ბევრი პროგრამის და პროექტის ინიციატორი იყო. 1992 წელს მან ევროპის დედამიწის მეგობრების ხელშეწყობით მოიპოვა პროექტი ,, საცდელ - საჩვენებელი ეკოლოგიური მეურნეობის ჩამოყალიბება ახმეტაში'' და მთხოვა მისთვის მეხელმძღვანელა. ერთად გადავწყვიტეთ, რომ პარალელურად ჩამოგვეყალიბებინა

ბიომეურნეთა გაერთიანება, რომელიც პროექტის დამთვარების შემდეგაც გააგრძელებდა ეკოლოგიური სოფლის მეურნეობის პოპულარიზაციას. ასეთი ასოციაცია ჩამოყალიბდა საქართველოს მწვანეებში და მისი პირველი წესდება ზურას ხელმოწერითაა დამტკიცებული. დღეს ეს წესდება ჩემთვის უძვირფასესი სახსოვარია ზურასგან. ასოციაცია შემდგომში განვითარდა და დამოუკიდებელ ორგანიზაციად იქცა. დღეს ის ცნობილია ბიომეურნეობათა ასოციაცია ,, ელკანის'' სახელით. ახმეტის საცდელ-საჩვენებელი მეურნეობის პროექტი Tacis-ის დაფინანსებით შესრულდა. პროექტის დასრულებისას ზურა და ევროკავშირის ელჩი საქართველოში ბატონი კორბოი დავპატიჟეთ მეურნეობის რთველში. მაშინ ზურა უკვე პარლამენტის თავმჯდომარე იყო. სიხარულით დაგვთანხმდა და ოჯახთან ერთად ჩამოვიდა. მთელი დღის განმავლობაში იმუშავა სოფლის მოსახლეობასთან ერთად. შესვენებისას იქაურებმა ჯგუფ-ჯგუფად გაშალეს საგზალი. ყველა ჯგუფმა სთხოვა ზურას, მისულიყო მათთან. არც ერთს არ აწყენინა. როდესაც ყველას გვესაუბრა, მომიბრუნდა და გაოცებით მითხრა: ,, რა კარგი ხალხი გვყავს და ვერ გავიგე, რატომ ხდებიან პარლამენტში ამ ხალხის რჩეულები ასეთი უსახონი''.

ნინო ხუჭუა

შეიძლებოდა კი ყველაფერი სხვაგვარად წარმართულიყო?...

რეტროსპექტული ხედვა - ეს ერთგვარი პროჟექტორია, რომელიც ნათლად და თავისებურად გამოკვეთს წარსულს ბედისწერისა და მოვლენების ამჟამინდელ ცოდნის ჭრილში. ეს ხედვა მრავალ კითხვას ბადებს, რომელთაგან ზოგიერთს შეიძლება პასუხი გაეცეს, ხოლო მრავალ მათგანზე პასუხი არ არსებობს.

პროეჟექტორი ჭვრეტს 11-12 წლის უჩვეულო ბიჭუნას არაჩვეულებრივ გარემოში.

მხატვარი ვასილი შუხაევისა და მისი მეუღლის - ვერა ფიოდოროვნას შესანიშნავი სურათებით დამშვენებული მყუდრო ბინა, რომლის მუდმივი სტუმრები იყვნენ იმდროინდელი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები - მხატვრერბი, მუსიკოსები, მეცნიერ-მუშაკები.

მრგვალი მაგიდის გარშემო წყნარ, უდიდესი სულიერების ატმოსფეროში ღრმად განათლებული და გონებამახვილი ადამიანები უამრავ საინტერესო და განსხვავებულ თემაზე საუბრობენ. უფროსებთან ერთად ხშირად არის ზურიკო. უდიდესი ინტერესით, ანთებული თვალებით მისჩერებია ხან ერთს, ხან მეორეს. ბავშვი დუმს, მაგრამ იქ მყოფთაგან ყველასთვის აშკარაა, რომ ბიჭუნა ღრუბელივით ისრუტავს ყველაფერს, რაც ესმის.

როგორც წესი, უფროსებს არ სიამოვნებთ, როცა ასეთ შეხვედრებს ბავშვი ესწრება. არც თავად ბავშვს ეხალისება მსგავს გარემოში ყოფნა.

რატომ არის, რომ ეს ბავშვი, თუნდაც ვერა ფიოდოროვნას უსაყვარლესი მოწაფე, ასე ორგანულადაა ჩართული ამ სიტუაციაში?

იგი სანიმუშოდაა აღზრდილი (რემას და ბუსას დამსახურებაა), ასაკისათვის შეუფერებლად განათლებული, ბავშვური ამბიციებისაგან თავისუფალი. მაგრამ უმთავრესი, რასაც უფროსები შეიძლება ვერ ითვალისწინებენ, არის ის, რომ ბიჭი შეუდარებელი მსმენელია.

მოსმენის ეს იშვიათი უნარი, მთელი ყურადღების მოსაუბრისადმი მიმართვა ერთ-ერთი იმ თვისებათაგანია, რაც შემდეგში განსაზღვრავს ზურაბ ჟვანიას, როგორც პოლიტიკოსის წარმატებას.

რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ!

ეს ზურიკოსადმია; ეს არის ზურაბ ჟვანიას შესახებაც, მაგრამ არა მხოლოდ ეს.

საერთოდ, პიროვნების ფორმირების კანონების შესახებ მრავალი ბრძნული და საინტერესო რამ არის ნათქვამი. ჩემს მოგონებებს არავითარი პრეტენზია არა აქვს ისეთი ნათელი, თვითმყოფადი და მრავალმხრივი პიროვნების ჩამოყალიბების გზის სრული ანალიზისა, როგორიცაა ზურაბ ჟვანია. ეს უფრო მისი პორტრეტის შტრიხებია, პირად შთაბეჭდილებებზე დაფუძნებული.

როგორც ცნობილია, ისტორია ვერ იტანს კავშირებით კილოს. მიუხედავად ამისა, თუ მოვლენებს წინ გავუსწრებ, შემიძლია ვთქვა მხოლოდ ის, რომ კითხვაზე - შესაძლებელი იყო თუ არა ზურიკო, როგორც პიროვნება, სხვაგვარად ჩამოყალიბებულიყო, პასუხი ერთია: ,, არა, არ შეიძლებოდა''.

აი, ამ კითხვაზე კი , შეიძლებოდა თუ არა, მისი ხვედრი სხვაგვარი ყოფილიყო, პასუხი ასეთი იქნება: ,, საეჭვო''.

თუმცა, დავუბრუნდეთ ზურიკოს. გარდა განსაკუთრებით საინტერესო გარემოსი, საიდანაც ჯერ პატარა, შემდეგ კი უკვე ახალგაზრდა ზურაბმა შეისისლხორცა ყველაფერი საუკეთესო, მის ცხოვრებაში განმსაზღვრელი როლი შეასრულეს მშობლებმა. - თვით იმდროინდელი სანიმუშო ფიზიკოსების საზოგადოებაშიც კი ბუსა ჟვანიას მოქალაქეობრივი პოზიციის შესახებ ლეგენდები დადიოდა.

ზურიკოსა და გოგლას დედა ღირსეულად უბამდა მხარს მეუღლეს და ბიჭები იზრდებოდნენ მაღალზნეობრიობისა და ადამიანებისადმი კეთილგანწყობილი დამოკიდებულების ატმოსფეროში.

მწარეა გააცნოებიერო, რომ სწორედ ამ თვისებებმა, რაც სრულად შეინარჩუნა პოილიტიკოსმა ზურაბ ჟვანიამ, სავალალო როლი ითამაშა მის ცხოვრებაში.

ზურას მრავალხმრივ ინტერესთა შორის განსაკუთრებული ადგილი ეკავა ცხოველებისადმი სიყვარულს, რაც შემდეგ ბუნებისადმი უსაზღვრო სიყვარულში გარდაისახა.

რაც უფრო იზრდებოდა, სულ უფრო ნათლად ჩანდა, რომ ღმერთმა დააჯილდოვა მრავალმხრივი ნიჭით, ბრწყინვალე ანალიტიკური აზროვნებით, თავისი აზრის მკაფიოდ ჩამოყალიბებისა და გამოხატვის უნარით.

შეიძლება რომელიმე სხვა ქვეყანაში მას სრულიად სხვა პროფესია აერჩია, რაშიც უეჭველად დიდ წარმატებას მიაღწევდა. ვფიქრობ, იგი თავისუფლად შეიძლებოდა გამხადრიყო მეორე ჯერალდ დარელი.

საქართველოში კი ზურაბი ჩამოყალიბდა პოილიტიკოსად, რომელმაც თავისი დონით გაუსწრო დროს და უკან ჩამოიტოვა ქვეყნის პოლიტიკური ისტებლიშმენტი.

საქმე ისაა, რომ ზურაბი პატრიოტი იყო, წრფელი პატრიოტი. სამწუხაროდ, ეს სიტყვა ხშირად გამოიყენება უადგილოდ და სრულიად სხვა მისწრაფებების შესანიღბავად. აქ კი ყველაფერი სხვაგვარად იყო.

ზურას უყვარდა თავის ქვეყანა, რომელიც ფეხით ჰქონდა მოვლილი, უყვარადა მისი სანუკვარი ბუნება, შესანიშნავი ხალხი, მისი უძველესი კულტურა.

უყვარდა, უფრთხილდებოდა და უნდოდა დახმარებოდა, რისთვისაც ყველაზე რაციონალურ გზად პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობა მიაჩნდა.

და აი, სრულიად ახალგაზრდა ადამიანი თავისივე ძალისხმევით ხდება თანამედროვე პოლიტიკოსი ქვეყანაში, რომელსაც ათწლეულების მანძილზე არ ჰქონია შესაძლებლობა, განევითარებინა პოლიტიკური კულტურა.

ყველა ჩვენგანისთვის სამწუხაროდ, ეს გზა გოლგოთისკენ მიმავალი გამოდგა.

მისი ბევრს არ ესმოდა (მან ხომ დროს გაუსწრო). არაკეთილმოსურნე მოწინააღმდეგენი არ ერიდებოდნენ არავითარ სიბინძურეს მისი დისკრედიტაციისათვის. ის კი პასუხგაუცემლად, უდრეკად მუშაობდა, ეშურებოდა, თითქოს ყოველდღე უნდოდა გაევლო მთელი სიცოცხლე. ვინ იცის, იქნებ გრძნობდა, რომ უკეთურ ადამიანებს, რომელთაც ხელს უშლიდა თავისი არსებობით, შეეძლოთ გასწორებოდნენ მას.

დღეს კი მხოლოდ ეს კავშირებითი კილო ისმის: ,, აი, ჟვანია, რომ ცოცხალი ყოფილიყო, ამ ქვეყანაში ყველაფერი სხვაგავარად იქნებოდა''; ,, იგი ყველაზე უკეთ წარუძღვებოდა ჩვენს ქვეყანას'' და სხვა მრავალი, ანალოგიური.

ეს გაისმის ხშირად და ხმამაღლა მათგანაც კი, ვისაც ყოველთვის არ ესმოდა ან ყოველთვის არ იზიარებდა მის პოზიციას.

ეს სიმართლისა და აღიარების ხმაა, რისთვიასც ის, ალბათ, ცხოვრობდა და დაიღუპა.

მე კი უწინდებურად თვალწინ მიდგას ზურიკო, თვალებანთებული, ცნობისმოყვარე პატარა ჯენტლმენი, ასე არაბავშვურად გახსნილი გარემომცველი სამყაროსათვის.

ჯუმბერ ლომინაძე

გამორჩეული პიროვნება

,, სამყაროს სიმდიდრე ორიგინალურ ადამიანებშია".

,,ცხოვრების ეთიკა", თომას კარლეილი.

ისე მოხდა,რომ 50-იანი წლების დასასრულს და 60-იანი წლების დასაწყისში რემა ანტონოვა, ბესარიონ ჟვანია და მე ერთდროულად აღმოვჩნდით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტში. მაშინ ამ ინსტიტუტს სახელგანთქმული ფიზიკოსი, აკადემიკოს პეტრე კაპიცას მოწაფე ელეფთერ ანდრონიკაშვილი ხელმძღვანელობდა. 1958 წელს პირველი მე დავბრუნდეი ჩელიაბინსკ-70-დან, რუსეთის ფედერალური ბირთვული ცენტრიდან, სადაც სამუშაოდ განმამწესეს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ. 1959 წელს ფიზიკის ინსტიტუტში გადმოვიდა რემა, რომელიც მანამდე აკადემიკოს ელეფთერ ანდრონიკაშვილის ასპირანტი იყო, ხოლო 1960 წელს იქ გამოჩნდა ბესარიონ (ბუსა) ჟვანია. იმავე წელს ინსტიტუტში გაიხსნა ახალი, მაღალი ტემპერატურების ფიზიკის (პლაზმის ფიზიკა) განყოფილება, რომელსაც ნოდარ ცინცაძე ჩაუდგა სათავეში. ჩვენ, სამივემ, ამ განყოფილებაში დავიწყეთ მუშაობა. მიუხედავას იმისა, რომ რემა და ბუსა ექსპერიმენტატორები იყვნენ, ხოლო მე თეორეტიკოსი, ერთმანეთთან ძალიან კარგი, საქმიანი ურთიერთობა და მეგობრობა გვაკავშირებდა.

რემა და ბუსა 1962 წელს დაქორწინდნენ. 1963 წელს, ქორწინების წლისთავზე, ქვეყანას მოევლინა ზურაბ ჟვანია, ხოლო 5 წლის შემდეგ - გოგლა.

1979 წელს რემა და ბუსა სამუშაოდ აბასთუმანის ასტროფიზიკურ ობსერავტორიაში გადავიდნენ, გურამ მუსხელიშვილის ლაბორატორიაში. ბედმა ისე ინება, რომ ორი წლის შემდეგ მეც მომიწია იქ გადასვლა. 1977 წელს ობსერვატორიაში შეიქმნა თეორიული ფიზიკის განყოფილება, ხოლო 1991 წელს, გურამ მუსხელიშვილის გარდაცვალების შემდეგ, მისი ლაბორატორია ჩემს განყოფილებას შეუერთდა და რემა და ბუსა ჩემი თანამშრომლები გახდნენ.

მათი ცხოვრების ამ მოკლე ისტორიის გახსენებით მინდოდა ხაზი გამესვა, რომ ზურაბ ჟვანია მეცნიერთა წრეში და გარემოში იზრდებოდა. მან მშობლების სპეციალობის ნაცვლად ფიზიოლოგია აირჩია და წარმატებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 1985 წელს.

ეჭვი არ მეპარება, იგი შესანიშნავი მეცნიერი გახდებოდა, პოლიტიკური მოღავწეობის გზას რომ არ გაჰყოლოდა. 1988 წელს ზურაბმა აქტიური პოლიტიკური საქმიანობა დაიწყო და დაარსა მწვანეთა პარტია. იგი ყოველთვის ამაყობდა იმით, რომ მისი მშობლები შესანიშნავი მეცნიერები იყვნენ. ისიც ეამაყებოდა, რომ სახელგანთქმული ენათმეცნიერი გიორგი ახვლედიანი მისი ბებიის ძმა გახლდათ. (აქვე სიამოვნებით მინდა გავიხსენო ჩემი მოკრძალებული წვლილი თსუ-ის ეზოში გიორგი ახვლედიანის ბიუსტის დადგმაში.)

ისევ მინდა დავუბრუნდე ზურაბის მშობლების საქმიანობას. ეს არის იშვიათი და, ამავე დროს, ბევრისმეტყველი შემთხვევა. მიუხედავად იმისა, რომ ბუსა და რემა შესანიშნავი შრომების ავტორები იყვნენ, არც ერთს არ უცდია დისერტაციის დაცვა, ვინაიდან ეს არ იყო მათი მეცნიერული კვლევის მიზანი. რემა დღესაც კი ახერხებს ლაბორატორიაში მისვლას (ეს ხომ მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია), სადაც ამჟამად მეტად საინტერესო ექსპერიმენტები ტარდება ბუსას მიერ შექმნილ უნიკალურ დანადგარზე.

აქვე უნდა გავიხსენო ბუსას ერთი გამორჩეული თვისება და ხასიათი. მახსოვს, ერთხელ ფიზიკის ინსტიტუტში სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე იგი ერთ-ერთი თანამშრომლის დასაცავად დაუპირისპირდა ბატონ ელეფთერს, რომნელიც სხდომას უძღვებოდა. სხვა ვინ გაბედავდა მაშინ უდიდესი ავტორიტეტის მქონე პირთან შეკამათებას და საწინააღმდეგო აზრის გამოთქმას?

ბუსა ჟვანია იყო დაბალი ტემპერატურის ფიზიკის საუკეთესო ექსპერიმენტატორი, ამავე დროს, უბადლო ინჟინერი და კონსტრუქტორი. როგორც იტყვიან, ოქროს ხელები ჰქონდა.

ამ მცირე მოგონებაში საკმაოდ რთულია (თუ შეუძლებელი არა) ამომწურავად დაახასიათო ეს შესანიშნავი ოჯახი. მე მსურდა აღმენიშნა, რომ ზურაბ ჟვანია მშობლების ღირსეული მემკვიდრე აღმოჩნდა, რაც მის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობაშიც გამოვლინდა.

ხაზგასმით უნდა აღვნიშნო მისი გამორჩეული, საოცრად არაორდინარული თვისებები: ზურაბი იყო ჭკვიანი პოლიტიკოსი, ბრძენი სახელმწიფო მოღვაწე, უდიდესი ტაქტიკოსი, შეეძლო ურთულესი სიტუაციიდან გამოსავალის მოძებნა. იგი ბევრჯერ გამხდარა მძაფრი კრიტიკისა და თავდასხმის ობიექტი. არაერთხელ ვყოფილვარ მოწმე ასეთი სიტუაციისა. მეჩვენებოდა, რომ ოპონენტი მას გამოსავალს არ უტოვებდა, მაგარმ, ჩემს და , ალბათ , მრავალთა გასაკვირად, მოულოდნელად ისეთ პასუხს გასცემდა, ისეთ დამაჯერებელ არგუმენტებს მოიყვანდა, რომ მთელი პარლამენტის ოვაციებს იმსახურებდა.

ზურაბმა ამ განსაკუთრებული თვისებებით მოიპოვა დიდი ნდობა და პატივისცემა ფართო საზოგადოებაში. მისი გამოსვლები ევროპაში, განსაკუთრებით კი ამერიკის პოლიტიკურ წრეებში, საყოველთაო მოწონებას იმსახურებდა. საუბარში თავაზიანობით და კეთილგანწყობით გამოირჩეოდა, მაგრამ, თუ შეამჩნევდა, რომ ვინმე მართალი და გულწრფელი არ იყო, განრისხდებოდა, თუმცა ეს აღელვება დიდხანს არ გრძელდებოდა.

ზურაბ ჟვანია პოლიტიკური დებატების გროსმაისტერი იყო, რაც ესოდენ საჭიროა პოლიტიკოსის მოღვაწეობაში.

მას არაერთხელ შევხვედრივარ, ვიდრე პოლიტიკურ მოღვაწეობას დაიწყებდა, მოგვიანებით, ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ჩემი მუშაობის დროს - უფრო ხშირად. მეცნიერებათა აკადემიაშიც მოსულა ჩემთან, სხვადასხვა თემაზე გვიმსჯელია - ის ხომ შესანიშნავი მოსაუბრე იყო, ერუდირებული, დაფიქრებული, განუმეორებელი იუმორით გამორჩეული.

ჩემთვის დაუვიწყარია 2000 წლის 5 ივნისი, როცა ზურაბი ჩემი მეუღლის, ლიას ხსოვნისადმი მიძღვნილ გამოფენაზე მოვიდა. რამდენიმე საათი დაყო დარბაზში, დაათვალიერა მთელი გამოფენა, დაესწრო მის გახსნას და დახურვას.

მახსოვს, ერთად მივიღეთ მონაწილეობა რუსთავი 2-ის პროექტში ,, ვის უნდა 20 ათასი?'' ზურაბმა აქაც ჩვეული ინტელექტი და იუმორის გრძნობა გამოავლინა, მე გამასწრო და გადაცემის საკმაოდ მაღალ საფეხურს მიაღწია.

ზურაბ ჟვანია დააკლდა თავის ოჯახს, როგორც მამა და მეუღლე, საზოგადოებას - როგორც პიროვნება და საქართველოს - როგორც დიდი პოლიტიკოსი.

ალი ფაშა იოსელიანი

ირანი

გავუფრთხილდეთ ერთმანეთს

ჩვენ "იმედის" არხის საშუალებით სამძიმარი გვინდა ვუთხრათ ჩვენი

სამშობლოს ხალხსა, მთავრობასა,საქართველოს ქართველ ხალხთა სახელით.

მოგესალმებით ჩემს დებსა და ძმებს, ჩემს თანაფესვთა, ჩემს თანადართა. ეს პირველი უბედურება არ არის, რომელიც დღეს გაგვითენდა, ასეთი შავ-ბნელი დილა ბევრი გაგვთენებია და დროის გასვლას და შეცვლას დაუვიწყებია ჩვენთვის. ჩვენ, ქართველთა, ცოტა დღე დაგვღამებია, რომ დარდი და ტკივილი არა გვქონოდა. ხდება ხან და ხან დიდი ტრაგედიები და ეს ბუნებრივია ცხოვრებაში. ერისათვის კი მნიშვნელობა მაინც ამას აქვს, რომ ვისწავლოთ და მივხვდეთ იმას, რომ გავუფთხილდეთ ერთმანეთს, რომ გავუფრთხილდეთ სამშობლოს. ჩვენ დიდი მოვალეობა გვაქვს და, სამწუხაროდ, მას ჯერ ყველანი, არა რომ არა, არამედ, ვერ ვგრძნობთ და ეს ზოგი ჩევნ არ ვიცით და უნდა ვისწავლოთ. ასეთი მძიმე და დიდი დარტყმის ატანა ძალიან ძნელია , მაგრამ ჩვენ გავძლებთ, იმიტომ რომ უნდა ყოველ დარტყმას და სასტიკ პერიოდებსა გავუძლოთ, რადგან მიზანი საქართველოს აღშენებაა.

ბატონი ზურა ერთი ნამდვილი სამშობლოს მომსახურე იყო. მსოფლიო პოლიტიკოსი და სიმბოლო იმისა, თუ როგორ უნდა ემსახუროს ადამიანი მართლად სამშობლოს, მსოფლიოს და მშვიდობიან ცხოვრებას დედამიწის ზურგზე.

ღმერთი მოგვეფეროს და მოგვცეს, და გაგვიზარდოს ფარნავაზები, ვახტანგები, თამარები, ილიები, ზურაბები და ... მამულიშვილები.

ღმერთს ებარებოდეს ჩვენი ხალხი და სამშობლო.

რუსუდან ლორთქიფანიძე

ქართველი პრემიერი და ორვიეტოს ტაძრის ფრესკები

ზურაბ ჟვანიასთან საკმაოდ ინტესიურად ვთანამშრომლობდი ჯერ 1998-2004 წლებში, იტალიაში ელჩად მუშაობის პერიოდში, შემდეგ კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორობის დროს.

დაუვიწყარია ის კეთილი, მეგობრული, იმავდროულად უაღრესად საქმიანი და შემოქმედებითი გარემო, რომელსაც ქმნიდა ბატონი ზურაბი და რომელიც უდავოდ ხელს უწყობდა როგორც ამა თუ იმ კონკრეტული სამუშაოს შესრულებას, ისე თითოეული ჩვენგანის მაქსიმალურ თვითგამოვლენას.

ბატონ ზურაბთან ჩემი უშუალო თანამშრომლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეპიზოდია რომის პაპის იოანე-პავლე მეორის ისტორიული ვიზიტი საქართველოში 1999 წელს. ეს იყო პაპის პირველი ვიზიტი ყოფილი საბჭოთა სივრცის მართლმადიდებლურ ქვეყანაში და პირველი ვიზიტი გეოპოლიტიკურად მეტად მნიშვნელოვან რეგიონში-კავკასიაში. ამ იდეას ჩვენში ყველა ერთსულოვანი აღტაცებით არ შეხვედრია და ამიტომ ვიზიტის მომზადებისას ბევრ სირთულეს წავაწყდით, რომელთა დაძლევაში განსაკუთრებული როლი სწორედ ჟვანიამ ითამაშა. მიუხედავად იმისა, რომ იმ პერიოდში ვატიკანისა და საქართველოს ურთიერთობებშიც გარკვეული სიმწვავე არსებობობდა, ბატონმა ზურაბმა პირველ ადგილზე დააყენა იმ მომენტის მნიშვნელობა, როდესაც სწორი არჩევანის გაკეთება ქვეყანას მომავალში მეტ სარგებლობას მოუტანდა ევროპული ინტეგრაციის თვალსაზრისით, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ კათოლიკური ეკლესიისა და ვატიკანის გავლენას მსოფლიო პოლიტიკასა და საერთაშორისო კავშირებზე, ამ პოზიციიდან გამომდინარე, რომში, ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, ჟვანია შეხვდა რომის პაპს, ესაუბრა მას და მიართვა წერილი, რომელშიც ამომწურავად იყო დასაბუთებული მომავალი ვიზიტის ისტორიული მნიშვნელობა როგორც საქართველოსთვის, ისე წმინდა საყდრისთვის პაპი იმდენად მოიხიბლა ჟვანიასთან საუბრით და განსაკუთრებით მისი წერილით, რომ რამდენიმე ხნის შემდეგ ეს წერილი გამოაქვეყნდა ვატიკანის ერთ-ერთ სპეციალურ კრებულში, რომელშიც თავმოყრილი იყო მსოფლიოს 100 ცნობილი პიროვნების გამონათქვამები იოანე-პავლე მეორის შესახებ.

ვიზიტის განხორციელებას დიდად შეუწყო ხელი რომის პაპის სახელმწიფო მდივნის მოადგილის, მონსინიორ ჯოვანი ბატისტა რეს და ბატონი ზურაბის შეხვედრებმა ჩვენს დედაქალაქში 1999 წლის ზაფხულში, როდესაც მონსინიორ რემ აკურთხა თბილისის ღვთისმშობლის კათოლიკური ეკლესია. ფაქტობრივად ამ მოვლენის შედეგად გადაწყდა პაპის სტუმრობა საქართველოში იმავე წლის ნოემბერში.

საერთაშორისო პრესამ იოანე- პავლე მეორის ეს ვიზიტი მიიჩნია ჩვენი ქვეყნის უდიდეს დიპლომატიურ წარმატებად და მაღალ დონეზე ჩატარებულ აქციად, რომელმაც ხელი შეუწყო საქართველოს პოზიციების გაძლიერებას როგორც საკუთრივ ვატიკანთან და იტალიასთან ურთიერთობაში, ისე მსოფლიო პოლიტაშიც.

ზურაბ ჟვანიას შესაძლებლობები განსაკუთრებით გაიზარდა მას შემდეგ, რაც იგი პრემიერ-მინისტრი გახდა.

ვარდების რევოლუციის შემდეგ ზურაბ ჟვანიას ერთ-ერთი პირველი ვიზიტი უკვე პრემიერ-მინისტრის როლში იტალიაში მოეწყო. მისი ხელმძღვანელობით წამოვიწყეთ ისეთი დიდი პროექტები, როგორებიცაა ავტოსტრადა ,, ფოთი-წითელი ხიდი'', თბილისის საერთაშორისო აეროპორტი, სასმელი წყლის ჩამოსასხმელი ქარხანა, მცირე და საშუალო საწარმოების შექმნის იტალიური მოდელი საქართველოსთვის და მისთვის საჭირო საკანონმდებლო ბაზა. ეს პროექტები, რომელბშიც ბატონი ზურაბი უშუალოდ იყო ჩართული, მიზნად ისახავდა საქართველოს ეკონომიკის განვითარების ახალ და მეტად მასშტაბურ ეტაპზე გადაყვანას. არ დამავიწყდება ის შემართება, რომლითაც იგი საქმეს და ქვეყანას ემსახურებოდა. ბატონი ზურაბის ენთუზიაზმი და დაუშრეტელი ენერგია გადამდები იყო და მის გარშემო მყოფებიც ვცდილობდით ჩვენი შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოგვეყენებინა.

მე ვარ უშუალო მოწმე იმ დიდი მხარდაჭერისა, რომელსაც ზურაბ ჟვანია უწევდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ჩემი რექტორობის დროს. ეს იყო პროგრესული იდეებითა და იმედებით აღსავსე პერიოდი, რომელიც, სამწუხაროდ, ხანმოკლე გამოდგა და დასრულდა ბატონი ზურაბის დაღუპვისთანავე.

ზურაბს კარგად ესმოდა, რამდენად აუცილებელი იყო ჩვენი საზოგადოებისათვის, განსაკუთრებით განათლების სფეროში, ცვლილებები, რეფორმების თანმიმდევრობით და ეტაპობრივად განხორციელება. ამასთანავე, იგი ითვალისწინებდა რეალურ სიძნელეებს, რაც ყოველთვის თან სდევს რეფორმირების პროცესს. მისი ხელებშეწყობით თიბისი ბანკთან ერთად შევიმუშავეთ საპენსიო ფონდის შექმნის პროექტი, რომელიც საშუალებას მისცემდა უნივერსიტეტს, ღვაწლმოსილი პროფესორ-მასწავლებლები ღირსეული პენსიით უზრუნველეყო.

ზურაბ ჟვანია მოელაპარაკა მსოფლიო ბანკის იმდროინდელ პრეზიდენტს ბატონ ვულფენსონს და მათი პატრონატით უნივერსიტეტის ფარგლებში დავაარსეთ ეკონომიკის ქართულ-ამერიკული სკოლა, რომელიც საუნივერსიტეტო რეფორმებისათვის ერთგვარი ორიენტირი უნდა ყოფილიყო.

ბატონი ზურაბი მჭიდროდ იყო დაკავშირებული უნივერსიტეტთან, კარგად იცნობდა მას, ესმოდა ამ სასწავლებლის გამორჩეული მნიშვნელობა ქართველი ერისათვის და ამიტომ ფრთხილად და მოზომილად ეკიდებოდა მისი რეორგანიზაციის საკითხს. მისი ღრმა რწმენით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი უნდა გამხდარიყო თანამედროვე, ევროპული დონის , კონკურენტუნარიანი უმაღლესი სასწავლებლი, რომელიც, ერთი მხრივ, შეინარჩუნებდა თვითმყოფადობას და ლიდერობას საქართველოში, მეორე მხრივ კი თანამედროვე მსოფლიო საგანმანათლებლო სტანდარტებს გაუთანაბრდებოდა.

ამ იდეების ხორცშესხმას თითქოს წინ აღარაფერი ედგა, მაგრამ....

მაგრამ, სამწუხაროდ, ამჯერადაც ისე მოხდა, რომ კარგი ჩანაფიქრი მისი ავტორის გარეშე ვეღარ განხორციელდა.

სასიამოვნო მოგონებად დამრჩა ერთი სრულიად არაპოლიტიკური ეპიზოდი. რომში საკმაოდ დატვირთული სამუშაო ვიზიტის დროს გაგვიჩნდა რამდენიმე თავისუფალი საათი და ბატონმა ზურაბმა მოინდომა წასვლა ორვიეტოში, რათა დაეთვალიერებინა ქალაქი და ენახა ტაძარში ლუკა სინიორელის ახლად აღდგენილი ფრესკები.

შესაძლებლობა ხელიდან არ გავუშვი და ეს ეპიზოდი, რომელასც პოლიტიკასთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა, სწორედ პოლიტიკური ქულების დასაგროვებლად გამოვიყენე. რომში აკრედიტებული დიპოლომატებისათვის ერთგვარი სახუმარო ტესტი მოვიგონე და სხვა ქვეყნების მეგობარ ელჩებს ვეკითხებოდი, თქვენმა პრემიერ-მინისტრმა თუ იცის, ვინ იყო ლუკა სინიორელი და რა სიუჟეტის ფრესკებითაა მოხატული ორვიეტოს ტაძარი მეთქი. ვერც ერთმა ელჩმა ვერ გაიხსენა მსგავსი რამ, მე კი გულწრფელად ამაყი ვიყავი, რომ ჩემს ქვეყანას გაუმართლა და ჰყავს ფართოდ განათლებული, დახვეწილი გემოვნების მქონე პრემიერ-მინისტრი, რომელიც საქმის კეთებასთან ერთად ერკვევა ხელოვნების ნაკლებად პოპულარულ, მაგრამ რაფინირებულ დეტალებში, და რომლისთვისაც ღირებულებათა სისტემაში სულიერი ღირებულებანი მატერიალურს არაფრით ჩამოუვარდება.

ეთერ მაისაშვილი

... მე არ დავბერდები

ჩვენ დროდადრო ვეუბნებოდით ერთმანეთს, ანუ ხან მე ვეტყოდი ზურაბ ჟვანიას: ოდესმე შენზე წიგნს დავწერ და ეს იქნება ყველაზე მაღალტირაჟიანი წიგნი საქართველოში, - ის ჩუმად ხითხითებდა, ხან ის მეტყოდა: შე ზარმაცო, დაწერე წიგნი ჩემზე... და მე ვუარობდი - არა, არა, ჯერ არ მინდა შენით ფული გავაკეთო, ეს მერე, როცა დავბერდებით. ასე ბევრი წლის განმავლობაში. ბევრი წლის განმავლობაში ვაკეთებდი უამრავ ჩანაწერს . ამ ხნის მანძილზე იმ უჯრის გამოღებასაც კი ვერიდები, სადაც ისინი მიდევს. მაგრამ ზუსტად ვიცი, როდესაც ამ ჩანაწერებს გადავფურცლავ, ყველაზე ხშირი იქნება ფრაზა: ამ კაცის შესაძლებლობებს ზღვარი არა აქვს.

... თავისუფალ დროს იპოვიდა თუ არა, საქართველოში იწყებდა მოგზაურობას. არა, ამას უფრო ხეტიალი ერქვა. თავადვე მართავდა მანქანას. რამდენიმე ადამიანი და, იწყებოდა რომელიმე მხარეში სოფელ-სოფელ სიარული. უფრო მთა უყვარდა, ნამდვილად მთა უყვარდა განსაკუთრებით და მათ შორის თუშეთი.

... პირველად თუშეთში ჩვენი მასპინძელი სოფელი ხახაბო იყო, იქ დავბინავდით ერთი თუშის, გოგალე პაპას ოჯახში. სექტემბერი იყო და თუშები უკვე ალვანში ბრუნდებოდნენ. გოგალე პაპა ამბობდა შარშან მე, ჩემმა ცოლმა და მეზობლის ქალმა ანამ ზამთარი აქ გავატარეთ, მთელი სოფელი მხოლოდ ჩვენ ვიყავითო. მაშინ მთელი გაღმა-გამოღმა თუშეთი მოვიარეთ. სოფლებში ზურა ხვდებოდა ჯერ კიდევ იქ შემორჩენილ თუშებს. ყველას, აბსოლუტურად, ყველას უსმენდა ყურადღებით, როგორც სჩვეოდა, დაფიქრებით. რომ მოსაღამოვდებოდა, შემოუსხდებოდნენ სუფრას და იწყებოდა ქეიფი. ანა უკრავდა გარმონს და მღეროდა. არავინ,არავინ ამ ქვეყნად არ იცის ისეთი მოლხენა და არავინ არის ისეთი მეინახე, როგორიც ზურა იყო თუშები აღფრთოვანებულები იყვნენ მისით და, როგორც კი წამოვედით იქიდან, ხახაბოს ჟვანიურა შეარქვეს. ასე ეძახდნენ ხახაბოს მრავალი წლის განმავლობაში და, ალბათ, ასე მოიხსენიებენ დღესაც. წამოსვლისას გოგალე პაპამ ზურას ულამაზესი ფარდაგი უსახსოვრა - ამას ეს ქალები მთელი ზამთარი ქსოვდნენო.

დავბრუნდით თბილისში და ზურასათვის, ჩვეულებრივ, დაიწყო ჯოჯოხეთური სამუშაო დღეები. თითქოს ვეღარაფრისთვის უნდა მოეცალა, მაგრამ ზუსტად ერთი კვირის შემდეგ ხახაბოში გაგზავნა გარმონი ანასათვის (გარმონის შოვნა და ყიდვა რა

ძნელი იყო და როგორ სადღაც ძლივს იპოვა, ეს ცალკე ამბავია) და ჩარხი გოგალე პაპასათვის - ზამთარში ამით გაერთობიო. ვინც ეს საჩუქრები წაიღო, ის ჰყვებოდა, ამ ხალხმა მოულოდნელობისა და სიხარულისაგან ხმა ვერ ამოიღოო. ჩარხი კი არაფერი, მაგრამ ამხელა კაცს ეს საიდან გაახსენდაო, - ხელებს შლიდა თურმე გოგალე პაპა.

შემდეგ ისინი ძალიან დამეგობრდნენ. გოგალე პაპა ხან ჩითებს გვიგზავნიდა, ხან წინდებს, თან რაღაც თხოვნასაც მოაყოლებდა ხოლმე. მისი თხოვნა ზურასთვის კანონივით იყო, არასოდეს გაუწბილებია.

ერთხელ- ზურა უკვე აღარ იყო პარლამენტის თავმჯდომარე და აღარც წყნეთში ცხოვრობდა - მეუბნება: წუხელ გოგალე, მისი შვილი და რძალი გვეწვივნენ სტუმრად, მერე ისე მოხდა, რომ ჩვენთან დარჩნენ. რა უნდა გვექნა, ნინო და ბავშვები ნუნუსთან წავიდნენ, გოგალე ჩემ გვერდით საწოლზე იწვა, მისი შვილი და რძალი- დედაჩემის საძინებელში, რემა- ბავშვების საწოლზე, - ამას ამბობდა და იცინოდა. - რა გაცინებს, ადამიანო, ვეუბნები, კაცი პარლამენტის თავმჯდომარე იყავი ამდენი წელი, ბებიაშენის სახლში ცხოვრობ, ორი კაცისთვის ვერ გაგითენებინებია ღამე, არ იფიქრებდა გოგალე, ეს ჟვანია სულელი ყოფილაო? - იმან რა იფიქრა, არ ვიცი, მაგრამ წუხელ, გოგალეს ხვრინვის ფონზე, ეს მე თვითონ ვიფიქრეო,- ამბობდა და ვერ იკავებდა სიცილს. მის მაგიდაზე კი იმ დღის გაზეთები ეწყო, და პირველ გვერდზე (უკვე მერამდენედ) წერდნენ, როგორი სასახლეები აქვს ჟვანიას, და იბეჭდებოდა მის ქონებაზე იმ ადამიანების ინტერვიუები, რომელბიც პოლიტიკაში მისი გინებით დამკვიდრდნენ და ახლაც მისი ხსენებით იხანგრძლივებენ აქ ყოფნას.

... იმ ზამთარს, ბატონი გია არსენიშვილი იყო მაშინ კახეთში პრეზიდენტის რწმუნებული, ზურამ გამოიკითხა, რამდენი ადამიანი იზამთრებდა თუშეთში. წავედით ვერტმფრენით, თან თითოეული მათგანისათვის ფქვილი, შაქარი და სხვა პროდუქტები წავიღეთ. დაჯდებოდა თუშეთის რომელიმე სოფელში ვერტმფრენი, აყეფდებოდნენ სახლების სადარაჯოდ დარჩენილი ნაგაზები, გამოვიდოდა გაოცებული თუში, ერთი ან ორი, ზოგან მეტიც, ზურა მოიკითხავდა, გაესაუბრებოდა, დაუტოვებდა პროდუქტებს და ასე. დიკლოში მაშინ მხოლოდ ერთი კაცი იყო დარჩენილი. იმ ღამით სოფელში ლეკები ჩამოსულან და რამდენიმე სახლი გაუქურდავთ, ამ კაცის ძაღლი კიდევ მგელს დაუგლეჯია და წინააღმდეგობას აბა, ვინ გაუწევდა ამ სიბნელეში. ჰოდა, გამოვიდა ეს კაცი , მთელი ზამთრის დაგროვილი ბოღმა და წინა ღამის განსაცდელი ჩვენზე გადმოიტანა. ეგრეევ გადავიდა ყვირილზე: აი, ასე ვარ მიტოვებული, აი, ასეთ დღეში ვარი; კი მაგრამ რა ვუთხრა ამ ჩემს მეზობლებს, რომ ამოვლენ და სახლი გაძარცული დახვდებათო. - რამდენი წლის ხარო, - ღიმილით ჰკითხა ბატონმა გია არსენიშვილმა. - ორმოცდაათისო,- უპასუხა კაცმა. - მერე, შე კაიდედმამიშვილო, სადმე გინახავს ან გაგიგია, რომ პარლამენტის თავმჯდომარე თავისი ფეხით მიდიოდეს და ვინმესთვის ფქვილი და შაქარი მიჰქონდესო?

იმ კაცმა სახლში შეგვიპატიჟა, სუფრის გაწყობა ხომ თუშისთვის პრობლემა არასოდეს არის. წინა დღის ნანადირევით გაგვიმასპინძლდა, იმ ნადირის ტყავი ზურას უსახსოვრა (მგონი, ის ტყავი ახლაც აქვთ ჟვანიებს წყნეთში) და არასოდეს დამავიწყდება მისი თვალებიდან წამოსული სითბო, როცა ზურას გამომშვიდობებისას ხელი დაადო მხარზე და უთხრა: - კაც ხარ, კაც!

... ხომ არსებობს ისეთი ოცნებაც, რომელსაც იცი, არასოდეს უწერია ასრულება, მაგრამ მაინც ოცნებობ და ამ დროს ისვენებ.

ჯერ კიდევ მწვანეებიდან, ზურას ოცნება ასეთი იყო: აი, რაც იქნება, რომ სადმე ლამაზ ადგილას ავაშენოთ ჩვენი სოფელი, სადაც ვერ შემოაბიჯებენ ამაზრზენი ადამიანები, ვიქნებით ჩვენთვის, გავაკეთებთ ამას, იმას და ა.შ. რაც დრო გადიოდა, ოცნებას წლები ემატებოდა: წავიდეთ ავაშენოთ ასეთი სოფელი და იქ ვიკუკუნოთ სიბერეში. შემდეგ იწყებოდა, მაგრამ რა იწყებოდა: იჯდა ზურა და ოცნებობდა და თან ხალისობდა, მაგალითად, როგორი იქნებოდა დაბერებული ბარამიძე ან გოგორიშვილი, ნოღაიდელი ან ტყეშელაშვილი, ან ბადრიძე (ჩვენი შვილები იმ სოფელში არ ცხოვრობდნენ, იქ მხოლოდ ჩვენ ვიყავით). შემდეგ ჯერი ჩემზე მოვიდოდა და ზურა იწყებდა: კარებზე რომ მოაკაკუნებ მოკუტული, უკბილო, ყრუ, ძლივს რომ იჩლიფინებ... და ვისაც უნახავს ზურას გულიანი სიცილი, ის კარგად წარმოიდგენს ამ ყველაფერს. მე ვეტყოდი: - კი მაგარმ შენ, შენ როგორი იქნები სიბერეში, შენ არ დაგძვრება კბილები, შენ არ მოიკუტები? ყოველთვის ამ დროს ზურა შეწყვეტდა სიცილს და სერიოზულად იტყოდა: - არაფერიც, მე არ დავბერდები, მე სულ ასეთი მხნე და ენერგიული ვიქნები...

გივი თუმანიშვილი

დირიჟორობდა ყოველთვის ზურა

მწვანეთა მოძრაობა მაშინ შეიქმნა, როდესაც საბჭოთა კონსტრუქციამ, ასე ვთქვათ , ზანზარი დაიწყო. ეს იყო გორბაჩოვის მმართველობის პერიოდი. ჩვენ გვინდოდა შეგვექმნა მოძრაობა, რომელსაც ექნებოდა ორი ძირითადი მიზანი ; პირველი იყო საბჭოთა წყობილებასთან დაპირისპირება, ხოლო მეორე - საქართველოს დამოუკიდებლობა. ეს ორი მოტივი იყო მწვანეთა მოძრაობის შექმნის საფუძველი.

ეს ყველაფერი იყო დროული და კარგად გამიზნული, რადგან იმისთვის, რომ შეინარჩუნო ქვეყანა, უპირველეს ყოვლისა, უნდა შეინარჩუნო ქვეყანა, ანუ მისი ცა, მისი მიწა, მისი მდინარე და ა. შ.

ერთ მშვენიერ დღეს ჩემთან მოვიდა ზურაბ ჟვანია და შემომთავაზა საზოგადოებრივი უნივერსიტეტის ჩამოყალიბება. ეს აზრი უარვყავით, რადგან მაშინ ამის შესაძლებლობა არ გვქონდა. ამის შემდეგ ზურამ იფიქრა, იფიქრა, ერთხელაც მოვიდა და მწვანეთა ორგანიზაციის შექმნის იდეა გამაცნო. ეს აზრი მოვუწონე და ამგვარი ორგანიზაციის შექმნაზე თანხმობა განვუცხადე, რის შემდეგაც მითხრა, ამ ყველაფერს მე მოვუვლიო.

ჩავატარეთ მწვანეთა ორგანიზაციის სხდომა, რომელსაც ძალიან ბევრი მეცნიერი ესწრებოდა. როდესაც საქმე ორგანიზაციის თავმჯდომარის არჩევაზე მიდგა, ზურამ ჩემი კანდიდატურა წამოაყენა. ეს წინადადება ყველამ მოიწონა და თავმჯდომარედ ამირჩიეს.

როდესაც ვსაუბრობთ ქვეყნის წინაშე ზურაბ ჟვანის დამსახურებაზე , თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ მთელი მისი მოღვაწეობა უდიდესი დამსახურებაა. თუნდაც ეს მისი თამამი წამოწყება. შეიძლება მეტისმეტად თამამიც კი, რადგან ზოგჯერ ცოტა მეტი ხმაურიც მოგვდიოდა, მაგრამ რევოლუციამ ასე იცის...

ზურა ტემპერამენტიანი კაცი იყო და უკან დახევა არ იცოდა, თუმცა ყოველთვის ყველაფერს ძალიან მიზანშეწონილად და მიზანმიმართულად აკეთებდა. მის ქმედებაში ყველაფერი მოზომილი და ძალიან კარგად დაწყობილი იყო. მწვანეებში მისი ყოფნისას სისტემური მუშაობა მიმდინარეობდა. დღის წესრიგი რომც არ გვქონოდა, მაინც რეგულარულად ვიკრიბებოდით. შეიყრებოდა თუ არა სადმე ერთად ორი ,,მწვანე'', იწყებოდა გაცხოველებული საუბარი ყველა ჩვენგანისთვის საინტერესო, მწვანე საკითხებზე.

ამასობაში დადგა საპარლამენტო არჩევნების დრო. ჩვენებს სურდათ პარლამენტში ყოფილიყვნენ წარმოდგენილნი, მწვანეთა მოძრაობა კი პოლიტიკური ორგანიზაცია არ

იყო და ამ არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებდა. ამიტომ მოგვიხდა პარტიის დაარსება. ზურაბმა ეს პროცესიც ძალიან კარგად მოაგვარა. ყველაფერ ამას იგი ხელმძღვანელობდა, როგორც დირიჟორი. შეიძლება პარტიტურა სხვას დაეწერა, მაგრამ დირიჟორობდა ყოველთვის ზურა.

გიორგი მარგველაშვილი

ის ქმნიდა თავის წილ სამყაროს

ჩვენი შეხვედრები უცნაურად, ღამის ორ-სამ საათზე იწყებოდა და ოთხ-ხუთ საათამდე გრძელდებდა. თუ ვიხსენებ, იხატება ერთი და იგივე სურათი - ზაფხული, ზურას ბინაში, პირველ სართულზე, ფანჯარა ღიაა, ვთამაშობთ ნარდს. კონიაკი, სიგარეტი... საძინებლიდან ფეხის ხმა ისმის. გამოდის ქალბატონი რემა: „ამდენს რატომ ეწევით... уже четвертый час ночи... თან არაფერს არ ჭამთ...“ ზურა, უკვე საქართველოს პოლიტიკური ლიდერი და ახალი პოლიტიკური ელიტის შემქმნელი, ცოტა ხანში რევოლუციის ერთ-ერთი შემოქმედი და მომავალი პრემიერ-მინისტრი, თავის მართლებით მიუგებს: ,, хорошо, мама, დაწექი რა... ჯერ არ მეძინება“ - ან რაიმე ამისმაგვარი... და ისევ კონიაკი, ხან ძვირფასი - ნაჩუქარი, ხან ჩვენივე ნაყიდი, ქართული, და ძალიან ცოტა ლაპარაკი, უფრო შაყირი და კამათლის კომენტარი... თუ ლაპარაკი, ისიც მოკლე ფრაზებით - კომენტარები მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე, პოლიტიკურ მოთამაშეებზე. ზურას მოკლე ჩართვები: ნეიტრალური შეფასება - უსიტყვო მიმიკით, ნეგატიური - „პადონოკია“, ცინიკური გამომეტყველებით, არასდროს გაბრაზებული, და ბოლოს პოზიტიური - „საოცარი ტიპია“, აღტაცებული, თითქოს აღმოაჩინა დიდი ხნის ნაძიები მოვლენა.

ეს შეხვედრები გრძელდებოდა იმ ორი წლის მანძილზე, სანამ ზურა ოპოზიციაში იყო და ჩვენ საბურთალოზე მეზობლები ვიყავით. უფრო საქმიან გარემოში განიხილებოდა პოლიტიკური გეგმები; ვაფასებდით ლექციების კურსს, რომელსაც ზურა კითხულობდა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში, სადაც მე ვმუშაობდი, საქართველოს ახალი პოლიტიკური რეალობის შესაქმნელად, ცოტაც ითქმებოდა სტრატეგიულ გეგმებზე. და მალე ასეც მოხდა - შევარდნაძის ხელისუფლება დამთავრდა, ზურა გახდა პრემიერ-მინისტრი და გეგმები რეალობად იქცა. „გეშინოდეს შენი ოცნებების ასრულების“ - რამდენია ასეთი ტრაგიკული სიბრძნე, რომელსაც ვერასდროს დაუჯერებ; და ცოტა ხანში ზურა შეეწირა თავისი ოცნების ასრულებას...

მაგრამ მის გარდაცვალებამდე სულ ცოტა ხნით ადრე იყო კიდევ ერთი შეხვედრა - ისევ კონიაკი (ძალიან ბევრი კონიაკი), სიგარეტი, მაგრამ უკვე აფრიკა, სტაციონარული კარვის ხის აივანი, უკვე მიმდინარე პოლიტიკური პროცესების განხილვა. მე ისევ(როგორც მერე მივხვდი) არ მესმის არაფერი პოლიტიკაში, ყველაფერს ნეგატიურად ვუყურებ და ვიღაცას ვლანძღავ, უკვე ზურას ფრაზებით ვლაპარაკობ: „რა გინდა მაგ პადონკებთან“... პასუხად მოველი ისევ ჩვეულ იუმორს, რაღაც ამგვარს: „მაარგველ, შენი პოლიტიკური უმეცრების დონე მე, როგორც პრემიერ-მინისტრს, მიბიძგებს, რომ დეპუტატად გაყრევინო კენჭი, მაგრამ მაინც ვნანობ, რომ რევოლუციის დროს არ დაეცი თავისუფლებისათვის ბრძოლაში, თორემ ახლა დემოკრატიის მაღალი იდეალებისთვის შეწირულ გმირად გამოგაცხადებდით...“ ან რაიმე ასეთს. მაგრამ, სრულიად მოულოდნელად, ზურა იწყებს რელიგიაზე საუბარს - ,,ჩვენ ყველანი მოვკვდებით და ისევ გავხდებით ამ დიდი სამყაროს ნაწილი''; ,,რაღაც მომენტში იაზრებ, რომ ღმერთის შექმნილ ამ უზარმაზარ მრავალფეროვნებაში შენ გაქვს...'' და ასე შემდეგ. ნათქვამის შინაარს დღეს ზუსტად ვერ ვიხსენებ, მაგრამ მახსოვს ის, რომ ზურა პოლიტიკის არსს მიხსნიდა ფილოსოფიურ და რელიგიურ კონტექსტში

და დაახლოებით გამაგებინა შემდეგი: ადამიანს აქვს უნარი, შექმნას პოლიტიკური რეალობა და ის ქმნის ამ რეალობას იმ ცუდისა და კარგისაგან, რაც ტრიალებს მის ირგვლივ. ნაკლებად მნიშვნელოვანია, რამდენად უსინდისო ან ამორალური, ან საშიშია ის გარემო, რომელშიც მოქმედებს პოლიტიკოსი, უფრო სწორად, ეს მნიშვნელოვანია, მაგრამ მეორეხარისხოვანი. უმთავრესი კი არის ის, რომ პოლიტიკოსი ქმნის. ზურა იმ საღამოს არ ლაპარაკობდა ცუდსა და კარგზე, არ ლაპარაკობდა ბოროტებასა და სიკეთეზე, ის ლაპარაკობდა პოლიტიკოსის შემოქმედებით ამაღელვებლობაზე, როგორც ასეთზე. მან ამიხსნა, რომ ცუდი და კარგი მოდის შემდეგ, ამოსავალი კი არის აღტაცება ქმნადობისაგან, როდესაც ქმნი ახალ რეალობას და ისტორიას.

და ახლა, როდესაც ვფიქრობ იმ დღეს ჩემთვის ახსნილ პოლიტიკის არსზე, ვხვდები, რამდენად სნობური, იაფფასიანი და მარტივია, მაგალითად, ის აზრი, რომ ,, პოლიტიკა არის შემოქმედების ერთ-ერთი უმაღლესი და დახვეწილი ფორმა; პოლიტიკოსი ქმნის რეალობას, რითაც მართლაც ახორციელებს ადამიანის ღმერთთან მსგავსების ერთ-ერთ ფუნდამენტურ ნიშანს - ქმნის თავის წილ სამყაროს. მეტიც, ის ქმნის ყველაზე ფაქიზი, ნატიფი და სათუთი მასალით - ადამიანების სიცოცხლისა და მათი ბედის მეშვეობით. და ამიტომაცაა პოლიტიკოსთა ნამოღვაწარი ასეთი რეალური, ხელშესახები და სიცოცხლით სავსე; ამიტომაცაა იგი ასეთი საშინელი, ან ასეთი კეთილი და ბევრისთვის ბედნიერების მომტანი...

ეს აზრი მაშინვე გავიგე, მაგრამ მხოლოდ აზრის, კონცეფციის დონეზე. მალე ზურა გარდაიცვალა და მისმა ამ ქვეყნიდან წასვლამ უკვე სხვა სიღრმით გაშალა, შემაგრძნობინა იმ ღამის საუბრის შინაარსი. მანამდე მე მეგონა, რომ პოლიტიკოსი მოქმედებს აზროვნების მასშტაბის, პოლიტიკური გამოცდილების, დახვეწილი დიპლომატიის, ორატორული ხელოვნების, გონებამახვილი და გამბედავი იდეების მეშვეობით. აღმოჩნდა, რომ ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, საჭიროა, მაგრამ ეს ყველაფერი საშუალებებია, ხელსაწყოებია, ხოლო ძირეული მამოძრავებელი და მოტორი პოლიტიკოსისა არის მისი პიროვნება, მისი ცოცხალი მონაწილეობა ყოველდღიურ ცხოვრებაში. რა თქმა უნდა , მნიშვნელოვანია იდეაც და ცოდნაც, მაგრამ ბევრად უფრო მნიშვნელოვანია არა მხოლოდ და არა მარტო ის გავლენა, რომელიც პოლიტიკოსს შეუძლია მოახდინოს მასმედიის მეშვეობით დიდ აუდიტორიაზე, არამედ პიროვნული გავლენა, რომელსაც იგი ახდენს შიდა წრეზე, თავის კოლეგებზე. სწორედ ამ გავლენის მეშვეობით იწყებს მოქმედებას ის იდეებიც და მათი ხორცშესხმის მექანიზმებიც. პოლიტიკის ეს ანატომია ჩემთვის ცხადი გახდა მხოლოდ ზურას შემდეგ. უცებ აღმოჩნდა, რომ იგივე იდეა, იგივე პროექტი, იგივე აზრი, რაც გუშინ, ზურას დროს იყო, დღეს, მისი არყოფნისას, შინაარსს არ იცვლის, მაგრამ ფერმკრთალდება. იდეა კარგავს სიმძაფრეს, პროექტი - ოცნების ელფერს, ხოლო აზრი - პერსპექტივას. ზურას სიკვდილის შემდეგ მე დავინახე, რომ მთავარი პოლიტიკურ პროცესში არის პოლიტიკოსის პიროვნება, მისი ხილული და გამოსაცნობი ან უხილავი ენერგია, რომელიც გადაედება

სხვა ადამიანებს და ცვლის მათს არსსა და იერს. სწორედ ამას აკეთებდა ზურა იმ შიდა წრეში, რომელიც მისი ენერგიის ფონზე და ამ ენერგიის მეშვეობით ქმნიდა ახალ ქართულ ისტორიას. ზურა იყო პოლიტიკოსი, რომელმაც იცოდა და რომელიც გრძნობდა... მე მის გარეშე ბევრად ნაკლები რამ მაინტერესებს, მიზიდავს და მანთებს...

ირაკლი კაკაბაძე

როგორ გვაკლია ზურა ჟვანია....

ძალიან მიჭირს ამ სტრიქონების წერა , რადგან ვერასდროს წარმომედგინა, რომ ჩემს მეგობარ ზურაბ ჟვანიაზე აწ უკვე წარსულ დროში ვისაუბრებდი მხოლოდ და მას არ ექნებოდა საშუალება, თავისი ნატიფი იუმორით რაიმე მეტად გონებამახვილური ეპასუხა ჩემს ქებასა თუ კრიტიკაზე. მე ჩემი თაობის ერთ-ერთი იმ პრივილეგირებული ადამიანი აღმოვჩნდი ბედის გამოისობით, რომელსაც ზურაბ ჟვანიასთან მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა თითქმის 17 წლის განმავლობაში. ხშირად ზურა და მე რადიკალურად განსხვავებულ იდეებს ვიზიარებდით და ძალიან ხშირად ცხარედაც ვკამათობდით სხვადასხვა საკითხზე. ბოლო ხანებში კამათის ერთ-ერთი მთავარი თემა ,, რეალ- პოლიტიკისა'' და ,,იდეალ- პოლიტიკის'' დაპირისპირება იყო. პარლამენტის თავმჯდომარის პოსტიდან გადადგომის შემდგომ ზურა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში ქართულ პოლიტიკასა და დემოკრატიის საფუძვლებს კითხულობდა. ამავე ინსტიტუტში, რომელსაც ჩვენი საერთო და ძვირფასი მეგობარი გიორგი მარგველაშვილი ედგა სათავეში იმ წლებში, მეც ვმუშობდი და ვკითხულობდი საერთაშორისო ურთიერთობებში კონფლიქტის თეორიას. ამ ინსტიტუტში ბევრი ნიჭიერი ადამიანი მუშაობდა სხვადასხვა დროს, მაგრამ პირდაპირ მინდა ვთქვა, რომ მე ზურა ჟვანიას ლექციაზე დასწრება ყველაზე დიდ სიამოვნებას მანიჭებდა.

მე ამ დროისათვის უკვე ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტის მაგისტრის კურსდამთავრებული ვიყავი და ჩემი პროფესიით ვასწავლიდი ,, ჯიპაში'', როგორც საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტს უწოდებდნენ. ამავე დროს, რა დასამალია და , ჩემი სკოლის გამოისობით საკამოდ მიკერძოებული მოსაზრება მქონდა და მაქვს ,, იდეალ-პოლიტიკის'' სასარგებლოდ. მიუხედავად ამისა, ჩემთვის ზურას ლექციაზე ყოფნა უდიდესი სიამოვნება იყო. ის იყო საოცრად ერუდირებული და განსწავლული ლექტორი, რომელმაც პოლიტიკური მეცნიერებისა და საერთაშორისო ურთეიერთობების არა მხოლოდ პრაქტიკის, არამედ თეორიის მთავარი პრინციპები ზედმიწევნით იცოდა. როდესაც ზურა საუბრობდა თანამედროვე სახელმწიფოების ჩამოყალიბების ისტორიაზე, მაქს ვებერის ,, ერი-სახელმწიფოს'' თეორიასა და მეტერნიხის დიპლომატიის პრინციპებზე, აქ ცხადად ჩანდა მოაზროვნე არა მხოლოდ სახელმწიფო მოღვაწის, არამედ მეცნიერის გამოკვეთილი შეხედულებანი, რომელთაც იგი თავისი საყავრელი ქვეყნის და საზოგადოების აშენებას ახმარდა. მე ამ ლექციებზე უდიდეს სიამოვნებას ვიღებდი, რადგანაც ვისმენდი უაღრესად განათელებული ადამიანის პოზიციას, რომელსაც არაერთი ინტელექტუალური წახნაგი ჰქონდა. ზურა რომ კარგი ბიოლოგი იყო , ყველამ ვიცოდით ჯერ კიდევ 80-იანი წლებიდან, მაგრამ ის, რომ იგი იყო უზადო პოლიტიკური მეცნიერი და საერთაშორისო ურთიერთოებების სპეციალისტი, სრული სიურპრიზი გამოდგა ჩემთვისაც და, ვფიქრობ, ბევრი სხვა ადამიანისთვისაც. ის ჩემგან განსხვავებულ პოზიციას იცავდა- ,,რეალ-პოლიტიკას'' - და ამას ისეთი გულწრფელი შემართებით და ღრმა არგუმენტებით ახერხებდა, ძალიან რთული იყო, არ დათანხმებოდი. საბედნიეროდ, ჩვენ მეგობრებიც ვიყავით და ხან ჩემთან, ხან ზურასთან, ხანაც გიორგი მარგველაშვილთან ვიწრო ოჯახურ სუფრებზე გვქონდა ამ საკითხებზე საუბრის საშუალება. ერთხელ მახსოვს, პირდაპირ ვკითხე: როდის მოახერხე ამდენი წიგნის წაკითხვა, 1990 წლიდან აქტიურ პოლიტიკაში ხარ ჩაბმული და როდის გრჩებოდა მეტერნიხის, ჰეგელის, მაკიაველის, ფუკიამას დრო-მეთქი. ეჰ, ჩემო ირაკლი, შენ საზღვარგარეთ მშვენივრად სწავლობდი და არ გიწევდა ათას პოლიტიკურ მანიაკთან ურთიერთობა, მე კი სხვა რა გზა მქონდა, ღამე ძილის მაგივრად წიგნებს ვკითხულობდი, დღე ვინ მაცლიდა მაგას პარლამენტშიო. სიმართლე გითხრათ, თეთრი შურით მშურდა ზურას შრომისუნარიანობა და თითქმის პედანტური კეთილსინდისიერება.

ძალიან კარგად მახსოვს ის დღე, როცა ზურა გავიცანი - 1988 წელს უნივერსიტეტის პირველ კორპუსთან. მისი საოცარი პიროვნული ძალა თავიდანვე იგრძნობოდა. აი, ეს იყო ნამდვილი ზურა ჟვანია - იდეალისტი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, რომელიც ცდილობდა თავისი ყოველდღიური შრომით ჩვენი ბუნება კატასტროფისგან დაეცვა. მაშინაც კი, როდესაც მოდაში იყო მემარჯვენე ტიპის მოძრაობები და პარტიები, რომლებიც ბუნების დაცვას არანაირ როლს არ ანიჭებდნენ, ზურა ჟვანიამ აირჩია არა პოპულისტური გზა, არამედ ნამდვილად მამულიშვილური პოზიცია - წინ აღუდგა ინდუსტრიული კომპლექსის მიერ ქართული ბუნების მკვლელობას. ასეთად დარჩა

ზურა ბოლომდე - ის ყოველთვის იყო საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე და არა პოლიტიკოსი, რომლისთვისაც მთავარი არჩევნებში გამარჯვებაა. ზურა ჟვანიასთვის არჩევნებში გამარჯვება არასდროს ყოფილა მთავარი - მისთვის მთავარი საკუთარი ხალხის სამსახური იყო, თუნდაც საოცრად არაპოპულარული ნაბიჯების გადადგმის ხარჯზე. ამავე დროს, ზურა ჟვანია ეკუთვნოდა სახელმწიფო მოღვაწეების იმ იშვიათ კატეგორიას, რომელიც მზად იყო მოესმინა და გაეთვალისწინებინა თუნდაც ყველაზე მკაცრი კრიტიკა. დღეს ჩვენ კარგად ვიცით , რამდენად დასაფასებელია ეს თვისება.

ზურა ჟვანიამ საკუთარი თავი ქართულ საზოგადო და სახელმწიფო ცხოვრებაში თვითონ გამოძერწა, თავისი არაჩვეულებრივი შრომისუნარიანობით და განათლებით. ბევრისაგან განსხვავებით, მას არც ნომენკლატურული ნათესაობა ჰყავდა და არც ,,ხელის შემწყობი ორგანოების'' სკოლები ჰქონდა დამთავრებული. იგი ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში თავისი ხალასი გულით მოვიდა- მოვიდა მერაბ კოსტავასთან, აკაკი ბაქრაძესთან, გივი თუმანიშვილთან და ბევრ სხვასთან. მაშინ ვერავინ წარმოვიდგენდით, რომ უაღრესად რთული ცხოვრების შემდეგ ის ქართული სახელმწიფოს ისტორიაში თავს დაიმკვიდრებდა, როგორც ერთ-ერთი ყველაზე აღმშენებელი ლიდერი, თანაც, ისეთი ლიდერი, რომელიც საკუთარი თავის გამოჩენასა და გამორჩენას ყოველთვის საზოგადოებრივ სიკეთეს ამჯობინებდა. 2001 წელს ზურა ჟვანიას ძალიან ადვილად შეეძლო პრეზიდენტის სავარძლის ხელში ჩაგდება - სააკაშვილს მაშინ ასაკი არ უწყობდა ხელს და არც ნინო ბურჯანაძე იყო ისეთი ძლიერი პოლიტიკური ფიგურა, მაგრამ მან შეგნებულად თქვა უარი ავანტიურაზე, რადგან რეფორმის გზა ამჯობინა უეცარ ცვლილებას, რომელსაც შეიძლება გაუთვალისწინებელი შედეგები მოჰყოლოდა. დღევანდელი დღის გადასახედიდან ჩვენ ნათლად ვხედავთ, რომ მას პასუხისმგებლობა არ ღალატობდა.

ზურა ჟვანიასგან ყველა მომავალში სახლმწიფო და საზოგადო მოღვაწემ უნდა ისწავლოს ის, რომ საკუთარ კარიერაზე მაღლა ყოველთვის საერთო, საზოგადო და ქვეყნის ინტერესები დააყენოს. ზურა ჟვანიამ გადაარჩინა საქართველო სამაჩაბლოში პირველ კატასტროფულ ომს 2004 წელს. ის საოცარი გამძლეობით უმკლავდებოდა ათასი ბინძური პოლიტიკოსის მიერ მასზე აგორებულ ათას ბინძურ კამპანიას და საზოგადო საქმეს ერთი წამითაც არ სცილდებოდა. ზურას მთელი არსება იყო საკუთარი ქვეყნის უკეთესობისაკენ სვლა, რაც გამორიცხავდა კომპრომისებს დიდი ფულისა თუ პოლიტიკური კაპიტალის მოსახვეჭად. სწორედ ამიტომ, სიცოცხლეში მას ძალიან ბევრი გულსატკენი კრიტიკა შეხვდა საკუთარი პოზიციების გამო. დღეს ყველა ვხვდებით, რომ ის მართალი იყო.

თუ საქართველო ევროკავშირის საშუალებით დღევანდელ კრიზისს თავს დააღწევს, ეს, პირველ ყოვლისა, ზურა ჟვანიას დამსახურება იქნება, რამეთუ მას სწამდა ევროპული არჩევანის. ზურა ჟვანია არასდროს ყოფილა მოძალადე და ამიტომაც მისი გზა

ყოველთვის ბევრად უფრო სწორი იყო, ვიდრე ნებისმიერი ომს მოწყურებული პოლიტიკანისა. დღეს ჩვენ ძალიან გვაკლია ზურა ჟვანია.

ერთხელ , 80-იან წლებში, როცა ზურასთან ერთად უნივერსიტეტის წინ ვიდექი, საუბარი ჩამოვარდა ქართული მწვანე მოძრაობის სათავეებზე, მე ვკითხე, ვის თვლიდა ის ქართველი მწვანეების იდეურ წინაპრად. მან ერთი წუთიც არ დააყოვნა: ,, ირაკლი, არ იცი? როგორ არა გრცხვენია, ქართველი მწვანეები მოდიან ვაჟა-ფშაველას და ზურა კაკაბაძის ტრადიციებიდან''. სიმართლე გითხრათ, ტანში გამაჟრჟოლა: მე თვითონაც არ მქონდა არანაირი წარმოდგენა მამაჩემის როლზე ამ ყველაზე პროგრესული ქართული მოძრაობის ჩამოყალიბებაში. არაფერი ვიცოდი, გარდა იმისა, რომ იგი ჰაინრიხ ბიოლთან მეგობრობდა. ზურამ ამიხილა თვალი თავისი სეხნიის ამ ,,მწვანე'' ფილოსოფიაზე.

ახლა კი მე ჩემს შვილებს შემიძლია ერთი რამ ვუსურვო: თუ მეცნიერებას გაჰყვებიან, ისეთები გახდნენ, როგორც ზურა იყო ბიოლოგიასა თუ საერთაშორისო ურთიერთობებში, ხოლო თუ გადაწყვეტენ თავი საზოგადოებრივ ცხოვრებაში გამოსცადონ, აუცილებლად ზურა ჟვანიას გზას გაჰყვნენ - იმ გზას, რომელიც ყველანაირ მომხვეჭელობას და პოპულიზმს მტკიცე უარს ეუბნება საკუთარი ხალხისა და საზოგადოების ინტერესების გამო.

დღეს თუ ვინმე განსაკუთერებით აკლია საქართველოს უახლესი ისტორიიდან, ეს არის ზურა ჟვანია. მე ამას თამამად ვამბობ და დიდი მწუხარებით.

მარიკა დარჩია

1000 დოლარი ამსტერდამიდან

მინდა ავღნიშნო ზურაბის ერთი ძალიან გამორჩეული თვისება და ფაქტი, რომელიც მის ამ თვისებას კარგად დაგვანახვებს. მწვანეები იყო ორგანიზაცია, რომელიც იდგა არა მხოლოდ გარემოს დაცვის, არამედ ქვეყნის სამსახურშიც. ამიტომ ნებისმიერი ჩვენი აქტივობა და ამ აქტივობიდან შემოსული თანხა უნდა მოხმარებოდა საქმეს. საერთაშორისო ორგანიზაციები ძალიან იყვნენ დაინტერესებული იმით, რომ საბჭოთა ქვეყანაში არსებობდა ასეთი მოძრაობა (მწვანეები), ამიტომ საერთაშორისო კონფერენციებში ჩვენს მონაწილეობას მთლიანად აფინანსებდნენ - გზას, კვებას და ა.შ. რა თქმა უნდა, ამ ფულის გამოყენება მთლიანად შეგვეძლო, რადგან არავინ გვაკონტროლებდა. მაგრამ ჩვენთან იყო დაუწერელი კანონი - საერთაშორისო კონფერენციაზე წასულ ჩვენს წევრს იქიდან მწვანეთა მოძრაობისთვის რაღაც თანხა უნდა ჩამოეტანა, ანუ ჩვენს ვიზიტს შედეგად უნდა მოჰყოლოდა, მაგალითად, რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციაში გაწევრიანება ან ახალი კონტაქტები, რაც მომავალში გამოგვადგებოდა. გარდსა ამისა, როგორც ვთქვი, იქიდან აუცილებლად უნდა ჩამოგვეტანა ფული.

1992 წელს ამსტერდამში მოეწყო ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრა, რომელიც წინ უსწრებდა საქართველოს საპარლამენტო არჩევნებს (მასში მწვანეთა პარტიაც იღებდა მონაწილეობას),არჩევნებს კი ყოველთვის სჭირდებოდა ფული. შეხვედრაზე მივდიოდი მე და უნდა მიმეღწია იმისთვის, რომ გავწევრიანებულიყავით ,,Friends of the Earth International''-ში, რაც ადვილი საქმე არ გახლდათ, რადგან ეს იყო საკმაოდ დიდი ორგანიზაცია. გარდა ამისა, უნდა ჩამომეტანა გარკვეული თანხა. ზურამ იცოდა ხოლმე თქმა, ასე თუ არა, ორმოცდაათი დოლარი მაინც ჩამოიტანეთო. მეც თავი არ დამიზოგავს. შეხვედრა იყო უაღრესად საინტერესო და ისე წარმოვაჩინე ქართველი მწვანეების საქმიანობა, რომ კონგრესის მონაწილენი ძალიან დაინტერესდნენ საზოგადოებასთან ჩვენი მუშაობით, მთხოვეს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ჩამეტარებინა რამდენიმე შეხვედრა და მესაუბრა ,,Publik relation''-ზე. მე ჩავატარე ეს ოთხი შეხვედრა , რის შემდეგაც გამომიცხადეს, რომ მეკუთვნოდა ჰონორარი. ეს ჰონორარი აღმოჩნდა 1000 დოლარი. ჩემთვის ეს იყო იმხელა სიხარული, როდესაც წარმოვიდგინე, როგორ გადავცემდი ამ ფულს ზურას, რომელიც ჩემგან ყველაზე დიდი, ას დოლარს ელოდა... არც კი დამეზარა და ერთი ას დოლარიანი ათ დოლარიანებად ვაქციე.

თბილისში რომ ჩამოვედი, ზურას, პირველ ყოვლისა, ამსტერდამში ჩატარებული შეხვედრების შესახებ მოვუყევი, მოვახსენე, რომ Friends of the Earth International'' ჩვენი ორგანიზაციით ძალიან დაინტერესებული იყო და უახლოეს მომავალში დაგვიკავშირდებოდნენ. საქმეზე საუბრის შემდეგ ზურა დაინტერესდა, ფული მქონდა ჩამოტანილი თუ არა. როცა ვუთხარი, რომ ფულიც ჩამოვიტანე, ძალიან გაუხარდა და შემაქო, - ყოჩაღო. არ დამავიწყდება მისი თვალები, როცა ნახა ათჯერ აღემატებოდა ას დოლარს, რომელსაც ის ელოდა. მახსოვს მითხრა: მარიკა, შენ საარჩევნო პროცესი გადაარჩინე, ამ არჩევნებს აუცილებლად მოვიგებთო.

ზურამ ჩაოაყალიბა თითოეულ ჩვენგანში საქმისადმი ისეთი დამოკიდებულება, როდესაც ყველა ვინაწილებდით როგორც მორალურ, ფიზიკურ, ისე მატერიალურ პასუხისმგებლობას. ამას არავინ გვაძალებდა, ყველანი გულმოდგინედ ვაკეთებდით საქმეს, იმიტომ რომ ვიცოდით, ასე სჭირდებოდა ჩვენს ორგანიზაციას და, საერთოდ ქვეყანას. ეს ყველაფერი ზურას დამსახურება იყო.

შალვა ოგბაიძე

ჩემი მეგობარი ზურაბი

ჯონ ანდერსონ, სულზე ტკბილო ჯონ,
სულ პირველად როცა გნახე შენ,
ყორნისფერი თმები გქონდა, ჯონ,
უნაოჭო გქონდა სახე შენ.
ის იერი შეგიცვალა დრომ,
თოვლის ფთილას დაგიმსგავსა თმა,
მაგარმ ტკბილად დამიბერდი, ჯონ,
ჩემო ტკბილო, ჩემო სულის თქმავ!
ჯონ ანდერსონ, ჩემო ტკბილო ჯონ,
ერთად განვვლეთ აღმართები გზის,
ჩვენს გულს ახსოვს სიხარული, ჯონ,
ბევრი ტკბილი და ნეტარი დღის.
ახლა დაღმა მივჩანჩალებთ, ჯონ,
კვლავ შენთან ვარ და შენ ჩემთან ხარ,
საფლავშიც ერთად ჩავალთ , ჯონ,
დავიძინებთ იქაც მხარდამხარ.

რობერტ ბერნსი

ლექსი მიუძღვნა მეგობარს.

ჩემთვის მიწიერი ცხოვრება ორ ნაწილად გაიყო: ზურაბთან ერთად და მის გარეშე. საერთოდ, ზურას უყვარდა (პირველად დავწერე ზურაბზე წარსულ დროში) ადამიანისათვის ისეთი გარემოს შექმნა, რომ მას სრულად გამოევლინა თავისი შესაძლებლობა. მე მგონი, ამ ქვეყნიდან წასვლით მან თავის სტილს არ უღალატა - აბა, როგორ ვიარსებებთ, ვიცხოვრებთ და ვიმუშავებთ მისი მეგობრები ზურაბის გარეშე!...

კარგია ფილოსოფიურად მიდგომა გარდაცვალებისადმი.

მე მიჭირს.

მაგრად გამიჭირდა.

ვცდილობ, ცრემლი არავის ვაჩვენო. როცა ღამე ზურას საფლავთან გავივლი ხოლმე, იქვე, ჯიხურში, ერთ ბოთლ შამპანურს ვიღებთ. ერთხელაც ხურდა დამაკლდა. გამყიდველმა დამამშვიდა, მერე რა, მაინც აქ არ უნდა გამოიაროო?

აი, მანდ გავფუჭდი და გული ამომიჯდა.

კაი გემოზე ზურასაც ვაგინე, ისე, როგორც ჩემს ძმაკაცს ეგების. ისე ვაგინე, როგორც ცოცხალს ამ ქვეყნიდან ,,ათესვისათვის'' და ჩემი მარტო დატოვებისათვის.

არასდროს დამავიწყდება ზურას თვალები, როცა მის კაბინეტში (მწვანეთა პარტიის მუშთაიდის ოფისში) პარტიის მანქანის ძრავა ავაწყვე. წარმოიდგინეთ, რა პერიოდია: ომი, უშუქობა, გაჭირვება... ოფისში ერთადერთი მარჩენალი ,, ნივა'' გვყავდა. ზურაბმა მოინდომა ტარება ესწავლა. თითქოს ურიგოდ არ მისწავლებია, მაგრამ მისი საჭესთან დაჯდომა ოფისს მაინც ძვირი უჯდებოდა. თითქმის არ მახსოვს შემთხვევა, მანქანა ,,ავტოგრაფის'' (ანუ მცირე ავარიის) გარეშე დაებრუნებინოს. ერთ-ერთი ასეთი ვოიაჟის შემდეგ ზურამ მოახერხა ძრავის ,,დასტუკება'' (ქართულად ვიცი, მაგრამ ამ შემთხვევაში სწორედ - ,,დაასტუკა''). შევიძინეთ სათადარიგო მასალები, დავშალეთ ძრავა, გავრეცხეთ, ოფისში დიდ მაგიდაზე გავშალეთ ნაწილებად და ასაწყობად მოვამზადეთ. ,,არ მითხრა ახლა, ეს ლითონის გროვა ოდესმე ძრავად თუ იქცევა'' (ჟვანიას კილოთი ნათქვამი წარმოიდგინე). სამ საათში ძრავად იქცა და ზურაბს პატივი ერგო პირველი ,,დაქოქვის''.

გადასწია გასაღები და...

თვალები გენახათ.

იცი, რა ამოვიკითხე? რუსებს ბევრი კარგი გამონათქვამი აქვთ, რომელთაც ქართულში ძნელად მოეძებნება შესატყვისი. შევატყვე, რომ ,,заувaжал''. ხშირად ჰყვებოდა ამ ისტორიას და საოცრად ბედნიერი ვიყავი.

ეჰ...

ზურა, აბა, კარგად, დროებით.

ხათუნა გოგორიშვილი

ზურაბ ჟვანია არის!

ზურაზე რამე დაწერეო, მთხოვეს, რამე გაიხსენეო... რამე ისეთი, ვინმე უცხო რომ წაიკითხავს, წარმოდგენა შეექმნას, როგორი ადამიანი იყოო... ბევრჯერ დავიწყე წერა. დავწერდი რამდენიმე პწკარს და სასწრაფოდ ვშლიდი, არ მომწონდა. ბოლოს მივხვდი, არ მომწონდა იმიტომ, რომ ყველა ზმნა წარსულ დროში იყო: ჟვანია იყო, ჟვანიამ დაიწყო, ჟვანიამ საფუძველი ჩაუყარა, ჟვანია იყო ინიციატორი, ჟვანია ამბობდა, ჟვანიამ შექმნა... მივხვდი, რომ ყველაზე დიდ პროტესტს ჩემში სწორედ ეს წარსული დროის ზმნები იწვევს. იმიტომ რომ ზურა ჟვანია და წარსული დრო ერთმანეთთან აბსოლუტურად შეუთავსებელია. ჰოდა, ამიტომაც გადავწყვიტე ასე დამეწერა:

ზურა ჟვანია არის ადამიანი, რომელსაც ძალიან უყვარს ეს ქვეყანა, ძალიან უყვარს ამ ქვეყნის თითოეული მცხოვრები;

ზურა არის ადამიანი , რომელსაც ძალინ უყვარს თავისი ოჯახი, თავისი შვილები, თავისი მეგობრები;

ზურა არის ლიდერი, რომელსაც არ ეშინია გადაწყვეტილებების მიღების და ყოველთვის იღებს ერთადერთ სწორ გადაწყვეტილებას;

ჟვანიამ ზუსტად იცის, რა არის ქვეყნის ინტერესი და არასდროს ფიქრობს საკუთარ ინტერესზე;

ზურაბ ჟვანიას ერთნაირად იცნობენ ქვეყნის შიგნით და გარეთ, მაგრამ განსხვავებულად აფასებენ;

ჟვანიას შეუძლია რამდენიმე საათში მომაზადოს გამოსვლა, რომელზესც წლების განმავლობაში ილაპარაკებენ;

ჟვანიას ერთნაირად უსმენენ, იმის მიუხედავად, ქვეყნის მეორე პირია, თუ რიგითი ოპოზიციონერი;

ზურას შეუძლია დაიხიოს უკან, იმიტომ, რომ გრძნობს თავის პასუხისმგებლობას ხალხის წინაშე;

ზურას არ ეშინია, ნიჭიერი ადამიანები ჰყავდეს გვერდით, იმიტომ რომ ზუსტად იცის, ეს მისთვის არანაირ საფრთხეს არ წარმოადგენს;

ზურას შეუძლია სრულიად უცხო ადამიანს გაუკეთოს სიკეთე, ფეხზე დააყენოს და მისგან სანაცვლოდ არაფერს ელოდეს;

ზურა არასდროს იმახსოვრებს ცუდს და ახსოვს წვრილმანი სიკეთე!

ზურას ყველაზე მეტად სძულს ხელოვნური და ყალბი ურთიერთობები და ყველაზე მეტად უჭირს დაიჯეროს, რომ ადამიანებმა შეიძლება უღალატონ;

ჟვანიას შეუძლია ყველაზე დაძაბული სიტუაცია განმუხტოს თავისი იუმორითა და ენამოსწრებულობით;

ზურაბ ჟვანიამ ზუსტად იცის, რა არის მისი თაობის პრივილეგია;

ზურაბ ჟვანია არასდროს გეგმავს მხოლოდ ხვალინდელ დღეს, აუცილებლად ყველაფერს ხუთწლიან პერსპექტივაში ხედავს;

ზურაბ ჟვანია არის ის ადამიანი, რომელიც ქმნის პოლიტიკურ ამინდს საქართველოში.

ზურაბ ჟვანია არის!

პერ გარტონი

ვარდების რევოლუციის შემოქმედის მოულოდნელი

სიკვდილის შემდეგ - საქართველო ისევ დაიშლება?

ზურაბ ჟვანიას პირველად 1990 წელს შევხვდი სტოკჰოლმში, ,,მწვანე'' პარლამენტარების კონფერეციაზე. ის ჩამოვიდა შორეული, უცნობი ქვეყნიდან და მოგვახსენა, რომ საბჭოთა კავშირში შექმნა წარმატებული მწვანეთა პარტია. ჩვენ ვიფიქრეთ, რომ ასეთი რამ შეუძლებელი იყო, - მაგრამ ზურაბმა ეს გააკეთა! შეუძლებლის დაძლევა მისი პიროვნების დამახასიათებელი შტრიხი იყო. ამდენად, თუ ინფორმაცია სწორია, მაშინ იგი საქართველოს კრიზისის ერთ-ერთ ყოველდღიურ, მიწიერ მიზეზს - ენერგოპრობლემას, ენერგონაკლებობას შეეწირა. არაფერი ხდება გეგმის თანახმად, თითოეულმა თავად უნდა გამონახოს გამოსავალი ხელთ არსებულის მეშვეობით, მოყვარულის დონეზე. როგორც ჩანს, ზურაბ ჟვანია გამათბობელი მოწყობილობიდან გაზის გაჟონვის შედეგად მოიწამლა ,რის გამოც თავისი ქვეყნის პარადოქსების სიმბოლოდ იქცა როგორც სიცოცხლეში, ისე გარდაცვალების ჟამს.

მეორედ იგი 1993 წელს ვნახე. სეპარატიზმისა და სამოქალაქო ომის გამო საქართველო დაშლის პირას იდგა. ზოგიერთი ,,მწვანისთვის'' სამწუხაროდ, ჟვანია შევარდნაძის ძალებს შეუერთდა, მაგრამ მას სჯეროდა, რომ შევარდნაძე იყო ერთადერთი, ვისაც დანგრეული ქვეყნის გაერთიანება შეეძლო. ზურაბმა თბილისიდან ქუთაისში წამიყვანა. იქ გავეცანი 17 გენერალს მისი სამთავრობო ძალებიდან, რომლებიც მობილიზებული იყვნენ გამსახურდიას კონტრშეტევის წინააღმდეგ. ,,რამდენი ჯარისკაცი გყავთ?'' - ვკითხე. ,,ალბათ, ორმოცდაათამდე'', - მიპასუხა მან. ზურაბს უყვარდა ამ ისტორიის კიდევ და კიდევ გამეორება ჩვენი ყოველი შეხვედრის დროს. მას საქართველოსთვის სიმბოლურად მიაჩნდა გენერლებსა და ჯარისკაცებს შორის აბსურდული რიცხობრივი შეფარდება.

1999 წლის შემდეგ, როცა სამხრეთ კავკასიის საკითხებზე მომხსენებელი გავხდი, წელიწადში ერთხელ ან ორჯერ ვხვდებოდით ერთმანეთს. როდესაც სახელმწიფო მინისტრის ოფისში შევხვდი 2004 წლის 4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებში მისი პარტნიორის, მიშა სააკაშვილის გამარჯვების შემდეგ, არ შემეძლო არ გამომეცადა ზურაბის მოთმინება მისი და მისი კოლეგების მისამართით გამოთქმული კრიტიკის მიმართ. მაგალითად, ისეთ ფაქტთან დაკავშირებით, როგორიც იყო მისი თანამშრომლობა ყოფილ პრეზიდენტ შევარდნაძესთან მთელი ათწლეულის მანძილზე. ჟვანიამ ჩემს ამ კითხვაზე მშივიდად გამიღიმა:

- 1992 წელს სამოქალაქო ომი მძვინვარებდა. შევარდნაძე ერთადერთი შესაძლებლობა იყო და არ მრცხვენია მისი უკან ჩამოყვანის გამო. პირიქით, ამით ვამაყობ. მაგრამ ასევე

ვამაყობ იმითაც, რომ ვარ ერთ-ერთი ის პოლიტიკოსი, რომელმაც შეძლო გადამდგარიყო ისეთი მაღალი თანამდებობიდან, როგორც მე მოვიქეცი 2001 წელს, ყოველგვარი ,,პარაშუტის'' გამოყენების გარეშე.

2001 წლის შემოდგომაზე შევარდნაძის უუნარობამ კორუფციასთან ბრძოლაში და პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობიდან გადადგომამ, რისი საბაბიც ტელეკომპანია რუსთავი 2-ის წინააღმდეგ ხელისუფლების შეტევა გახდა, ჟვანია მოულოდნელად პოლიტიკურ იზოლაციაში მოაქცია. მას 2002 წლის ივნისში ადგილობრივ არჩევნებზე კანდიდატების წარდგენაც კი აეკრძალა.

2004 წლის 4 იანვარს იგი ჩაგვერთო მოკლე სატელეფონო საუბარში ნინო ბურჯანაძესთან, რომელიც პარლამენტის სპიკერი და, ამავე დროს , პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი იყო. დღის წესრიგში იდგა კონსტიტუციაში სასწრაფო ცვლილებების შეტანა, რათა სახელმწიფო მინისტრის პოსტი რეალური პრემიერ-მინისტრისა და მთავრობის მეთაურის თანამდებობებით შეცვლილიყო. ზოგიერთი იმასაც წინასწარმეტყველებდა, რომ პრეზიდენტს ამერიკული სტილის საპრეზიდენტო მმართველობის შენარჩუნება ერჩივნა, რისი უფლებაც მას ყოველი ათი ქართველისგან ცხრამ მიანიჭა, მაგრამ ჟვანიას არ ეპარებოდა ეჭვი შეთანხმებული ცვლილებების განხორციელებაში. მართლაც, იგი 17 თებერვალს პრემიერ-მინისტრად დაინიშნა.

- გარდა ერთად ყოფნისა, ჩვენ სხვა ალტერნატივა არა გვაქვს,- თქვა მან. - ეს საქართველოსთვის საუკეთესო ვარიანტია. ხალხი არავის აპატიებს ახალი მმართველი კოალიციის პიროვნული მიზნებისათვის გამოყენებას. ამომრჩევლებს ჩვენთვის მუდმივი ძალაუფლება არ მოუნიჭებიათ. მათ უნიკალური შესაძლებლობა მოგვცეს. თუ ამას პასუხისმგებლობით არ გამოვიყენებთ, დავისჯებით და ეს სამართლიანიც იქნება.

დარწმუნებული ვარ, იგი მართალი იყო, - ახალ ლიდერებს ერთმანეთი სჭირდებოდათ. რა მოხდება ახლა? როდესაც უკანასკნელად შევხვდი 2004 წლის სექტემბერში, კორუპციის წინააღმდეგ ბრძოლის პერიოდში არსებული კანონის დარღვევების გამო ჟვანიას მკაცრად აკრიტიკებდნენ არა მარტო მცირე ქართული ოპოზიციური პარტიები, როგორებიც არიან ლეიბორისტები და მისივე ძველი პარტნიორები მწვანეთა პარტიიდან, არამედ ამნისტიისა და ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციებიც. ზურაბმა აღიარა: ,, სააკაშვილს მოსწონს დრამატული სტილი, დააკავოს გადასახადის დამალვაში ბრალდებულები ან კონტრაბანდისტები ტელეკამერების წინ, შემდეგ კი მისცეს მათ გათავისუფლების შანსი სახელმწიფოსთვის დიდი თანხის გადახდის საფასურად. საკანონმდებლო სისტემა ჯერ კიდევ ძალზე პოლიტიზებულია, ჩვენ ეს უნდა შევცვალოთ''.

ჩვენი ურთიერთობა ყველაზე ინტენსიური იყო 2004 წლის მარტის განმეორებითი საპარლამენტო არჩევნების დროს. ზურაბმა შემომთავაზა მასთან ერთად წავსულიყავი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, რომელსაც ჯერ კიდევ ადგილობრივი ფეოდალი

ასლან აბაშიძე მართავდა. მიუხედავად სირთულისა, ადგილობრივი დაცვის დახმარებით მოვახერხეთ რამდენიმე მანქანით შესვლა. მოვინახულეთ მრავალი საარჩევნო უბანი, სადაც ხალხი განცვიფრებული, მაგრამ ბედნიერი იყო მათს პროვინციაში თბილისის მთავრობის ლიდერის ხილვით. ზურაბი შიშობდა, აბაშიძეს ძალადობა არ ჩაედინა და მას შემდეგ, რაც თავის მარცხს აღმოაჩენდა, გვიან საღამოს საარჩევნო ურნები არ გაენადგურებია. ამიტომ შუადღისას მას შეხვდა. ეს იყო აბსურდის თეატრი, რომელიც თორმეტ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა. აბაშიძემ ჯერ წარმოადგინა ვიდეომასალა შეიარაღებულ მცირე გემებზე პირადი ქარხნიდან, შემდეგ კი აყვირდა, რომ არჩევნებზე დამკვირვებლებად გადაცმული თბილისის ,,სპეცნაზელები'' მოსაკლავად დასდევდნენ. მან ასევე დაიჩივლა, რომ მის სასახლეს თავს დასტრიალებდნენ ქართული თვითმფრინავები (რომლებიც სხვას არავის შეეძლო შეემჩნია) ბომბების ჩამოსაყრელად.

ზოგი ამბობს, რომ აბაშიძე არანორმალური იყო . ყველა შემთხვევაში ზურაბმა ფსიქოთერაპევტის როლი ითამაშა, როდესაც აჭარის არჩევნები გაყალბებასა და ძალადობას გადაარჩინა. მან წარმატებას მიაღწია და ამ მაგალითით სხვა ორ სეპარატისტ პროვინციას უჩვენა, რომ, თუ მისი პოლიტიკა გატარდება, თბილისი, ძალადობის გარდა, ყველაფერს იღონებს სახელმწიფო ერთიანობის აღსადგენად. ეს ყველაფერი ჟვანიასთან ერთად წავიდა? ვინ იცის? ზუსტად რამდენიმე კვირის წინ სააკაშვილმა მოულოდნელად თანამდებობიდან გაათავისუფლა თავდაცვის მინისტრი ბარამიძე, რომელიც ზურაბის ერთ-ერთი უახლოესი მეგობარი იყო. მოვიდა ,,ქორი'', შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი ოქრუაშვილი, რომელსაც სააკაშვილმა ჯარის გაძლიერება და სეპარატისტული რეგიონების რეინტეგრაციისთვის მაღალი პრიორიტეტის მინიჭება უბრძანა. ოქრუაშვილი ახალ თანამდებობაზე დაინიშნა შუაღამისას კოდორის ბრიგადის თვალწინ მოკლე შეტყობინებით განგაშის გამოცხადების შემდეგ და ასევე, რა თქმა უნდა, ტელეკამერების წინ. ეს არ არის ის ფორმა, რასაც ზურაბ ჟვანია გამოიყენებდა.

ზოგიერთის აზრით, ვარდების რევოლუცია აშშ-ის მიერ დაფინანსებული ღონიძიება იყო ,,ცივილიზაციათა შეჯახების'' საზღვარზე მდებარე. მგრძნობიარე რეგიონში ამერიკის ინტერესების დაცვის მიზნით. მაგრამ , ვინც ეჭვობს, რომ საქართველოს ლიდერები აშშ-ის სატელიტები არიან, მრავალ ფაქტს ივიწყებს. მაგალითად, ჟვანია იყო რუსეთს გარეთ ერთ-ერთი ლიდერთაგანი, რომელიც დუმის 2003 წლის დეკემბრის არჩევნების შედეგებს მიესალმა (იხ. свободная Грузиа, 8 დეკემბერი,2003) - არა იმიტომ, რომ თავად რეალისტი იყო. ჟვანიამ მითხრა, რომ იგი სკეპტიკურად უყურებდა ნატოში საქართველოს სწრაფ გაწევრიანებას, მაგრამ ამ საკითხზე ის აშკარად უნდა დასთანხმებოდა ძალთა უმრავლესობას.

მისი ურთიერთობა აშშ-თან ისევ პრაგმატული იყო, როგორც რუსეთთან. 2002 წლის სექტემბერში ასტანიდან, დსთ-ის სამიტიდან დაბრუნებისას, სადაც იგი ვლადიმერ პუტინს შეხვდა, ზურაბმა განაცხადა, რომ რუსეთს უჭირს მოიქცეს, როგოც არაიმპერიალისტური ძალა, ,,ზუსტად ისე, როგორც აშშ-ს'' და რუსების მიერ აფხაზეთში შამილ ბასაევის

გამოყენება საქართველოს წინააღმდეგ აშშ-ის მიერ უსამა ბენ ლადენის ავღანელი კომუნისტების წინააღმდეგ გამოყენებას შეადარა. ორივე შემთხვევაში სპონსორს ყველაფერი უკან დაუბრუნდა! უსამა ბენ ლადენი - მანჰეტენში, ბასაევი - ბესლანში. მე მრჩებოდა შთაბეჭდილება, რომ ზურაბს საქართველოსთვის როგორც რუსეთისგან, ისე ამერიკისგან დამოუკიდებლობა და მათთან თანამშრომლობა სურდა. ევროპა სხვა საკითხია. ზურაბი არ იყო ბალანსით კმაყოფილი, ის ყოველთვის ხაზს უსვამდა, რომ საქართველოს ძირითადი კურსი ევროგაერთიანების სრულუფლებიანი წევრობაა.

ვარდების რევოლუციის მშვიდობიანმა ხასიათმა წარმოქმნა უნიკალური სიტუაცია - სიძულვილის, უბედურებისა თუ შურისძიების გარეშე, რაც მრავალ სისხლიან რევოლუციას გადააქცევს ხოლმე ,,საკუთარი შვილების მჭამელ'' არაადამიანურ ციხედ, მაგრამ საქართველო კვლავ უამრავი პრობლემის წინაშე დგას. ვარდების რევოლუციიდან 14 თვის შემდეგ ქვეყანა ისევ დაყოფილია, მილიონობით ადამიანი კი უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს. ეკონომიკური ზრდის დონე, მართალია არ არის დაბალი, მაგრამ რეალური საჭიროებისაგან ძალზე შორსაა. მოთმინების ფიალა ივსება. ამა წლის იანვრის ბოლოს რუსული ,, იზვესტია'', ევროსაბჭოში პრეზიდენტ სააკაშვილის გამოსვლას ასეთ კომენტარს უკეთებდა: ,,საქართველოს თაფლობის თვე ევროპასთან დასრულდა'', რადგან დამკვირვებლებმა გააკრიტიკეს ახალი რეჟიმის მიერ ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტები. ,,International Herald Tribune''- ში 2003 წლის ნოემბრის იმედგაცრუებულმა აქტივისტმა, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელმა, თინათინ ხიდაშელმა დაიჩივლა: ,,ვარდების რევოლუცია დაჭკნა'' (8 დეკემბერი, 2004).

ამდენად, სააკაშვილის პოლიტიკური თეატრის მოდელი საკმარისი არ არის. უფრო მიწიერი ქმედებებია საჭირო. შესაძლოა, საჭიროა სწორედ ის, რასაც შევარდნაძე გულისხმობდა,როდესაც აღიარა, რომ სააკაშვილს მისცა ხმა (!) 2004 წლის 4 იანვარს საპრეზიდენტო არჩევნებზე. მაშინ მან დასძინა: ,,ცოტა უნდა ილაპარაკოს და მეტი გააკეთოს''. ეჭვი არ არის, სააკაშვილმა გაიგო ეს. მან კარგად გამოიყენა მის მხარეზე მყოფი მოქმედი და შემსრულებელი ზურაბ ჟვანია. რა მოხდება ახლა, არავინ იცის. მანძილი იმედსა და სასოწარკვეთას შორის ხშირად ყოფილა ძალზე მოკლე საქართველოში.

პერ გარტონი - შვედი პოლიტიკოსი. 1976-დან 1979 წლამდე იყო პარლამენტის წევრი, წარმოადგენდა სახალხო პარტიას, ხოლო 1988-იდან 1999 წლამდე და 1994-იდან 1995-მდე - მწვანეთა პარტიას. ყოფილი ევროპარლამენტის წევრი და სამხრეთ კავკასიის რეგიონალური გარემოსდაცვითი ცენტრის მრჩეველთა საბჭოს წევრი. შვედური კვლევითი ცენტრის -COGITO-ს პრეზიდენტი.

ნანა შენგელაია

...რაც მხლოდ რჩეულებს ძალუძთ

1986 წელს თბილისში, მგონი, გაზაფხულზე, გადიოდა ფრანკო ძეფირელის ფილმი-ოპერა ,,ტრავიატა''. მე და ჩემი შვილი, ოთარი, ერთად წავედით ვერაზე, ახლანდელ კინოთეატრ ,,ამირანში'', ამ ფილმის სანახავად. ფილმი ძალიან მომეწონა.

გარეთ რომ გამოვედით, ქუჩა გადავჭერით და ავტობუსის გაჩერებაზე მივედით; იქ ოთარს შეხვადა მისი მეგობარი ზურაბ ჟვანია, რომელზეც უკვე ბევრი მსმენოდა, მაგრამ მე თვითონ ჯერ არ ვიცნობდი. ერთმანეთს გამოელაპარაკნენ - ორივეს ერთნაირი მომწვანო - მოყავისფრო ,,პიპიტა'' ნაჭრისგან შეკერილი შარვალი ეცვა - და მეც გავიცანი ზურა.

გამოირკვა, რომ მას უკვე ენახა ძეფირელის ეს ფილმი და ჩემს გაუთავებელ აღფრთოვანებულ შეძახილებს თავშეკავებით შეხვდა. მე ,, დავეტაკე'' და დავუწყე ფილმის გარჩევა და ქება. ცოტათი დაბერა ტუჩები და მითხრა - ნუ, რა ვქნა, მე არ მომეწონა ასე ძალიანო. ვიფიქრე, უყურე ამას, დამეთანხმოს, რა იქნებ - მეთქი!

საბედნიეროდ, ამასობაში ავტობუსი მოვიდა და ამით მომთავრდა ფილმზე ჩვენი საუბარი, ავტობუსში ავედით. მე დავჯექი, ბიჭები იდგნენ; ზურას გამოელაპარაკა ერთი ქალბატონი (აღმოჩნდა მისი პროფესორი უნივერსიტეტში) და ერთბაშად გამოჩნდა, რომ ეს ბავშვი არაჩვეულებრივ ოჯახში იყო გაზრდილი - ისეთი სალამი, მოწიწება და ღირსება, სითბო და , ამავე დროს, საჭირო დისტანცია გამოავლინა მან თავის პედაგოგთან საუბრისას, როემლიც აღფრთოვანებით უყვებოდა უნივერსიტეტის ამბებს და რაღაცას ეკითხებოდა. უსაშველოდ მომხიბლავი ზურა დინჯად და მშვიდად უპასუხებდა.

ზურას არჩვეულებრივი პიროვნული ხიბლი და გამორჩეული ნიჭიერება, ყოველთვის მოსწრებული, ჭკვიანი, იუმორით სავსე სიტყვა- პასუხი განუმეორებელს ხდიდა ყოველ ჩვენს შეხვედრას მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც ჩვენ - შვილები და მშობლები - ერთმანეთთან ვმეგობრობდით. არაერთხელ მოვუხიბლივარ ზურას სითბოს, გულწრფელობას, გააზრებული და პასუხისმგებლობის გრძნობით სავსე საუბარს, სიმტკიცესა და თავდაჭერას, ნიჭს, ალღოს და გულღია უბრალოებას ურთიერთობებში, რასაც არასდროს და არსად არ უღალატია მისთვის.

აღზრდის წყალობით ზურას ქცევა თუ სიტყვა- პასუხი ყოველთვის უკიდურესად ადეკვატური იყო ყოველგვარ ვითარებაში.

მეორედ ზურა სიონის კათედრალში ვნახე. იქ ჩვეულებისამებრ მცირე ხნით შევირბინე სანთლის დასანთებათ და , სანამ კიბეზე ჩავიდოდი, დავინახე ზურაბი (ისევ იმ თავის შარვალში გამოწყობილი), რომელიც ტაძრიდან გამოდიოდა. კიბეზე რომ ჩავედი, ცხადია, ერთმანეთს შევხვდით და მე სულელურად ვკითხე, ვა, შენ აქ რა გინდამეთქი. იმანაც სულ სხვა ტონით მშვიდად მიპასუხა, მე აქ სულ დავდივარო. ცოტათი შემრცხვა, მაგრამ ამ შეხვედრისთვის მაშინ დიდი ყურადღება არ მიმიქცევია.

იმ ზაფხულს ოთარი წაჰყვა ზურას სომხეთისა და ირანის საზღვრის მახლობლად ადგილებში ექსპერიმენტისათვის საჭირო მექვიშია თაგვების დასაჭერად. მათი მეგობრობა სწორედ იქ გაღრმავდა და ისინი, ვფიქრობ, ერთმანეთისათვის შეუცვლელები გახდნენ. მექვიშიებთან დაკავშირებით მრავალი თავგადასავალი გადახდათ იქაც და, მოგვიანებით, მოსკოვში ყოფნის დროსაც .

ზურა ხშირად მოდიოდა ჩვენთან სტუმრად მაშინაც, როდესაც ოთარი თბილიში არ იყო. ხან ჩემს ქალიშვილს, ნინოს ებღლაძუნებოდა (ამ მხრივ ნამდვილად ჩაენაცვლა ოთარს), უფრო ხშირად კი ბევრს ესაუბრებოდა ჩემს ქმარს - ბუბას სხვადასხვა საკითხზე . დასხდებოდნენ სამზარეულოში, სვამდნენ ჩაის და კამათობდნენ. ერთმანეთი ძალიან მოსწონდათ, მაგრამ არც ერთი არ უთმობდა კამათში მეორეს. ერთხელ ბუბამ უთხრა, შენ დემაგოგი ხარო. ზურამ ისევ ტუჩების დაბერვით და მისთვის დამახასიათებელი ინტონაციით უპასუხა: თქვენ თვითონ ბრძანდებით დემაგოგიო.

მე მიკვირდა და თან მომწონდა ზურას სიმტკიცე და არდათმობის ეს თვისება - იგი არასდროს დაიხევდა უკან, თუ დარწმუნებული იყო, რომ არ ცდებოდა (თუმცა მახსოვს მის მიერ ხშირად თქმული - ნუ, არ ვიცი, არ ვიცი).

ჩვენ საამაყოდ (თუ საუბედუროდ?), იგი თავისი სიცოცხლის ყველა კრიტიკულ ვითარებაში თანმიმდევრული და თავისი თავის ერთგული დარჩა, უკან არასდროს დაუხევია.

1989 წლის აპრილში, როდესაც მოგვივიდა ვაიმარში ჩემი ქმრის გულის ინფარქტით დაღუპვის ამბავი (იქ მივლინებით იყო), ბუნებრივია, ბევრმა მეგობარმა მოიყარა ჩვენთან თავი. უცბად გაჩნდნენ ზურა და რემაც, რომელიც მაშინ პირველად ვნახე. რემა და ბუსა - ზურას მშობლები - დედაჩემის ყოფილი უსაყვარლესი სტუდენტები იყვნენ. რემა და მე იმ დღეს ისე შევხვდით ერთმანეთს, როგორც ძველისძველი მეგობრები. ზურას მშობლებთან ჩემს დაახლოებას დრო არ დასჭირვებია. მე უკვე ვიცოდი მათზე ბევრი რამ, უპირველესად, მათი არაჩვეულებრივი შვილის წყალობით: წარმომედგინა, თუ როგორი გამორჩეული ადამიანების გაზრდილი შეიძლებოდა ყოფილიყო იგი. მიუხედავად ბუსას გარდაცვალებისა და ზურას დაღუპვასთან დაკავშირებული საერთო უბედურებისა ჟვანიებთან, ფიქრი ჩვენს მაშინდელ ურთიერთობაზე დღესაც მანიჭებს სილაღის, სრული ურთიერთგაგებით მოტანილი ბედნიერებისა და სიხარულის განცდას.

ზურა ძალიან შეწუხებული იყო ბუბას დაღუპვით (შინ მხოლო დედაჩემი, ჩემი ქალიშვილი ნინო და მე ვიყავით, ოთარი მოსკოვში იყო), იმ დღეს ცოტა ხანს იჯდა ჩვენთან და შენიშვნაც

მომცა: რა გატირებთ, ამდენი ტირილი არ შეიძლებაო. მე გაოცებული მივაშტერდი და ვიფიქრე: ეს ბავშვი რაებს ლაპარაკობს, ხომ არ გაგიჟდა-მეთქი.

ზურამ კი გააგრძელა: რა, არ იცით, რომ ადამიანის ცხოვრება ღმერთთან მიახლოებაა და, როდესაც მას საკმარისად მიუახლოვდება, მერე ამ ქვეყნიდან კიდეც უნდა წავიდესო? მაშინ მისმა სიტყვებმა ძალიან ბევრ რამეზე დამაფიქრა.

... ცოტა ხანში გაისმა ტელეფონის ზარი, ვუპასუხე. მესმის ზურას ხმა: - ნანიკო, ახლა აეროპორტში ვარ, ოთართან მივფრინავ.

ყველანაირი მსჯელობა გამაწყვეტინა - ბილეთი უკვე ნაყიდი მაქვსო. რემას რომ გავხედე, მითთხრა, რა თქმა უნდა, უნდა წავიდესო. ასე იოლად იტვირთა ზურამ მძიმე პრობლემა - ოთარს ამბავი შეატყობინა და მეორე დღეს, ღამით, ჩამოიყვანა კიდეც თბილისში. ეს იყო 1989 წლის 9 აპრილის ღამე.

როგორი დატვირთულიც უნდა ყოფილიყო ზურა, ყოველთვის სიძნელესა და გასაჭირში იგი პირველი გაჩნდებოდა ჩვენთან (და, ვფიქრობ, ყველა თავის ახლობელთანაც), ჩვენზე ადრე ითვალისწინებდა ჩვენს საჭიროებას, უყოყმანოდ, დღისა თუ ღამის ნებისმიერ დროს მუდამ მზად იყო მხარდაჭერისთვის. ეს იყო, უპირველეს ყოვლისა, მისი სიმშვიდე და სიმტკიცე, მისი სულიერი თანადგომა, რასაც,რა თქმა უნდა, არაფერი შეედრება. ამ თვალსაზრისითაც უმძიმესი უნდა იყოს, ალბათ, ზურას ყველა მეგობრისათვის უიმისოდ დარჩენა.

წელიწადში რამდენჯერმე ჩვენ უსათუოდ ვესტუმრებოდით ხოლმე ჟვანიებს: ახალ წელს, აღდგომას, დაბადების დღეებზე. მოდიოდნენ ნათესავები, მეგობრები, ყოველთვის გულღია, გულწრფელი ვითარება სუფევდა, ყოველთვის მხიარული და სტუმრებთან ყურადღებიანი ზურა ხუმრობდა, იცინოდა; ხუმრობდნენ და ლაღობდნენ მისი სტუმრებიც....

ზურას რეზიდენცია ყოველთვის იყო ჩვენი ავადმყოფების ან პატარა ბავშვების თავშესაფარი ცხელ და მძიმე ზაფხულში. მართალია, ეს არ იყო ზურას სახლი, მაგრამ იქაც იგრძნობოდა ამ რეზიდენციის იმჟამინდელი ბინადრის უღალატო უნარი, თავისი ოჯახისა და წრის ერთგული ყოფილიყო.

2004 წლის დეკემბერში, ზურასათვის უმძიმეს დროს, როდესაც პატარა ანა მძიმედ გაგვიხდა ავად და საკმაოდ შევშინდით, გადავწყვიტეთ მისთვის მიგვემართა, რომ ექიმების აზრთა სხვადასხვაობა საბოლოოდ გაგვერკვია. ზურა მაშინვე გაჩნდა საავადმყოფოში (ამ საავადმყოფოს საჭირო აღჭურვილობით გამართვისათვის ძალიან ემადლიერებოდნენ ექიმები), რაღა თქმა უნდა, საავადმყოფოს მთავარი ექიმისა და ყველა უფროსის თანხლებით ,, ეახლა'' ანას. ბავშვი მალე გამოჯანმრთელდა. ცოტა ხანში ზურამ დარეკა და უსაყვედურა ოთარს, არ უნდა დაგერეკა, რომ ბავშვი ახლა კარგად არისო? ოთარმა უთხრა, რაღა კარგად არის, შენი მოსვლის შემდეგ ყველა ექთანი და ექიმი თავს ვალდებულად თვლიდა ბავშვისათვის თითო ნემსი გაეკეთებინა, მთლად დაჩხვლიტეს საწყალიო (ეს ყველაფერი ხუმრობით, ცხადია, როგორც მედპერსონალის, ისე ზურას მისამართით). ზურამაც მაშინვე აუღო ალღო და უპასუხა: ,, ჰოო, ეს იყო (ჩემი მოსვლაო) სტრატეგიული შეცდომა''.

ცნობილი დეკემბერ- იანვრის ,, თბილისის ომის'' დროს ზურა ცოტა ხნის განმავლობაში ჩვენთან ცხოვრობდა. უფრო სწორად, ეძინა. დილიდან გავარდებოდა (ვხვდებოდით, რომ რუსთაველის გამზირზე მიდიოდა) და საღამო ხანს ბრუნდებოდა. მას და ოთარს ჩვენს ლოჯიაში ეძინათ - იყო ერთი კამათი, არა მე დავწვები ,, რასკლადუშკაზე'' და არა მეო. რემა ყოველდღე მოდიოდა ჩვენთან, დაგვხედავდა, თან რამე გემრიელს მოგვიტანდა ხოლმე. ზურა უჩვეულოდ ჩუმი იყო და ჩაფიქრებული. ვეუბნებოდი, ნუ დარბიხარ რუსთაველზე- მეთქი; უშედეგოდ - სრული სიჩუმით მიპასუხებდა. რემა არაფერში ჩარეულა.

2004 წლის სექტემბრის დასაწყისში რემას მიპატიჟებით რამდენიმე დღე გავატარე ზურას დიღმის აგარაკზე. ეს სახლი, მგონი, ვიღაცისაგან იყიდეს - ჩვეულებრივი საბაღე ნაკვეთებია სოფელ დიღმის შემდეგ. იქ ადრეც ვყოფილვარ, მაგრამ სულ რამდენიმე საათით. რემამ ოთახი მომიჩინა (მომიბოდიშა, ძალიან პატარააო). პირველი დღეები მარტონი ვიყავით. ჩემი ოთახის ფანჯრები დიდ აივანზე გადიოდა, ბაღისკენ.

ზურა ძალიან გვიან ჩამოდიოდა თბილისიდან, ღამის ორი საათის შემდეგ. მხოლოდ მაშინ ვიგებდი მის ჩამოსვლას, როდესაც სახლს შემოუვლიდა, ბაღში გამოვიდოდა და თავის ხეებსა და ყვავილებს ჩამოუვლიდა. თან ვიღაცას ძალიან დაბალი ხმით ეკითხებოდა - მეტად ხომ არ უნდა მორწყვა ან გასხვლაო და ასეთსავე ჩუმ პასუხებს უგდებდა ყურს. ეს იყო რაღაც არაჩვეულებრივი, სიმშვიდის მომგვრელი წუთები ჩემთვის და, განსაკუთრებით, რაღა თქმა უნდა, ზურასათვის. რა კონტრასტი იყო, ალბათ, იმ ვითარებასთან, როგორშიც მთელ დღეებს ატარებდა!

როგორ ახერხებდა ამ თხუთმეტწუთიანი გასეირნების შემდეგ სხვენზე თავის ოთახში ჩუმად ასვლას უსაშველოდ ჭრაჭუნა კიბით, არ ვიცი. ცოტა ხნის შემდეგ ბაღიდან გავიგონებდი ზემოთ ჩართული მუსიკის ჩუმ ხმას (მაშინ ეს სულ კლასიკური მუსიკა იყო). უნდა გულწრფელად ვაღიარო, რომ ამ დროს სიბრალული მიპყრობდა, გული მეკუმშებოდა და ვფიქრობდი, ვინ იცის, რამდენი მისთვის ჩვეული და საყვარელი რამ დათმო, რომ თავის თავზე აღებული უდიდესი პასუხისმგებლობა თავისივე თავის წინაშე გაემართლებინა, რომ ჩვენ ყველა ვყოფილიყავით ისე, როგორც მართლაც ვიყავით - იმედიანად!

ალბათ, 2004 წლის ნოემბერი იქნებოდა, რომ ზურა კიდევ ვნახე: რემასთან შევირბინე და მოულოდნელად ისიც მოვიდა. ისე მოხდა, რომ რემა ოთახიდან გავიდა და უცებ ზურამ მითხრა, რომ ოჯახთან ერთად აშშ-ში, იელის უნივერსიტეტში ეპატიჟებოდნენ დიდი ხნით ლექციების წასაკითხად. აინტერესებდა ჩემი აზრი. სანამ გააზრებას მოვასწრებდი, მანამდე ინსტინქტურად სხაპასხუპით მივახალე: მიაფურთხე ყველაფერს და წადი-მეთქი (ეს რატომღაც რუსულად ვუთხარი).

ვერასოდეს ვერ დავივიწყებ მისი სახის გამომეტყველებას: გაოცებულმა და შეშფოთებულმა შემომხედა. მერეღა გავიაზრე ჩემი ნათქვამი - ძალიან შემრცხვა მაშინ და ახლაც ხშირად ვფიქრობ, რა იფიქრა ჩემზე: რაც მე ვუთხარი, მისთვის ხომ მიუღებელი იყო და დათმობას ნიშნავდა. ცხადია, იგი ამას არასდროს არ ჩაიდენდა და არც ჩაუდენია. წასვლა მისთვის, ვფიქრობ, თავისი პრინციპების ღალატს ნიშნავდა, უკან დახევას და სულ სხვა ცხოვრებით ცხოვრებას, რაც მას არ შეეძლო...

შედეგი უმძიმესი იყო, სანუგეშო კი ის არის მხოლოდ, რომ საყოველთაო (ან თითქმის საყოველთაო) კომპრომისების დროს ზურამ იშვიათი, თითქმის შეუძლებელი რამ შეძლო - ბოლომდე თანმიმდევრული და თავისი თავის ერთგული დარჩა ურთულეს ვითარებაში. შეძლო ის, რასაც ადამიანი უნდა ესწრაფოდეს, მაგრამ რაც მხოლოდ რჩეულებს ძალუძთ.

დედა ელისაბედი

სიწრფელე ღმერთთან

ეს იყო დიდი ხნის წინ. წელი არ მახსოვს , 13 სექტემბერი კი იყო.

პარლამენტის თავმჯდომარე ფოკაში ჩამობრძანდა, აქედან იწყებდა მოგზაურობას ჯავახეთში. ვერტმფრენი მამათა მონასტერთან დაჯდა. დედათა მონასტერში შემოსვლას არ აპირებდნენ, მაგრამ მოვიდნენ. რატომ, არ ვიცი. ჩვენი დახვედრა იყო ზრდილობიანი და ფრთხილი, განშორება კი - თბილი. ზურა ჟვანიაში ჩვენ კარგი ადამიანი დავინახეთ, ინტერესით სავსე, კეთილგონიერი.

ამის შემდეგ დიდხანს აღარ გამოჩენილა, წლებიც კი გავიდა. მერე კი კვლავ ჩამოვიდა.

ის სტუმრობაც იყო მშვერნიერი და თბილი.

მერე კვლავ გადაიკარგა. მესამედ რომ გვესტუმრა, მგონი, აღარც წასულა. რა თქმა უნდა, სულიერ წასვლას ვგულისხმობ. მას შეუყვარდა ჯავახეთში ყოფნა, ჩემი მონასტერი.

მას საქართველო ძალიან უყვარდა, ეს იგრძნობოდა. მისგან ბევრი სიკეთე მახსოვს, სიყვარული კი - უფრო მეტი.

ზურა ჟვანია არ იყო უბრალო ადამინი, არც ცხოვრება ჰქონდა ადვილი. ამას მასთან არცთუ ახლოს მყოფი ადამიანიც მიხვდებოდა. შეცდომებიც მოსვლია: ეს ყველას ახსოვს. სათნოება ათასჯერ მეტი იყო მის სულში, ვიდრე შეცდომა, მაგრამ ამის შემჩნევა უფრო უჭირდათ.

წელიწადში ორჯერ ჩამოდიოდა ფოკაში , ეგებ ცოტა მეტჯერ რეკავდა. მისახვედრია, რომ მის შესახებ მეგობრულ ამბებს ვერ მოვყვები.

ყველაზე მეტად რაც მახსოვს და მიყვარდა მასში, ეს იყო სიწრფელე ღმერთთან. მე მინახავს, როგორ ლოცულობდა ზურა ჟვანია და დამიჯერეთ, ეს არ იყო უბრალო, რიგითი ლოცვა ლოცვისა და წესისათვის. ვიცი, რომ მაშვრალი და ტვირთმძიმე წარდგა ღვთის წინაშე და მწამს, რომ უფალმა მას განუსვენა.

ნინო სააკაშვილი

რატომ რიცხავდნენ ზურა ჟვანიას უნივერსიტეტიდან

გუშინდელივით მახსოვს ჩვენი პირველი შეხვედრა. 1980 წლის აგვისტო იყო, სახელმწიფო უნივერსიტეტში ბიოლოგიის ფაკულტეტზე მისაღებ გამოცდას ვაბარებდი. გამოცდის დასაწყისში სოსო ლომოურმა იკითხა, ვინმეს ხომ არ სურს ბილეთი აიღოს და მოუფიქრებლად გვიპასუხოსო.

ზურამ არათუ მომენტალურად გადაწყვიტა, პირველი გასულიყო და დაუფიქრებლად ეპასუხა, არამედ გამომცდელებიც და ჩვენც, გამოსაცდელი ბავშვებიც, გაგვაკვირვა ზედმიწევნით სწორი და მეცნიერულად დასაბუთებული პასუხებით, ბიოლოგიის ღრმა ცოდნით და საკითხის განზოგადების უნარით. მახსოვს როგორ გამიტაცა მისი პასუხების მოსმენამ და როგორ დამავიწყდა, რომ ცოტა ხანში მე თვითონ უნდა გამოვცდილიყავი. მთელი მისაღები გამოცდების პერიოდში და შემდეგაც, სანამ სწავლა დაიწყებოდა, არ მავიწყდებოდა და მის შესახებ ყველა ჩემს ახლობელს ვუყვებოდი. სწავლის დაწყების პირველსავე დღეს დიდი სურვილი მქონდა ახლოს გამეცნო ბიჭი, რომლის სახელი მაშინ ჯერ არც კი ვიცოდი. იმ პირველი დღეებიდანვე მე და ზურა ძალიან დავმეგობრდით. ჩვენ გვყავდა ერთი სამეგობრო, ერთი წრე და მთელი სტუდენტობის განმავლობაში ყველანი ერთად ვიყავით თითქმის ყოველდღე უნივერსიტეტში და ლექციების შემდეგაც. ჩვენი მჭიდრო მეგობრობა გაგრძელდა წლების შემდგომაც - როდესაც უნივერსიტეტი დავამთავრეთ, როდესაც დავოჯახდით და მერეც, მთელი მისი ხანმოკლე ცხოვრების ბოლომდე.

სტუდენტობის პირველსავე თვეში ყველასათვის ნათელი გახდა, რომ ზურა იყო კურსზე ყველასგან განსხვავებული, განსაკუთრებული, ფენომენალური გონებისა და შესაძლებლობების ადამიანი. როცა ჩვენ, ყველანი (ასკაციან კურსზე) პირველი კურსის პირველ სემესტრში შესაბამის საგნებს გავდიოდით, ზურა უკვე მესამე კურსის პროგრამას სწავლობდა. მაშინ, როდესაც ჩემი ბავშვური და ახალგაზრდული გადასახედიდან უნივერსიტეტი იყო ყველაფერი, უნივერსიტეტის რექტორობა კი - მაქსიმუმი, რასაც ჩემი ფანტაზია სწავლობდა და რისთვისაც ადამიანს შეეძლო მიეღწია, მეგონა ,რომ ზურა ჟვანია სწორედ უნივერსიტეტის მომავალი რექტორი გახდებოდა.

პირველი კურსის ბოლოს თუ მეორე კურსის დასაწყისში ბიოლოგიის ფაკულტეტზე უცებ აღმოაჩინეს, რომ ზურა ჟვანია კომკავშირის წევრი არ იყო. მოიწვიეს ფაკულტეტის დიდი და საგანგებო კრება, სადაც ერთადერთი საკითხი იდგა: გაერიცხათ უნივერსიტეტიდან არაკომკავშირელი ზურაბ ჟვანია. იყო დიდი ამბავი და აურზაური - როგორ მოხდა, როგორ შემოიპარა, მისაღები გამოცდები როგორ ჩააბარა, ეს როგორ შეიძლებოდაო. კომუნისტების დროს ხომ უნივერსიტეტში მისაღებ გამოცდებზე საბუთების შეტანის ნებასაც არავინ მოგცემდა, თუკი კომკავშირიდან ცნობას არ წარადგენდი დასტურად იმისა, რომ ნამდვილად კომკავშირელი იყავი. ამიტომაც იყო მთელი ფაკულტეტი განცვიფრებული და გაოგნებული. ერთი სიტყვით, კრებაზე ფაკულტეტს უნდა მიეღო საბოლოო გადაწყვეტილება ზურას გარიცხვის შესახებ. იქ ჩვენ, ბავშვებს, არავინ არაფერს გვეკითხებოდა. იქ ყველაფერი ლექტორებზე, კომკავშირულ ხელმძღვანელობასა და ფაკულტეტის დეკანზე იყო დამოკიდებული. კრებაზე ლექტორებისა და პროფესორ- მასწავლებლების აზრი ორად გაიყო: ერთნი კატეგორიულად მოითხოვდნენ ზურას გარიცხვას, სხვები ამბობდნენ, ამ გენიოსის გარიცხვა როგორ შეიძლება, ეს ხომ დიდი შეცდომა და დანაშაული იქნებოდა ჩვენი მხრიდანო. ზურა , როგორც საშინელი დამნაშავე, განსასჯელის სკამზე დასვეს. ძალიან შთამბეჭდავი იყო მისი გამოსვლა, როდესაც მოსთხოვეს ეთქვა, რატომ არ იყო კომკავშირის წევრი. მახსოვს , როგორი სიმტკიცითა და ომახიანად აყალიბებდა იგი თავის პოზიციას და გამოხატავდა უარყოფით დამოკიდებულებას კომკავშირის მიმართ. იმ კრებაზე ჩვენ, ზურას მეგობრები,მას გამოვექომაგეთ და დეკანატს ვთხოვეთ, არ გაერიცხათ. ზურას მხარდამჭერი (ასეთები ბევრნი არ იყვნენ) და მომხრე ლექტორების დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ გადაწყდა, რომ იგი არ გარიცხულიყო ერთი პირობით: თუკი სასწრაფოდ შევიდოდა კომკავშირში. ამ გადაწყვეტილების მიუხედავად, უნივერსიტეტი ისე დავამთავრეთ რომ ზურა, მე

მგონი, მაინც არ გახდა კომკავშირის წევრი. ყოველ შემთხვევაში, კრება ამ საკითხზე აღარავის მოუწვევია.

უნივერისტეტის ბოლო წლებს უკავშირდება ზურას იდეა, შეექმნა პირველი ეკოლოგიური მოძრაობა ქალაქის დასუფთავებისა და გარემოსდაცვის პრობლემების გადაწყვეტის მიზნით. ამ იდეას ბიოლოგების კორპუსში, ფიზიოლოგიის კათედრის ერთ-ერთ ლაბორატორიაში ჩაეყარა საფუძველი. ზურას უნდოდა ამ საქმეში ჩავებით ჩვენ ყველანი - მისი მეგობრები. ისეთი ანთებული იყო ამ იდეით, ისე აწუხებდა ეს პრობლემა და ისე უნდოდა გამოესწორებინა მდგომარეობა ქალაქსა და ქვეყანაში, არ შეიძლებოდა არ გადმოგვდებოდა მისი აღტყინება და არ დავთანხმებოდით. ასე ჩაეყარა საფუძველი საქართველოში პირველ გარემოსდაცვით, ეკოლოგიურ, ახალგაზრდულ და მომავალში პირველ სახალხო მოძრაობას - მწვანეთა მოძრაობას. ზურა ამ იდეით ცხოვრობდა და გვანთებდა ჩვენც - მეგობრებს, ლექტორებსა და დანარჩენ საზოგადოებასაც, ვისთანაც კონტაქტები და ურთიერთობების დამყარების უნარი არასდროს არ აკლდა.

მოგვიანებით, მას შემდეგ, რაც ჩემი შვილი გაჩნდა, თითქმის ოთხი წელი სახლში ბავშვის აღზრდით ვიყავი დაკავებული და გამოვეთიშე ყოველგვარ გარე საქმიანობას, მათ შორის იმ დროისათვის ზურას მიერ უკვე შექმნილი და საკამოდ წარმატებით მოქმედ მწვანეთა მოძრაობას. ზურამ ერთხელ გამომიცხადა: გეყოფა ახლა უქმად ყოფნა, საზოგადოებრივად აქტიური უნდა გაგხადო, რა დროს სახლში ჯდომაა, იმდენი საქმეა გასაკეთებელი, შენ კიდე ,,დარმაედობო''. მომაკითხა და წამიყვანა მუშთაიდში, მწვანეთა ოფისში ,, დასალაპარაკებლად'' და ,,საზოგადოებრივად გასააქტიურებლად''. ასე დაიწყო ჩვენი ,, საზოგადოებრივი აქტივობა'' და მწვანეთა მოძრაობაში ჩართვა. ასევე დაიწყო მრავალი ჩვენი მეგობრისა და არამეგობრისა ,, გააქტიურება'' ზურას მიერ. მას მართლა ძალიან ბევრი ჰქონდა ნაფიქრი ეკოლოგიურ და სხვა მრავალ პრობლემაზე, ყველაფერზე, რაც მაშინ ქვეყანას სტკიოდა და აწუხებდა. მას უნდოდა ძალიან ბევრი რამის შეცვლა თავის საყვარელ და საფიცარ საქართველოში.

ეს იყო ეროვნული მოძრაობის დაწყების წლები, როდესაც ქართველი საზოგადოების გარკვეული, თანდათანობით კი საკამოდ დიდი ნაწილი ზურას ინიციატივით ეკოლოგიურ პრობლემებზე თავისი სათქმელის გადმოსაცემად მწვანეთა ოფისში იკრიბებოდა. ზურასათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თანამოაზრეთა გაერთიანებას ერთი იდეის გარშემო.

მას შეეძლო მიზნის დასახვაც და ამ მიზნამდე მისასვლელი გზების გამონახვაც. მას ჰქონდა ადამიანების შემოკრების არაჩვეულებრივი უნარი. მწვანეთა იდეის გარშემო შემოიკრიბა მეგობრები, თანამოაზრეები და საზოგადოების ათასობით წევრი მთელი ქვეყნის მასშტაბით. მწვანეების გარდა, მაშინ პრაქტიკულად არ არსებობდა სხვა არასამთავრობო ორგანიზაცია და არ იყო მოქალაქეთა აქტივობის გამოვლენის შესაძლებლობა, რასაც ზურა ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა.

მოგვიანებით მე მწვანეთა მოძრაობისა და პარტიის პრესმდივანი გავხდი. მწვანეთა მოძრაობა და პარტა ერთად იყო, ორივეს ზურას სახით ერთი ხელმძღვანელი ჰყავდა და ორივე საქმეში ერთი და იგივე ადამიანები ვიყავით ჩართული.

მახსოვს 1992 წლის საპარლამენტო არჩევნები, რომელშიც მწვანეთა პარტია მონაწილეობდა. წინასაარჩევნო პერიოდში იმდენი საქმე გვქონდა, ღამეების თენება გვიწევდა. 24 საათის განმავლობაში მწვანეების ოფისში ვიყავით. ამ ყველაფრის გული, ინიციატორი და ორგანიზატორი ზურა იყო. მისი დაუშრეტელი ენერგია, იდეები და შემართება დიდი სტიმული და ძალა იყო ჩვენთის. მაშინ მწვანეებმა ზურას თაოსნობით არაჩვეულებრივი კარგი წინასაარჩევნო კამპანია ჩაატარეს და შედეგად ყველაზე დიდი შემადგენლობით მოხვდნენ პარლამენტში.

იმ პერიოდში იქმნებოდა და აქტიურდებოდა მრავალი პოლიტიკური პარტია საქართველოში. თითოეულ პარტიას თავისი ერთგვარი პოლიტიკური პლატფორმა ჰქონდა, მაგრამ საჭირო იყო გარკვეული მოსაზრებებისა და პრობლემების გარშემო მათი გაერთიანება, რისი აზრიც და მნიშვნელობაც ზურას კარგად ესმოდა. ამიტომ იყო იგი პოლიტიკურ პარტიებს შორის, ფართომასშტაბიანი და ხშირი შეხვედრების ინიციატორი, რაც ჩვენს ოფისში რეგულარულად იმართებოდა. საქართველოში პოლიტიკურ პარტიებს შორის დიალოგის კულტურის ფუძემდებელი ნამდვილად არის ზურაბ ჟვანია.

მწვანეებმა ზურას ხელმძღვანელობით ჩვენს ქვეყანაში ბევრი სიახლე შემოიტანეს . 1991 წელს ზურამ საქართველოში პირველმა ჩამოიტანა მოდემი და ელექტრონული ფოსტა. ჩვენ ყველანი გაკვირვებულები ვიყავით ამ მოწყობილობით, რომლის მნიშვნელობა და დანიშნულება, ზურასგან განსხვავებით, არც კი გვესმოდა. ხალხი მწვანეებში ამ სიახლის სანახავად მოდიოდა.

ამერიკაში მისი ერთ-ერთი პირველი ვიზიტის დროს, 90-იანი წლების დასაწყისში, ზურამ გაიცნო ვაშინგტონში მოქმედი ორგანიზაციის ,,აისარი''-ს ვაშინგტონის ოფისის დირექტორი ქალბატონი ელაიზა კლოუზი. მათ შორის გაიმართა საუბარი და ზურამ გამოთქვა სურვილი, რომ ,,აისარის'' წარმომადგენლობა საქართველოშიც გახსნილიყო.

თავის დროზე ,,აისარი'' ძალიან დიდ მისიას ასრულებდა. ის იყო პირველი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელმაც საქართველოში განვითარების პროგრამების და არასამთავრობო ორგანიზაციების შექმნის ხელშეწყობა დაიწყო. ,,აისარი'' იყო ასევე ამერიკასა და საქართველოს შორის არასამთავრობო დონეზე დიალოგის დამყარებისა და თანამშრომლობის ხელშემწყობი ორგანიზაცია. რამდენადაც ,,აისარი'' ზურას ინიციატივით ჩამოვიდა საქართველოში, რა თქმა უნდა, არასამთავრობო ორგანიზაციების ჩამოყალიბების იდეა ჩვენს ქვეყანაში სწორედ მის სახელს უკავშრდება.

ზურას კარგად ესმოდა საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციების არსებობის აუცილებლობა, მან იცოდა, რომ არასამთავრობოები დემოკრატიული საზოგადოების ნაწილს წარმოადგენდნენ. ზურამ დემოკრატიასა და სამოქალაქო აქტივობაზე საუბარი ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში დაიწყო, როცა ჩვენ, მის მეგობრებს, სიტყვა ,,დემოკრატია'' არც კი გაგვეგო. მას ძალიან ადრე, სტუდენტობის წლებშივე გაუჩნდა დემოკრატიული ქვეყნის ხედვა და საქართველოს დემოკრატიულ ქვეყნად ჩამოყალიბების იდეით იყო ანთებული.ჩევნ ეს ყველაფრი მაშინ სრულ უტოპიად და წარმოუდგენლად გვეჩვენებოდა. მას კი სჯეროდა, რომ დადგებოდა დრო, საქართველო აღარ იქნებოდა კომუნისტური და დემოკრატიული ქვეყანა გახდებოდა. ჩვენ ამაზე გვეცინებოდა და მისი ამგვარი ხმამაღალი განცხადებებისა ერთგვარად გვეშინოდა კიდეც. გვეშინოდა მისი აზრების სითამამის და ვთხოვდით, ჩუმად ელაპარაკა ამ საკითხებზე.

ზურა სხვადასხვა საშუალებით ცდილობდა ჩვენს ,,განვითარებას'' და აქტიურად იგონებდა თამაშობებს ამ მიზნით. ასე მოიგონა მან ,,ენციკლოპედიობანა''. დიდი ენთუზიაზმითა და მონდომებით გვათამაშებდა, თანაც, სხვა მრავალ უცხო სიტყვასთან ერთად გვასწავლიდა ისეთი სიტყვების მნიშვნელობას, როგორიცაა ,, დემოკრატია'', ,,პლურალიზმი'', ,,კონსოლიდაცია'' და სხვა. ამ ყველაფერს ისეთი ხალისით, ისეთი მონდომებით და მისთვის ჩვეული იუმორით ახერხებდა, რომ ,, ენციკლოპედიობანას'' თამაშში გართულებს არაერთხელ დაგვთენებია, როცა ჩვენი სამეგობროს წევრთა სახლებში მონაცვლეობით ვიკრიბებოდით.

ცოტა მოგვიანებით, როცა ზურა მწვანეებიდან უფრო დიდ პოლიტიკაში გადავიდა, 1994 წელს, მე ,,აისარში'' დავრჩი, როგორც მისი ქართველი წარმომადგენელი. მაშინ საქართველოში ჯერ კიდევ არ იყო დამკვიდრებული არასამთავრობო ორგანიზაციის იდეა, არასამთავრობოებს თითებზე ვითვლიდით. შესაბამისად, ხელისუფლება არ იჩენდა ერთიან ინტერესს ამ ორგანიზაციების მიმართ. მაგრამ ზურაბ ჟვანიას სახით იყო ადამიანი, რომელმაც იცოდა არა მარტო არასამთავრობოების მნიშვნელობა ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცეში, არამედ მათი სოკოებივით მომრავლებისა და განვითარების პროცესებსაც დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალს. მას ესმოდა ისიც, რომ არასამთავრობო სექტორს ხელისუფლების მხრიდან ხელშეწყობა ესაჭიროებოდა. ფულით მისი მხარდაჭერა თითქმის ცარიელი ბიუჯეტის მქონე ქვეყანას არ შეეძლო, თანაც მნიშვნელოვანი იყო, თუკი ხელისუფლება მათ დააფინანსებდა, არასამთავრობოებს შეენარჩუნებინათ დამოუკიდებლობა და არ მოქცეულიყვნენ მისი გავლენის ქვეშ. ამასთან, მაშინდელი არასამთავრობოებისგან არც ერთს არ სურდა, პოლიტიკასთან ყოფილიყო ასოცირებული , ,,არასამთავრობო'', მათი გაგებით, მთავრობისა და ხელისუფლებისაგან სრულ იზოლაციას გულისხმობდა.

მე და ზურა ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს და არასამთავრობო სექტორის შესახებ ვსაუბრობდით. მე ვუყვებოდი ამ სექტორის მიღწევებსა და პრობლემებზე. მას სურდა მხარი დაეჭირა ჩემი ნებისმიერი ინიციატივისათვის, რაც დაკავშირებული იყო საქართველოში არასამთავრობოების განვითარებასთან.

იმ პერიოდში საქართველოში საამისოდ აუცილებელი საკანონმდებლო ბაზა არ არსებობდა. ზურაბ ჟვანიას პარლამენტის სპიკერობის პერიოდში ,,აისარი'' გამოვიდა ინიციატივით, შექმნილიყო კანონი ,, გრანტების შესახებ'', ვინაიდან საჩუქრის სახით ქვეყანაში არასამთავრობოებისათვის სხვადასხვა სახელმწიფოს მთავრობებისა და ფონდებისაგან შემოსული ფული მთლიანად იბეგრებოდა, როგოც მოგება. კანონი გრანტების შესახებ არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის წარმართვის და დაბეგვრისგან განთავისუფლების საშუალებას იძლეოდა. ზურამ მაშინვე მშვენივრად გაიგო ჩვენი ინიციატივის მნიშვნელობა და ამ კანონპროექტის პირველი მხარდამჭერი გახდა.

ზურას ადგილას სხვა რომ ყოფილიყო, შესაძლოა, ამ კანონისთვის მნიშვნელობა არ მიენიჭებინა, მხარიც არ დაეჭირა და , შესაბამისად, არასამთავრობოებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი კანონი კიდევ დიდხანს არ მიეღოთ საქართველოში.

აღსანიშნავია ისიც, რომ დღეს არასამთავრობო სექტორი საკანონმდებლო საქმიანობაში აქტიურად არის ჩაბმული, მაშინ კი ეს ყველაფერი ახალი იყო და ვერავის წარმოედგინა, რომ არასამთავრობო ორგანიზაცია საკანონმდებლო ინიციატივით შეიძლებოდა გამოსულიყო, თუმცა,

ზურას აქტიური მხარდაჭერით ,,აისარის'' და რამდენიმე სხა არასამთავრობოს მიერ ერთობლივად მომზადებული კანონპროექტი პარლამენტმა მიიღო, რაც პირველი შემთხვევა იყო პოსტსაბჭოთა სივრცეში. ეს იყო ძალიან დიდი გამარჯვება მთლიანად არასამთავრობო სექტორის და ქართული დემოკრატიისათვის.

როდესაც საქართველოსი არასამთავრობოების რიცხვმა თანდათან იმატა, ზურა გამოვიდა ინიციატივით, პირველად საქართველოს ისტორიაში უშუალოდ შეხვედროდა ამ ორგანიზაციებს და მათთან დიალოგი გაემართა. იგი იყო პირველი, ვისაც გაუჩნდა ახლად შექმნილ სექტორთან დიალოგის დამყარების, მისი გაცნობის და მომავალი თანამშრომლობის სურვილი.

1997 წლის 9 მაისს კინოს სახლში დაინიშნა საქართველოს არასამთავრობოებისა და ხელისუფლების პირველი ოფიციალური შეხვედრა. მაშინ ზურა პარლამენტის თავმჯდომარე იყო, მე კი - ,,აისარის'' დირექტორი. კინოს სახლში ეს შეხვედრა ,, აისარის'' მიერ იყო ორგანიზებული.

დიალოგი და თანამშრომლობა, რაც დღეს არასამთავრობო და სამთავრობო სექტორებს შორის არსებობს და უკვე უხერხულად აღარ მიიჩნევა, სწორედ ზურას ინიციატივით, მისი აქტიური მონაწილეობითა და დიდი მხარდაჭერით ჩამოყალიბდა.

ბოლო წლებში, ვარდების რევოლუციის შემდეგ, პრემიერ - მინისტრობის პერიოდში, მიუხედავად ძალიან დატვირთული რეჟიმისა, ზურა მაინც იცლიდა არასამთავრობო სექტორზე საფიქრელად. ჩვენ კვლავაც ვაგრძელებდით შეხვედრებსა და საუბრებს მის როლზე, მნიშვნელობასა და პოტენციაზე. ზურას ძალიან ბევრი და მნიშვნელოვანი იდეა ჰქონდა როგორც არასამთავრობოების, ისე ზოგადად ქვეყნის სამოქალაქო საზოგადოების განვითარების და ხელშეწყობის თვალსაზრისით. იგი ყოველთვის იყო მზად, არა მხოლო მოესმინა ჩემი მოსაზრებები, არამედ მოენახა დრო, რომ ერთად გვემსჯელა. არასამთავრობო სექტორს ზურაბ ჟვანიას სახით დიდი მხარდამჭერი და ქომაგი მოაკლდა. მისი გარადცვალების შემდეგ ხელისუფლებიდან დღემდე არ შემხვედრია ადამიანი, ვინც არასამთავრობოების ხვალინდელ დღეზე, ქვეყნისათვის მათ როლსა და მნიშვნელობაზე ისაუბრებდა ისეთი მონდომებითა და გულშემატკივრობით, როგორც ზურა ჟვანია საუბრობდა.

რუსუდან ფეტვიაშვილი

არასოდეს დამავიწყდება

ბატონ ზურაბს ჩემს შემოქმედებით აღმავლობაში ერთ-ერთი უდიდესი როლი მიუძღვის. 2000 წელს მისი უშუალო დახმარებით და ხელშეწყობით გაიხსნა ჩემი გალერეა-სახელოსნო. ის იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც სრულიად უანგაროდ და დაუყოვნებლივ გამომიწოდა დახმარების ხელი, როცა თხოვნით მივმართე გალერეის გახსნის შესახებ.

ეს თანადგომა არასოდეს დამავიწყდება.

ჩვენს ოჯახს ბატონი ზურაბის ოჯახთან უფრო ადრინდელი ურთიერთობებიც აკავშირებს. ჩემი ალალი ბიძა, ვლადიმერ ფეტვიაშვილი და ბატონი ზურაბის მშობლები მეგობრები და თანაკურსელები იყვნენ და ეს მეგობრობა ბოლომდე გაგრძელდა

ბატონი ზურაბი დამამახსოვრდა, როგორც ძალიან კეთილგანწყობილი, ენერგიული და უშუალო ადამიანი, რომელსაც კარგად ჰქონდა იუმორის გრძნობა განვითარებული. ის არაჩვეულებრივად ნიჭიერი იყო და , სხვა მრავალთა შორის, ხელოვნებაც კარგად ესმოდა - მოულოდნელი ნიუანსების შემჩნევა იცოდა.

მინდა ყოველივე საუკეთესო ვუსურვო ბატონი ზურაბის ოჯახს: მის ძმას, შესანიშნავ დედას - ქალბატონ რემას, მის არაჩვეულებრივ მეუღლეს - ნინოს და ბავშვებს.

დაე, ბატონი ზურაბის შთამომავლებს თავიანთი დიდი ნიჭი და ენერგია საუკეთესოდ გაებრწყინებინოთ საქართველოს სასახელოდ.

ლალი ჟღენტი

ბატონი ზურას ზამთრის ბაღი

ბატონი ზურაბი, როგორც მახსოვს, 2000 წლის გაზაფხულზე გავიცანი.

ერთ დღეს რეკავს მობილური. ნინო, პარლამენტის თავმჯდომარის მდივანი, მეუბნება, ბატონ ზურა ჟვანიას სურს თქვენთან საუბარიო. ,, გამარჯობათ, ქალბატონო ლალი, როგორ ბრძანდებით, შაბათს ხომ არ გეცლებათ, მანქანა მოგაკითხავთ და იქნებ ჩემთან ამობრძანდეთ დიღომში'', - მითხრა ბატონმა ზურაბმა.

გაჩერდა თუ არა მანქანა სახლთან, ბატონი ზურა მაშინვე გამომეგება ლიზასთან და ბუსასთან ერთად, ნინოს კი პაწაწინა ანჩო ეჭირა ხელში. ავედით ,, მესამე სართულზე'', შემინულ ინტერიერში - ძალიან მინდა აქ ზამთრის ბაღის მოწყობა და ხათუნა გოგორიშვილმა თქვენთან დაკავშირება მირჩიაო. ძალიან დამაინტრიგებელი წინადადება იყო, სიამოვნებით დავთანხმდი.

ბევრი ვისაუბრეთ, ვთხოვე ჩემთან მოსულიყო დეკორატიული მებაღეობის ცენტრში, მუშთაიდში, ენახა ჩემი კოლექცია და თავად აერჩია მცენარეები.

მართლაც, ბატონი ზურაბი ორჯერ მოვიდა ცენტრში, მე კი მისი ხშირი სტუმარი გავხდი. პირადად მირეკავდა შუა კვირაში და ვთანხმდებოდით შეხვედრაზე. ბატონ ზურასთან დიღომში შაბათობით ავდიოდი. ყოველთვის სახლში იყო მთელი ოჯახი და აუცილებლად ქალბატონი რემაც. არ მახსოვს, სანამ იქ ვიყავი, ბატონი ზურა სადმე წასულიყო ან სტუმარი მიეღო, მთელ დღეს ბაღს უძღვნიდა, სულ ჩემთან ერთად ფუსფუსებდა, აკეთებდა ყველაფერს დიდი ხალისით-რგავდა, მიწას ცრიდა, ასუფთავებდა, მცენარეების სახელწოდებას იმეორებდა, ყველა ჩართული ჰყავდა საქმიანობაში, დაცვის ბიჭებს მოსვენებას არ აძლევდა. ერთხელ მითხრა, ორი რამ მაოცებს: როგორ იმახსოვრებთ ამდენი მცენარის ლათინურ სახელწოდებას და როგორ შეგიძლიათ ამდენი შრომაო. მე ვუპასუხე: ბატონო ზურა, არსებობს რაიმე, რაც, შესაძლოა, თქვენზე უკეთ მე ვიცოდე-მეთქი? გულიანად გაიცინა. ყველაზე მნიშვნელოვან საქმეს ქალბატონი რემა აკეთებდა, რომელიც სამზარეულოში ფუსფუსებდა და გემრიელ საჭმელს გვიმზადებდა. დღის ბოლოს, როგორც წესი, ბატონი ზურა მაგიდასთან გვეპატიჟებოდა. ვსადილობდით მთელ ოჯახთან ერთად. ბატონი ზურა აუცილებლად დგამდა მაგიდაზე ღვინოს და აღნიშნავდა ხოლმე მის წარმომავლობას.

ყოველ ასვლაზე ვცდილობდი, რაღაც ახალი მცენარეები ამეტანა და ბატონი ზურას ბავშვური აღტაცება დამენახა.

ერთხელ ძალიან შეწუხებულმა დამირეკა, ჩემი საამაყო ზამთრის ბაღი ,, საძაგელმა'' მამუკამ გამიყინაო. მართლა ძალაინ შეწუხებული იყო. თქვენ არ იდარდოთ, ყველაფერს აღვადგენ-მეთქი, დავამშვიდე, და ორ კვირაში ბატონი ზურა ისევ ტკბებოდა თავისი ბაღით.

იმ დროს პარლამენტიდან უკვე წამოსული ვიყავი. ბატონი ზურა მეუბნებოდა, უნდა დაგაბრუნო აუცილებლადო. ასლან სიდამონიძემ დამირეკა და მითხრა, ბატონ ზურაბ ჟვანიას დავალებით პარლამენტში უნდა დაგაბრუნოთო. მე ვუპასუხე, დიდი სურვილი არ მაქვს-მეთქი. ეს იყო ჩემი შეცდომა, რადგან ამ პასუხით, როგორც შემდეგ მივხვდი, ბატონ ზურას ვაწყენინე. ერთი თვე აღარ მირეკავდა, მაგრამ, მადლობა ღმერთს , მერე შევრიგდით.

მასთან ურთიერთობისას თავი არათანასწორად არასოდეს მიგრძნია. გასაოცრად უბრალო და ბუნებრივი იყო. აინტერესებდა ყველაფერი, მათ შორის ჩემი ოჯახის ამბებიც. მურა როგორ არის, იკა რას შვრებაო, ძალიან შინაურულად მკითხავდა ხოლმე, ძალინ ყურადღებიანი იყო. ერთხელ რაღაც ვთხოვე და გაოცებული დავრჩი, ისე შეიწუხა თავი ჩემი პრობლემის მოსაგვარებლად. სულ მირეკავდა, ყოველი დეტალი აინტერესებდა. არც კი ვიცი, რითი დავიმსახურე ასეთი ყურადღება, ან სად პოულობდა ამდენ დროს. ახლაც ნათლად მაგონდება ყველაფერი... სად არის ეს დიდი და კეთილი ადამიანი?... გეფიცებით, სულ მეტირება...

ნიკა მემანიშვილი

ასეთი ადამიანები გენიალურები არიან

ჩემთვის სიამოვნება იყო ზურასთან შეხვედრა. მისი ერთი განსაკუთრებული თვისება მაოცებდა და ყოველთვის აღტაცებაში მოვყავდი: ღრმა წვდომა ჩემი სფეროს მიმართ.იმგვარ ანალიზს, ისეთ დასკვნას, მოსაზრებას ან პერსპექტიულ ხედვას თვით გამოცდილი მუსიკისმცოდნე, მუსიკოსი ვერ გააკეთებდა, ვერ იტყოდა. ვციდლობდი, ზურასთან შეხვედრისას ბევრი კითხვა დამესვა, მისი პასუხები მომესმინა, ზოგადად რას ფიქრობდა ხელოვნებაზე, მუსიკაზე ,კულტურაზე. როგორიც იყო მისი ცნობილი დამოკიდებულება ევროპასთან საქართველოს ინტეგრაციის მიმართებაში, დაახლოებით ქართული მუსიკის პერსპექტივასაც ამ კონტექსტში განიხილავდა და ჰქონდა ძალიან საინტერესო მოსაზრებები და მიზნები იმისთვის, რომ ქართული ხელოვნება, მუსიკა, საკომპოზიტორო და საშემსრულებლო დონე და ხარისხი ევროპისას გატოლებოდა და შემდეგ მომხდარიყო ინტეგრირება. ბოლო შეხვედრაზე ჩვენ სწორედ ამ პერსპექტივაზე ვიმსჯელედ და, მისი ხედვით, მე ამაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიმეღო. რა თქმა უნდა, მისი ხსოვნის პატივსაცემად ყველაფერს გავაკეთებ და ჩემს წვლილს შევიტან ამ საქმეში. დღეს ყველამ, რაც შეგვიძლია, ის უნდა ვაკეთოთ...

მე ჩემს სფეროში - მუსიკაზე - ვსაუბრობ, მაგრამ ზურა ყველა სფეროში, ყველაფერში ასევე იყო ჩახედული და გარკვეული. ამიტომაც მიმაჩნია, რომ ასეთი ადამიანები არიან უივერსალურები, გენიალურები. დიახ! - გენიალურები! მე არ ვერიდები ამ სიტყვის თქმას. სიცოცხლეში არ ვაღიარებთ და გარდაცვლილზე ვამბობთ. ზურაბ ჟვანია იყო გენიალური პიროვნება; მისი გარდაცვალება ისეთი ძლიერი დანაკარგია, რომლის შევსება შეუძლებელია. ქართულ მუსიკას, ხელოვნებას, კულტურას დღეს, ამ წუთში, დაობლების განცდა აქვს. ვინაიდან ასეთი პატრონი, გულშემატკივარი და გზის გამკვლევი დღევანდელ პოლიტიკურ სპექტრში, დარწმუნებული ვარ, სხვა არ მოიძებნება. ამის გამო ჩვენი სევდა და ტკივილი განუზომელია. ყოველთვის მსაყვედურობდა, კონცერტებს ხშირად რატო არ მართავო. ბოლო დღეს მეჩხუბა: არ დამენახო სანამ ახალ ნაწარმოებს არ დაწერ და ყველაფერს არ გააკეთებ მის შესასრულებლადო. როცა მე, საკმაოდ პატარა, ვენაში მიმიწვიეს სასწავლებლად, ზურაბ ჟვანია იყო ჩემი ერთადერთი შემწე და დამხმარე. მან ყველაფერი გააკეთა, რათა განათლება დასავლეთში მიმეღო და ჩემი შემოქმედებითი წინსვლა მომხდარიყო. ნიჭიერების ასეთი დამფასებელი ძალიან ცოტაა ჩვენს ქვეყანაში. შინაგანად ქველმოქმედი, მეცენატი იყო, რაც პოლიტიკოსისათვის იშვიათია და არ არის აუცილებელი. ზურას სურდა,რომ ს საქართველოს მომავალი ყოფილიყო ძლიერი, ნიჭს გზა გახსნოდა. ამისთვის დააარსა წინანდლის პრემია, პრეზიდენტის სტიპენდია და გრანტები, მოიფიქრა და გააკეთა ბევრი რამ. მე მორწმუნე ადამიანი ვარ და მწამს, რომ ჩვენი საქმით შეგვიძლია ზურა იქ გავახაროთ, ის კი ზეციურ საქართველოდან უფრო შეიძლება წაადგეს თითოეულ ჩვენგანს, მთელ ქვეყანას, იქიდან ილოცებს საქართველოს კეთილდღეობისათვის.

პარლამენტის უწყებანი

N 001,01.02.2005

დათო დოიაშვილი

ყველასგან განსხვავებული თვისება - დიდი იმედი

არიან ადამიანები, რომელთაც მაინცდამაინც არ უყვართ პოლიტიკოსები, არ ეტრფიან მათ კარიერას და მისწრაფებებს, იმათ შორის ვარ მეც. მინდა ვიცხოვრო ისე, რომ არ ვიცოდე, ვინაა ჩემი ქვეყნის პრეზიდენტი, მაგრამ ზურაბ ჟვანია ჩემთვის იყო აბსოლუტურად გამონაკლისი: ერთობ საინტერესო და განსხვავებული თავისი ერუდიციით, ცხოვრების წესით, ურთიერთობის ფორმით, თანაბრად იყო ჩახედული, გარკვეული ყველაფერში, ყველა სფეროში. მე ძალიან დიდ პატივს ვცემდი მას იმის გამო, რომ ის იყო ქართველი ხელოვნების ნამდვილი ტრფიალი. კიდევ ერთხელ ხაზგასმით მინდა ავღნიშნო: იმდენად კარგად ერკვეოდა ყველა დეტალში, იმდენად ზუსტი შენიშვნა მოუცია ჩემთვის რომელიმე პროექტსა თუ კონცეფციასთან დაკავშირებით, რომ სახტად დავრჩენილვარ. ეს ის იშვიათობაა, რომელიც ან განმეორდება, ან - არა...

ზურას ჰქონდა (ძალიან მიჭირს მასზე ნამყოში საუბარი, რაიმეს თქმა) ერთი არაჩვეულებრივი, ყველასაგან განსხვავებული თვისება - დიდი იმედი. არასოდეს გაიმედებდა, სიტყვიერად არასოდეს გეტყოდა საიმედოს, მისი პიროვნებიდან, მისი ქმედებიდან გამოსჭვიოდა ეს. შევხვდებოდით, რაღაც პრობლემებზე ვისაუბრებდით, ერთი- ორი თვის შემდეგ შეხვიდოდი და გეგონა, რომ კონკრეტულად სულ ამ საკითხზე ფიქრობდა, არჩევდა, აანალიზებდა, თანაც ძალიან ზუსტ და ამომწურავ პასუხს გეუბნებოდა - ხუმრობით, სატირით, არაჩვეულებრივი იუმორით... აი, ამით გაიმედებდა. მე ასეთი მახსოვს ზურაბ ჟვანია. მისი ფენომენი არ განისაზღვრება რომელიმე კონკრეტულ საქმეში დახმარებით(როგორც შჩვევიათ პოლიტიკოსებს), თუნდაც, რაც მან გააკეთა მუსიკალური კომედიის თეატრისათვის, ,, ჯინსების თაობაში'' გვერდში დაგვიდგა და კიდევ რამდენი რამ, მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ ყველაფერს განიხილავდა მასშტაბურად და გლობალურად . ჩემთვის მნიშვნელოვანია, რაც მან ჩემს მეგობარ ნიკას გაუკეთა, პატარა ბიჭში აღმოაჩინა ტალანტი, ვენაში გააგზავნა სასწავლებლად და წლების მანძილზე მისი სწავლის ფულს იხდიდა, მაგრამ ეს ნიკას სწავლის დასრულებით არ დამთავრებულა - თვალყურს ადევნებდა, როგორ მუშაობდა აქ, რას აკეთებდა საზღვარგარეთ, რას აპირებდა დღეს, ხვალ, ზეგ... როცა ასეთი დამოკიდებულება არსებობს, გიჩნდება სურვილი, რომ რაღაცა გააკეთო, გრძნობ, რომ ვიღაცისათვის არსებობ, ვიღაცას სჭირდები და შენი საქმე აინტერესებს. არიან ადამიანები , რომლებიც შენი პრობლემებით ინტერესდებიან (ამისთვის დიდი მადლობა მათ), მაგრამ პრობლემას მხოლოდ დღეისათვის გიჭრიან, ზურა კი ბოლომდე მოგყვებოდა, მთლიანად იხარჯებოდა, ყოველთვის გვერდში გედგა. აი, ეს განასხვავებდა ზურა ჟვანიას ასე მკვეთრად სხვა პოლიტიკოსებისაგან.

პარლამენტის უწყებანი

N001,01.02.2005

ქეთი დოლიძე

გმადლობთ, ჩემო პრემიერ- მინისტრო!

ზურა ჟვანია...

მასზე სიტყვის თქმა, მისი მოგონება, იოლიცაა და ძალიან ძნელიც. არ მინდა პათეტიკაში გადავვარდე და არც ემოციის გარეშე შემიძლია ვილაპარაკო ზურაზე.

მე მასთან პოლიტიკამ დამაკავშირა, მაგრამ ჩვენი ახლობლობა პოლიტიკაზე არ იყო დაფუძნებული.

ბევრი უსამართლობის, ჩვენი პოლიტიკური უმწიფრობის გამო დატრიალებულმა მოვლენებმა საზოგადოების დიდი ნაწილი კინოსახლის მეოთხე სართულის მცირე დარბაზში შეგვყარა.

ეს 1991 წელს იყო...

მაშინ ზურას გასაოგნებელმა გამჭრიახობამ, ლოგიკურობამ, არაჩვეულებრივმა ანალიზის უნარმა მომნუსხა. როგორი ახალგაზრდა იყო!

მაშინვე ვიფიქრე, რომ ეს მისი ასაკისთვის საოცარი განსწავლულობა, მართლაც განსაცვიფრებელი ინტელექტი, აუცილებლად სულ მალე გამოადგებოდა საქართველოს. ზურა ჟვანიამ კომეტასავით გაიელვა საქართველოს ისტორიის ერთი მოკლე მონაკვეთის კაბადონზე. ის ძალიან, ძალიან სჭირდებოდა თავის ქვეყანას და, როგორც მიღებულია საქართველოში, ამიტომაც მოაშთვეს. ამ დანაკლისს კიდევ დიდხანს ვერ აინაზღაურებს ქართული პოლიტიკური არენა.

არ არსებობს გამჭრიახი ადამიანი , რომელსაც ადვილად იტანდნენ ჩვენში. ურჩევნიათ ნაცრისფერი შემსრულებლები , მოწამლული კომკავშირელებივით ერთი ადამიანის ნებაზე აწყობილები რომ ასრულებდნენ ნებისმიერ დავალებას.

ამ მოგონებას იანვრის ბოლოს ვწერ. 2008 წლის იანვარია. ორ თვეზე მეტი გავიდა იმ კოშმარული 7 ნოემბრის მერე, რაც ჩვენ გადავიტანეთ. არ გასულა მას შემდეგ არც ერთი დღე, ზურაზე რომ არ მეფიქრა. არაფერი მსგავსი არ მოხდებოდა, ზურა რომ ყოფილიყო. საერთოდ, ზურა სულ სხვანაირად აწყობდა საქართველოს პოლიტიკას და მისგან ამდენი უგნური ნაბიჯი წარმოუდგენელი იქნებოდა.

ისე მოხდა, რომ ადამიანებს 7 ნოემბრის მერე სხვაგავარად ვაფასებ, - იქიდან გამომდინარე, რამდენად ამართლებენ იმ საშინელებას და უგუნურებას, რაც მაშინ თავს დაგვატყდა.

ზურას ყველაზე დიდი ხიბლი, როგორც ადამიანისა და პოლიტიკოსისა, იყო პოპულიზმისა და მეტიჩრობის, იაფი პიარის სრული მიუღებლობა. ის იქცეოდა, როგორც ნამდვილი , ჭკვიანი ევროპელი პოლიტიკოსი, თუმცა ევროპაშიც უკვე იშვიათად იპოვი ასეთ გაწონასწორებულ და თითქმის წინასწარმეტყველ მოაზროვნეს.

ერთხელ, მასთან ერთ-ერთი იშვიათი შეხვედრის დროს, მე და ზურა ერაყის ომზე ვლაპარაკობდით. მე ჩემი შთაბეჭდილება გავუზიარე . ერაყის ომის დაწყებისას ნიუ-იორკში

ვიყავი და ყველაზე მეტად გამაოგნა და დამზაფრა იმან, რომ ეს ომი ტელევიზიით პირდაპირ ეთერში მიმდინარეობდა. ამერიკის ყველა არხი, ასობით ტელეკამერა, ოპერატორი, რეპორტიორი სიცოცხლის ფასად გვაწვდიდნენ ნიუსებს: როგორ აფეთქებდნენ, კლავდნენ, ,,ათავისუფლებდნენ'' ერაყს. ეს იყო ფსიქოლოგიური შოკი და იმ ეპოქის დასაწყისი (თუ დასასრული?!), როდესაც ადამიანები ამ ცოდვილ დედამიწაზე უნდა მიხვდნენ, რომ ისინი არაფერს წყვეტენ... იქნებ ამიტომაც მოხდა 11 სექტემბერი, რომლითაც, ფაქტობრივად, მესამე მსოფლიო ომი დაიწყო?

დიდხანს ჩუმად ვისხედით. ეს ისეთი წუთები იყო, როგორიც მხოლოდ ძალიან ახლობელ ადამიანებთან გადამიტანია...

ზურა რომ ყოფილიყო, თბილიში ჯორჯ ბუშის პროსპექტი არ იარსებებდა...

გენიოსი იყო კლდიაშვილი, რომელიც XX საუკუნის სასაწყისში ამბობდა თავისი გმირის, გალაქტიონ ხოსოლიანის პირით: ,, დამიფარეთ, ბატონო, ამ კეთილი მეზობლისგან!'' მეზობელი იგივე გვყავს, ახლა მას შორეულიც დაემატა...

ზურამ ნამდვილად იცოდა გზა, რომელიც გალაქტიონ ხოსოლიანის მდგომარეობაში არ ჩაგვაყენებდა.

მომწონდა მისი ურთიერთობა სარწმუნოებასთან - არასოდეს თვალში საცემი, მაგრამ ღრმა და მოკრძალებული. აქაც სრული არმიღება ყოველგვარი პიარისა.

გული მწყდება, რომ ჩემი თავშეკავების გამო იშვიათად ვხვდებოდი.

ახლობელი იყო ჩემთვის, მაგრამ თავს უფლებას ვერ ვაძლევდი , მისთვის მეგობარი მეწოდებინა. თუმცა მე ნამდვილად ვიყავი მისი მეგობარი.

ერთხელ, ალბათ, ვაწყენინე: თავისი დემოკრატიული პარტიის საპატიო დამფუძნებლობა შემომთავაზა. ძალიან მოკრძალებულად ბოდიში მოვუხადე და უარი ვუთხარი. ავუხსენი, რომ ჩემს პრინციპს ვუღალატებდი, რადგან არც ერთ პარტიაში არ მინდოდა არანაირი სახით ყოფნა. ახლა ვნანობ, ძალიან ვნანობ, რადგან შემეძლო მის გვერდით უფრო ხშირად ვყოფილიყავი.

მაშინ მან ეს გამიგო...

ზურა ვერ იქნებოდა სხვანაირი, რადგან ასეთი დედა ჰყავს, ასეთი მეუღლე, ძმა, ასეთი მამა ჰყავდა, საოცარი...

ზურამ გაიზიარა იმ რჩეულ ადამიანთა ბედი, რომელთათვისაც ვერა და ვერ უპატიებიათ სიბრძნე და გამჭრიახობა. ,,კარგი რამ მჭირდეს, გიკვირდეს, ავი რა საკვირველია'' - ჩვენ არ ვთქვით განა?

ერთხელ ერთად ვიმგზავრეთ თვითმფრინავით. ვისხედით და თითქმის 7 საათი თეატრზე ვლაპარაკობდით. იმდენად ცოტა ვიცოდი ამ სფეროს შესახებ, რომ ღრუბელივით მინდა ყველაფერი შევიწოვოო... ბევრ რამეზე ვილაპარაკეთ. იმ მგზავრობის შემდეგ ორივემ ვთქვით, რომ მეგობრები ვართ.

მოსმენის საოცარი უნარი ჰქონდა. როცა რამეზე ესაუბრებოდი, გეუფლებოდა შეგრძნება, რომ იმ წუთში ამაზე მნიშვნელოვანი მისთვის არაფერი იყო. და ამას არ ტყუოდა.

რა თქმა უნდა, როგორც იშვიათად ნიჭიერი პოლიტიკოსი, დიდძალ ინფორმაციას ფლობდა და დიპლომატიის გამო იაფფასიანად არასდროს არაფერს იყენებდა, მაგრამ ძალიან ძლიერი იყო და ამიტომ ევროსაბჭოზე ნათქვამი, მკაცრად ნათქვამი - ,, I am Georgian, therefore, I am European'' - შოკის მომგვრელად გაისმა ასამბლეის დარბაზში. და არავის ამაში ეჭვი არ შეჰპარვია!

ეს ფრაზა დემოკრატიისკენ სავალ ურთულეს გზაზე ყველაზე მნიშვნელოვან ფრაზად დარჩება საქართველოს ისტორიის ამ მონაკვეთზე.

ნურავინ დაიბრალებს ,,ვარდების რევოლუციის'' ნამდვილ რეჟისორობას. ეს ზურა ჟვანია იყო.

რევოლუციის მერე მხოლოდ ერთხელ შევხვდით ერთმანეთს. ბოდიში მომიხადა, რომ დრო ვერ გამონახა ჩემთან სასაუბროდ. მე ვეხუმრე, თქვენ ახლა სად გცალიათ-მეთქი. მიპასუხა, შენთან სალაპარაკოდ თუ არ მოვიცლი, ბევრი რამ გამისხლტება ხელიდანო. მარტო მე არ მგულისხმობდა, რა თქმა უნდა.

მას თვითონ სჭირდებოდა ჩვენთან ურთიერთობა, რადგან იცოდა, სხვის სატკივარს ვეტყოდით და არ უნდოდა, რამე გამოჰპარვოდა...

ორი თვის შემდეგ კი...

პასუხი ვერავინ მიიღო. ეს დუმილი ჩვენი კიდევ ერთი შეურაცხყოფაა. მაგრამ ზოგიერთს ავიწყდება, რომ მუდმივი არაფერია ამქვეყნად და გაუმჟღავნებელი არაფერი რჩება. ისტორია ტყუილს ვერ იტანს...

სანამ ვარსებობთ, ზურა ყოველთვის იქნება ჩვენთან. პასუხიც გამჟღავნდება.

საქართველოს ისტორია კი შემოინახავს უჭკვიანესი პრემიერ- მინისტრის ჩვენთვის ყველაზე ძვირფას ფრაზას: ,, I am Georgian, therefore, I am European''

გმადლობთ ამისთვის, ჩემო პრემიერ-მინისტრო!!!

გარი კალამკაროვი

წახვედი, მაგრამ

(ზურაბ ჟვანიას ხსოვნას)

უეცრად კვლავ დაირეკა ზარი,

გამოგვეცალა სიბრძნის მშვენება,

როცა საძირკველს უჩნდება ბზარი,

ზიანს განიცდის ქვეყნის შენება.

წახვედი, მაგრამ შენი აჩრდილით,

შენი ხსენებით ცა იწმინდება,

ვინ მოწყვეტილი ტოტიდან ხილი

მერე უფრო და უფრო მწიფდება.

დღისით გალობა ისმის სიონში,

ეხმიანება თბილისს აბაშა,

შენ განისვენებ იმ პანთეონში,

სადაც თავიდან დაკრძალეს ვაჟა.

მერე მთა მთასთან არ დარაჩა ვალში,

შენი სული კი, უფალს წვეული,

მოჩანს მომავლის ვარდების ბაღში,

მაღალ კვარცხლბეკზე ძეგლად ქცეული.

მართა თარხნიშვილი-ინგილო

კარგ მოყმეს

ბალღებ დაგრჩა ობლები,

ვითარც ნუკრები შვლისაო.

მამას გეძახდნენ მრავალნი,

მამობრივს რა წაშლისაო.

,,ჯერ დედას გადავეხვევი

მერე ცოლსა და შვილსაო'',

თურმე ასეთი ყოფილხარ,

გგლოვობთ დაკარგულ შვილსაო.

რწმენის ერთგული იყავი

და ქვეყნის არდაშლისაო.

უფლის სიყვარულს ზეცაში

ვერც ვერვინ დაგიშლისაო.

გარდაცვლის შემდგომაც გვიგზავნი,

საჩუქრებს მაღლით ცითაო.

ღვთისმშობლის ხატი გვიბოძე,

პირადით, არა სხვისაო.

ზოია ბეზოიანი

გინდ დაიჯერე , გინდ არა

აბა რაღა ვთქვა , ვცხოვრობ ჯავახეთს ერთ მთიან სოფელში, ზღვის დონიდან 2080 მეტრის სიმაღლეზე, ფარავნის ტბის ნაპირზე, აბულის მთის კალთაზე - მისი სახელი ფოკა.

მე ძალიან მიყვარს ჩვენი სოფელი და ჩვენი ტბა. ის საქართველოს ტბებში მოცულობით ყველაზე დიდია, ამ ტბაში ბევრი სხვადასხვა ჯიშის თევზი ბინადრობს. აქ გაზაფხულზე მოფრინავენ ულამზესი ფრინველები, მინდორ-ველი გვიან შემოდგომამდე ფერად-ფერადი ყვავილებით არის მოფენილი.

აქ წლის მეტი ნაწილი მკაცრი ზამთარია, დიდი თოვლი მოდის, ძლიერი ქარბუქით გზები იკეტება და ექვსი თვის განმავლობაში სოფელი ყველასა და ყველაფერს მოწყვეტილია. ტბა ისე იყინება, რომ მის ზედაპირზე ტრაქტორებიც კი დადიან.

ზამთარში , თითქოს სიცოცხლე შეწყდაო, იყინება მთები, ხევები, მინდვრები, თოვლის სქელ საბანშია ყველაფერი გახვეული, თითქოს აბულის მთაზე ყინულის დედოფალი ზის და იქიდან განაგებს მთელს ჩვენს სამყაროს. ზოგჯერ ისეთი ქარბორბალა ამოვარდება, ორი-სამი დღე სკოლაში წასვლაც კი გვიჭირს. გაზაფხული ისეა გადაბმული ზამთარზე, არც შეიმჩნევა, უფრო გამოკვეთილი აქ ზაფხულია.

ზაფხულის მოსვლისთანავე ისევ იღვიძებს ბუნება, ბრუნდება სიცოცხლე. მინდვრები და საძოვრები ისევ ივსება ცხვრებით, ძროხებით, ისმის პირუტყვის ბღავილი, მწყემსების გადაძახილი.

ბუნების მსგავსასად , ხახლხიც შავი, მკაცრი და მიუკარებელია. ძნელად ეგუებიან ყოველგვარ სიახლეს და ცვლილებებს. ძირითადად მესაქონლეობას, მეფუტკრეობას და მეთევზეობას მისდევენ.

ეს ის სოფელია, სადაც წმინდა ნინომ ფარავნის ტბის ნაპირებთან ღამე გაათია. სწორედ ამიტომ გაიხსნა ამ სოფელში წმინდა ნინოს სახელობის დედათა მონასტერი, რომელმაც ჩვენს სოფელში სინათლისა და იმედის სხივი შემოიტანა და ჩვენი ერთფეროვანი ბავშვური ცხოვრება მთლიანად შეცვალა.

ეს ყველაფერი ასე დაიწყო: ისინი ტაძრის მახლობლად ერთ პატარა სახლში დასახლდნენ. მათ მოსვლას სოფელში სიხარული და თანადგომა არ მოჰყოლია. შრომობდნენ ფუტკრებივით, მოიშენეს პირუტყვი, დათესეს კარტოფილი, ხორბალი. დაუახლოვდნენ მეზობლებს, დაიწყეს სომხური ენის შესწავლა და ყინულიც ნელ-ნელა გალღვა.

აღმოჩნდა, რომ მონასტრის წევრებმა ბევრი კარგი რამ იცოდნენ: ქარგვა, კერვა, მუსიკა, ხატვა. მოსახლეობა თანდათან დაინტერესდა მათი ცხოვრებით, ზოგს სამომავლოდ ინგლისურის, რუსულის, ქართულის სწავლა აინტერესებდა, ზოგს - ხატვა. ისინი ყველას ეხმარებოდნენ, თუმცა ამის პირობები არ ჰქონდათ. შემდეგ მათ მცირერიცხოვან ,, ოჯახს'' ჩვენი ქართული ენის მასწავლებელი კლარა ფოცხვერაშვილი შეემატა. იგი კეთილი ბუნების და სათნო ხასიათის ქალია. ძალიან უყვარს ბავშვები. ალბათ დიდი შრომა დასჭირდა იმისათვის, რომ ჩვენთვის ქართული ენაა შეეყვარებინა. რადგან ქართული წიგნები არ გვქონდა, გაკვეთილზე ვსწავლობდით თამაშებს ქართულად, ლექსებს, ანდაზებს, ვავსებდით რებუსებს. ამ თამაშით იმდენი ქართული სიტყვა ვისწავლე, რომ ახლა დამოუკიდებლად ვკითხულობ ქართულად მოთხრობებს და ზღაპრებს.

ერთ მშვენიერ დღეს იღუმენია ელისაბედის კურთხევითა და საქართველოს პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას დახმარებით მონასტერთან საკვირაო სკოლა გაიხსნა. მე ამ სკოლის პირველი მოსწავლე ვარ. გაიხსნა ინგლისური, ხატვის , დრამატული წრის, შემდგომში- მუსიკის ჯგუფები.

ალბათ ისიც დაუჯერებლად მოგეჩვენებათ, რომ ოცდამეერთე საუკუნეში არც მოსახლეობას და არც სოფლის სკოლას პიანინო არ ჰქონდა. ზოგს, ალბათ, არც ენახა, როდესაც საკვირაო სკოლაში პიანინო მოიტანეს, მთელი სოფლის ბავშვები მის სანახავად გავცვივდთ. ყველა ცდილობდა მისთვის ხელი შეეხო. მასწავლებლის დახმარებით შევისწავლეთ ქართული სიმღერა, ნოტები, დედა რებეკას მეშვეობით კი - ინგლისური.

ყველაზე საინტერესო მაინც დრამატული ჯგუფი გამოდგა. ამ ჯგუფში ორმოცამდე მოსწავლეა გაერთიანებული. ჩემი პირველი როლი წითელქუდა იყო. დღეში ორ-სამ საათს ვმუშაობდი კლარა მასწავლებელთან ერთად, რომ წითელქუდას დავმსგავსებოდი. გამართული ქართული მეტყველება მქონოდა. მონასტრის დედების დახმარებით გავაკეთეთ დეკორაცია, შევარჩიეთ ტანსაცმელი. სტუმრებისთვის დავარიგეთ მოსაწვევი ბარათები. სპექტაკლი ახალი წლისთვის უნდა დაგვედგა. გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, ჩვენი საახალწლო ნაძვის ხის მსგავსი ლამაზი და მომაჯადოებელი ნაძვის ხე არსად მინახავს. მთელი ოთახი ისე იყო მორთული ნაძვის ტოტებით, მართლა ტყეში გეგონებოდა თავი. როცა სცენაზე ავედით, ძალიან ვღელავდი,რადგან ჩვენი საპატიო სტუმარი პრემიერ-მინისტრი ბატონი ზურაბ ჟვანია იყო. არ დამავიწყდება მისი გაბრწყინებული, სიყვარულით სავსე თვალები. სპექტაკლის დამთავრების შემდეგ ყველას მოგვეფერა, საჩუქრები გადმოგვცა და ჩვენთან ერთად სამახსოვრო სურათები გადაიღო.

ბატონმა ზურაბ ჟვანიამ თითქოს ფოკისკენ მომავალი გზა გაუხსნა ბევრ სახელმწიფო მოღვაწეს და ცნობილ ადამიანებს. ჩვენთან სტუმრად იყვნენ პარლამენტის თავმჯდომარე ქალბატონი ნინო ბურჯანაძე, საქართველოს პირველი ლედი სანდრა რულოვსი, ამერიკისა და ინგლისისი ელჩები, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი დანიელი, ომის და შრომის ვეტერანები. ყველა ჩვენი კონცერტი საჩუქრებითა და სამახსოვრო სურათების გადაღებთ მთავრდებოდა.

ძალიან მძიმე დღე იყო ჩვენთვის, როცა გავიგეთ ბატონი ზურაბ ჟვანიას, ჩვენი საყვარელი ადამიანის მოულოდნელი გარდაცვალების ამბავი. ტელევიზიით ვუყურებდით მის დაკრძალვას და ბავშვები ვტიროდით. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ქალბატონი ნინო ჟვანია გვესტუმრა. ჩვენი დანახვა გაუხარდა, ყევლას მოგვეფერა და გვითხრა, რომ ბატონი ზურას გადმოცემით ჩვენს შესახებ ბევრი რამ იცოდა, რომ ჩვენ მას ყველა ვუყვარდით.

ამდენი ადამიანის შექებამ და სიყვარულმა ჩვენზე დადებითად იმოქმედა. დედათა მონასტერი ჩვენთვის ყველაზე საყვარელ ადგილად გადაიქცა. ვფიქრობდი მომავალ სპექტაკლზე, ახალ როლებზე, დავდგით ქართული ხალხური ზღაპრები: ,, კომბლე'', ,,გვრიტი'', ,,ხუთი გოჭი'', ,,ეშმაკი მელია'', ჭაბუა ამირეჯიბის ,, ჭორიკანა კაჭკაჭი''. ჩავატარეთ პოეზიის საღამო.

ჩვენი სოფლის ბავშვებისათვის უცხოა ბაღი, ვენახი, ბოსტანი, კულტურული მცენარეები. შეიძლება ბავშვმა ამა თუ იმ ხის ნაყოფი იცოდეს, მაგრამ არ იცოდეს, როგორი მცენარე ისხამს მას, როგორი ფოთოლი აქვს, როგორი ყვავილი.

დედათა მონასტერმა და ჩვენმა პედაგოგებმა კიდევ ერთი სამახსოვრო ღამაზი დღე გვაჩუქეს: ,, შემოდგომის დღესასწაული''.

ოთახი, სადაც ზეიმი ჩატარდა, შემოდგომის ჯადოსნურ ბაღს ჰგავდა, ყველანაირი ხილის აკიდო იყო ფოთლებითა და ნაყოფით, აქ იყო საწნახელი, ორშიმო, ქვევრი, ჩურჩხელები, ფელამუში, ქვევრის სარცხი, თიხის დოქები, ხავსი, ფერად-ფერადი ფოთლები. ჩვენ ხომ ეს

ყველაფერი პირველად ვნახეთ. ბავშვებმა ,, შემოდგომის დღესასწაული'' წარმოვადგინეთ: სიმღერით, ლექსებით, მონტაჟით.

ვიდეოკამერით გადავიღეთ ყველა სპექტაკლი და ზეიმი. ბევრი ვიცნიეთ, როცა ჩვენი თავი სხვადასხვა როლში ვნახეთ.

ახლა საკვირაო სკოლაში ბევრი ბავშვი დადის, ბევრს კიდევ მოსვლის სურვილი აქვს. სოფელი კმაყოფილია.

აბა, რაღა ვთქვა, ვცხოვრობ ერთ მთიან სოფელში, სადაც ცხოვრება საინტერესოდ და ხალისიანად მიედინება.

ვაჟა ოკუჯავა

ზურაბი ვერაფერმა შეცვალა

ბუნებრივია ,რომ ზურაბ ჟვანიას მოგონებებისას მას, უპირველეს ყოვლისა, იხსენებენ, როგორც თანამედროვეობის გამოჩენილ პოლიტიკოსს, უაღრესად წარმატებულ სახელმწიფდო და საზოგადო მოღვაწეს. ამ მიმართულებით მისმა დამსახურებამ და ღირსებებმა საყოველთაო აღიარება პოვა მსოფლიოს უმეტეს განვითარებულ და დემოკრატიულ ქვეყანაში. ასეთი აღიარების შთამბეჭდავი მაგალითია ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის სამგლოვიარო მიმართვა ზურაბის ოჯახისა და ქართველი ხალხისადმი მის დაკარგავასთან დაკავშირებით.

ამჯერად მინდა ზურაბ ჟვანიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის უფრო ადრეული და ხანმოკლე პერიოდს შევეხო. მოგეხსენებათ, რომ ზურაბის პირველი ,,პროფესიული სიყვარული'' საბუნებისმეტყველო მეცნიერება იყო. 1985 წელს მან დაამთავრა ივანე ჯავახიშვილი სახელობის

თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტი ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგიის განხრით. მე მქონდა სიამოვნება, ერთ-ერთი მისი ლექტორთაგანი ვყოფილიყავი. ზურაბმა იმთავითვე მოახდინა ჩემზე შთაბეჭდილება, როგორც ტალანტიანმა და მეცნიერების საფუძვლებით დაინტერესებულმა ახალგაზრდამ. მისი ყოფნა აუდიტორიაში დიდად მიწყობდა ხელს, ლექციები და სემინარები ჩამეტარებინა ჩემთვის მისაღებ, სასიამოვნო და, ჩემი აზრით, ეფექტურ დიალოგურ რეჟიმში. ასეთი მეცნიერული დიალოგის წარმატებული მონაწილე სტუდენტთაგან უმეტესწილად ზურაბი იყო.

უნივერსიტეტის ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგიის კათედრის მაშინდელი თანამშრომლები იხსნებენ, რომ ზურაბ ჟვანია საწყისი კურსებიდანვე მოწადინებული იყო, ჩართულიყო კვლევით საქმიანობაში. იმთავითვე გაირკვა, რომ მას უკვე განსაზღვრული ჰქონდა ინტერესების სფერო - ცხოველთა ქცევის შესწავლა ეთოლოგიურ ასპექტში. ამასთან დაკავშირებით მათ ზურაბს რამდენიმე ,,დამაზუსტებელი'' შეკითხვა დაუსვეს. პასუხმაც არ დააყოვნა და სრულიად ნათელი გახდა, რომ ახალგაზრდა ნამდვილად იცნობდა ეთოლოგიის ,,მამათმთავრების'' - კონრად ლორენცისა და ნიკო ტინბერგენის ნაშრომებს, თანაც, საკამოდ ღრმად; ეტყობოდა, ეს სერიოზული მუშაობის შედეგი იყო.

სხვათა შორის , უნდა ავღნიშნო, რომ ყოფილ საბჭოთა კავშირში ცხოველთა ქცევა უპირატესად შეისწავლებოდა უფრო ნეიროფიზიოლოგიური, ვიდრე ეთოლოგიურ ასპექტში (ასე გრძელდებოდა, სანამ ეთოლოგიის ფუძემდებლებმა - ლორენცმა, ტინბერგენმა და ჰაინროტმა ნობელის პრემია არ მიიღეს). ამიტომ გასაგებია, რომ ჩვენში ჭეშმარიტი ეთოლოგიური კვლევის გამოცდილება ნაკლები იყო. მაგრამ ამ დროს ზურაბის სტუდენტურ ბიოგრაფიაში მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა: ჩვენი მოწვევით ამერიკის შეერთებული შტატებიდან თბილისის უნივერსიტეტში სამუშაოდ ერთი წლით ჩამოვიდა ცნობილი ნეიროეთლოგი პროფესორი დევიდ ადამსი. იგი ატარებდა კვლევით სამუშაოებს ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგიის კათედრაზე, კითხულობდა ლექციების კურსს ეთოლოგიაში. ყოველივე ამაში ზურაბმა უდავოდ შეიტანა თავისი არცთუ მცირე წვლილი. დიდ გაკვირვევაბს არ უნდა იწვევდეს ის გარემოება, რომ დევიდი მაშინვე დაუახლოვდა ზურაბს და აღმოუჩინა მას ფასდაუდებელი დახმარება კათედრასთან ეთოლოგიური ლაბორატორიის ჩამოყალიბებაში. რაღაც ორ თვეში კათედრასთან შეიქმნა საბჭოთა კავშირში ნაღდად პირველი , ხოლო დღეისათვის , ალბათ, ერთადერთი სტუდენტური კვლევით ლაბორატორია ნეიროეთოლოგიაში.

სწორედ ამ პერიოდში გამოვლინდა ზურაბის საუკეთესო ადამიანური თვისებები - პასუხისმგებლობა, ენთუზიაზმი, საქმის სიყვარული, დიპლომატია ადამიანებთან ურთიერთობაში, კეთილსინდისიერება კვლევით მუშაობაში. რა თქმა უნდა, სწორედ ზურაბი გახდა ამ ლაბორატორიის ხელმძღვანელი და იქცა სულისჩამდგემლად ენთუზიაზმით აღსავსე სტუდენტ- ბიოლოგთა არცთუ ისე ვიწრო წრისთვის, რომლებმაც პირველი ნაბიჯები გადადგეს მისი (თამამად შეიძლება ითქვას) ხელმძღვანელობით. მე მგონია, რომ სწორედ ამ პერიოდში გამოჩნდა ზურაბის ისეთი თვისებებიც, როგორიც იყო უდავო ორგანიზატორული ნიჭი და განსაკუთრებული ,,ზურაბისეული'' კეთილშობილება ურთიერთობაში. არ მახსოვს არც ერთი შემთხვევა, რომელიმე სტუდენტი ან უფროსი მეგობარი განაწყენებული ყოფილიყოს ზურაბზე: თუკი მოხდებოდა რაიმე კონფლიქტი, ზურაბი მას აგვარებდა სამართლიანად, საოცარი ,,სიმსუბუქით'', სიფაქიზით და ყოველთვის ჯანსაღი იუმორის თანდართვით. ეს იყო,ასე ვთქვათ,

,,დაუწერელი კანონი'' მის ურთიერთობაში ადამიანებთან, დამოუკიდებლად მათი სოციალურ-ადმინისტრაციული პოზიციისა თუ სტატუსისგან.

მე ყოველთვის კარგად ვხედავდი ახალგაზრდა ზურაბ ჟვანიას მეცნიერულ ნიჭს და მონაცემებს და დიდად მსიამოვნებდა, როდესაც ამას სხვებიც ჩემსავით აფასებენ. მახსოვს, 1995 წელს ზაარლანდის უნივერსიტეტში მივლინების შემდეგ შინ ვბურნდებოდი. ფრანკფურტის აეროპორტში ჩემმა მეგობრებმა და კოლეგებმა მიმაცილეს. მათ შორის იყო ჩემი დიდი ხნის მეგობარი და კოლეგა, ლათინოამერიკული წარმოშობის გამოჩენილი გერმანელი ნეირომეცნიერი პროფესორი ამადეო ნაციმიენტო. ადრე იგი ჩემი მოწვევით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იყო ნამყოფი და ზურაბთან ჰქონდა ნაცნობობა და სამეცნიერო კონტაქტები. სრულიად მოულოდნელად და შემთხვევით აეროპორტში შეგვხვდა ზურაბ ჟვანია, რომელიც სადგაც მიემგზავრებოდა. ეს შეხვედრა და საუბარი სამივეს ძალიან გვესიამოვნა. ზურაბთან დამშვიდობების შემდეგ ნაციმიენტომ მითხრა, რომ იგი თავის დროზე თბილისიდან ზურაბის შესახებ საუკეთესო შთაბეჭდილებით დაბრუნდა და რომ მას სრულიად ბუნებრივად მიაჩნდა ასეთი ფართო განათლებისა და მეცნიერული ნიჭის მქონე ახალგაზრდის წარმატებული აღმასვლა პოლიტიკურ სფეროშიც.

კარგად მახსოვს შემთხვევა, როდესაც ერთ-ერთი ჩემი მონოგრაფია - Mechanisms of Cortical Inhibition, ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოცემული 1977 წელს, ზურაბს გავუგზავნე მისი სურვილით. ეს სურვილი სიამოვნებით შევუსრულე, ვინაიდან, ჩემი ღრმა რწმენით, მიუხედავად წარმოუდგენლად დიდი დატვირთვისა სახელმწიფოებრივი საქმეებით, მასში ძველებურად ცოცხლობდა ინტერესი ნეირომეცნიერებათა საკითხებისადმი. მართლაც, ამის შემდეგ შეხვედრისას დავრწმუნდი, რომ მას უბრალოდ კი არ გადაუკითხავს წიგნი, არამედ სერიოზულად გარკვეულა იქ წამოჭრილ პრობლემებში. ამასთან ისიც მახსენდება, რომ ზურაბ ჟვანია სტუდენტობის წლებიდანვე საკმაოდ აქტიურად მონაწილეობდა ისეთ კარგად ცნობილ საერთაშორისო ფორუმებში, როგორიც იყო საქვეყნოდ აღიარებული ,, გაგრის საუბრები'' და ჩემ მიერ თავის დროზე ორგანიზებული ,,ბაკურიანის შეხვედრები''. მე მგონი, სწორედ აქედან დაიწყო ზურაბის აღმასვლა - მისი პოტენციური ნიჭის გასვლა, ასე ვთქვათ, ,,კინეტიკურ'' სფეროში, საერთაშორისო არენაზე.

ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ გავიხსენო ერთი მომენტი: კარგადაა ცნობილი, რომ ადამიანი საკმაოდ ხშირად არსებითად იცვლება გარკვეუული სოციალურ-პოლიტიკური სტატუსის მიღწევისას. ახლა წარმოიდგინეთ, რომ ახალგაზრდა ადამიანი თავის სამშობლოში ხდება ,, მეორე პირი''... სწორედ ქვეყანაში მეორე პირი გახდა ზურაბ ჟვანია, როცა დამოუკიდებელი საქართველოს პრემიერ- მინისტრის პორტფელი მიიღო და სწორედ იმ წლებში შესრულდა გარკვეული თარიღი მათი სტუდენტობის დამთავრებიდან. მისმა სტუდენტობის დროინდელმა მეგობრებმა და კათედრის თანამშრომლებმა, როგორც შემდეგში მიამბეს, გადაწყვიტეს საგანგებოდ აღენიშნათ ეს თარიღი, რისთვისაც კათედრაზე არასამუშაო საათებში გამართეს არაფორმალური ,, მინი- შეხვედრა - მინი-ქეიფი''. არა მგონია ბევრს ეფიქრა, რომ პრემიერი დაესწრებოდა მას. მიუხედავად ამისა, დათქმულ დროს ზურაბი გამოჩნდა. გარეგნულად იგი სრულიად არ შეცვლილიყო, ისევ ისეთივე მხიარული, გონიერი და უშუალო ჩანდა. ყურადღებით გამოჰკითხა ყველა დამსწრეს აზრი არსებულ მდგომარეობაზე, მეგობრების

წარმატებას თუ წარუმატებლობაზე, ერთი- ორი ჭიქა კონიაკიც გადაჰკრა და ბევრი იუმორისტული მომენტიც გაიხსენა. ის პრაქტიკულად არ შეცვლილა - დარჩა ისევ ის ზურა, რაც მანამდე იყო.

მაგრამ განსაცვიფრებელი აღმოჩნდა არა ეს მუდმივობა მისი პიროვნებისა, არამედ სხვა: შემოდგა თუ არა ფეხი უნივერსიტეტში, ის ,,გაქანდა'' (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) არა ,, საბანკეტო ოთახისაკენ, არამედ თავისი ,,ყოფილი'' ლაბორატორიისკენ, მიუხედავად დაცვისა და მეგობრების თხოვნისა. ყველასათვის ნათელი გახდა, რომ ზურაბი არ შეცვლილა არა მარტო გარეგნულად, არამედ შინაგანი პიროვნული ტენდენციებითაც - მას აშკარად ძველებურად სურდა სამეცნიერო- კვლევითი მუშაობა.

რა თქმა უნდა, გულის სიღრმეში , მოწოდებით, ზურაბი იყო მეცნიერი-მკვლევარი, მაგრამ მასში ამ ღვთივ ბოძებულ გრძნობასთან ერთად ღვიოდა მეორე, მისი ბუნებისთვის უფრო მნიშვნელოვანი გრძნობა - სამშობლოს სიყვარული, დამოუკიდებელი, ახალი საქართველოსთვის თავდადებული სამსახურის სურვილი, რამაც მიიყვანა იგი პოლიტიკაში. ასეთი დარჩა ეს ბრწყინვალე ახალგაზრდა ჩემს მეხსიერებაში.

გიორგი ბარამიძე

სიცოცხლეშივე ლეგენდად იქცა

ვინ იყო ჩემთვის ზურაბ ჟვანია, ამის თქმა სრულყოფილად და ამომწურავად, ალბათ, შეუძლებელია - ზურა ასახიერებდა და ასახიერებს ჩემს თვალში ადამიანს, რომელიც ერთდროულად იყო ჩემი თანატოლიც, მეგობარიც, მასწავლებელიც, ლიდერიც, პიროვნება, რომელიც სიცოცხლეშივე ლეგენდად იქცა და სახელმწიფო მოღვაწე, რომელიც ქვეყანას ემსახურა თავისი ნიჭით, ჭკუით, გამჭრიახობით, უნარით, უაღრესად დიდი განათლებითა და ინტელექტით, რამაც წარუშლელი კვალი დატოვა ჩვენს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. თუნდაც საქართველოს პარლამენტარიზმის ტრადიციების ჩამოყალიბებაში შეტანილი წვლილი რომ გავიხსენოთ, ეს საკმარისი არგუმენტი იქნება ჩვენი ქვეყნის ისტორიაში მისი სახელის უკვდავყოფისათვის.

გარდა ამისა, ზურამ დასაბამი მისცა მრავალ პროცესს, რომლებმაც განმსაზღვრელი როლი ითამაშა ჩვენი საზოგადოების განვითარებაში თავის დროზე და ახლაც დიდ ფაქტორად გვევლინება. ზურაბ ჟვანიამ ქვეყნის პოლიტიკაში აქტიურად, სწრაფად და დაუბრკოლებლად ჩართვის საშუალება მისცა საქართველოს დღევანდელი პოლიტიკური ელიტის მოწინავე წარმომადგენლებს როგორც ხელისუფლებაში, ისე ოპოზიციაში. საკამარისია დავასახელოთ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე , ყოფილი პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი, ოპოზიციიდან - ლევან გაჩეჩილაძე , დავით გამყრელიძე და მრავალი სხვა. მინისტრების, დეპუტატებისა და სხვა პოლიტიკური მოღვაწეების ჩამოთვლას აღარ გავაგრძელებ.

ზურაბ ჟვანიამ პარლამენტის თავმჯდომარეობამდე, ჯერ კიდევ 80-იანი წლების დასაწყისში მისცა მაგალითი ეროვნულ- განმათავისუფლებელი მოძრაობის მონაწილეთ, თუ როგორ შეიძლება კაცი იყო ერთდროულად პატრიოტიც, ჭკვიანი და წინდახედული პოლიტიკოსიც, მებრძოლიც, იმავდროულად არ აჰყვე პოპულისტურ ტალღას და დარჩე ზომიერების ფარგლებში, არ გახდე ულტრარადიკალი, გნებავთ, ნაციონალისტი თუ ქსენოფობი, განსხვავებული აზრებისადმი შეუწყნარებელი, რაც ფართოდ იყო გავრცელებული ეროვნული მოძრაობის საწყის ეტაპზე 80-იანი წლების ბოლოს და 90-იანი წლების დასაწყისში. მაგრამ, სანამ ასეთად აღვიქვამდი მას, პირველი შეხვედრისას, როდესაც ბატონმა გია თარხან-მოურავმა მიმიყვანა უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსში ბიოლოგიის ფაკულტეტზე და გამაცნო ზურა, ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ იგი იყო მართლა ძალიან ახალგაზრდა, თითქმის ჩემი ტოლი მეცნიერი, რომელიც არაფრით გამოირჩეოდა თავისი თანატოლებისაგან.

იმავდროულად, უნივერსიტეტის გარემოში, იმ საზოგადოებაში, სადაც ის ტრიალებდა, ზურა იყო გამოკვეთილი ფიგურა და ლიდერი. ეს იყვნენ არა მარტო ახალგაზრდები, უნივერსიტეტის სტუდენტები და ახალგაზრდა მეცნიერები, არამედ პატივცემული და გამორჩეული პროფესორები, პედაგოგები და მეცნიერები, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტები და ნამდვილი წევრები. მოგვიანებით მათი წრე უფრო გაფართოვდა და მოიცვა ხელოვნებისა და კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენლები, რომლებიც ზურას ყურადღებით უსმენდნენ, მის აზრს და რჩევას ითვალისწინებდნენ. რა თქმა უნდა, ამან ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მე მივხვდი, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ინტერესებს ყველაზე მეტად გამოვადგებოდი სწორედ ზურას გვერდით ყოფნით. ასეც მოხდა, ამის საშუალება მომცა ზურამ, რომელმაც ხელი ჩამჭიდა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, გვერდში დამიყენა და იმ დღიდან, შეიძლება ითქვას, ჩვენი ცხოვრება მჭიდროდ დაუკავშირდა ერთმანეთს. ჩვენ გვაერთიანებდა ერთი სურვილი, ერთი იდეა - დავამარცხოთ იმპერიული ძალები საქართველოში, დავამარცხოთ კომუნისტური იდეოლოგია ჩვენს ქვეყანაში, შევძლოთ მოვიპოვოთ საქართველოსთვის დამოუკიდებლობა, გავხადოთ საქართველო დემოკრატიული და თანამედროვე სახელმწიფო - თანამედროვე ყველა გაგებით, იქნება ეს მსოფლმხედველობა, ეკონომიკა, დამოკიდებულება გარემოსადმი, დამოკიდებულება

თანამედროვე მიდგომებით პიროვნებისა თუ პიროვნებათა ჯგუფისადმი, იმავე ეროვნული თუ რელიგიური უმცირესობისადმი. ჩვენ ხშირად ვმსჯელობდით, ვოცნებობდით თუ როგორი საქართველო გვინდოდა, როგორი საქართველო წარმოგვედგინა, რომელიც უპასუხებს ქართველი ერის, ვგულისხმობ ფართო გაგებით ყველა ჩვენი მოქალაქის ინტერესებს. ერთი მხრივ, ეს იქნება ტრადიციებზე დაფუძნებული საზოგადოება, რომელიც პატივს სცემს თავის წარსულს და ფესვებს, მეორე მხრივ, საზოგადოება, რომელსაც ძალუძს შეითვისოს ახალი, რაც მოაქვს დროს და გარემოს და, შესაბამისად, გაითავისოს იგი წინსვლისა და კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად. ეს იყო ისეთი ძლიერი იდეა, ისეთი ძლიერი მუხტი, რომელმაც ყველაფერი დანარჩენი უკანა პლანზე გადასწია და, შეიძლება ითქვას, მთელი ჩემი ცხოვრება დაუკავშირდა ამ იდეის რეალიზაციას. რაც დრო გადიოდა, მე ვხედავდი, რომ იმ პოლიტიკურ ქარტეხილებში ყველაზე მეტად ამ ინტერესებს სწორედ ზურა უპასუხებდა. ჩემთვის სწორედ ზურა განასახიერებდა ამ იდეას და ვხედავდი, რომ ის მართლა გარკვეულწილად უნიკალური პიროვნება იყო ჩვენს ცხოვრებაში, სადაც ყველა ეს ინტერესი - ტრადიციულობაც , თანამედროვეობაც, ეროვნულობაც და ზომიერებაც საოცრად ერწყმოდა ერთმანეთს და ამას ხედავდა მრავალი ადამიანი, ბევრი შემდგომში ასევე ჩემი კარგი მეგობარი. მათ ცხოვრების დიდი ნაწილი დაუკავშირეს ამ ახალგაზრდა კაცს, რომელიც მუდამ მოძრაობაში იყო, მუდამ ახალ იდეას გვთვაზობდა ჩვენი საქმის წინ წასაწევად.

ასე გაჩნდა რუსთაველის საზოგადოების ეკოლოგიური ასოციაციიდან სახალხო ფრონტის ეკოლოგიური ფრთა, მწვანეთა მოძრაობა, მწვანეთა პარტია. ზურაბ ჟვანიამ ძალიან დიდი შრომა და ენერგია მოახმარა იმ გუნდის ჩამოყალიბებას, რომელიც, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, მთლიანად დაკომპლექტებული იყო შესანიშნავი ადამიანებით, ქვეყნისა და ხალხის მოამაგე ღირსეული მამულიშვილებით.

ზურა ყოველთვის ცდილობდა ეპოვა არა იოლი გზა საქმის კეთებისა, რომელიც გარკვეულ მორალურ კომპრომისებს მოითხოვდა, არამედ გზა, რომელიც იყო მორალური და, იმავდროულად, რეალურად გაძლევდა გარკვეული შედეგის მიღწევის შესაძლებლობას, თუნდაც ეს მხოლოდ თითო ნაბიჯით წინსვლა ყოფილიყო. სწორედ ამიტომ, თავისი მთავარი იდეის გათვალისწინებით იგი არასოდეს ამბობდა უარს ეთანამშრომლა ყველასთან, ვინც ამ იდეის სამსახურში ჩვენი საქმის განსახორციელებლად მოგვცემდა ნაბიჯის წინ გადადგმის საშუალებას. ამიტომაც ჩვენ ვთანამშრომლობდით ზვიად გამსახურდიას ,, მრგვალ მაგიდასთან'' (მის დეკლარაციაზე ჩვენი ხელმოწერებიცაა), მოგვიანებით - ედუარდ შევარდნაძესთან, რათა დავხმარებოდით მას სამოქალაქო ომის ქაოსიდან ქვეყნის გამოყვანაში, რათა ერთიანი ფრონტით გვებრძოლა იმპერიული ძალების წინააღმდეგ აფხაზეთში და მიგვეღო ახალი კონსტიტუცია, რომელიც საფუძველს ჩაუყრიდა ახალი პლურალისტური, სამოქალაქო, დემოკრატიული და თანამედროვე საქართველოს სახელმწიფოს მშენებლობას.

მახსოვს, როგორ გადადგა ზურა პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობიდან, თან გაიყოლა კორუპციის ბურჯები და ქვეყანა ფაქტობრივად იხსნა სამოქალაქო დაპირისპირებისაგან. იმავდროულად, ბევრი არ უყოყმანია, როცა ხალხს მოუწოდა კორუპციისა და უსამართლობის წინააღმდეგ საბრძოლველად ქუჩაში გამოსვლისაკენ, როცა ნათელი იყო, რომ სხვაგავარად საქართველოს განვითარების აღარავითარი შანსი აღარ ჰქონდა და წავიდა იმ გზით, რადგან ვერ შეეგუებოდა იმას, რომ უმოქმედოდ ეყურებინა, როგორ უკან-უკან მიდის ქვეყანა და ინგრევა ის მცირედიც კი, რაც წინა წლებში შეიქმნა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას,რომ ზურამ თანაგუნდელებთან ერთად დასაბამი მისცა ახალი, ტრადიციული და იმავდროულად თანამედროვე, ევროპაზე და ევროატლანტიკურ სივრცეზე ორიენტირებული საქართველოს მშენებლობას.

ზურაბ ჟვანიას, მიხეილ სააკაშვილსა და ნინო ბურჯანაძის ერთობლივი გადაწყვეტილება ვარდების რევოლუციის შემდგომ ჩვენი ორი დიდი გუნდის გაერთიანების შესახებ მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო. ზურა ძალიან კარგად ხედავდა იმ განსხვავებებს, რაც პიროვნულ ხასიათში თუ სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით, ბუნებრივია, არსებობდა, მაგრამ ეს გადაწყვეტილება ნაკარნახები იყო ქვეყნის ინტერესებით, რომელსაც გამთლიანებისა და ჩვენი დამოუკიდებლობის განმტკიცებისთვის სჭირდებოდა ძირითადად ერთნაირად მოაზროვნე პოლიტიკური ძალებისა და საზოგადოების ერთობა და რეალური კონსოლიდაცია.

არასოდეს დამავიწყდება ზურაბ ჟვანია,რომელმაც ჩოლოქის ჩატეხილი ხიდი (დღეს ამ ხიდს დამსახურებულად ჰქვია მისი სახელი) გადაიარა და თავისი სიმამაცითა და სამშობლოს სიყვარულით იქ მყოფი ნიღბიანი მებრძოლებიც კი ,,განაიარაღა''. ვხედავდი, როგორი ბედნიერი იყო, როცა აცნობიერებდა, რა ხდებოდა იმ წუთებში და გაბადრული და იმავდროულად საოცრად აზრიანი, მიზანსწრაფული სახით ბათუმისკენ მიმავალ გზაზე წინ წაგვიძღვა.

უნდა გენახათ, რა ბედნიერი იყო, როცა აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის რეზიდენციაში პირველი სამუშაო თათბირი ჩაატარა, როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა. მან მთავრობის წევრებს, მიხედავად დიდი დაძაბულობისა, მშვიდად და ლაკონურად მოგვცა კონკრეტული დავალებები, რათა შენარჩუნებულიყო სიმშვიდე და წესრიგი, უსწრაფესად შექმნილიყო პირობები ვითარების ნორმალიზაციისათვის. დღეს აჭარა აღორძინების გზაზე დამდგარი საქართველოს სიმბოლოა.

ზურაბ ჟვანია საქართველოს ისტორიაში შევა იმ რეფორმების ფუძემდებლად, რომლებმაც საერთაშორისო აღიარება პოვა და რომელთა გამოც მსოფლიო ბანკმა საქართველო მსოფლიოში უპირველეს რეფორმატორ ქვეყნად გამოაცხადა.

ამ გრძელ გზაზე, რომელიც მასთან ერთად გავიარე თითქმის 18 წლის განმავლობაში, ჩვენ ხშირად ვკამათობდით და გვიჩხუბია კიდეც. ყოფილა შემთხვევა, არ ვიცი, ის როგორ ფიქრობდა, მაგრამ მე წამოვსულვარ პარტიის ოფისიდან და მიფიქრია, რომ

აღარასოდეს დაველაპარაკებოდი. მაგალითად, ზურა ძალიან გაბრაზდა, როცა უარი ვთქვი შევარდნაძის შემოთავაზებაზე, სათავეში ჩავდგომოდი ახლად შექმნილ შემოსავლების სამინისტროს. ასევე მახსენდება 2003 წლის წინასაარჩევნო პერიოდი. მაშინაც მოგვივიდა შეხლა-შემოხლა. იმ მომენტში ვფიქრობდი, რომ პოლიტიკა მართლა ბინძური საქმეა, მაგრამ იმ წუთებშიც კი არასოდეს შემპარვია ეჭვი მის პატრიოტიზმსა და პატიოსნებაში, აგრეთვე მის განზრახვებში. ამის საფუძველს მაძლევდა არა მარტო ის, რომ ზურას იმ დროიდან ვიცნობდი, როცა სხვადასხვა შეხვედრაზე დავდიოდით ზურგჩანთამოკიდებულები, სადაც ჩვენი ორგანიზაციის დოკუმენტაცია და მთელი ავლადიდება იდო. ასე ვფიქრობდი იმიტომ,რომ ვიცნობდი მის ოჯახს, პირველ ყოვლისა, მშობლებს - რემა დეიდას და ბუსა ბიძიას (ღმერთმა აცხონოს მისი სული), რომელიც ჩემთვის იყვნენ და არიან განსახიერება პატიოსნებისა, პატრიოტიზმისა და მორალური ფასეულობების ერთგულებისა, რომლებიც მუდამ გამოირჩეოდნენ საოცარი ერუდიციითა და თავმდაბლობით, რომლებმაც შეაყვარეს ზურას თავისი სამშობლო და ასწავლეს, რას ნიშნავს იყო შენი ქვეყნის მოქალაქე, რომელსაც თავისი წილი პასუხისმგებლობა აკისრია ღმერთისა და საზოგადოების წინაშე. ყოველთვის მჯეროდა,ზურას რაიმე შეცდომა რომ დაეშვა და მორალური პრინციპებიდან გადაეხვია, მას, პირველ ყოვლისა, საქმე ექნებოდა მშობლებთან, ისინი არ მისცემდნენ რაიმე არასწორი, უსამართლო ან უპასუხისმგებლო ნაბიჯის გადადგმის უფლებას. ზურა სწორედ ამ პასუხისმგებლობას აყენებდა ყველაფერზე მაღლა და იცოდა ,რომ, რადგან ჰქონდა შესაძლებლობა ქვეყნის სამსახურში ყოფილიყო, უნდა ემოქმედა, რა დაბრკოლებები და სირთულეებიც უნდა შეხვედროდა, იქნებოდა ეს მის მიმართ ლანძღვა-გინება, ცილისწამება, შანტაჟი თუ მუქარა, რის გამოც ადამიანს აღარ გაქვს არაფრის კეთების სურვილი. იგი აგრძელებდა თავის საქმეს და პირადი მაგალითით გვასწავლიდა ჩვენც.

დღეს ზურა ჩვენს შორის აღარ არის. პიროვნულად ჩემთვის ეს ნიშნავს ადამინის დაკარგვას, რომელსაც ვენდობოდი და პრაქტიკულად თვალდახუჭული გავყვებოდი მომავალშიც, რადგან ვიცოდი, სადაც უნდა აღმოვჩენილიყავი მასთან ერთად, ხელისუფლებაშიც თუ ოპოზიციაში, ზურას გვერდით ჩვენი ქვეყნის ინტერესების სამსახურში ვიქნებოდი.

დღეს კიდევ უფრო ნათლად ჩანს ზურასნაირი პოლიტიკოსისა და სახელმწიფო მოღვაწის საჭიროება. მის არყოფნაში ჩვენი ვალია გავაგრძელოთ საქმიანობა სწორედ იმ პრინციპებითა და პასუხისმგებლობით, რომლითაც ზურა მოქმედებდა. ყოველთვის ვცდილობდი და ვეცდები, ჩემი მუშაობა შევაფასო ზურასეული კრიტერიუმებით. არ ვიცი, ყველაფერი ისე გამომივა თუ არა, როგორც ის მომიწოდებდა, მაგრამ ერთი დანამდვილებით ვიცი, რომ ამას ნამდვილად ვეცდები.

ნაირა გელაშვილი

დაღუპული შესაძლებლობები

ზურა ჟვანია 1988 წელს ზალიკო ქიქოძისა და მარინა თაბუკაშვილის სახლში გავიცანი. ჩვენ თანამოაზრეები და თანამებრძოლები ვიყავით და ძალიან საშიშ ძალებს ვუპირისპირდებოდით, როცა წინ აღვუდექით სვანეთის ტყეების განადგურებას, ტრანსკავკასიური რკინიგზისა და ხუდონჰესის მშენებლობას, სვანეთის ტყეების განადგურებას, საერთოდ, ბუნებისადმი ველურ, მომხმარებლურ დამოკიდებულებას და საციცოცხლო სივრცის გაჩანაგებას. მაგრამ ახლა, უკან რომ ვიხედები: ჩვენც დიდ ძალას წარმოვადგენდით.

განსაკუთრებული ერთობა წარმოიქმნა ,,ტრანსკავკასიური რკინიგზის წინააღმდეგ” ბრძოლისას: ინტელიგენციის მეცნიერთა და შემოქმედთა ძველი და ახალი თაობა, ყველა გაერთიანება ამ, როგორც ეკოლოგიური, ისე ტექნიკური თვალსაზრისით ბარბაროსული პროექტის შესაჩერებლად. და აქ ზალიკო ქიქოძე და ზურაბ ჟვანია განსაკუთრებით დიდ როლს ასრულებდნენ. ახლაც რომ მახსენდება; ის მეგობრობა, ენთუზიაზმი და ალტრუიზმი, ის კეთილშობილური ტონალობა, ჩვენს შეხვედრებს, თათბირებს და მოლაპარაკებებს რომ ახლდა. შემდეგ კი: დავიშალენით და დავიქსაქსენით, ზოგი გარდაიცვალა, ზოგმა იდეას უღალატა, ზოგი დაიღალა, ზოგი ერთმანეთს დაუპირისპირდა...

მაგრამ მანამდე: ჯერ იყო რუსთაველის საზოგადოებასთან არსებული ეკოლოგიური ასოციაცია, რომელსაც მთლიანად ზურა ჟვანია აცოცხლებდა და ამოძრავებდა. უკვე იქ მოახერხა მან ყველა თაობის მეცნიერები, განათლებული ადამიანები და ენთუზიასტები შეეკრიბა.

ზურა და მე შეთანხმებული ვიყავით, რომ საქართველოში ეკოლოგიური ცნობიერების დანერგვისათვის საჭირო იყო რაღაც ახალი მსოფლიომხედველობრივი დოქტრინა, რაღაც მოძღვრება, რომელშიც ზოგადსაკაცობრიო და ქართული კულტურის ენაზე იქნებოდა გამოთქმული ბუნების საკრალურობა და მისადმი ეთიკური დამოკიდებულების აუცილებლობა. 1989 წელს მე დავწერე ერთგვარი საპროგრამო ტექსტი: ,,ტექნოკრატია. ეკოლოგია. პოეზია” და იმავე წელს იანვარ-თებერვალში გაზეთ “ახალგაზრდა კომუნისტში” გამოვაქვეყნე. შემდეგ კი, 5 მარტს, პირველი ეკოლოგიური მიტინგი მოვაწყვეთ იპოდრომზე. და პირველად მომიწია მიტინგზე გამოსვლა. ძალიან ვღელავდი და ზურა მამხნევებდა. იქაც ერთგვარი საპროგრამო მსოფლიომხედველობრივი ტექსტი წავიკითხე. ასე ვმუშაობდით. ვთვლიდით, რომ ეკოლოგიური შეგნების დაკვიდრება მეცნიერთა და შემოქმედთა ერთიანი ძალისხმევით თუ იქნებოდა შესაძლებელი.

როგორც ,,ტრანსკავკასიური რკინიგზის", ასევე ხუ-დონჰესის მშენებლობის შეჩერებას საფუძვლად დაედო მაღალი რანგის მეცნიერთა დასკვნა, ეკოლოგიური ანალიზი და ეს ჰაიჰარად არ მომხდარა (ამიტომ არ უნდა დავუშვათ მათი ჰაიჰარად თავიდან წამოწყება). და რა გულსაკლავი და სასაცილო იყო, როცა ე. შევარდნაძის მმართველობის წლებში ზურა ჟვანიას წინააღმდეგ კამპანია გააჩაღეს და ხუდონჰესის მშენებლობის შეჩერება ლამის სახელმწიფოს ღალატად ჩაუთვალეს.

შემდეგ კი მთელი ,,მთარგმნელთა კოლეგია", სადაც მე ვმუშაობდი, და რომელსაც ბატონი ოთარ ნოდია ხელმძღვანელობდა, მწვანეთა მოძრაობის ერთ-ერთი კოლექტიური წევრი გახდა. ეს იყო სამთავრობო დაწესებულების და ერთ-ერთი პირველი საზოგადოებრივი მოძრაობის საცორად ნაყოფიერი თანამშრომლობა.

მახსოვს ის დღე, ჩემთან სახლში, წყნეთის ქუჩაზე, როდესაც მე და ზურა მივედით იმ დასკვნამდე, რომ სწორედ ჩვენ უნდა წამოგვეწყო საერთო კავკასიური მოძრაობა: ,,კავკასია ჩვენი საერთო სახლი''. რა თქმა უნდა,მიმართვა,, კავკასიის ხელებს" მე უნდა დამეწერა. დავწერე. ზურას ძალიან მოეწონა. მერე დაწვრილებით ვაანალიზებდით, როგორ უნდა გაგვეშალა ეს საერთო კავკასიური მოძრაობა, როგორ აგვერიდებინა თავი რუსეთის მხრიდან დარტყმა, რომელიც, რა თქმა უნდა, არაფრით არ დაუშავებდა არაფერს, რასაც კავკასიის ხალხთა, უფრო ზუსტად: დემოკრატიულ ძალთა გაერთიანება შეეძლო. ჯერ ხომ ისევ საბჭოთა ხელისუფლება მართავდა ცხოვრებას. ცნობილ მეცნიერთაგან შევადგინეთ დელეგაცია და გავაგზავნეთ მშვიდობის ელჩებად ჯერ ჩრდილო, შემდეგ სამხრეთ კავკასიის დედაქალაქებში. ,,მთარგმნელთა კოლეგიას" საბჭოთა პერიოდში მჭიდრო თანამშრომლობა აკავშირებდა კავკასიის სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან და ყველგან მეგობრები ჰყავდა. ჰოდა, ჩვენც იმ გაკვალულ გზებს დავადექით. ამ მოგზაურობებს აფინანსებდა ,,კოლეგია" და თავად ბატონი ოთარიც მრავალი დელეგაციის წევრი იყო. ყველგან ჩაგვქონდა ჩემი დაწერილი

მიმართვა ,,კავკასიის ხალხებს", სადაც კავკასიელებს მოვუწოდებდით შემოქმე-დებითი თანაარსებობის, კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარებისა და საერთო სასიცოცხლო სივრცის გადარჩე-ნისათვის ბრძოლისაკენ. მაშინ და იმ ვითარებაში პოლიტიკური აქცენტები საშიშიც იყო და წამგებიანიც. ამიტომ პრიორიტეტად კულტურის, ტრადიციებისა და სასიცოცხლო სივრცის გადარჩენას ვაცხადებთ.

ჩვენმა მოძრაობამ წარმოუდგენელი გამოხმაურება გა-მოიწვია. გამოჩნდა აშკარა მზადყოფნა საერთო კავკასიური დიალოგისა და თანამშრომლობისთვის. უკვე 1990 წლის ივნისში შესაძლებელი გახდა პირველი საერთო კავკასიური კონფერენციის მოწვევა, სადაც მხოლოდ დაღესტნიდან 22 კაცი ჩამოვიდა, მიუხედავად იმისა, რომ ზვიად გამსახურდიას თაოსნობით კახეთში მცხოვრები ლეკების შევიწროვებამ დაღესტანსა და საქართველოს შორის ურთიერთობა უკიდურესად დაძაბა.

კონფერენციამ ენთუზიაზმის, სოლიდარობისა და მეგობრობის ატმოსფეროში ჩაიარა. შევიმუშავეთ კავკასიის ეკოლოგიური მოძრაობის პროგრამა და წესდება. შემდეგ ზურა, მე, გია ბარამიძე, მიხო ბეროშვილი, თამრიკო უჯუხაძე, ნანა ნემსაძე და სხვები (მაპატიოს ყველამ, ვისაც აქ ვერ ვახსენებ) ვმართავდით სამუშაო შეხვედრებს ჩრდილო კავკასიის სხვადასხვა ადგილას: გროზნოში, ჩერკეზში, არხიზში და ა.შ. განსაკუთრებულ ატიურობას იჩენდნენ ჩეჩენი და აზერბაიჯანები მწვანეები. ეს იყო უპრეცედენტო მოძრაობა, რომელიც სულ უფრო ფართოვდებოდა. მაგრამ მალე გააქტიურდა და დაგვიპირისპირდა მოსკოვის მიერ ინსპირირებული ,,მთიელ ხალხთა კონფედერაცია" და უკვე პრეზიდენტად არჩეული ზვიად გამსახურდია, რომელმაც ძალა არ დაიშურა ამ საერთო კავკასიური მოძრაობის დისკრედიტაციისათვის (იგი მას ოფიციალურად ,,კრემლის მიერ შემოგდებულ პროვოკაციას" უწოდებდა). ამიტომ 1991 წლის შუა ხანებში ეს მოძრაობა ძალზე შესუსტდა და ბოლოს შეწყდა. შემდეგ: მწვანეთა პარტიის წასვლამ

მწვანეთა მოძრაობიდან, მისმა დამკვიდრებამ წმინდა წყლის პოლიტიკაში და გასაოცრად სწრაფმა გაუცხოვებამ როგორც მწვანეთა სოფლმხედვეობისაგან, ისე კავკასიური დიალოგისა და სოლიდარობის იდეისაგან, უმძიმესი კვალი დააჩნია ამ მოძრაობას, რომელიც, ჩემი აზრით, ერთადერთი იყო, ნამდვილად იმსახურებდა მომავლის მოძღვრებისა და ეროვნული მოძრაობის სახელს.

მწვანეთა მოძრაობამ, მწვანეთა იდეამ დისკრედიტაცია განიცადა, ადამიანებში ახლად გაღვიძებული და დამკვიდრებული ეკოლოგიური მსოფლშეგრძნება ჩაკვდა, საქართველოს ბუნების გაპარტახება მანამდე არნახული ტემპებით გაგრძელდა და საერთოკავკასიური კონფრონტაციაც გაძლიერდა.

მე და ჩემმა მეგობრება, რომლებსაც მიგვაჩნია, რომ კავკასიის ხალხთა გადარჩენა მხოლოდ ამ ხალხების გონებრივი გამოფხიზლებითა და დიალოგითაა შესაძლებელი, ,,კავკასიური სახლი" შევქმენით და ამ იდეის ნელი, მაგრამ განუხრელი განვითარება უზრუნველვყავით.

თუმცა ზურა ჟვანიასნაირი დიაპაზონის ადამიანებთან ურთიერთობით დიდად აღარ ვყოფილვარ განებივრებული.

ძალიან დიდი სევდით ვიხსენებ იმ ადამიანს, რომლის ბედისწერასაც, ჩემი ხედვით, ფესვი მწვანეთა მოძრაობიდან მის წასვლში აქვთ გადგმული. რადგან: თუმცა დიდი პოლიტიკური გაქანებაცა და მასშტაბიც აღმოჩნდა, - მთელი თავისი არსით ის სიცოცხლი, ბუნების მკვლევარი და დამცველი იყო, ვინც უღრმესად შეიგრძნობდა სიცოცხლის სილამაზესა და საიდუმლოებას. პოლიტიკამ კი მისგან ბევრ მისთვისვე რამეზე მოითხოვა უარის თქმა. მე მუდამ მქონდა ისეთი განცდა, რომ პოლიტიკურ ნაკადში მოხვედრილი ეს უდიდესი შესაძლებლობების ადამიანი ძალიან ხშირად თავისივე თავის წინააღმდეგ მიდიოდა. როგორც სახარება გვეუბნება: ვისაც ბევრი მიეცა,

ბევრი მოეთხოვება. შეიძლება ღმერთმა ის უფრო დიდ კომპრომისებსა და სულიერ განსაცდელებს გაარიდა.

ჩემთვის: საქართველოში 1988 წლიდან დაწყებული საზოგადოებრივი მოძრაობის ყველაზე გონივრული, სასი-ცოცხლოდ აუცილებელი და კეთილშობილური ნაკადი იყო ზურა ჟვანიას მიერ დაარსებული (ჯერ ეკოლოგიური და შემდეგ) მწვანეთა მოძრაობა. და იგივე პერიოდი იყო ზურა ჟვანიას ცხოვრების ყველაზე ნათელი და მნიშვნელოვანი პერიოდი - რადგან იგი ნათელი, საღი მომავლის უზრუნველმყოფ ღირებულებებს ამკვიდრებდა. რათა ამ ადამიანების მიერ დათესილი სიკეთე უკვალოდ არ გაქრეს, რაც, საუბედუროდ, სრულიად ბუნებრივი თემაა საქართველოსთვის, საზოგადოებამ თავიდან უნდა ააღორძინოს ეკოლოგიური იდეა და მსოფლმხედველობა, სასიცოცხლო სივრცის გადარჩენასთან დაკავშირებული საზოგადოებრივი ენთუზიაზმი და მოძრაობა, ურომლისოდაც არც ერთ ქვეყანას მომავალი არ გააჩნია, როგორც არ უნდა აიმედებდნენ მას სხვა სხელმწიფოები სამხედრო თუ ფინანსური მხარდაჭერით.

ფრაგმენტი რუსთავი 2-ის ტელესიუჟეტიდან

საუბრობენ მხატვარი **თენგიზ მირზაშვილი** და ჟურნალისტი **ნინო ჯაფიაშვილი.** 2005 წლის 4 თებერვალი.

ნინო ჯაფიაშილი - ბატონი ზურაბი რომ მოდიოდა, რას სვამდით, ჩაის უდუღებდით?

თენგიზ მირზაშვილი - ხან ღვინოს ვსვამდით, ხან ჩაის.

•თქვენ როგორ გახსენდებათ ბატონი ზურაბი?

-მე მოვისმინე სხვადასხვა გამონათქვამები ზურაბ ჟვანიაზე. ბევრმა სხვადასხვა კუთხით წარმოაჩინა თითქოს, მაგრამ ძირითადი მისი თვისებები, ხასიათი კარგად გამოჩნდა, ეს, ალბათ, მისი თვისებაც იყო. რაღაცნაირად მკაფიო, ნათელი და გახსნილი პიროვნება იყო, ამას გრძნობდა ყველა და ეს გამომდინარეობდა მისი პიროვნებიდან. ვატყობდი, ვინც ლაპარაკობდა, ყველასთვის ძალიან ახლობელი იყო. მისი თვისებები ყველას კარგად ჰქონდა შემჩნეული და არავინ არ დაუკარგა. ჩემთვის ახლობელი იყო ისეთ სპეციფიკურ საკითხებშიც, როგორიცაა ფიროსმანის სურათი, ძველი ტექსტი, თუ ხალხური შემოქმედება და ლექსი.

• პოლოტიკოსები მხატვრებთან და ხელოვანებთან უმეტესად იმიტომ მეგობრობენ, რომ ეს მოდურია.

- არა, ჩემთან ბევრი მეგობრობს და ვერ ვატყობ, რომ მოდურობის გამო. ზურაბი კიდევ განსაკუთრებით, ძალიან კონკრეტულად გრძნობდა ყველაფერს და ზოგადი დამოკიდებულება არ ჰქონია არცერთის მიმართ, რაზეც გვისაუბრია. აქ მოდიოდა ხშირად, ბევრჯერ ყოფილა, რომ გვიანობამდე დარჩენილა, ხანდახან დავლევდით ხოლმე.

• და რაზე საუბრობდით ხოლმე?

- იმასთან ყველაფერზე შეიძლებოდა საუბარი, ნებისმიერ საკითხზე, ჩემს შვილებზე, შვილიშვილებზე. საინტერესო იყო. იმისთვისაც ეტყობა, საინტერესო იყო ჩემთან საუბარი. დიდი ხნის ნაცნობობა არ მქონია. ელდარ შენგელიამ გამაცნო. მითხრა, შენთვის საინტერესო კაცი უნდა გაგაცნოო. პარლამენტისთვის ძველი კულტურის ნიმუშები გამოვფინეთ, - თამარ მეფის, აღმაშენებლის გამოსახულებები. გვინდოდა პარლამენტში ყოფილიყო ჩვენი კულტურის გამოფნა. მაშინ გავიცანი ზურაბ ჟვანია, 8-9 წელი ვიცნობდი და საკმაოდ ხშირი კონტაქტები გვქონდა, ფოლკლორი აინტერესებდა და მფარველობდა, ისე არ იყო, რომ ეთქვა და მერე დავიწყებოდა, ძალიან საჭიროა ასეთი თვისებები - გულისხმიერება და ამას ყველა ხედავს.

• თვითონ ძალიან პროგრესული ადამიანის შთაბეჭ-დილებას ტოვებდა. იფიქრებდი, რომ ეს იყო ადამიანი, რომელსაც ისეთი ენერგია ჰქონდა, შეეძლო ქვეყანაში პროგრესი მოეხდინა, ქვეყანა წამოეკიდებინა ზურგზე.

- ეგ შთაბეჭდილება არ არის ნამდვილად ასე იყო. მე და მიშა მაჭავარიანმა მოვილაპარაკეთ, რომ გავაკეთოთ წიგნი ზურაბზე, იმიტომ, რომ ეგ არის რაღაც ეტაპი ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში.

რაზეც დაველაპარაკებოდი, ფოლკნერი იქნებოდა, რაბლე თუ გალაკტიონი, ყველაფერზე თავისუფლად საუბრობდა, მრავალმხრივობა მისთვის დამახასიათებელი იყო. მერე ვაკვირდებოდი, რომ ყველაფერზე ზუსტად და კონკრეტულად ლაპარაკობდა. ის არ იყო ორატორი, ვინც ლაპარაკობს იმისთვის რომ ილაპარაკოს. ერთხელ ფოლკლორის ცენტრის გახსნაზე გამოვიდა. ყველა მისი სიტყვა იყო აზრიანი, დალაგებული და საქმეს მისადაგებული.

...პროფესიონალ პოლიტიკოსად გადაიქცა. პოლიტიკა მისთვის იყო ცხოვრება, მაგრამ ასეა, თუ ქვეყნის პოლიტიკოსი ხარ, ყველაფერი უნდა გაინტერესებდეს. ეს მოვალეობაა, ტვირთიც არის დიდი და ამისგან არ იჩაგრებოდა.

ჩემი ნაცნობიც იყო და ახლობელიც, ჩვენ რაღაც სხვა კონტაქტებიც გვქონდა, გვაკავშირებდა. ნინოც და ბავშვებიც, ყველა ხედავს, როგორები არიან, ვინც იცნობს ბავშვებს. პატარა ანა უცნაურ შეკითხვებს მაძლევდა, ერთხელ ჩემს გამოფენაზე, სადაც სხვა ნამუშევრებთან ერთად ,,კაცია ადამიანის" ილუსტრაციებიც იყო გამოფენილი, ხელი მომკიდა, დარეჯანის სურათთან მიმიყვანა და მითხრა: ,,ახლა ეს გასკდება?"

საერთოდ, ძალიან კარგად ზრდიან ბავშვებს, ეს მშობლების, ბებიის დამსახურებაა. ძალიან კარგად გაზრდილი ბავშვები არიან. ნინოც, რასაკვირველია, ისეთი მორიდებულია და უაღრესად ნიჭიერი ადამიანია, არაჩვეულებრივად მუსიკალური. ბევრჯერ უმღერია და ვიცი, როგორც მღერის, ზურას მისი სიმღერა ძალიან უყვარდა...

ეკატერინე ამირბეგოვა

მის საჩუქარს დღემდე ვინახავ

ცხოვრების უკუღმართობამ განაპირობა, რომ მე, 86 წლის მოხუცი, უსაზღვრო გულისტკივილით ვწერ მოგონებას ცხოვრებიდან ნაადრევად წასული დიდი პიროვნების შესახებ. ჩემმა პროფესიამ შემახვედრა და დამამეგობრა მართლაც ბრწყინვალე, უპატიოსნესი, დიდად განათლებული ადამიანის, ბესარიონ (ბუსა) ჟვანიას ოჯახთან. 1974 წელს მისი უფროსი ვაჟიშვილი ზურაბი ბარძაყის ძვლის რთული მოტეხილობის გამო იმჟამინდელი ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბავშვთა ტრავმის განყოფილებაში მოათავსეს. მე ვიყავი მისი მკურნალი ექიმი. მკურნალობის განმავლობაში კარგად გავიცანი პატარა ზურა. თავის ასაკთან (რვის ან

ათის თუ იქნებოდა) შედარებით მეტად ჭკვიანი, წყნარი, ზრდილი, განსწავლული, შეგნებით იტანდა წოლით რეჟიმს, არც ერთ წუთს უქმად არ კარგავდა, კითხულობდა წიგნებს, ხატავდა ხეზე ამოწვით. ერთ-ერთი ასეთი ნამუშევარი - ზღვის ხედი - მაჩუქა თავისივე წარწერით. ეს ნახატი ზურასადმი ჩემი დიდი სიყვარულის ნიშნად 1974 წლიდან დღემდე მაქვს შენახული.

ერთხელ, უკვე პარლამენტარმა, რიგითი ტრავმის გამო მომმართა საკონსულტაციოდ. ვაჩვენე ბავშვობის დროინდელი ნამუშევარი. ბევრი იცინა გულუბრყვილო, ალალი სიცილით, გაუკვირდა, ამდენ ხანს როგორ შეინახეთო.

პატარაობიდანვე ძალიან უყვარდა ბუნება და ცხოველთა სამყარო. როდესაც ბინაზე მომიხდა მისვლა, როგორც ექიმს, ვნახე, რომ ჯერ კიდევ მწოლიარეს იქვე გალიაში ჰყავდა მღრღნელები და აკვირდებოდა მათ ცხოვრებას. ბუნების სიყვარულით ბევრს მოგზაურობდა. ერთხელ, თუ არ ვცდები, 19 წლის ასაკში, მატარებლიდან გადმოხტა და უკვე აღდგენილი ბარძაყის ძვალი ხელახლა მოიტეხა. მაშინაც ოპერაციული მკურნალობა დასჭირდა, ბევრი წვალება გადაიტანა, მაგრამ ამას არ შეუშინებია, წლების შემდეგაც განაგრძობდა ბუნებაში მოგზაურობას შვილებთან ერთად.

არ შემიძლია არ გავიხსენო ამ ოჯახის კეთილშობილება და პატიოსნება. როგორც, საერთოდ, მათი დარგის სპეციალისტები (ფიზიკოსები), ჟვანიებიც დიდად ხელგამართულნი არ იყვნენ. ამიტომ ბატონ ბუსას მოსწავლეების მომზადება უხდებოდა. მაგრამ რა შემოსავალი უნდა ჰქონოდა, როცა ნახევარზე მეტს უსასყიდლოდ ამეცადინებდა, თუკი ვინმე თუნდაც უბრალო ნაცნობის ახლობელი იყო. ამის მაგალითი გახლდით მეც და ჩემი განყოფილების გამგეც. ზურას დედა, ქალბატონი რემა, უაღრესად განსწავლული, კეთილშობილი ადამიანი, მუდამ დიდ გულისხმიერებას იჩენდა ირგვლივ მყოფებისა და ზოგჯერ სრულიად უცხოების მიმართაც კი. შემდგომში, როდესაც

ზურაბს მაღალი თანამდებობები ეკავა და უფრო ადვილად შეეძლო დახმარებოდა გაჭირვებულს, ქალბატონი რემა მოსვენებას არ აძლევდა და ბევრს აღმოუჩინა შემწეობა.

გავიხსენებ ერთ შემთხვევას: ქვეყნისთვის მძიმე წლებში ჩვენი საავადმყოფო ელექტროენერგიის გარეშე დარჩა. ამ საკითხის მოგვარება არა და არ მოხერხდა. თანამშრომლებმა მთხოვეს ზურასთვის მიმემართა. დიდხანს უარს ვამბობდი, არ მინდოდა შემეწუხებინა, მაგრამ ბოლოს მაინც მომიხდა მასთან მისვლა ჩემი განყოფილების გამგესთან, მერაბ მაჭავარიანთან ერთად. არასოდეს დამავიწყდება მისი გულთბილი, სიყვარულითა და პატივისცემით სავსე შეხვედრა. ავუხსენით ჩვენი მისვლის მიზეზი. დარეკა ტელეფონით და მაშინვე თავისი სხარტი გონებით გაერკვა შექმნილ სიტუაციაში. რასაკვირველია, ყველაფერი გააკეთა, რომ დაგვხმარებოდა და უახლოეს დღეებში ელექტროენერგიის მოწოდება აღდგა. ამ შემთხვევის შემდეგ მე და მერაბ მაჭავარიანი განსაკუთრებით ვამაყობდით, რომ ჩვენც მიგვიძღვოდა მცირე წვლილი ასეთი დიდი პიროვნებისა და პატრიოტის ჩამოყალიბებაში.

ადრე წავიდა ჩვენგან. რამდენი სიკეთის მოტანა შეეძლო ქვეყნისთვის, რამდენს გააკეთებდა კიდევ, ამბობენ, დრო მკურნალიაო. ვფიქრობ, ასე არ არის. ზურაბის დაკარგვით გამოწვეული ტკივილი არ განელდება. პირიქით, სულ უფრო მწვავედ განვიცდით დანაკლისს. მას აუცილებლად უნდა ეცოცხლა.

მერაბ კოკოჩაშვილი

თადარიგიანი თამადა

თუ არ ვცდები, 1979 წელი იყო. შევდივარ ტელეფილმების სტუდიის ჰოლში.ჰოლი სავსეა ახალგაზრდებით. რეჟისორი ომარ გვასალია იღებს დოკუმენტურ ფილმს სახელწოდებით ,,70 შეკითხვა" მოწვეული ჰყავს სკოლის მოწაფეები. სკამები აღარ ეყოთ და ბავშვები პირდაპირ იატაკზე სხედან. ვაღებ ჩემი ოთახის კარს და ვეპატიჟები: - მოდით აქ ჩამოჯექით. თან ვეცნობი. ერთ-ერთი, ქოჩორა და გაბურძგნილთმიანი, ხელს მართმევს - ზურაბ ჟვანია.

მერე გადაღებასაც დავესწარი. ომარ გვასალია რთულ კითხვებს უსვამს ბავშვებს. ერთ-ერთ ასეთ კითხვაზე სწავლის პრინციპებისა და მასწავლებელთან ურთიერთობის შესახებ ზურაბ ჟვანია მცირე პაუზისშემდეგ ამბობს: ,,თუ შეიძლება, დავფიქრდები". - ფიქრობს. კამერა განაგრძობს მუშაობას და ეკრანზე ახლო პლანზე ჩანს, თუ როგორ აყალიბებს 14-15 წლის ყმაწვილი თავის მოსაზრებას, ბოლოს კი საოცრად ზუსტ და ღრმა პასუხს იძლევა.

...ათი წელი მაინც იყო გასული. ტელეფონი აწკრიალდა. თუ გახსოვართ, ზურაბ ჟვანია ვარო; ხომ არ წამობრძანდებით ჩვენთან, მწვანეებთან ერთად, ხუდონჰესზე მივდივართ აქციის ჩასატარებლადო. მე ვუპასუხე, რომ არაფერი მესმის ენერგეტიკის, ზურაბმა კი ძალიან რბილად და დამაჯერებლად მომიჭრა: - ჰოდა, წამობრძანდით ბატონო მერაბ... თქვენი თვალით ნახავთ და პრობლემასაც გაეცნობით.

წავედი, დაბა ჯვარში აქციასაც დავესწარი, პატიმრობიდან ახლად დაბრუნებულ მერაბ კოსტავასც მოვუსმინე. სიმართლე გითხრათ, აქციების დიდი მოტრფიალე არ გახლავართ. ვერც ის ვირწმუნე, რომ ჰიდრორესურსებით მდიდარ ქვეყანას ჰესის მშენებლობა აუცილებლად უნდა შეეჩერებინა, მით უმეტეს, რომ უკანა გზაზე მეცნიერ ჰიდროლოგებთან ერთად ვიმგზავრე და მათი მოსაზრებებიც მოვისმინე.

80-იანი წლების მეორე ნახევარში საბჭოთა სისტემა აფართხალდა, სულს ღაფავდა. რამდენიმე ჩემი მეგობარი მწვანეთა მოძრაობის

აქტიური წევრი იყო. ზურაბთანაც მიწევდა საუბარი, უფრო ტელეფონით. მახსოვს, ერთხელ მკითხა, ხომ არ ჩაერთვებით ჩვენს მოძრაობაშიო? ჩვენ ისეთი ურთიერთობა გვქონდა, რომ შემეძლო პირდაპირ, მიუკიბ-მოუკიბავად გამეცა პასუხი. - ზურაბ, - ვუთხარი, - არ მიყვარს პოლიტიკა. ხელოვნება მიყვარს, კინო მიყვარს; ხელოვნება იმდენად ინდივიდუალური შემოქმედებაა, იმდენად სუბიექტურია, რომ პოლიტიკა თავისი პარტიული და, იდეოლოგიური დისციპლინით აუცილებლად დაუპირისპირდება მას. ან ხელოვნება უნდა აკეთო, ან პოლიტიკა.

ზურაბმა ხელი მომხვია - თქვენ თქვენს სიმართლეს არ ღალატობთ და ნურც ჩემს სიმართლეზე დახუჭავთ თვალსო.

ვფიქრობ, არ დამიხუჭავს. როცა რიგითი მოქალაქის დგომა იყო საჭირო ზურას გვერდით, ვიდექი.

სხვათა შორის, რამდენიმე ჩემი კოლეგა-მეგობარი ჩაერთო პოლიტიკაში. მათ მრავალი სასარგებლო რამ გააკეთეს საზოგადოებისთვის, მაგრამ, სამწუხაროდ, ფილმები ვერ გადაიღეს. ძალიან ვწუხვარ, რადგან, მიყვარს მათი ფილმები.

საოცარი სისწრაფით ყალიბდებოდა ზურაბი ღრმა პოლიტიკოსად. სულ უფრო სრულყოფილად ხდებოდა მისი პოლიტიკური ალღო, ქმედება, სწრაფი და, ამავე დროს ღრმა რეაგირება, თუნდაც ლექსიკა, შეზავებული მოულოდნელ და თავისებურ იუმორთან.

...სტამბოლში მწვანეთა ერთ-ერთი საერთაშორისო შეკრების ბოლოს დიდი წვეულება გაიმართა. თამადად ჩემი მეგობრი, გეოგრაფიული საზოგადოებისა და მწვანეთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე პროფესორი გივი გიგიენიშვილი აირჩიეს. გივიმ ინგლისურად წარმართა სუფრა, ილაპარაკა კიდეც, მაგრამ უფრო იცეკვა, იმღერა და ამღერა ყველა, გაახარა და აზეიმა. მოკლედ, ყველას განაცდევინა ქართული სუფრის ეშხი. ბოლოს ზურა მიიჭრა გივისთან: -

ბატონო გივი, ეს რა ცეცხლი დაანთეთ! თქვენ გამოჩენილი ცეცხლფარეში ბრძანდებით.

იხვეწებოდა და ივსებოდა ზურაბ ჟვანიას საზოგა-დოებრივი თუ ცხოვრებისეული მოქმედების ზუსტად გათვლის არსენალიც. ესეც პოლიტიკური ცხოვრების შედეგად მიღებული გამოცდილება იყო, თუმცა ხშირად სახალისო, სალაღობო ელფერსაც იღებდა. ერთ ეპიზოდს გავიხსენებ. ელდარ შენგელაიას 70 წელი შეუსრულდა და დიდი წვეულება გაიმართა. დარბაზში მრავალი სუფრა იყო გაშლილი და ერთ-ერთს ელდარის ბავშვობის, ახალგაზრდობის მეგობრები, კოლეგები და ნათესავები ვუსხედით. როდესაც ბატონმა ზურაბმა მიკროფონი ჩვენ გადმოგვაწოდა და სადღეგრძელოები ჩვენი სუფრიდან საკმაოდ გაგრძელდა, მან მიკროფონის დაბრუნება გვთხოვა. აქედან შევძახეთ, ისეთ ხალხს გვიპყრია მიკროფონი, რომ კარგა ხანს ვერ დაგიბრუნებთო. ზურამ ჩაიცინა - არა უშავს, აქ მე სათადარიგო მიკროფონი მაქვსო. ამას უკვე პოლიტიკოსის წინდახედულება ვუწოდეთ.

იმ საღამოს ისე იმხიარულა, იცინა, იცეკვა, მეორე დღეს პარლამენტის ტრიბუნასთან მდგომმა სკამი მოითხოვა - გუშინ იმდენი ვიცეკვე, ფეხზე დგომა აღარ შემიძლიაო.

ზურაბ ჟვანიას პოლიტიკურ სიღრმესა და ზუსტ პო-ლიტიკურ ქმედებასთან არის დაკავშირებული მის მიერ გადადგმული ნაბიჯი, რომელმაც საქართველოს სახე-ლისუფლებო კრიზისი ააცილა: ის პარლამენტის თავმჯდომარის პოსტიდან გადადგა ზუსტად მაშინ, როდესაც ეს იყო საჭირო და თან წაიყოლია კორუმპირებული მთავრობა. ეს გააკეთა არც ადრე და არც გვიან. გააკეთა ზუსტად დროზე.

2003 წლიდან საქართველოში იწყება რეფორმების ხანა. ერთადერთ სახელმწიფო სატელევიზიო მაუწყებლობას, რომელსაც ყველა პირველ არხს ვეძახდით, მომავლისთვის საზოგადოებრივ არხად მოიაზრებდნენ, რაც სრულიად სამართლიანი იყო. მაგრამ ამ რეფორმებისას მე ვხედავდი,

რომ ფილმების მწარმოებელი ერთადერთი მოქმედი სტუდია ,,ტელეფილმების სტუდია”, გაიწირებოდა. მივმართე ბატონ ზურაბს. მან, ერთადერთმა, გააანალიზა და ნათლად გაიაზრა პრობლემა. როგორც სამთავრობო სხდომის თავმჯდომარემ, წერილი გამოუგზავნა ტელევიზიის ხელმძღვანელობას და სტუდიის თანმიმდევრული რეორგანიზაციის გზა შესთავაზა, რაც ფილმების მწარმოებელ ამ უკანასკნელ კერას შეუნარჩუ-ნებდა საქართველოს.

ამ წერილის გამოგზავნის შემდეგ სულ რამდენიმე დღეში ბატონი ზურაბი დაიღუპა.

დღეს ,,ტელეფილმების სტუდია” აღარ არსებობს.

ზურაბის დაღუპვის ის ტრაგიკული ღამე კი უმძიმესია საქართველოსთვის, რადგან ვერც ჩვენმა საზოგადოებამ და ვერც პოლიტიკურმა ელიტამ დღემდე ვერ მონახა ზურაბ ჟვანიას ღირსეული მემკვიდრე.

გია ყანჩელი

გამორჩეული თვისებებით დაჯილდოებული

სიყმაწვილის წლებიდან მოყოლებული, განგებამ მარგუნა ურთიერთობა ადამიანებთან, რომელთა გარეშე ჩემი დამოკიდებულება ადრე სამყაროს მიმართ სრულფასოვანი არ იქნებოდა. ამით მხოლოდ იმის თქმა მსურს, რომ განვლილი შემოქმედებითი გზის სხვადასხვა მონაკვეთზე ამა თუ იმ პიროვნების გამოჩენა და მასთან დაახლოება ჩემთვის სტიმულის ტოლფასი იყო. ერთ-ერთ ასეთ პიროვნებად წარმომედგინა ბატონი ზურაბ ჟვანია, რომლის გამორჩეულ თვისებებში ვრწმუნდებოდი წლების მანძილზე, ვადევნებდი რა თვალყურს, უცხოეთში მცხოვრები, მის მოღვაწეობას. მიმაჩნდა, რომ სწორედ მის მსგავს პიროვნებებს შესწევდათ უნარი, ნაწილობრივ მაინც შეეცვალათ მითებზე და ლეგენდებზე დაფუძნებული ჩვენი საზოგადოების კერპთაყვანისმცემლური დამოკიდებულება ამა თუ იმ ლიდერთა თუ ხელისუფალთა მიმართ.

ვფიქრობ, რომ ბატონ ზურაბთან მეგობრული და ახლო ურთიერთობა დადებით და საჭირო გავლენას მოახდენდა ჩემს დამოკიდებულებაზე ჩვენში მიმდინარე პროცესების მიმართ, რამდენამდე მაინც გააქარწყლებდა ჩემს პესიმიზმს და, შესაბამისად, იმ პერიოდში დაწერილი მუსიკის სევდას ნაწილობრივ მაინც შემატებდა ნათელი იმედისა და ხალისის სხივს.

დარწმუნებული ვარ, რომ მას შესწევდა ამის უნარი და ისევ და ისევ განგებამ არ მოისურვა ჩემს ირგვლივ მყოფ უახლოეს ადამიანებს შორის განსაკუთრებული ადგილი დაეკავებინა ამ გამორჩეულ და ნათელ პიროვნებას. თუმცაღა, რამდენად უმნიშვნელოა ჩემ მიერ ნავარაუდევი დანაკარგი შედარებით იმ დანაკლისთან, რაც ჩემმა ქვეყანამ განიცადა!

ელდარ შენგელაია

მე ვამაყობ და მუდამ ვიამაყებ,

რომ ვიყავი ,,ჟვანიას გუნდის" წევრი

ზურაბ ჟვანიას დაღუპვამ ჩვენში, მის მეგობრებში, კეთილისმსურველებისა და საზოგადოების უდიდეს ნაწილში, გარდა საშინელი პირადი ტკივილისა, უსამართლობის, ყოველგვარი კანონზომიერების დარღვევის განცდა გამოიწვია.

შეიქმნა სიცარიელე.

ცხოვრება ივლის თავისი გზით და დროთა განმავლობაში საზოგადოება უფრო მეტად გაიცნობიერებს, თუ რა უდიდესი კვალი დააჩნია საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს პერიოდს ზურაბ ჟვანიამ.

ზურაბ ჟვანიას პიროვნება ჩამოაყალიბა მისი ოჯახის ტრადიციებმა, ცოდნისა და კულტურისადმი დაუოკებელმა მისწრაფებამ, მომადლებულმა ნიჭიერებამ და დრომ, რომელშიც მას მოუწია ცხოვრება და მოღვაწეობა.

ზურაბი ემზადებოდა მეცნიერებაში სამოღვაწეოდ, მაგრამ საქართველოს უახლოესმა ისტორიამ შეცვალა მისი ცხოვრების გზა და მან პოლიტიკური სარბიელი აირჩია. დღეს არა მარტო მისი მხარდამჭერები, არამედ ოპონენტებიც აღიარებენ ზურაბ ჟვანიას ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფიგურად იმ მცირერიცხოვან პოლიტიკოსთა შორის, რომელთა მოღვაწეობამაც თანამედროვე ქართულ პოლიტიკაში, ერის ცხოვრებაში, განსაკუთრებული როლი ითამაშა.

ზურაბ ჟვანიამ სულ ახალგაზრდამ ჩამოაყალიბა მწვანეთა მოძრაობა, რომელმაც არა ულტრარადიკალური, არამედ საქმიანი გზა აირჩია. მან ქართველი მწვანეები გააერთიანა ევროპის მწვანეთა საერთაშორისო ორგანიზაციაში, სადაც იგი სპიკერადაც აირჩიეს, 1992 წლის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების შემდეგ მწვანეთა პარტიამ, ,,ლიბერალებთან" და დამოუკიდებელი დეპუტატების ჯგუფთან გაერთიანების შემდეგ, გავლენიანი საპარლამენტო ფრაქცია შექმნა და ერთსულოვანი მხარდაჭერით ზურაბ ჟვანია მისი ლიდერი გახდა. 2003 წელს შეიქმნა სახელისუფლებო პოლიტიკური ორგანიზაცია ,,მოქალაქეთა კავშირი", რომლის რეალური ლიდერი ამ ,,კავშირის" დატოვებამდე ზურაბ ჟვანია იყო. შემდ-გომში, ოპოზიციური პოლიტიკური ორგანიზაციის - ,,გაერთიანებული დემოკრატების" სულისჩამდგმელად და ლიდერად კვლავ ზურაბ ჟვანია გვევლინება.

გამჭრახი გონება, განათლება, პოლიტიკური ალღო, ორატორული ნიჭი, დაუოკებელი ენერგია, ორგანიზატორული თვისებები, კომუნიკაბელურობა, კულტურა, ადამიანური თვისებები საზოგადოებასა და პოლიტიკურ წრეებში ზურაბ ჟვანიას გამორჩეულს ხდიდა და

ამიტომაც იგი ახალგაზრდობიდანვე გამოკვეთილ პოლიტიკურ ლიდერად მოგვევლინა.

კანონზომიერია, რომ 1995 წელს ზურაბ ჟვანია აირჩიეს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარედ. დღეს ჩვენი საზოგადოება აღიარებს იმ ჭეშმარიტებას, რომ ქართული პარლამენტის და პარლამენტარიზმის ჩამოყალიბება ზურაბ ჟვანიას სახელს უკავშირდება. ამ პერიოდიდან ზურაბ ჟვანიამ, როგორც სახელმწიფო მოღვაწემ, უდიდესი როლი ითამაშა ქართული სახელმწიფოებრიობის, სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებაში. მიუხედავად სხვადასხვა სახელისუფლებო ძალის ზეწოლისა, იგი, თავის თანაგუნდელებსა და მომხრეებთან ერთად, ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდა დასახული მიზნების განსახორციელებლად. მნიშვნელოვ-ნად იზრდებოდა მისი ავტორიტეტი უცხოეთის პოლიტიკურ წრეებში.

მისი გზა, როგორც პოლიტიკოსისა და ადამიანისა, ია-ვარდებით მოფენილი არ ყოფილა. იყო უკადრისი ლანძღვა-გინება, მისი სახელის ტალახში ამოსვრა, მაგრამ, როგორც ძლიერ ადამიანებს ახასიათებთ, იგი ღირსეულად იტანდა ამ დაუმსახურებელ შეურაცხყოფას. სამწუხაროდ, გამორჩეული, მართალი ადამიანების ხვედრი ასეთია.

ზურაბ ჟვანიას მცდელობა, რომ არსებულ ხელისუფლებას გაეტარებინა მინიმალური რეფორმები საქართველოს დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოსაყალიბებლად, მცდელობა - გაშლილიყო ბრძოლა კორუფციის წინააღმდეგ და სხვა - უშედეგო აღმოჩნდა. მეტიც: ხელისუფლებამ დემოკრატიის დასაყრდენზე - თავისუფალ სიტყვაზე აღმართა ხელი. ახალგაზრდობა, საზოგადოება ქუჩაში გამოვიდა თავისუფალი მედიის დასაცავად. ზურაბ ჟვანიამ, რომელმაც განსაკუთრებული როლი ითამაშა თვისუფალი მასმედიის დამკვიდრებაში, ამ კრიზისულ მდგომარეობაში რადიკალურ პოლიტიკურ ხერხს მიმართა, დაუპირისპირდა ხელისუფლებას და

პროტესტის ნიშნად გადადგა უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობიდან - პარლამენტის თავმჯდომარის პოსტიდან.

უნიკალური იყო ზურაბ ჟვანიას ალღო პოლიტიკური ბრძოლის პროცესში. ამის მაგალითია მისი გადადგომის შემდეგ პარლამენტის თავმჯდომარის არჩევა. უმრავლესობას თავისი კანდიდატურა ჰყავდა. პარლამენტის დემოკრატიული ფრთა უმცირესობაში იყო. ზურაბ ჟვანიამ ამ უთანასწორო ბრძოლაში დახვეწილი პოლიტიკური მეთოდებით, კონსულტაციებით, დებატებში დამაჯერებელი არგუნმენტებით, თავის მოაზროვნეებთან ერთად მოახერხა და პარლამენტმა მიიღო იმ დროს ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება - ნინო ბურჯანაძე იქნა არჩეული პარლამენტის თავმჯდომარედ. ეს იყო მაქსიმუმი, რისი გაკეთებაც შეიძლებოდა იმდროინდელ პარლამენტში დემოკრატიული ღირებულებების გადასარჩენად.

დადგა საქართველოს უახლოეს ისტორიაში გადამწყვეტი მომენტი - ,,ვარდების რევოლუცია”!

აზვირთებულ ხალხს წინ უძღოდა გაერთიანებული ოპოზიცია, ლიდერები - მიხეილ სააკაშვილი, ზურაბ ჟვანია, ნინო ბურჯანაძე.

საქართველომ მშვიდობიანი, ხავერდოვანი რევოლუციის გზით იზეიმა გამარჯვება, რომელსაც დემოკრატიული მსოფლიო მიესალმა. ალბათ, აქვე გასახსენებელია, რომ თავის დროზე მიხეილ სააკაშვილს, ნინო ბურჯანაძეს და სხვა დემოკრატიულად მოაზროვნე პოლიტიკოსებს სწორედ ზურაბ ჟვანიამ გაუხსნა კარი დიდი პოლიტიკის სარბიელისა.

დადგა დრო, როდესაც ზურაბ ჟვანიას, როგორც პრემიერ-მინისტრს, თავისი ენერგია, გამოცდილება, საქართველოს აღმშენებლობაში უნდა დაეხარჯა. უმოკლეს ხანში მინისტრთა კაბინეტმა მისი მეთაურობით ქვეყანა არა მარტო გამოიყვანა ღრმა კრიზისიდან, არამედ მნიშნელოვან წინსვლასაც მიაღწია. ჯერ მხოლოდ იწყებოდა ყველაფერი...

ზურაბი ჩემი მეგობარი იყო. მე ის მიყვარდა. მიყვარდა მასთან შეხვედრა, საუბარი, ურთიერთობა. მისი თვალები სითბოს, სიკეთეს, გონიერებას ასხივებდა. შეხვედრისას პირველივე ფრაზა აუცილებლად იუმორით იყო შეზავებული:

- ,,ნიკალაევიჩა პრისლა, ნიჩივო ნამ ნე პრინესლა” (ჩუქჩად წარმომადგენდა).

- ,,ვესარიონოვიჩა ლუჩშე-ბი კოფე ილი ჩაი პრედლა-

ჟილა”. - ასე შეხუმრებით იწყებოდა ჩვენი საუბარი.

მე გამონაკლისი არ ვიყავი. არაჩვეულებრივი იუმორი ზურაბს თან სდევდა ჩვეულებრივ თუ დაძაბულ ვითარებაში, გულიანი სიცილი კი კეთილგანწყობილ ატმოსფეროს ქმნიდა.

ზურაბი სრულყოფილი და ჰარმონიული პიროვნება იყო.

ზემოთ ვისაუბრე ზურაბზე, როგორც პოლიტიკოსზე, რომლის არსება გაჟღენთილი იყო თავისი ხალხის, ერის, სამშობლოს სიყვარულით, მომავალზე ფიქროთ. ამავე დროს მისთვის სრულებითაც არ იყო უცხო ჩვეულებრივი ადამიანური გრძნობები და ურთიერთობები.

ის იყო არაჩვეულებრივი მეოჯახე. საუცხოო იყო მისი დამოკიდებულება მეუღლესთან - ნინოსთან, ბავშვებთან - ლიზასთან, ბუსასა და ანასთან, განსაკუთრებული ურთი-ერთობა ჰქონდა დედასთან - ქალბატონ რემასთან, ძმასთან - გოგლასთან. ოჯახი მისი სამყაროს ძალიან დიდი და მნიშვნელოვანი ნაწილი იყო.

ზურაბი იყო არაჩვეულებრივი მეგობარი, მისი დამო-კიდებულება ადამიანების მიმართ არ გამომდინარეობდა მხოლოდ პოლიტიკური შეხედულებებიდან. მისი მეგობრების წრე ძალზე ფართო იყო. იგი მეგობრობდა როგორც თანატოლებსა და უმცროსებთან, ისე მასზე გაცილებით უფროსი ასაკის ადამიანებთან. ზურაბი პატივს სცემდა ქართულ ინტელიგენციას და ბევრ მათგანთან მეგობრობდა კიდეც. ასევე

გულთბილი იყო ჩვეულებრივ ადამიანებთან. თავისი თანამშრომლების მიმართ იყო მომთხოვნი, მაგრამ ამასთანავე მათი მეგობარი.

ჩვენ მეგობრები ვიყავით, მაგრამ მას არასოდეს დაურ-ღვევია უფროს-უმცროსობის ზღვარი, ვინაიდან, ზრდილი ადამიანი იყო. ასაკობრივი განსხვავების მიუხედავად, ჩვენ თითქოს ტოლები ვიყავით. მიუხედავად თანამოაზრეობისა, აზრთა ჭიდილი ხანდახან კონფლიქტამდეც მისულა. გამოხატული და ემოციური კამათი იცოდა. ზოგჯერ თავისი გუნდის წევრებს ისე შეუტევდა, რომ რთული იყო მისი გაჩერება, მაგრამ ეს ყველაფერი იმდენად გულწრფელი იყო, რომ ყველა წყენა ქრებოდა და რჩებოდა მაინც ერთობა და მეგობრობა. საბოლოო ჯამში, ძალიან რბილი და კეთილი ადამიანი იყო. ჩვენ, ვისაც საზოგადოებასა თუ მასმედიაში ,,ჟვანიას გუნდს" გვიწოდებდნენ, ზურაბი ძალიან გვიყვარდა, ვაღიარებდუთ მის ლიდერობას და განსაკუთრებულობას.

მე იმედი მაქვს, საზოგადოებამ დაინახა, რომ ჩვენ დავკარგეთ არა მხოლოდ მნიშვნელოვანი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, არამედ, პირველ რიგში, დიდი ადამიანი - ამ ცნების ფართო გაგებით.

მე ვამაყობ და მუდამ ვიამაყებ, რომ ვიყავი ,,ჟვანიას გუნდის" წევრი და სამუდამოდ დავრჩები ამ ,,გუნდის" პრინციპების ერთგული.

,,მე ვარ ქართველი და, მაშასადმე, ვარ ევროპელი!"

ეს მოხდენილი გამონათქვამი, რა თმა უნდა, ეხებოდა მთელ საქართველოს, მაგრამ ამავე დროს გამოხატავდა ზურაბ ჟვანიას მრწამსს. ზურაბი მთელი თავისი არსებით ქართველი კაცი იყო, თავისი მისწრაფებებით - ევროპელი. ამ შერწყმაში იყო მისი ხედვა საქართველოს მომავლისა, როგორც ისტორიულად ევროპული ქვეყნისა და მომავალში ევროპული ქვეყნების ოჯახის წევრისა.

„პარლამენტის უწყებანი"

N 001, 01.02.2005

ნოდარ ანდღულაძე

ის ემსახურებოდა პოლიტიკის საქმეს

ზურაბ ჟვანია მესახება პიროვნებად, რომელიც ჰარ-მონიულად უთავსებს ერთმანეთს ისტორიას და თანამედ-როვეობას.

იგი, როგორც ნამდვილი ინტელიგენტი, პატივს სცემდა და უყვარდა ხელოვნება, ჩვენ ამას ვგრძნობდით მასთან ურთიერთობაში.

მას ჰქონდა ისტორიული პროცესის განცდა. ისტორიის პროცესის განცდა ჰქონდა ხაზგასმულად გოეთეს. მერაბ მამარდაშვილი კი ისტორიას მიიჩნევდა ადამიანის ადამიანად ქცევის მიზნად და ინსტრუმენტად. ბატონი ზურაბის ნათქვამი - ,,მე ვარ ქართველი და, მაშასადმე, ვარ ევროპელი" - მრავალმხრივაა მნიშვნელოვანი. ხელოვანსა და პოლიტიკოსს აქვთ საერთო პროფესიული ეთიკის თვალსაზრისი.

სტანისლავსკი განარჩევდა ხელოვანებს იმის მიხედვით, ემსახურება იგი ხ

ელოვნებას თუ იმსახურებს, იყენებს ხელოვნებას თავისი პირადი ინტერესებისთვის. ასევეა პოლიტიკაში.

ჟვანია ემსახურებოდა პოლიტიკის საქმეს.

გიზო ურუშაძე

თავს მუდმივად მისი გუნდის ერთგულ

წევრად ვთვლიდი

ზურაბ ჟვანიაზე მოგონებების წერა ადვილიცაა და იმავდროლად ძნელიც. არაორდინალური პიროვნება იყო, ძლიერი და მიზანდასახული. როდესაც ვცდილობ გავიხსენო მისი გამორჩეული თვისებები, პირველ ყოვლისა, ნიჭიერება, მოუდრეკელი, ულევი ენერგია და შინაგანი დინამიზმი მაგონდება.

ჩემთვის ზურაბ ჟვანია იყო ჯერ ზურა და მერე ბატონი ზურა.

80-იანი წლების დასაწყისში აკადემიკოსმა ნიკო კეცხო-ველმა შემომთავაზა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტზე წამეკითხა ლექციები ბუნების დაცვის შესახებ.

სამწუხაროდ, ეს ამბავი ზოგიერთს არ მოეწონა - რატომ უნდა კითხულობდეს ლექციებს სახელმწიფო უნივერსიტეტში სამთო მეტყევეობის ინსტიტუტის თანამშრომელიო. ამის გამო ჩვენი ინსტიტუტის დირექტორმა, აკადემიკოსმა ვასილ გულისაშვილმაც მირჩია, თავი შემეკავებინა.

მეც გავჩერდი, მაგრამ ბოლოს საქმე ისევ ბატონმა ნიკომ გადაწყვიტა და უკვე მეორე სემესტრიდან უნივერსიტეტში ლექციების კითხვა დავიწყე.

მას შემდეგ საუკუნის მეოთხედზე მეტმა განვლო, მე კი დღესაც გუშინდელივით მახსოვს ის დიდი აუდიტორია, ასამდე სტუდენტი, მომხიბვლელი და ცნობისმოყვარე ახალგაზრდები. ლექციები კი კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით ტარდებოდა. დილის ცხრის ნახევარზე ვიწყებდით. აუდიტორია ყოველთვის თითქმის სავსე იყო. ბიოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებს შორის სულ ხუთი თუ ექვსი ბიჭი იქნებოდა. ისინი ერთად, მეორე რიგში სხდებოდნენ. მათგან განსაკუთრებით დამამახსოვრდა ერთ-ერთი დიდი, ცნობისმოყვარე თვალები. კითხვებსაც ხშირად ის მისვამდა. საველე სამუშაოები, ცოცხალი ბუნება აინტერესებდა. მახსოვს, გამოცდაზე ბევრ ისეთ რამეს მომიყვა, რაზედაც მე ლექციებზე არ მისაუბრია.

დავახლოვდით. ხშირად ვსაუბრობდით, სულ ახალ-ახალ იდეებს მიზიარებდა. ვგრძნობდი, რომ მენდობოდა და მეც ამ ნდობას ვუფრთხილდებოდი. ეს ახალგაზრდა იყო ზურა ჟვანია. გავიდა რამდენიმე წელი. უკვე აგრარულ უნივერსიტეტში ვმუშაობდი ნიადაგთმცოდნეობის კათედრის გამგედ. ერთხელ ზურა მოვიდა და მეუბნება:

- ბატონო გიზო, გადაწყვეტილი მაქვს, მწვანეთა მოძრაობა დავაფუძნო. ყველაფერი მზადაა - წესდება, სტრუქტურა, მომავალი მოძრაობის ბირთვი. ახლა გვჭირდება მოძრაობის თავმჯდომარე, პიროვნება, რომელსაც საზოგადოება იცნობს და პატივს სცემს. შევთავაზეთ ბატონ გივი თუმანიშვილს. ცოტა ყოყმანობს, არადა, დრო აღარ ითმენს. ახლა თქვენთან მოვედით. ბატონ გივის კიდევ ერთხელ ვთხოვთ და, თუ არ დაგვთანხმდა, თქვენ უნდა დაგვეხმაროთ.

- კი, ბატონო, მე თანახმა ვარ.

მეორე დღეს ზურამ სახლში დამირეკა და შემატყობინა, რომ პატონი გივი დათანხმდა. იგი წლების მანძილზე მწვანეების ზნეობრივი, ღირსეული და აღიარებული ლიდერი იყო. კაცმა რომ თქვას, მთელი ეს ისტორია,

შეიძლება ადამიანს ცოტა შეურაცხმყოფელადაც კი მოეჩვენოს, მაგრამ მე მჯერა, რომ ეს იყო ზურა ჟვანიას მხრიდან ჩემდამი ნდობისა და სიახლოვის გამოხატვა. ასე გულახდილად მხოლოდ ყველაზე სანდო და ერთგულ ადამიანს მიმართავენ.

გავიდა წლები, საქართველოს პრეზიდენტია ზვიად გამსახურდია. ჩემთვის სრულიად მოულოდნელად შემომ-თავაზეს პრეზიდენტის მრჩევლობა ეკოლოგიის საკითხებში. მოსაფიქრებლად რამდენიმე დღე ვითხოვე. პასუხისმგებლობა მაფიქრებდა, პოლიტიკური სიტუაცია ძალიან გამძაფრებული იყო. ქვეყანა სამოქალაქო ომის ზღურბლზე იდგა. პოლიტიკისგან შორს ვიყავი, საინტერესო საქმე მქონდა, ბევრი მოწაფე და თანამოაზრე მყავდა. ალბათ, მართლაც არ მჭირდებოდა ეს მოულოდნელი და მძიმე ტვირთი. ბევრს ვფიქრობდი. რამდენიმე ჩემთვის ანგარიშგასაწევ პიროვნებას რჩევისათვის მივმართე.

- თქვენ, ბატონო გიზო, ზვიად გამსახურდიას მრჩევლად კი არ მიდიხართ, თქვენ უნდა გახდეთ საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი და შემლებისდაგვარად სიკეთე მოუტანოთ.

ეს აზრი ყველაზე დამაჯერებლად ზურამ გადმომცა. დავთანხმდი. მრჩევლად მხოლოდ ორ თვეს მომიწია მუშაობა. მერე ყველაფერი აირია და დაიწყო სამოქალაქო ომი. მე კვლავ დავუბრუნდი აგრარულ უნივერსიტეტს.

ერთ დღეს ზურამ დამირეკა:

-ბატონო გიზო, თქვენთან საქმე მაქვს და ხომ არ შევხვდეთ?

სახლში მივედი. თბილად შემხვდა, მომიკითხა, აინტერესებდა უნივერსიტეტში საქმის ვითარება, ოჯახის ამბები.

- ახლა სახელმწიფო საბჭოში ყალიბდება ეკოლგიური კომისია, მინდა თანამშრომლობა გთხოვოთ, უნდა დათან-ხმდეთ.

- მე თხოვნა მინდოდა? მით უმეტეს ბატონ ზურასთან თანამშრომლობაზე, თან გარკვეული ,,იზოლაციის” პერიოდის შემდეგ...

დავთანხმდი და დავპირდი, რომ ყველაფერს გავაკეთებდი საერთო საქმის წარმატებისთვის.

ეკოლოგიური კომისია მართლაც აქტიურად და წარმატებით მუშაობდა.

ერთხელ, უკვე თვეების შემდეგ, ბატონი ზურა მეუბნება:

- ბატონო გიზო, არაკეთილმოსურნეებმა მოუხშირეს ლაპარაკს თქვენს შესახებ, იხსენებენ თქვენს მუშაობას მრჩევლად ზვიად გამსახურდიასთან.

შევწუხდი. ბატონ ზურას ეს არ გამოპარვია:

- ნუ აქცევთ ყურადღებას. თქვენ რომ იცოდეთ ჩემზე რას ამბობენ, შეიძლება ჭკუიდან შეიშალოთ. ასე რომ, წყნარად იმუშავეთ, საფიქრალი მართლაც არაფერი გაქვთ.

ბატონ ზურას კარგად ესმოდა, რომ ასეთი დაწყნარება საკმარისი არ იყო და შესაფერ დროს ელოდა. ეს დღეც დადგა. ეკოლოგიური კომისიის მორიგი სხდომა იყო, იხილებოდა ერთ-ერთი უწყების მაღალჩინოსნების საკითხი, უფრო ზუსტად კი - მათი, რბილად რომ ვთქვათ, არასაკმარისი მუშაობა ახლო წარსულში. სხდომას ბევრი ხალხი ესწრებოდა. ბატონი ზურა განრისხებული იყო. გაღიზიანებას არ მალავდა. უეცრად მომიტრიალდა და განაცხადა:

- აი, ბატონო გიზო, მასაც რთულ დროს მოუწია მუშაობა. მაგრამ საქმეს არ უღალატა, ყველაფერი გაიღო საერთო საქმისთვის და მოკლე დროში მართლაც ბევრი მეტად მნიშვნელოვანი რამ გააკეთა.

მე და არა მარტო მე, მივხვდით, რომ ეს იყო ჩემი უტყუარი რეაბილიტაციისა და ნდობის დემონსტრირება.

ვიდრე პარლამენტში აირჩევდნენ, ბატონი ზურასგან კიდევ ერთი წინადადება მივიღე: ქალაქის მწვანეების თავკაცობა შემომთავაზა... პასუხისმგებლობა მეტისმეტად დიდი მეჩვენა და უარი ვუთხარი. მგონი, შევცდი. ახლაც ვნანობ. ბატონ ზურას თავის გვერდით კიდევ ერთი ერთგული ადაიანი სჭირდებოდა. იმ პერიოდში, როცა ახალ თანამდებობაზე მუშაობდა, მასთან ურთიერთობა თითქმის არ მქონია, მაგრამ ყოველთვის ვთვლიდი თავს მისი გუნდის ერთგულ წევრად.

მახსენდება ერთი აღმაშფოთებელი ამბავი: პარლამენტის სხდომა მიმდინარეობდა, ერთ-ერთი დეპუტატი, დარბაზში მიკროფონთან მივიდა:

- დიდი ბოდიში, დიდი მორიდებით ვთხოვ ჩვენს ხელმძღვანელობას, სათითაოდ მოგვიყვნენ თავიანთი წარმომავლობისა და გვარიშვილობის შესახებ.

გადაცემას პირდაპირ ეთერში ვუსმენდი და უნებლიედ ამ უმსგავსობის მოწმე გავხდი.

ბატონი ზურა ამ სხდომას ხელმძღვანელობდა. მე ასეთი მრისხანე (და სამართლიანად) ის არასოდეს მინახავს.

მას შემდეგ დიდმა დრომ განვლო, მაგრამ იმ სამარცხვინო ეპიზოდის მშვიდად გახსენება დღესაც არ შემიძლია.

რაც გავიხსენე, ჩემი და ბატონი ზურას ურთიერთობის რამდენიმე მომენტს ეხებოდა. აქვე მინდა ვთქვა, რომ ზურა ჟვანია, მისი სათნო მეუღლე ნინო, შვილები, უკეთილშობილესი ქალბატონი რემა, ყოველთვის განსაკუთრებული სიყვარულით და პატივისცემით სარგებლობდნენ ჩემს ოჯახში, სადაც ადამიანებისა და მოვლენების შეფასება მუდამ ძალდაუტანებლად ერთსულოვანია. ოჯახში, რომელსაც წარმატების სიხარულიც ბევრჯერ განუცდია და ის უმძიმესი ტრაგედიაც გამოსცადა, რასაც საყვარელი შვილის მოულოდნელი დაკარგვა ჰქვია,

ღირსეული ადამიანის დაფასება მართლაც ალალად იციან. საერთო სულისკვეთება ყველაზე ნათლად გადმოსცა უფროსმა შვილიშვილმა, პატარა გიორგიმ, რომელმაც სიყვარულის ნიშნად, ოჯახის ყველა წევრი დახატა.

...ბედნიერი ვარ, რომ ჩემი ცხოვრების გზაზე შევხვდი ისეთ ნიჭიერ, სათნო და ღვთისნიერ ადამიანს, როგორიც იყო ბატონი ზურა ჟვანია.

P.S. პატარა გიორგის ოჯახის წევრების გარდა ზურა ჟვანიაც ჰყავს დახატული.

გივი გიგინეიშვილი

ღვთიური ნიჭით შემკული

ზურაბ ჟვანიას შესახებ ჯერჯერობით ბევრი არ დაწე-რილა, თუმცა ეს ღვთიური ნიჭით შემკული პიროვნება უთუოდ იმსახურებს

განსაკუთრებულ და ღრმა შეფასებას. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ზურაბი სრულიად ახალგაზრდა გამოჩნდა საქართველოს პოლიტიკურ ასპარესზე და მაშინვე მიიქცია საზოგადოების დიდი ყურადღება. მე თავიდანვე ამის უშუალო მოწმე და დამფასებელი ვიყავი.

გასული საუკუნის 80-იანი წლები ილეოდა, როდესაც იგი მოულოდნელად მეწვია ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტში, გამეცნო და მთხოვა, რომ მისთვის რამდენიმე წუთი დამეთმო. საუბარი დაწყებული არც კი გვქონდა, როცა მისი ყურადღება მიიპყრო მაშინ ახლად გამოცემულმა და უკვე გამოხმაურებულმა წიგნმა - ,,Спасите Альпы!" წიგნი სულ ორიოდე დღის ჩამოტანილი მქონდა მოსკოვიდან. ზურაბმა საუბარი სწორედ მის შესახებ დაიწყო და მითხრა, რომ არ არსებობს თანამედროვეობისთვის უფრო მნიშვნელოვანი პრობლემა, ვიდრე გარემოს დაცვაა. ჩემდა გასაოცრად, მან, განათლებით ბიოლოგმა, თქვა, რომ ეს პრობლემა იმდენად რთული და მრავალსახოვანია, მასთან შეჭიდება მხოლოდ ერთი და ორი სამეცნიერო დარგით ვერ მოხერხდებაო; ამ საქმიანობაში უნდა ჩაერთოს საბუნებისმეტყველო და სოციალურ-ეკონომიური დისციპლინების მთელი სპექტრი, რომელიც ადამიანთა საზოგადოებასა და გარემომცველ ბუნებას შორის წარმოქმნილ პრობლემათა ერთობლიობას მთლიანად მოიცავსო. ჩემთვის მაშინვე ცხადი გახდა, რომ ვესაუბრებოდი, მართალია ძალიან ახალაზრდა, მაგრამ სიბრძნით აღსავსე პიროვნებას, ასაკის მიუხედავად, ძალზე წინ წასულ მოაზროვნეს.

აქედან დაიწყო ჩვენი მჭირდო ურთიერთობა და შემდგომ - მეგობრობა. სულ მალე ზურაბ ჟვანიამ შემოკრიბა იმ დროისთვის ცნობილი პიროვნებები, მეცნიერები, საბუნებისმეტყველო, ჰუმანიტარული, ტექნიკური ინტელიგენციის აღიარებული სპეციალისტები და მიზნად დაუსახა ჩვენი ქვეყნის ულამაზესი ბუნების დაცვა-გადარჩენის ამოცანების გადაწყვეტა. აშკარად გამოიკვეთა ზურაბ ჟვანიას, როგორც ძლიერი ლიდერის თვისებები. ისევე მინდა ხაზი

გავუსვა, რომ მოღვაწეთა წრეში, რომელსაც ჟვანია ედგა სათავეში, იგი ყველაზე, და ბევრად, ახალგაზრდა იყო.

ამასობაში ზურაბ ჟვანიას მოღვაწეობაში მნიშვნელოვანი ეტაპი დაიწყო. 1996 წელს იგი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე გახდა და სახელმწიფოს მმართველობით სისტემაში მეორე პოზიცია დაიკავა.მე წილად მხვდა დიდი ბედნიერება, ოთხი წელი მის გვერდით მემუშავა პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობაზე. ამ ოთხი წლის განმავლობაში კომიტეტში მომზადდა ძირითადი საკანონმდებლო ბაზა 23 ფუძემდებლური კანონის სახით, რომელიც გახდა მყარი სამართლებრივი საფუძველი გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მართვის სფეროში. ეს პერიოდი როგორც ჩემთვის, ისე კომიტეტის ყოველი წევრისთვის, იყო ძალიან დაძაბული, დატვირთული და, საბედნიეროდ, ძალიან ნაყოფიერი. ყველა აშკარად გრძნობდა, რა გულისყურით ადევნებდა ზურაბ ჟვანია თვალს კომიტეტის მუშაობას და როგორ უწყობდა მას ხელს.

ასეთი დამოკიდებულება პარლამენტის თავმჯდომარის მხრიდან კიდევ უფრო აძლიერებდა ჩვენს მონდომებას, რომ საქმე წარმატებული ყოფილიყო. ყველას ესმოდა, რომ ამ დარგის ისეთი მაღალი დონის მოღვაწის მოწონების დამსახურება, როგორც ზურაბ ჟვანია იყო, ძალიან ძნელი იქნებოდა.

საერთოდ, ასეთი ნიჭიერი, ზნეობრივად ამაღლებული და წინამძღოლის აშკარად გამოხატული თვისებებით დაჯილდოებული პიროვნების გამოჩენა ძალზე იშვიათი მოვლენაა. ასეთი ადამიანები აუცილებლად აჩენენ იმედის ნაპერწკალს, შემდგომ აღვივებენ მას და გზის მანათობელ ჩირაღდნად აქცევენ. ამიტომაც უდიდესია ზურაბის უდროოდ დაკარგვით გამოწვეული გულისტკივილი, უსაზღვროა სინანულის მტანჯველი განცდა და მისი ნეტარება.

გია ხუხაშვილი

პატივს მივაგებ ზურაბ ჟვანიას

ამბობენ, რომ ადამიანი ერთხელ იბადება და ერთელ კვდება. სინამდვილეში სიკვდილი მრავალჯერადი აქტია და, რაც უფრო დიდია პიროვნება, მით უფრო მეტი ძალისხმევაა საჭირო მის საბოლოოდ ,,დასამარხად".

- პიროვნება, შესაძლოა, განმეორებით მოკვდეს მაშინ, როდესაც მისი მეგობარი დაიჯერებს ვიღაცის შეთხზულ ბინძურ ჭორს;

- მაშინ, როდესაც მეგობრის ხელით იმსხვრევა ფასეულ-ლობათა ის სისტემა, ის იდეალები, რომელსაც სიცოცხლე მიუძღვნა;

- როდესაც, საერთო წარმატების აღნიშვნისას, რომელშიც ლომის წილი მიუძღვის, ის არავის გაახსენდება;

- როდესაც მის გულწრფელობაში მისივე მეგობრები დაეჭვდებიან;

მწამს, რომ, მიუხედავად მავანთა სურვილისა და მცდელობისა, ზურაბ ჟვანიას არ ემუქრება მივიწყების საფრთხე, რადგან:

- იყო პარლამენტის თავმჯდომარე და გადადგა, მხოლოდ იმიტომ, რომ დაეცვა მედიის თავისუფლება და ხელისუფლებისთვის ჩამოეშორებინა ,,რკინის კაცები", რომლებთანაც გარიგება უფრო ადვილი იყო, პოლიტიკური პრაგმატიზმის თვალსაზრისით;

- გაიარა საცალფეხო ბილიკზე ჩოლოქთან, გაღიმებული შეხვდა პოლიტიკურ ოპონენტებს და ამით ქვეყანას ააცილა სამოქალაქო ომის საფრთხე.

- შეაჩერა უკვე დაწყებული ძმამთამკვლელი ომი შიდა ქართლში;

- ესმოდა. რომ დიალოგი კონფლიქტის თავიდან აცილების ან მისი დამთავრების ერთადერთი საშუალებაა, განსაკუთრებით 21-ე საუკუნეში, როდესაც ძალისმიერი არგუმენტები აღარ შეიძლება იყოს განხილული, როგორც ეფექტური იარაღი;

- აცნობიერებდა, რომ ნებისმიერი ხელისუფლებისთვის ხალხთან, საზოგადოებასთან, ოპოზიციასთან,შიდა თუ გარე მტერ-მოყვარესთან ურთიერთობის მოწესრიგების ერთადერთი საშუალება დიპლომატია, დიალოგის წარმოების უნარია;

იცოდა, რომ ყველაფერი ეს განსაკუთრებით მნიშვნე-ლოვანია ისეთი პატარა და პრობლემებით დატვირთული ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, რადგან დღეს საომარი ყიჟინა და იარაღის ჟღარუნი მხოლოდ ირონიულ ღიმილს შეიძლება იწვევდეს ჩვენს, ტკბილად რომ ვთქვათ, სტრატეგიულ მოწინააღმდეგეებში. აქ იგულისხმება არა მარტო გარე ოპონენტები, არამედ შიდა მარგინალური ძალები, რომელთა პოლიტიკური არსებობის ერთადერთი საშუალება საზოგადოების ორ შეურიგებელ ნაწილად გახლეჩა და კონფრონტაცია გახლავთ;

- იტანდა და უპასუხოდ ტოვებდა ნებისმიერ, ხშირ შემთხვევაში ზღვარგადასულ, დაუმსახურებელ კრიტიკას.

ერთი სიტყვით, აკეთებდა იმას, რაც საკუთარი სიცოცხლის ფასად უნდა აკეთოს სახელმწიფო მოღვაწემ, რომელსაც აქვს მოთხოვნილება და შესაბამისი უნარი ააშენოს ისეთი ქვეყანა, რომელიც ყველა ქართველს ეოცნებება.

ამ ყველაფრისთვის პატივს მივაგებ ზურაბ ჟვანიას.

ამასობაში ,,აღმოსავლეთის ექსპრესი", რომელშიც ზურაბი დაიღუპა, ისევ სადღაც მიექანება, თუმცა ყველას აქვს შანსი, ჩამოვიდეს მორიგ სადგურში ან, სულაც მატარებელს შეუცვალოს მიმართულება და წაიყვანოს ,,ადამიანთა თავისუფლებისა და ღირსების იდეებზე დაფუძნებული საზოგადოებისკენ" (ზ. ჟ.)

წიგნიდან ,,რა ღირს საქართველო"

გურანდა გაბუნია

ოთარ მელვინეთუხუცესი

რამდენი სიკეთე გვახსოვს...

ზურას შესახებ რამდენიმე ამბავს გავიხსენებთ.

პირველად რომ შევხვდით, მწვანეების ლიდერი იყო. ეს იყო პატარა ბიჭი, კეთილი და ზრდილობიანი, ალალი, სუფთა. ვინმეს ხუმრობაზე ხმამაღლა კისკისი იცოდა. ჩვენ მის ამ ჩვეულებაზე გვეღიმებოდა. გადიოდა დრო, ეს პატარა ბიჭი იზრდებოდა, ემატებოდა ჭკუა და ინტელექტი. იყო საოცრად ნაკითხი და ერუდირებული. იცვლებოდა და ემატებოდა პოლიტიკური ალღო და გამოცდილება. ორატორის ნიჭით იყო დაჯილდოებული, სათქმელის სიღრმით თუ სიტყვის მარაგით გაგაოცებდათ. დადინჯდა, თუმცა, როცა საჭირო იყო, ემოციურობაც არ აკლდა. მისი ნათქვაი მუდამ მოზომილი და მიზანმიმართული იყო. ცხადია, იღლებოდა, მაგრამ არ გვახსოვს, თეატრში პრემიერა გაეცდინოს. ასე იყო ყველას და ყველაფრის მიმართ, ყურადღებიანი, კეთილად განწყობილი და დამხმარე. მაგალითი სახელმწიფო მოღვაწის, ლიდერის.

- ერთხელ ჩემს შემოქმედებით საღამოზე მთელი მოქალაქეთა კავშირი მოვიდა. ზურას მოეჩვენა, რომ თაიგული, რომელიც ჩემთვის უნდა გადმოეცათ საკმარისი არ იყო და სთხოვა მიშა მაჭავარიანს, ყვავილები კიდევ მოეტანა. მიშა მაშინვე გავარდა და, სპექტაკლი რომ დამთავრდა, სცენა ყვავილებით იყო სავსე. დავინახე, პარტერში როგორი კმაყოფილი იცინოდა. აი, ეს იყო ზურა.

ელდარ შენგალაიას დაბადების დღეზე ცოტა დალია, იცეკვა, მერე მე გამიწვია, ვცეკვავდით, ვხუმრობდით, რაღაც კომიკურ ილეთებს ვიგონებდით. ყველამ ბევრი იცინა. უხაროდა, ბედნიერი იყო, ძალიან უყვარდა ელდარი. აი, ეს იყო ზურა. როცა უბედურება დამატყდა და ოთარი საოპერაციო გახდა, ოთარისთვის არ მითქვამს. გიჟივით

გავვარდი ზურასთან. ის იყო ყოველთვის ჩვენი პატრონი. შევვარდი, ვღრიალებდი, დავიღუპე მეთქი, ღმერთო, როგორ მაწყნარებდა, - ბატონი ოთარი მარტო შენ არ გეკუთვნის, ის მთელი საქართველოსიაო. ვტიროდი და ვუხსნიდი, რომ თანხა დიდია საჭირო და მე ვერაფრით ვიშოვი-მეთქი. დამაწყნარა, ნუ გეშინია, ვიშოვითო, თვითონაც თითქმის ტიროდა, აი, ეს იყო ზურა. ოთარი გადაარჩინა, თვითონ კი...

- ამ რამდენიმე წლის წინ კულტურის სამინისტრომ რუსთაველის თეატრს საგრძნობლად გაუზარდა ჯამაგირი. აღმოჩნდა, რომ ჩვენ ექვსჯერ ნაკლებს ვიღებდით. ორ თეატრს შორის ასეთი უთანასწორობა არასოდეს ყოფილა. სხვა გზა არ იყო, გურანდა მივიდა ზურასთან და ყველაფერს მოუყვა ამის შესახებ. გაუკვირდა და შეჰპირდა, სამ თვეში თქვენც გექნებათ იგივე ხელფასიო. მართლაც, პრემიერ-მინისტრმა შეასრულა პირობა და მალე ჩვენი ხელფასი გაუთანაბრდა რუსთაველის თეატრისას. აი, ეს იყო ზურა. ყველა დაბადების დღეზე, ყველა ზეიმზე, ყოველ ახალ წელს, შობის თუ აღდგომის დღესასწაულზე, ვიღებდით მისგან ძალიან ლამაზ მოლოცვის ბარათებს. ყველაფერი შენახული გვაქვს. ხშირად ვიხსენებთ, როგორ იცოდა ჩაცმა, ჯდომა, საუბარი, როგორი იყო - ღირსებით სავსე, გაწონასწორე-ბული, დაბრძენებული პოლიტიკოსი, ყველასგან გამორჩეული, ნამდვილი ლიდერი, ნამდვილი დიპლომატი.

ჩვენო ზურა, რომ იცოდე, როგორ დააკლდი შენს ოჯახს, მეგობრებს, ქვეყანას...

პეტრე მამრაძე

თვითდამკვიდრება მისთვის თვითმიზანი არ იყო

უპირველეს ყოვლისა მინდა ავღნიშნო, რომ ზურაბ ჟვანიას, ჯერაც სრულიად ახალგაზრდას, ჰქონდა მსოფლიოში მიმდინარე გლობალური პროცესების საკუთარი ხედვა, ჰქონდა ფასეულობათა მყარი სისტემა, შესაბამისად, ჰქონდა კონკრეტული მიზნები და ამ მიზნების განხორციელების გეგმები. ეს თვისებები მას გამოარჩევდა იმ ლიდერებისგან, ვისთვისაც მთავარია თვითდამკვიდრება, თუნდაც ნებისმიერ ფასად და ამ თვისებებით ის გამორჩეული იყო არა მხოლოდ ქართველ, არამედ ევროპელ პოლიტიკოსთა შორისაც. სწორედ ამ გარემოებამ, მის უშრეტ ენერგიასა და ორგანიზატორულ ნიჭთან ერთად, განაპირობა, რომ სულ ახალგაზრდა ზურაბ ჟვანია ევროპის მწვანეთა ორგანიზაციის თანათავმჯდომარე გახდა. მე კარგად მახსოვს, როგორ პატივს სცემდნენ და რა მნიშვნელობას ანიჭებდნენ მის იდეებს ამ ორგანიზაციის ლიდერები.

ჩვენი ლოზუნგი ასეთი იყო: ,,იაზროვნე გლობალურად, იმოქმედე ლოგიკურად". ეს ლოზუნგი გულშემატკივრებშიც კი ხშირად ღიმილს იწვევდა. მართლაც, მაშინდელი ვითარების ფონზე ძნელი იყო მოგესმინა ამგვარი მოწოდება და გულში არ გაგევლო: ,,როგორ გინდა გლობალურად ან რა გინდა გააკეთო ამ სრულიად გაუბედურებულ ქვეყანაში". ზურაბისთვის კი ეს მართლაც აზროვნებისა და, საერთოდ, ცხოვრების წესი იყო. ჩემთვის მუდამ შთამბეჭდავი იყო მისი უნარი,

მასშტაბური და გლობალური იდეების განვითარებუს შემდეგ, ზოგჯერ რაღაც საოცნებო კოშკების აგების შემდეგაც (ისევ ,,ნიუ-ვასიუკებს” აშენებ-მეთქი? - ვეტყოდი ასეთ დროს), იქვე გადასულიყო სრულიად კონკრეტული, თუნდაც რუტინული და ტექნიკური ამოცანების დასახვაზე და მათი გადაჭრის ორგანიზებაზე. ეს თვისება, ურთიერთობისა და ორატორულ ნიჭთან ერთად, აძლევდა მას საშუალებას, სხვებიც აენთო და აევსო ენთუზიაზმით. დიდ როლს თამაშობდა მისთვის ჩვეული იუმორის უძლიერესი და სრულიად ორიგინალური გრძნობაც. ის საოცრად მკვეთრად ხედავდა და ცნობდა აბსურდს, მარაზმს, უბრალოდ, სასაცილო თუ კოლორიტულ სიტუაციებს და გროტესკულად წარმოადგენდა ყველაფერს, ხალას ინტერესსა და ხალისს ასხივებდა. ყოველივე ამის შედეგი იყო, რომ ნებისმიერი, თუნდაც ყველაზე მცირე მასშტაბის ღონისძიება, რომელსაც ზურაბ ჟვანია აწყობდა, ყველასთვის რაღაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდა. ყველასთვის ცხადი ხდებოდა ამ ყოველდღიური, რუტინული საქმიანობის კავშირი ჭეშმარიტად გლობალურ მოვლენებსა და მიზნებთან.

მისი გუნდის წევრებისთვის არ არსებობდა ჩვეულებრივი დღეები, ,,ნაცრისფერი” ყოველდღიურობა. განსაკუთრებით მინდა ავღნიშნო, ერთი იდეა, რომელსაც იმ წლებში ავითარებდა ზურაბ ჟვანია თანამოაზროვნეე-ებთან ერთად - საერთო კავკასიური სახლი. ზურაბი აღიქვამდა მთელ კავკასიას (სამხრეთსა და ჩრდილოეთს) ერთიან უნიკალურ რეგიონად - უნიკალურს თავისი ბუნებრივი, ეკოლოგიური პიროებით, ასევე, უძელესი კულტურითა და ტრადიციებით. მას მიაჩნდა, რომ რეგიონში მცხოვრებმა ხალხებმა შეინარჩუნეს მჭიდრო სულიერი და ფიზიკური კავშირი ბუნებასთან, რომ ამ მყარ საფუძველზე შეიძლებოდა მშვიდობიანი და ნაყოფიერი თანაცხოვრება, თანამშრობლობა, კავკასიის მდგრადი განვითარება - ნამდვილი საერთო ხალხის აგება, და რომ ამ სახლში საქართველო დაიმკვიდრებდა ყველასთვის მისაღებ და სასურველ, ღირსეულ ადგილს. მახსოვს, რომ

კავკასიის პრაქტიკულად ყველა რეგიონიდან ცნობილი მოღვაწეები ესაუბრებოდნენ ზურაბს ამ იდეაზე, ეუბნებოდნენ, რომ ჩანაფიქრის ხორცშესხმა აუცილებელია და რომ საქართველომ ამ დიდ საქმეში განსაკუთრებულად დიდი როლი უნდა შეასრულოს. ჩემი რწმენით, ზურაბის დიდი გამარჯვებაც იყო, რომ მასთან ურთიერთობის შემდეგ ამ ადამიანებმა ეს იწამეს და ასე დაიწყეს აზროვნება. სამწუხაროდ, ბნელმა, იმპერიულ-რევანშისტულმა ძალებმა კეთილშობლიურ იდეას დაუპირისპირეს ნგრევა და სისხლიანი კონფლიქტები მთელ კავკასიაში. ვფიქრობ, ამ იდეის განხორციელებაში ღირსეული წვლილის შეტანა არის ის ანდერძი, რომელიც ზურაბ ჟვანიამ დაუტოვა კეთილი ნების ყველა ადამიანს, ახლანდელ და მომავალ თაობებს.

ციალა ორჯონიკიძე

ახლაც თვალწინ მიდგას

ზურაბ ჟვანი გავიცანი, როდესაც ბიოლოგიის ფა-კულტეტის პირველი კურსის სტუდენტი იყო. მე ვმუშაობდი აკადემიკოს ივანე ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინტიტუტში, ქცევადმცოდნეობის განყოფილებაში. ზურაბიც დაინტერესებული ყოფილა ცხოველთა ქცევით. ამიტომაც მოვიდა ჩემთან ლაბორატორიის გასაცნობად და ჩვენთან სამუშაოდ. მე ჩავთვალე, რომ პირველი კურსის სტუდენტი, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ ბავშვი იქნებოდა, მაგრამ, როგორც კი დავუწყე ლაპარაკი მივხვდი, რომ ჩემ წინ იდგა ღრმად განათლებული, დამოუკიდებლად და ლოგიკურად მოაზროვნე ადამიანი. მან იმდენად საინტერესო მოსაზრებები გამოთქვა ცხოველთა ქცევისა და, საერთოდ თავის ტვინის მუშაობის შესახებ, რომ მაშინვე თავად შევთავაზე, ჩემთან ერთად იმუშავე-მეთქი. ისიც, როცა კი თავისუფალი დრო ჰქონდა, მოდიოდა ინსტიტუტში. ასე გრძელდებოდა, სანამ ქრონიკულ ცდებს ვატარებდით - სხვადასხვა პირობებში ნორმალური ცხოველების (ძაღლების და კატების)ქცევას ვსწავლობდით. მაგრამ, როცა ცხოველების ტვინზე ოპერაციები დავიწყეთ, ზურაბს არ ესიამოვნა ამის ყურება და არც ერთ ოპერაციას აღარ დასწრებია თუმცა, ჩვენთან ურთერთობა არ გაუწყვეტია.

ჩვენ ისე დავმეგობრდით, რომ იგი სახლშიც ხშირად მოდიოდა ჩემთან სასაუბროდ. განსაკუთრებით ჩამრჩა გულში მისი ერთი სტუმრობა. ადრე გაზაფხული იყო და ზურას ღია ფერის დრაფის პალტო ეცვა. სახლში რომ შემოვიდა, პატლო გაიხსნა და გულის ჯიბიდან წითელი ტიტები ამოიღო. ახლაც, როდესაც მას ვიგონებ, თვალწინ მიდგას სულ ახალგაზრდა ზურა, მისი ჭკვიანი, საყვარელი სახე, შუქით სავსე თვალები და წითელი ტიტები.

ზაირა არსენიშვილი

აუნაზღაურებელი დანაკლისი

ზურა ჟვანიას ტრაგიკული დაღუპვით გამოწვეული აუნაზღაურებელი დანაკლისი, რაც ასე სავალალოდ დააჩნდა ჩვენს ქვეყანას, განსაკუთრებული სიმწვავით ნოემბრის კრიზისულ დღეებში გამოჩნდა... ძნელია, ძნელი და საბედისწერო ჩვენისთანა პატარა ერისთვის, სახელმ-წიფოებრიობის ორსაუკუნოვანი მოშლისა და 70-წლიანი ტოტალიტატური რეჟიმის შემდეგ ზურა ჟვანიას დარი პოლიტიკური ლიდერი რომ გამოანათებს და ასე ვაგლახათ, ასე ნაუცბადებად ჩაქრება.

მე კი მაშინ გავიგე ეს სახელი - ზურა ჟვანია, როცა ის 1-ლი ექსპერიმენტული სკოლის მოწაფე იყო. იქ ჩემი ახლო ნათესავი, დამსახურებული პედაგოგი ბიოლოგიისა მზევინარ ქვარაია ასწავლიდა. ფეხის რთული მოტეხილობის გამო ზურამ დიდხანს იავადმყოფა და მასწავლებლები მასთან სახლში დადიოდნენ გაკვეთილების ჩასატარებლად. სწორედ მაშინ გავიგე, რომ იყო უნიჭიერესი ბიჭუნა, ზურა ჟვანია, რომელსაც თურმე ,,ისეთი ნათელი თავი აქვს, შეუძლებელია მეცნიერებაში თავისი სიტყვა არ თქვას". მე თანაგრძნობით გავიმსჭვალე ლოგინს მიჯაჭვული ნიჭიერი ბიჭუნას მიმართ და სრულიად ბუნებრივად დამახსომდა კიდეც მისი სახელი. არ გაუვლია ორიოდ წელს და რეჟისრომა და ჩვენმა ახლობელმა, აწ გარდაცვლილმა ომარ გვასალიამ გადაიღო დოკუმენტური ფილმი ჩვენს

ახალგაზრდებზე. რეჟისორს სურდა გამოემჟღავნებინა მათი განათლების დონე, თვალსაწირი და, განსაკუთრებით, დამოკიდებულება ილიას მრწამსის მიმართ. საპროექციოში ვისხედით, ვუყურებდით მასალას. და აი, უცებ ამ არცთუ ხეირიანად მომზადებულ მოწაფეებს შორის, მართლაც რომ გამოანათა შავტუხა, ქოჩორა ბიჭუნამ, გამოანათა თავისი გონიერებითა და პირდაპირობით, დამოუკიდებელი აზროვნების უნარით, დაფიქრებული პასუხებით. ტიტრი გვაუწყებდა, რომ ეს იყო ზურა ჟვანია. მე მაშინვე გამახსენდა იგი და მოწონებასთან ერთად გამიხარდა, რომ ბიჭუნა, საღ-სალამათი, ფეხზე იდგა.

შემდეგ წლებში ზურა დაუახლოვდა ჩემს უახლოეს ადამიანებს, ლანა ღოღობერიძსა და კახა ჩიტაიას, და მე მას სწორედ მათთან შევხვედრივარ. ყოველთვის საინტერესო იყო ზურას ნახვა. არაჩვეულებრივად მიმზიდველი იყო მისი გახსნილი ურთიერთობა ადამიანებთან, ლოგიკური აზროვნებისა და მჭერმეტყველების იშვიათი უნარი, ემოციური, იუმორით სავსე, მხიარული ბუნება.

მოგეხსენებათ, გასულ წლებში ზოგჯერ ჰუმანიტარულ დახმარებას ვიღებდით ხოლმე. ამის შესახებ გვატყობინებდა ფრიად სიმპატიური, ნიადაგ ჩვენზე მზრუნავი ქალი გამგეობიდან. ერთხელაც მოვიდა და რატომღაც საიდუმლო ტონით გვაუწყა ზეთისა და ფქვილის შესახებ. მხოლოდ, რადგან ეს დახმარება მავანი კაცისაგანაა, მოახლოებულ არჩევნებში ხმაც იმას უნდა მისცეთო. მე, როგორც იტყვიან, შევხვდი და შემოვტრიალდი, როგორ მიბედავ - მეთქი, არც ზეთი მინდა, არც ფქვილი და არც მაგისი ხმის მიცემა - მეთქი. აბა, ვის უნდა მისცეთ ხმაო, მკითხა. ვისა და ზურა ჟვანიას - მეთქი. გაიცინა და, მართალი ხარო; აბა, მაგის მეტს ვის უნდა მისცეს კაცმა ხმაო. ზურა რომ ვნახე, სიცილით ვუთხარი, ასე და ასე იყო და ჩვენმა შიკრიკმაც შენ მოგცა უპირატესობა მეთქი. ,,ისე, ქალბატონო ზაირა, - მეუბნება ზურა თავისი განუმეორებელი კილოთი, - შეცდომა დაგიშვიათ, უნდა აგეღოთ ზეთი და ფქვილი, ის ხომ თქვენი ფულით არის ნაყიდი, ხმა კი ვისთვისაც გინდოდათ, იმისთვის მიგეცათ”.

ავტორისთვის ხომ არაფერია ამაზე სასიამოვნო, მის წიგნს რომ კითხულობენ და ასახელებენ, თუ მით უმეტეს მკითხველს აფასებთ და გიყვართ და რა სასიხარული იყო ჩემთვის, ერთ-ერთი ინტერვიუს დროს ზურას რომ ჰკითხეს, ბოლო ხანს რა წაიკითხეთო და ჩემი რომანი ,,ვა, სოფელო...” დაასახელა.

ზურას სიკვდილი მართლაც მეხივით დაგვატყდა. ოჰ, რა დასანანია მისი ასე ნაუცბადევად გაქრობა. რა სამწუხაროა, რომ ჩვენს მწირ პოლიტიკურ სპექტრში ზურა თავისებურად აღარ ბრწყინავს.

ნანა დიმიტრიადი

კეთილშობილებისა და ინტელიგენტობის

მაგალითი

ზურაბ ჟვანიასადმი ჩემი სიმპატია პოლიტიკურ სარბიელზე მისი პირველი გამოჩენისთანავე დაიბადა. მე, აბსოლუტურად აპოლიტიკური ადამიანი, ყურადღებით ვუსმენდი მის ყველა გამოსვლას. აღტაცებული ვიყავი მისი მჭერმეტყველებით, ღრმა და მასშტაბური აზროვნებით, მისი წმინდა ადამიანური ხიბლით. სამწუხაროდ, ახლოს არ ვიცნობდი და მასთან არანაირი ურთიერთობა არ მქონია, მაგრამ ჩემმა ვაჟიშვილმა, ზურაბის მშობლებივით ფიზიკოსმა, მახსოვს, ერთხელ მითხრა: ,,შენი აღტაცება გასაგებია. ისეთი ადამიანები, როგორიც არიან რემა და ბუსა, ცხოვრებაში არ შემხვედრია”. (ისინი ერთად მუშაობდნენ).

მახსოვს, როგორ განვიცდიდი და ვღელავდი როდესაც მის წინააღმდგეგ უმსგავსო ინსინუაციები დაიწყო პრესასა და პარლამენტში.

ღმერთო, დიდებულო! როგორი ღირსებითა და თავდაჭერით იტანდა იგი ამას.

ჭეშმარიტად, ეს ახალგაზრდა ადამიანი კეთილშობილებისა და ინტელეგენტობის მაგალითი იყო.

როდესაც ეს საშინელი უბედურება მოხდა, დიდხანს ვიყავი შოკში. მე ახლაც არ შემიძლია აუღელვებლად ამაზე ფიქრი და ლაპარაკი.

მინდა, ძალიან მასზე ბევრის თქმა, მაგრამ, სამწუხაროდ, არ ვეკუთვნი იმ ადამიანებთა რიცხვს, რომლებიც იოლად და თავისუფლად წერენ. ეს განსაკუთრებული ნიჭია.

გარდაცვალების შემდეგ იგი კიდევ უფრო უკეთ გავიცანი. მახსოვს კადრები ფილმიდან, როდესაც მას - არ მეშინია ამ სიტყვის თქმის - გენიალურ ბიჭუნას, უამრავ შეკითხვას აძლევენ. იმ ბუჭუნას სახე მუდამ თვალწინ მიდგას.

ნიკა ონიანი

ის თავიდანვე ლიდერი იყო

ზურაბი გავიცანი 180-იანი წლების შუა ხანებში. მაშინ სტუდენტი იყო. მისი ინიციატივით ბიოლოგიის ფაკულტეტის ფიზიოლოგიის და

სხვა კათედრების სტუდენტები გასვლით სამეცნიერო სხდომებს აწყობდნენ ხოლმე თბილისის შემოგარენში, ქვათახევში თუ სხვაგან. მოხსენებებს კითხულობდნენ და ისტორიულ ძეგლებსაც ათვალიერებდნენ. მე ფიზიოლოგიის ინსტიტუტში ვმუშაობდი და ასეთ ღონისძიებებზე ხშირად მეპატიჟებოდნენ. ჩვენი ნაცნობობა სწორედ იმ პერიოდში დაიწყო.

გავიდა მცირე ხანი. ზურა შემხვდა. მას და ბატონ გივი თუმანიშვილს სულ რამდენიმე კვირის წამოწყებული ჰქონდათ მწვანეთა მოძრაობა. ზურამ მიამბო ამ წამოწყების შესახებ და მითხრა, თქვენც ხომ არ შემოგვიერთდებითო. ამ დღიდან მეც ჩავერთე მწვანეთა მოძრაობაში, რადგან ეს ადამიანები მუშაობდნენ ჩემთვის საინტერესო თემებსა და პრობლემებზე, მაგალითად, ხუდონის ჰესისა და სხვა საკითებზე.

ზურას თავიდანვე ეტყობოდა, რომ აშკარად გამოკვეთილი ლიდერი დადგებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ჩვენგანზე უმცროსი იყო (ზოგს შვილადაც კი ეკუთვნიდა), მთელი, ასე ვთქვათ, ,,მწვანედ მოაზროვნე" ხალხი გარს შემოიკრიბა. მათს რიგებში იყო ბევრი ღვაწლმოსილი მეცნიერი - როგორც საბუნებისმეტყველო, ისე ტექნიკური დარგებიდან. ზურას გვერდით იდგნენ მწერლები, კინოხელოვანები და ჩვენი კულტურის და სხვა მოღვაწეები. გარდა ამისა, მასთან იყვნენ სტუდენტები, რომლებიც მოძრაობის ბირთვს შეადგენდნენ.

იმდენად ყველაზე აქტუალური იყო ხუდონის ჰესის თემა, მშენებლობა უკვე მიმდინარეობდა. ზურას კიდევ არ ჰქონდა ჩამოყალიბებული რადიკალური აზრი ამ საკითხზე. ჩვენ გადავწყვიტეთ, უფრო კარგად გავრკვეულიყავით, რას მოგვცემდა ან რას გვავნებდა ამ ჰესის მშენებლობა და, საერთოდ, შეიძლებოდა თუ არა ენგურის ხეობაში, ენგურის კაშხლის თავზე კიდევ ერთი უზარმაზარი კაშხლის აგება. ამ მიზნით მოვიწვიეთ რამდენიმე არაფორმალური სამეცნიეროკონფერენცია, გაკეთდა მოხსენებები. ჩვენი თანამოაზრეები

უფროსი თაობიდან (მეცნიერები) ამტკიცებდნენ, რომ ხუდონჰესის აშენება გამოიწვევდა საქართველოს ეთნიკური განსახლების სურათის შეცვლად. სვანეთიდან მთელი სოფელი უნდა აყრილიყო და ბარად ჩამოსახლებულიყო.

როგორც ვთქვი, ჩვენ არ გვქონდა რადიკალური მიდგომა ამ საკითხისადმი, მაგრამ შევიმუშავეთ ალტერნატიული წინადადება, რომ 204 მეტრის ნაცვლათ აგვეგო 180 მეტრის სიმაღლის კაშხალი რაც არ გამოიწვევდა მაგ სოფელ ხაიშის წყალში მოქცევას და ზოგ სხვა სირთულესაც აგვაცილილებდა. რადგან მშენებლობა უკვე დაწყებული იყო, ხოლო ის ადგილი ეკოლოგიურად უკვე განადგურებული, შეიძლებოდა კაშხალი ნაკლები სიმაღლისა აგებულიყო, მშენებლობისთვის განკუთვნილი დანარჩენი თანხა კი რეკრეაციას და ლანდშაფტის აღდგენასაც მოხმარდებოდა.

ზურასთვის, ისევე როგორც მისი გარემომცველი წრისთვის, ცხადია, იმ დროსაც უაღრესად მწვავე და საჭირბოროტო იყო საქართველო-რუსეთის ურთიერთობის თემა. ჩვენ, რა თქმა უნდა, ვიზიარებდით იმ აზრს, რომ ფაქტობრივად რუსეთის კოლონია ვიყავით და, რაც მალე გავთავისუფლდებოდით მისი მავნე გავლენისაგან, მით უკეთესი, მაგრამ იმ ხანად ეს იყო, უბრალოდ, მსჯელობა ამ პრობლემის გადაწყვეტის გზებზე, რათა ჩვენ პროტესტს უფრო არგუმენტირებული სახე ჰქონოდა. საერთოდ კი მინდა ვთქვა, რომ ზურაბს აუცილებლად მიაჩნდა მშვიდობიანი, კეთილგანწყობილი ურთიერთობის შესაძლებლობის ფარგლებში ყველა მეზობელ ქვეყანასთან, მით უმეტეს ვეებერთელა რუსეთთან.

ამ დროს ზურა სულ 22-23 წლის ყმაწვილი იყო და, ერთი შეხედვით, გასაკვირია, რომ ამდენს სწვდებოდა, მაგრამ, ვფიქრობ, ყველაფერს მისი უდიდესი ენთუზიაზმი და ფართო ერუდიცია განსაზღვრავდა. აქვე მინდა ვთქვა, რომ ზურა მართლაც მრავალმხრივი

ნიჭით დაჯილდოებული იყო, რაც ნათლად წარმოჩნდა არა მარტო ერთ რომელიმე კონკრეტულ სფეროში.

დარწმუნებული ვარ, საქმე სხვანაირად რომ წასულიყო, იგი თვალსაჩინო მეცნიერი იქნებოდა. სახელმწიფო უნივერსიტეტში ფიზიოლოგიის კათედრაზე თავისი ლაბორატორია ჰქონდა, რომელსაც წარმატებით ხელმძღვანელობდა და საინტერესო ნაშრომებიც გამოაქვეყნა. რაღა თქმა უნდა, თვალსაჩინო ლიდერი იყო საზოგადოებრივ ორგანიზაციაშიც. 1992 წლის საპარლამენტო არჩევნებში მწვანეთა პარტიამ მანდატები რომ მოიპოვა, ესეც ზურას ავტორიტეტმა განაპირობა.

ზურას უდროოდ წასვლა უდიდესი დანაკლისია არა მარტო თითოეული ჩვენგანისთვის, არამედ მთელი საქართველოსთვის.

ზურაბ ფალავა

ზურაბ ჟვანიას „მწუხარე ფურცელი”

„Скорбный лист” – ასე უწოდებდნენ ძველად რუსეთში სამედიცინო დოკუმენტს, რომელსაც დღეს „ავადმყოფობის ისტორია” ჰქვია. ახალი

სახელწოდება შეესაბამება ჩვენი დროის მედიცინის პროგრესს და ერთგვარად იმასაც გამოხატავს, რომ ,,ავადმყოფობა” მაინც ეპიზოდია ჩვენს ცხოვრებაში, ხოლო ,,ისტორია” გულისხმობს ექიმის ობიექტურ და მიუკერძოებელ ჩანაწერებს სნეულების განვითარების შესახებ. როდესაც საუბარია ზურაბ ჟვანიაზე, გონებაში უნებურად ამოტივტივდება სწროდედ ის ძველი რუსული სახელწოდება, რომელშიც სიტყვა ,,Скорбь” ერთდროულად ნიშნავს ავადმყოფობას, სნეულებას და მწუხარებას, სევდა-ნაღველს. ზურაბის ,,ავადმყოფობის ისტორია” მეტყველებს მხოლოდ იმაზე, რომ იგი პრაქტიკულად ჯანმრთელი იყო, ხოლო ,,მწუხარე ფურცელი”...

ზურაბ ჟვანიაზე ყველაზე ზუსტი მოგონების დაწერა იმათ შეუძლიათ, ვინც მის გვერდით ცხოვრობდა მრავალი წლის განმავლობაში, სხვებს კი ისღა დარჩენიათ, დასჯერდნენ საკუთარ შთაბეჭდილებებს და იმ გავლენას, რომელიც მათზე მოახდინა ამ ნიჭით და გონით აღსავსე ადამიანმა. მე არ მქონია ზურაბთან განსაკუთრებული ურთიერთობა, თუმცა მასთან შეხვედრა ჩემზე ყოველთვის დიდ შთაბეჭდილებას ტოვებდა. ასეთი იყო ჩვენი ბოლო შეხვედრაც მის სამუშაო კაბინეტში 2004 წლის 30 იანვარს, ტრაგედიამდე 3 დღით ადრე. ეს იყო ოჯახის ექიმის ჩვეულებრივი, დაგეგმილი ვიზიტი ადამიანთან, რომელიც ჯანმრთელობას მანდობდა. საუბარი მრავალ საკითხს შეეხო, მათ შორის მედიცინის სფეროს პრობლემებსაც. გაოცებული ვიყავი, საიდან ჰქონდა ამდენი ცოდნა ისეთ სპეციფიკურ დარგში როგორიც ჯანმრთელობის დაცვაა. ყოველ მის სიტყვას და მოსაზრებას წითელ ხაზად გასდევდა ღრმა პატივისცემა ამ დარგში მომუშავე ადამიანებისადმი და ის რწმენა, რომ ჯანდაცვის უპირობო და ერთადერთი პრიორიტეტი ავადმყოფი უნდა იყოს.

შემდეგ კი - ზარი გამთენიისას და ხმა ტელეფონში: ,,თქვენს პაციენტს პრობლემები აქვს”, ხოლო უკვე მანქანაში - ,,ზურაბი დაიღუპა”. შემდეგ - ეზო საბურთალოს ქუჩაზე - სავსე სპეცსამსახურების

წარმომადგენლებით. და ბოლოს - ჩვენი მოქალაქეებისთვის თავზარდამცები განცხადება რუსთავი 2-ის სპეციალურ გამოშვებაში.

...დედამ უარი თქვა გეგმური ჰემოდიალიზის ჩატარებაზე და ჯანმრთელობის მდგომარეობის მკვეთრი, მეტად სერიოზული გაუარესების გამო საავადმყოფოში მოხვდა. როგორც შემდგომში გაირკვა, მისი მეხსიერებიდან მთლიანად წაიშალა დაკრძალვის დღე - ასეთი იყო ფსიქიკური შოკის შედეგები.

...ზურაბის გარდაცვალების დღეს დავხურე მისი ,,ავადმყოფობის ისტორია", მაგრამ ,,მწუხარე ფურცელი" კვლავ გადაშლილია, თუმცა ახლა მასში აღიბეჭდება ქალბატონი რემას ენით აღუწერელი დარდი და ამავე დროს გასაკვირი სიმტკიცე, როდესაც საქმე ეხება მისი შვილის, ზურაბ ჟვანიას მემკვიდრეობას ამ სიტყვის ყველაზე ფართო გაგებით.

გია მაჩაბელი

მოგონებები ჟვანიების ოჯახზე

ბატონ ზურაბ ჟვანიასთან მქონდა საინტერესო შეხვე-დრები, მაგრამ აქ მინდა რამდენიმე სიტყვა ჯერ მის მშობლებზე ვთქვა. ცხოვრების საუკეთესო წლების მანძილზე მათთან ერთად მომინდა მუშაობა, რისთვისაც ბედის მადლობელი ვარ. მწამს, რომ ოჯახი, გარემო, რომელშიც იზრდება ადამიანი, გადამწყვეტია მისი ფორმირებისათვის.

თბილისის უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის პირველ და მეორეკურსელებს ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორმა ელეფთერ ანდრონიკაშვილმა შემოგვთავაზა მის ინსტიტუტში გვევლო ლაბორატორიებში მიმდინარე სამუშაოების გაცნობისა და მომავალში შესაძლო თანამ-შრომლობის მიზნით. სტუდენტებს ინსტიტუტის კრებებზე დასწრების უფლებას გვაძლევდნენ, და აი, ერთხელ მეტად უცნაურ კრებას დავესწარი, განსაკუთრებით - დღევანდელობის

გადასახედიდან. თბილისში ჩამოსული იყო ცნობილი ჯაზის სახელგანთქმული ოსტატი, კლარნეტისტი ბენი გუდმანი. ეს ჩვემთვის, საბჭოთა ადამიანებისთვის, იგივე იყო, რაც დღეს მარსელებთან შეხვედრა იქნებოდა. რადგან ამერიკელები ,,ჩვენი მტრები" იყვნენ. ფიზიკოსებს აკრძალული გვქონდა ერთი ერთზე უცხოელებთან ლაპარაკი. გარდა ამისა, ითვლებოდა, რომ ჯაზის მოსმენა გარყვნიდა ჩვენს წმინდა საბჭოთა იდეალებით აღსავსე გულებს. ამ დროს აღმოჩნდა, რომ ინსტიტუტის ერთ-ერთი თანამშრომელი, ახალგაზრდა ქალი, ვიღაცას უნახავს ქუჩაში ბენი გუდმანის ორკესტრთან მოლაპარაკე. ეს იყო და ეს, მეტი არაფერი. და აი, ამ არაფერს ეძღვნებოდა ეს კრება. გამომსვლელები კიცხავდნენ ქალბატონს, რომელსაც თურმე შეეძლო სახელმწიფო საიდუმლოებები გაეთქვა. დანარჩენები დუმდნენ (ასეთი დრო იყო მაშინ). უცებ ადგილიდან ყვირილით წამოვარდა აღშფოთებული ბუსა ჟვანია: რამ გამოგაშტერათ, რა ქნა ამ გოგომ იმისთანა, სამსახურიდან რომ აგდებთო? ამან ვერ უშველა და ქალბატონი სამსახურიდან დაითხოვეს. ბუსას გამოსვლა ახლაა ბუნებრივი, მაშინ კი ეს თავგანწირვის ტოლფასი საქციელი იყო. ორი წლის შემდეგ, როცა პლაზმის ფიზიკის განყოფილებაში დავიწყე მუშაობა ამოცანაზე ბატონ ნოდარ ცინცაძესთან, გავიცანი ბუსაც და მშვენიერი ქალბატონი რემაც. ბუსა და რემა ახალდაქორწინებულები იყვნენ. ასე რომ, ზურას, მათს პირველ შვილს, შეიძლება ითქვას, მის დაბადებამდე ვიცნობდი. ბუსა თბილისის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ სამუშაოდ გაგზავნეს სოხუმის ფიზიკა-ტექნიკურ ინსტიტუტში. იქ მუშაობდნენ ტყვე გერმანელები, მათ შორის ცნობილი მეცნიერი, მომავალი ნობელის პრემიის ლაურეატი გუსტავ ჰერცი. ბუსა ჰერცის ხელმძღვანელობის რადიოაქტიურ ნივთიერებებზე მუშაობდა.

ფიზიკის ინსტიტუტიდან წამოვედით ჯერ ბუსა და რემა, მერე მეც, მაგრამ მოხდა ისე, რომ ერთ დაწესებულებაში - აბასთუმანის ობსერვატორიაში კვლავ ერთად აღმოვჩნდით.

გარბოდა წლები. რადიოაქტიურ ნივთიერებებთან მუშაობას ბუსასთვის უკვალოდ არ ჩაუვლია, მადლობა უფალს, თავისი შვილის დაღუპვას ვერ მოესწრო, ის გარდაიცვალა ძვლის ტვინის ავთვისებიანი დაავადებით. გამოსხივებამ, ეტყობა, ზურაბზეც გენეტიკურად იმოქმედა - ბავშვობაში ბარძაყის ძვალზე კისტა განუვითარდა. მან მძიმე ოპერაცია გადაიტანა მოსკოვში. იმისათვის, რომ შვილთან ყოფილიყო საავადმყოფოში, ქალბატონი რემა იქვე სანიტარად მოეწყო. მოგვიანებით, როცა ნიჭიერი ახალგაზრდა ბიოლოგი ზურაბ ჟვანია ჩაება საზოგადოებრივ საქმიანობაში, მწვანეთა პარტიაში, ბატონმა ბუსამ გადადო თავისი საქმეებიდა ენერგეტიკული წყაროების შესწავლა დაიწყო. განსაკუთრებით წყალბადის საწვავად გამოყენების იდეა იზიდავდა. წყალბადის მოპოვება საკმაოდ ადვილად ხერხდება, მისი შენახვა კი დიდი პრობლემაა. ბუსა თვლიდა, რომ წყალბადის შენახვა შესაძლებელია ნავთობის ამოტუმბვის შედეგად დაცარიელებულ მღვიმეებში, რამაც დედამიწის ქერქში ქნევათა ბალანსი უნდა აღადგინოს. იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ წყალბადის წვის პროდუქტი გამოხდილი წყალია, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ წყალბადის წვით მიღებული ენერგია ეკოლოგიის თვალსაზრისით იდეალურია. ბატონმა ბუსამ ენერგეტიკას ძირითადად შვილის მხარდასაჭერად მოჰკიდა ხელი. ეს პრობლემები დღეს განსაკუთრებით აქტუალურია და მჭიდროდაა დაკავშირებული მსოფლიო პოლიტიკასთან.

ჩემი მოგონებები თითქოს ბატონ ბუსას უფრო ეძღვნება, მაგრამ ჩემთვის ბუსა და ზურაბი ერთმანეთისთვის განუყოფელნი იყვნენ და ზემოთ მოყვანილი მაგალითიც ამის დასტურია. ისინი ძალიან ჰგავდნენ ერთმანეთს და, ამავე დროს, ძალიან გასხვავდებოდნენ. ბუსა პრინციპული, მეტად მორიდებული, სიტყვაძუნწი კაცი იყო. ზურა კი - ასევე პრინციპული და მორიდებული, ამასთან, ყველასთვის გულგახსნილი და, ბუსასგან განსხვავებით, პოლიტიკით გატაცებული. მახსოვს ერთხელ, მისთვის მძიმე პერიოდში ვუთხარი: რად გინდა ეს

პოლიტიკა, იქნებ მეცნიერებას დაუბრუნდე-მეთქი. იწყინა, რას ამბობთ, მე ამით ვცოცხლობო. უნდა ითქვას, რომ ადრე ზურაბმა შემომთავაზა პოლიტიკურ საქმიანობაში მონაწილეობა.

ამას წინათ (უკვე ზურაბის გარდაცვალების შემდეგ) ისრაელში, წმინდა მიწაზე მომიწია ყოფნა. გოლგოთასთან ვიდექი ნაცნობ ექსკურსიამძღოლთან - ბენიამთან ერთად, ამ დროს გამოიარა ამ მიწის მეპატრონემ - ხანდაზმულმა მუსლიმმა, რომლის წინაპრისთვისაც ეს მიწა თურქეთის სულთანს - სულეიმან დიდს უბოძებია. ბენიამმა ასე გააცნო მას ჩემი თავი: ეს პრემიერ ჟვანიას მეგობარიაო. ამისთანა ეფექტს არ ველოდი. ხანდაზმულმა კაცმა აღარ იცოდა, როგორ ეცა ჩემთვის პატივი, - ყველგან ურიგოდ შევყავდი, გზადაგზა ყველას ეუბნებოდა, რომ მე პრემიერ ჟვანიას მეგობარი ვარ. ჩემს მადლობაზე მითხრა, ქართველებს იერუსალიმში სულეიმან დიდის დროს განსაკუთრებული პრივილეგიები ჰქონდათო. ეს ზურაბისგან იცოდა.

ყველაფრის მიუხედავად, ზურაბი ბედნიერი კაცი იყო. ჰყავდა შესანიშნავი ოჯახი, აკეთებდა იმ საქმეს, რაც ყველაზე მეტად უყვარდა და კარგადაც გამოსდიოდა. განა ეს ბედნიერება არ არის? ეკლესიასტეს უთქვამს: ,,თუ ვინმე შრობის წილ სიკეთეს ჰპოვებს, ეს მადლია ღვთის ნაბოძები. ვუწყი ისიც, რომ ყოველივე, ღვთის მიერ ქმნილი იარსებებს უკუნისამდე. რაიც ყოფილა, უკვე არის დიდი ხანია, და რაც იქნება, ის უკვე იყო და აწ გარდასულს მხოლოდ ღმერთი გამოიძიებს”.

ზურაბის ამ ქვეყნიდან გაუჩინარებით ძალიან ბევრი დააკლდა საქართველოს.

თედო ჯაფარიძე

ზურაბ ჟვანია - საღად, სახელმწიფოებრივად

მოაზრობნე მოღვაწე

მე არ მივეკუთვნები ზურაბ ჟვანიას მეგობრების უახლოეს წრეს. ასაკობრივად ჩვენ სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები ვიყავით. თუმცა, შემიძლია ვთქვა, რომ მას შემდეგ, რაც 1989 წელს მოსკოვიდან თბილისში გადმოვედი, ზურა ჩემი პროფესიული საქმიანობისა დაცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა.

დღეს კი მე მასზე, სამწუხაროდ, მოგონების დაწერა მიხდება... მერწმუნეთ, ეს ჩემთვის უაღრესად მძიმე საქმეა და, რომ არა ქალბატონი რემა (რომელსაც ასეთი საშინელი უბედურება დაატყდა თავს, რა თქმა

უნდა, ნინოსთანაც, ბავშვებთან და გოგლასთან ერთად), ამ თხოვნის შესრულებაზე უარს ვიტყოდი.

თუმცა, მინდა გითხრათ, რომ ახლაც ძალიან მიჭირს ეს!

ზურაბ ჟვანიასთან ჩემი ურთიერთობა მუდამ რაღაცნაირად ფრაგმენტული იყო. ხშირად არ ვხვდებოდით და ალბათ, ყოველთვის თითქოს ერთმანეთის ,,საწინააღმდეგო" პოლიტიკურ გუნდებში ვითვლებოდით. თუმცა ნებისმიერი ჩვენი შეხვედრა თუ საუბარი მეტად კორექტული, უაღრესად დამუხტული და გულახდილი გახლდათ. თანაც რაღაც უჩვეული სიმძაფრით, სარკაზმით, ზოგჯერ მწარე ირონიით სავსე, მაგრამ მაინც თბილი, ემოციური, განსაკუთრებული იუმორით გაჯერებული.

ზურა არ იყო უბრალო პარტნიორი; რთული იყო ყოველი მისი ჩანაფიქრის ადეკვატურად აღქმა ან გაგება, ან თუნდაც ზოგიერთ მის მოსაზრებაზე დათანხმება. ყოველთვის წინასწარ ჰქონდა გათვლილი ყველა ნაბიჯი ან მისაღები გადაწყვეტილება. ან ასე ფიქრობდა თვითონ. მიზანს ხშირად აღწევდა, ალბათ, შეცდომებიც მოსდიოდა და, უნდა ითქვას, ეს თითქმის გარდაუვალი იყო იმდროინდელ ქართულ პოლიტიკაში, როდესაც ნებისმიერი გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებლად უნდა გაეთვალისწინებინა ობიექტური თუ სუბიექტური, გარე თუ შინა ფაქტორები.

ყალიბდებოდა ახალი ქართული სახელმწიფო და ეს პროცესი უაღრესადტურბულენტურად მიმდინარეობდა. იყო მწვავე დებატები, სერიოზული დისკუსიები, კამათი და რა თქმა უნდა, თანაც დიდი დოზით, წმინდა ქართული ,,პოლიტიკანობა". ეს გასაგებიც იყო: ჩვენ ხომ ყველას - და მათ შორის ზურასაც - ,,ბიზანტიურ ლაბირინთებში" უნდა გაგვეკვლია გზა, თუმცა პირადად ზურას არანაკლებ იტაცებდა საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის კულუარული პერიპეტიები. ყოველთვის აინტერესებდა ყველა საკითხის დეტალები და ნიუანსები,

განსაკუთრებით, მათში ჩაქსოვილი ,,ადამიანური ფაქტორი", პრობლემის პოლიტიკური ინტრიგა თუ სხვა პიკანტური კვანძები.

მოკლედ რომ ვთქვათ, ზურას ურთულეს დროში მოუწია მოღვაწეობა: როგორც ეს ერთ ცნობილ ფილოსოფოსს უთქვამს, ,,ყველა ყველას წინააღმდეგ", თუმცა, პოლიტიკა ყოველთვის და ყველგან, რთული საქმეა, ხშირად არცთუ ისე სასიამოვნო და მიმზიდველი, ძირითადად კი - უაღრესად ბინძური. ამ პროცესში მავანმა უნდა შეინარჩუნოს ხასიათის სიმტკიცე, პრინციპებისადმი, ფასეულობებისადმი ერთგულება და ქვეყნის სტრატეგიული ინტერესები საკუთარ ინტერესებსა და ამბიციებზე მაღლა დააყენოს. უნდა გითხრათ, რომ ეს არ არის ადვილი საქმე! თითქოს უკვე კარგად ცნობილ და თითქმის გაცვეთილ პოლიტიკურ ჭეშმარიტებაზე ვლაპარაკობ, რაც ნებისმიერი სერიოზული პოლიტიკოსისთვის ანაბანა უნდა იყოს და რაც, ბევრისგან განსხვავებით ქათულ პოლიტიკაში, ზურას ძალიან კარგად ესმოდა.

იგი ძალიან კარგად ხედავდა ძალაუფლების ხიბლს, მაგრამ, ამავე დროს, იმასაც, რომ ,,ძალაუფლება რყვნის და დიდი ძალაუფლება უფრო მეტად რყვნის ადამიანს". ბევრჯერ შევსწრებივარ ამ თემაზე ზურას ემოციურ საუბარს თავის კოლეგებთან და არა მხოლოდ მათთან. იგი ყოველთვის ცდილობდა, ეს ცნება მისი ყოველდღიური საქმიანობის განუყოფელი ნაწილი გამხდარიყო, თუმცა უაღრესად განიცდიდა, თუ რამე არ გამოსდიოდა ან ეშლებოდა. არ უყვარდა წაგება, თუმდა იმასაც აღიარებდა, რომ ,,წაგება: პოლიტიკის თანამდევი ნაწილია და ამის აღქმა მძაფრი ემოციების, ზოგჯერ კი ისტერიკების გარეშე დიდი პოლიტიკისა და დემოკრატიული ჩვევების აუცილებელი ინსტრუმენტია.

კარგად მახსოვს ჩვენი პირველი შეხვედრა - ჩემთან ძველ სახლში, ენგურის ქუჩაზე. 1992 წლის სუსხიან დეკემბერში. მხარზე სპორტულჩანთგადაკიდებული და ტროსტით ხელში (ფეხზე ოპერაცია ახალი გაკეთებული ჰქონდა) გვესტუმრა თამრიკოს და მე ზაზა

კანდელაკთან, კახა ჩიტაიასთან და ცხონებულ ვასიკო გოცირიძესთან ერთად. ზურა მაშინ უკვე საქართველოს პარლამენტის წევრი იყო, მე კი ბატონ ედუარდ შევარდნაძესთან თანაშემწედ ვმუშაობდი ჩემს პატარა ჯგუფთან ერთად, რომელიც უკვე მაშინ პრეზიდენტის კანცელარიაში და მის გარეთ (და ეს იმჟამინდელ საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობას რატომღაც ძალიან აღიზიანებდა) ,,თედოს ბიჭების" სახელით იყო ცნობილი.

მაშინ ბევრი ვისაუბრეთ იმდროინდელი პოლიტიკური ცხოვრების პერიპეტიებზე, ნიუანსებზე, სამომავლო პერსპექტივებზე.

როგორც ვთქვი, ცუდი დრო იყო, უაღრესად დაძაბული და მყიფე სიტუაცია. ჯერ კიდევ მოუშუშებელი იყო თბილისის ომის ტკივილები და ტრამვები. ჰაერში კი უკვე დენთის ახალი მოსალოდნელი გადატრიალების სუნი ტრიალებდა. მოგეხსენებათ, უკვე დაკარგული გვქონდა სამაჩაბლო, სოხუმში კი სიტუაცია უკიდურესად იძაბებოდა. დამოკიდებულება გართულებული რჩებოდა რუსეთთან, თუმცა ამ ქვეყნისათვის რაციონალური და პრაგმატული პოლიტიკის ჯაჭვი არ იყო გაწყვეტილი. საერთაშორისო ფრონტზე საკმაო წინსვლა შეიმჩნეოდა: ,,შევარდნაძის ფაქტორის" მეშვეობით. საქართველო გახდა ძირითადი საერთაშორისო ორგანიზაციების - გაეროს, ეუთოს წევრი. ჩვენი ქვეყნის დიპლომატიური აღიარების პროცესი შეუქცევადი იყო. ნაბიჯ-ნაბიჯ დაიწყო ქართული სახელმწიფოს მშენებლობა და, ამასთან ერთად, დემოკრატიული ინსტიტუტები შეიქმნა: იწერებოდა ახალი კონსტიტუცია, შემოვიდა ახალი ეროვნული ვალუტა, გამოიკვეთა ეკონომიური სტაბილურობის კონტურები, საფუძვლებს იმკვიდრებდა თავისუფალი მასმედია, გააქტიურდა არასამთავრობო სექტორი. მართალია, მთლიანობაში ტრანსფორმირების პროცესი მაინც მტკივნეულად მიმდინარეობდა და ამაშიც არაფერი იყო გასაკვირი: იქმნებოდა რაღაც ახალი და უცნობი. ძალიან ძნელად, თუმცა მაინც

ინგრეოდა საბჭოური სტრუქტურები, ჩვევები, მენტალობა და მთლიანად ძველი ,,საბჭოური" პოლიტიკური საქმიანობის კულტურა.

ამ პროცესში ფასდაუდებელი იყო საქართველოს პარლამენტის და მისი მაშინდელი თავმჯდომარის - ედუარდ შევარდნაძის როლი. და სწორედ მაშინ ჩაეყარა საფუძველი უდუარდ შევარდნაძისა და ზურაბ ჟვანიას პოლიტიკურ ურთიერთობას, რომელიც ესოდენ დინამიკური, მძაფრი, წინააღმდეგობებით აღსავსე, მაგრამ მაინც დადებითი გახლდათ. დღესაც ბატონი ედუარდი თავის საჯარო პუბლიკაციებსა თუ გამოსვლებში აღიარებს, რომ საქართველოს იმ ახალგაზრდა პოლიტიკოსებს შორის ზურა ჟვანია ერთ-ერთი ყველაზე უფრო საღად, სახელმწიფოებრივად და პრაგმატულად მოაზროვნე და პერსპექტიული მოღვაწე იყო.

მახსოვს მათი რამდენიმე შეხვედრა, რომლემსაც მე დავსწრებივარ. მათი საუბრები დემოკრატიასა და ქვეყნის აღმშენებლობის პრიორიტეტებზე უაღრესად საინტერესო, თუმცა ზოგჯერ ძალიან მწვავე და პოლემიკური იყო. ეს გასაგებიცაა, დემოკრატი ერთ დღეში არ იბადება, ის ხომ ურთულესი და დაუსრულებელი პროცესია! დემოკრატია ხომ მუდმივი ადაპტირების, გარდაქმნის, გაუმჯობესების, ახალ რეალობებთან მისადაგების უწყვეტი ციკლია! ის, თუ იწყება, არასდროს მთავრდება. საქართველოში იმ დროის დემოკრატიის არსი და ფუნქცია ყველაზე მეტად ზურას ესმოდა. რამდენჯერ შევსწრებივარ მის კამათს მეგობრებთან და კოლეგებთან, მათ შორის იმ ადამიანებთანაც, რომლებიც დღეს პოლიტიკას განსაზღვრავენ.

რა თქმა უნდა, დღეს ჩვენი მაშინდელი პირველი ხანგრძლივი საუბრის დეტალები აღარ მაგონდება, მაგრამ მახსოვს (ამან მაშინ ძალიან გამაოცა), რომ ზურა უკვე საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ პერსპექ-ტივებზე საუბრობდა, უფრო სწორად, უამრავ კითხვას სვამდა და, ამავე დროს, რუსეთთან ურთიერთობების დალაგებასა და გაუმჯობესებაზე სამომავლო მოსაზრებებს გვთავაზობა.

აქვე ვიტყვი, რომ მას ასევე ძალიან აინტერესებდა ჩვენს უახლოეს მეზობლებთან - სომხებთან და აზერბაიჯანელებთან - სტრატეგიული კავშირების შექმნის პერსპექტივა.

სწორედ მაშინ, ჩემთან სახლში სტუმრობისას, მოვისმინე მისი მოსაზრებები დემოკრატიაზე. ეტყობოდა, რომ ამ თემებზე ბევრს ფიქრობდა და კითხულობდა, ამიტომ ფრთხილად საუბრობდა. კითხვებს სვამდა, მაგრამ უფრო მეტად გვისმენდა. სწორედ მისმა ამ უნარმა მოახდინა პირადად ჩემზე საოცარი შთაბეჭდილება. პირველად ვნახე საქართველოში ადამიანი (რა თქმა უნდა, ედუარდ შევარდნაძის შემდეგ), რომელსაც პოლიტიკოსებისთვის ყველაზე აუცილებელი რამ - მოსმენის უნარი ჰქონდა. თუმცა, ბატონი ედუარდისგან განსხვავებით, ზურა უფრო მოუთმენელი და პოლემიკის მოყვარული მოსაუბრე იყო. უთვალავ კითხვას კი სვამდა, მაგრამ თვითონ მათზე უკვე ჰქონდა საკუთარი მოსაზრება ან პასუხი, თუმცა სულ გაცდიდა შენი აზრის ჩამოყალიბებას, გისმენდა და მერე ისევ ემოციურად ერთვებოდა საუბარში.

აი, ასეთი დამამახსოვრდა ზურა ჩვენი პირველი შეხვედრის შემდეგ. მაშინ ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ წინ კიდევ უამრავი შეხვედრა გველოდა, უამრავ საკითხსა და პრობლემაზე მოგვიწევდა ერთად მუშაობა, ხშირად - მწვავე კამათიც, ხმამაღალი ლარაპაკიც, მაშინაც კი, როდესაც ზურა უკვე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, ანუ ქვეყნის მეორე პირი გახდა.

ჩვენი ყოველი შეხვედრა საინტერესო და მუდამ რაღაც ახლის მომტანი იყო ჩემთვის. ეს ძირითადად ეხებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებში მის ვიზიტებს, სადაც, ბედმა მარგუნა უდიდესი პატივი და რვა წლის განმავლობაში საქართველოს ელჩი ვიყავი. უნდა ვაღიარო, რომ ეს ნებისმიერი დიპლომატიური საქმიანობისთვის საკმაოდ არაორდინარული ვადაა. დღესაც ჩამესმის ყურში ზურას ტრადიციული, პირველი ირონიულ-სარკასტული კითხვა, რომილის დასმა არც

ავიწყდებოდა და არც ჰბეზრდებოდა. დამინახავდა თუ არა ვაშინგტონის ჯონ ფოსტერ დალასის სახელობის აეროპორტში დასახვედრად მისულს(სხვათა შორის, იმავე ფრაზით მთავრდებოდა ჩვემი დამშვიდობებაც ამავე აეროპორტში!) მეტყოდა: ,,შენ რა, კუდი მოიქსოვე ამ ვაშინგტონში? კიდევ რამდენ ხანს უნდა იჯდე ამ საშინელ ქალაქში? აღარ უნდა ჩამოხვიდე საქართველოში?!" და შემდეგ უკვე ტრადიციული კითხვა ზურას ჩვეული ინტონაციით: ,,რა ხდება? შენმა ამერიკელებმა ვეღარ გაიგეს, რომ უფრო აქტიურად უნდა ჩაერიონ ჩვენს საქმეებში?" მერე კი იწყებოდა ხანგრძლივი და დეტალური საუბარი ამა თუ იმ პრობლემების ნიუანსებზე, ვაშინგტონის მიმდინარე პოლიტიკის პერიპეტიებზე, პერსონალური თუ საგნობრივი ხასიათის დეტალებზე.

რომ არ დამავიწყდეს, ისიც უნდა ვთქვა, რომ ,,შენ კუდი ხომ არ მოიქსოვე"-ს უკან რამდენიმე, ასე ვთქვათ ,,კამუფლირებული" შრე იყო, ჯერ ერთი: ზურა ძალიან ცდილობდა პრეზიდენტის აპარატში რაღაც კისინჯერისეული ,,მფრინავი დიპლომატის" მსგავსი პოსტი შექმნილიყო, რომელიც, მისი აზრით, მე უნდა დამეკავებინა, ,,შენნაირი კონტაქტებისა და გამოცდილების ტიპი დღეს მოსკოვში უნდა იყოს, ხვალ - ვაშნგტონში, ზეგ კი - ევროპის დედაქალაქებში. მიიტანოს ერთი ინფორმაცია, მოისმინოს, რას ფიქრობენ და ლპარაკობენ ჩვენზე სხვადასხვა მაღალ კაბინეტებში". რა თქმა უნდა, ეს იდეა საინტერესოდ გამოიყურებოდა, მაგრამ მის უკან ზურას ერთი ,,მზაკვრული" მოსაზრება იმალებოდა.

მოახლოებული პოლიტიკური სეზონის წინ საქართველოში - მაშინ ეს მხოლოდ 2005 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის იგეგმებოდა - ჟვანია და მისი ,,რეფორმატორების" გუნდი ცდილობდნენ, ვაშინგტონსა და ნიუ-იორკში ,,თავისიანი" ჰყოლოდათ და არა ,,შევარდნაძისტი". ამ ჟვანიასეულ მოსაზრებაში, რა თქმა უნდა, იყო გარკვეული რეზონი. ,,რეფორმატორები" ფიქრობდნენ, რომ ,,თავისიანის" ყოლით მსოფლიო პოლიტიკის ცენტრებში მათი ინტერესები უფრო კარგად გატარდებოდა,

ბედის ირონია კი ის იყო,რომ პრეზიდენტ შევარდნაძის უახლოესი გარემოცვა ცდილობდა ბატონი ედუარდი დაერწმუნებინა, თითქოს მე ,,ჟვანიას კაცი” ვიყავი. ამას მეც ვგრძნობდი, თუმდა ამ მოსაზრების გაქარწყლებას არც ერთი ად არც მეორე მხარისთვის აქტიურად არ ვცდილობდი. თვითონ ბატონ ედუარდსაც ჩემთან არ ულაპარაკია ამ თემაზე. ამის გამო, უნდა გითხრათ, ბევრჯერ გარკვეულ დისკომფორტს ვგრძნობდი! როცა ზურას მის ,,მზაკვრულ” გეგმას ,,ვუშიფრავდი” ჯერ ხარხარებდა, სიცილისგან თვალები უწვრილდებოდა და ცრემლებით ევსებოდა, მერე აუცილებლად გააბოლებდა სიგარეტს და უკვე ძალიან სერიოზული ტონით მკითხავდა: ,,ეს სისულელე საიდან მოიტანე?” და მერე ისევ თავიდან იწყებდა ,,შენ რა, სულ აქ ხომ არ უნდა იყო?” და ასე შემდეგ.

რამდენადაც მე ვიცი, ანალოგიურ ,,მოსაზრებებს” ზურა უზიარებდა ბატონ პეტრე ჩხეიძესაც, ჩვენს წარმომადგენელს გაეროში. ოღონდ მისთვის ვირტუალური და ჯერ კიდევ არარსებული ,,დიპლომატიური აკადემიის” რექტორის პოსტი ჰქონდა გამზადებული და შანსს არ უშვებდა, რომ ეს წინადადება არ შეეხსენებინა. ალბათ, ანალოგიური საუბრები ექნებოდა ზურას ევროპის სხვა დედაქალაქებშიც საქართველოს დიპლომატებთან.

ზოგჯერ ზედმეტად ჩქარობდა ზურა და უნდა ითქვას, რომ ეს ჩვევა გარკვეულ სიტუაციებში მის წინააღმდეგ ,,მუშაობდა”.

ზურას ძალიან აინტერესებდა ამერიკული პოლიტიკის ყველა დეტალი. ხშირად კითხვებს მისვამდა: ,,იმან ეს რატომ თქვა?” ან ,,რა უნდა მაგ იდიოტს ჩვენგან? ვერ გააგებინეთ, რომ ეს ასე არ არის?!” და ასე შემდეგ. როგორც ვთქვი, ეს წვრილმანი საკითხები არანაკლებ აინტერესებდა, ვიდრე საელჩოს მიერ მომზარებული ,,ფაილების” დეტალურად განხილვა და მათი - საკუთარი შენიშვნების გათვალისწინებით - თავიდან გადაკეთება.

არ იცვლებოდა დაგეგმილი შეხვედრების განხილვისას მისი პირველი რეაქცია (ეტყობა, ეს მანერა პრეზიდენტ შევარდნაძისგან კარგად ჰქონდა შესწავლილი!): ,, ამას რატომ უნდა შევხვდე? რამდენჯერ უნდა შევხვდე და ერთსა და იმავეზე ველაპარაკო?! არ მინდა! თავი დამანებე, შენც უფრო გინდა, რომ შეხვდე! ვიცი მე თქვენი, ელჩების ამბავი!" ეს უკვე ტრადიციული რიტუალი იყო და იწყებოდა დამქანცველი ,,ბრძოლა". რათა დაგვერწმუნებინა ზურა ამა თუ იმ შეხვედრის მნიშვნელობასა თუ აუცილებლობაში, ცხადია, თვითონაც კარგად ხვდებოდა ამას, მაგრამ მაინც სიამოვნებდა ,ძალაუფლების დემონსტრირება". ეს ყველაფერი კი აუცილებლად მთავრდებოდა დამატებითი შეხვედრის მოთხოვნით. ეს უკე პარლამენტის თავმჯდომარის მაშინდელი სამდივნო უფროსის, ზურა ნოღაიდელისა და დათო სუმბაძის მოსაგვარებელი იყო. მე კი ზურა ასევე ტრადიციული ,,თემით" მომმართავდა: ,,იქნებ რაღაც ვჭამოთ, ოღონდ ძალიან მსუბუქად და ოღონდ თამრიკოსთან (ჩემს მეუღლესთან) ერთად! შენი ბუზღუნის ატანა აღარ შემიძლია!" და ისევ იწყებოდა ხანგრძლივი და საინტერესო საუბრები ყველა არსებულ თუ ჯერ კიდევ არარსებულ პრობლემებზე!

მაგრამ, სანამ ეს ჩვენი ,,პოლიტიკური ტრაპეზი" გაიმართებოდა, და ესეც ყველა ვიზიტის აუცილებელი ატრიბუტი გახლდათ, იყო აუცილებელი ხანგრძლივი სატელეფონო საუბრები პრეზიდენტ შევარდნაძესთან დაგეგმილი პროგრამის განხილვა, მასში ახალი დეტალების შეტანა ან განვლილი დღისა და მომხდარი შემთხვევების შესახებ დეტალური ინფორმაციის მიწოდება. და, რა თქმა უნდა, ამას გარდა, ის ცნობილი ,,რა ხდება?" - სატელეფონო საუბრები თბილისში დარჩენილ კოლეგებთან. ზურა ყოველთვის ცდილობდა დეტალურად ყოფილიყო ინფორმირებული ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებისა და არსებული პოლიტიკური ვითარების შესახებ. მთელი მისი ვიზიტის განმავლობაში ყველა დატვირთული და დაძაბული ვიყავით,

განსაკუთრებით კი - თვითონ ზურა. დაღლილობის მიუხედავად, ბოლოს მიღწეული შედეგებით ყველა კმაყოფილი იყო.

თავისი ვიზიტების დროს ზურა მხოლოდ ,,საქართველოს წარმომადგენელი" არ იყო. საჯარო თუ კერძო საუბრებისას იქ ყოველთვის აღნიშნავდა იმ სამწუხარო ფაქტს (რაც დღესაც გრძელდება ჩვენს რეგიონალურ ურთიერთობებში), რომ სამხრეთ კავკასიის ქვეყნები, განსაკუთრების მმართველი ელიტის წარმომადგენლები, არ იცნობდნენ არც ერთმანეთს და არც ერთმანეთის პრობლემებს, არც პოლიტიკას, რის გამოც ხშირად ,,ბორბლის" თავიდან გამოგონებას იწყებდნენ და ,,იდენტურ შეცდომებს"უშვებდნენ.

ზურას ყოველთვის აინტერესებდა რეგიონული ინტეგრირების პრობლემები, მდგრადი ეკონომიური განვითარების მოდელები. ამ შესაძლებლობებსა და პოტენციალს იგი ყოველთვის უფრო ფართო მასშტაბით განიხილავდა. მისთვის სამხრეთი კავკასია, ყოველთვის შავი ზღვის დიდი რეგიონის შემადგენელი ნაწილი იყო. მას აღელვებდა ამ უზარმაზარი არეალის უმდიდრესი და უნიკალური ეკონომიური და კულტურული მემკვიდრეობის სწორი გამოყენება, განსაკუთრებით სასაზღვრო რაიონებში. აქ ხომ მრავალი საუკუნის განმავლობაში ხდებოდა კულტურებისა და ცივილიზაციების შეჯახება, რის შედეგადაც ეს მხარე ასე მდიდარი უნიკალური არქეოლოგიური თუ კულტურული ძეგლებით. ,,ცივი ომის" პერიოდმა და მიმდინარე მოვლენებმა მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე ჩამორჩენილ რეგიონად აქცია.

ვიზიტის დღეებში გამართულ ყველა შეხვედრაზე ზურა ხაზგასმით ამბობდა, რომ რეგიონში არსებული ეთნიკური თუ პოლიტიკური დაპირისპირებებისა და მოუგვარებელი კონფლიქტების ერთ-ერთი ძირეული მიზეზი სწორედ გადაუჭერელი ეკონომიკური პრობლემებია. იგი მსმენელებს დეტალურად უხსნიდა რუსული რეგიონული პოლიტიკის იმპერიულ ტენდენციებს, თუმცა არ მახსოვს არც ერთი შეხვედრა, სადაც ხაზგასმით არ აღენიშნა რუსეთის რეგიონულ

თანამშრომლობაში ჩართვის აუცილებლობა. ის ჩვენს დიდ რეგიონს ყოველთვის მხოლოდ რუსეთთან ერთად განიხილავდა, თუმცა მხოლოდ ისეთ რუსეთთან, რომელსაც არ აღიზიანებს რეგიონის სხვა სახელმწიფოების პოლიტიკური გეგმები თუ მისწრაფებები.

ზურა ძალიან წუხდა, რომ ჩვენს დასავლელ პარტნიორებს ყოველთვის კარგად არ ესმოდათ რეგიონული თემატიკა და კონკრეტულად ჩვენი რეგიონის პრობლემები, რომ ხშირად მათი მიდგომები ან სწორხაზოვანი და ხისტი, ან სულაც უაღრესად გამარტივებული და პრიმიტიული იყო. ,,ეს ტიპები (ანუ დასავლეთი და განსაკუთრებით ამერიკელები - თ.ჯ.), ყველაფრის მოგვარებას კალკირებული მიდგომით ცდილობდნენ", - ამბობდა იგი. - სულ სდაღაც ეჩქარებათ და საკუთარი პოლიტიკის გატარებისას არ ითვალისწინებენ ჩვენი დიდი რეგიონის ყველა სპეციფიკას - პოლიტიკა იქნება ეს თუ უნიკალური ეთნიკური მრავალფეროვნება ან კულტურა". ეს მას ბევრჯერ უთქვამს თავისი ამერიკელი პარტნიორებისთვისაც.

ერთხელ ნიუ-იორკში, ,,აღმოსავლეთ-დასავლეთის" ინსტიტუტში საჯარო გამოსვლისას შეკითხვაზე, დასაჯერე-ბელია თუ არა გავრცელებული ხმები, რომ მის სისხლში სომხური გენებია, ზურამ ამაყად უპასუხა: ,,ჩემთვის დიდი პატივია, რომ მე ქართველი ვარ და ჩემს სისხლში, სომხურის გარდა, ასევე ებრაული გენებია! და საერთოდ, ერთი რჩევა მინდა მოგცეთ: იმის მაგივრად, რომ იკვლიოთ ის რა სისხლი ურევია, რაც სხვათა შორის, ჩვენი რეგიონის სიმდიდრე და სპეციფიკაა, აჯობებდა ეს უნიკალური შესაძლებლობა ჩვენი პრობლემების გადასაწყვეტად გამოგვეყენებინა! ეს, რა თქმა უნდა, ჩვენი პრობლემებია, მაგრამ მათი არცოდნა თქვენც ბევრ შეცდომას გაშვებინებთ, ან დაგაშავებინებთ მომავალში". დარბაზში ჯერ სამარისებური აპლოდისმენტებით შეეგებენ მის პასუხს. არ მახსოვს ზურას არც ერთი ვიზიტი, რომ ის არ შეხვედროდა ამერიკის ყველაზე ძლევამოსილი ლობის წარმომადგენლებს - სომხური და ებრაული ორგანიზაციების

ხელმძღვანელობას და მათთან არ გაემართა ხანგრძლივი სტრატეგიული ხასიათის საუბრები. თანაც, ზურა ყოველთვის ითხოვდა, რომ საელჩოს მის

თვის მოეწყო შეხვედრა სომხური დიასპორის ვაშინგტონში არსებულ ორივე წარმომადგენლობასთან, რომლებსაც ერთმანეთთან არცთუ კარგი დამოკიდებულება ჰქონდათ. ზურა, რეგიონულ საკითხებზე მსჯელობის გარდა, ამ ორ ორგანიზაციას შორის სადავო საკითხების გადაწყვეტასაც ცდილობდა, რითაც ორივე მხარი ყოველთვის ძალიან კმაყოფილი რჩებოდა.

ზურას დარბაზთან კომუნიკაციის განსაკუთრებული უნარი ჰქონდა. ძალიან კარგი ორატორი იყო, შეეძლო სათქმელი ზუსტად მიეტანა მსმენელამდე, რომელსაც ყოველთვის ხიბლავდა მისი გულწრფელობა. დღეს თანამედროვე პიარტექნოლოგიების მეშვეობით ხერხდება ნებისმიერ პოლიტიკოსში, ასე ვთქვათ, „გულწრფელობის“ იმიჯის შექმნა, მაგრამ ზურას მართლაც რაღაც ბუნებრივი ნიჭის წყალობით შეეძლო დაერწმუნებინა თავისი მსმენელი იმაში, რაზედაც საუბრობდა. მას არ უყვარდა სიყალბე და ცდილობდა, თავის საქმიანობაში თანამედროვე პოლიტიკოსისათვის დამახასითებელი ეს „ინსტრუმენტი“ რაც შეძლება ნაკლებად გამოეყენებინა. ნებისმიერი კარგი საჯარო გამოსვლა ან შედეგიანი შეხვედრა ახარებდა, ასევე ძალიან უყვარდა მათი შემდგომი გარჩევა და მათს ბაზაზე უკვე მომავალი შეხვედრებისათვის მომზადება, თუმცა დაშვებულ შეცდომებსაც მწვავედ განიცდიდა და ამ მხრივ დაუნდობელი იყო როგორც საკუთარი თავის, ისე სხვების მიმართ. ამავე დროს, უდიდეს სიამოვნებას ანიჭებდა საუბარი და მსჯელობა იმ საკითხებზე, რაც მთავარი იყო მის ყოველდღიურ საქმიანობაში. ეს გახლდათ დემოკრატიული

სახელმწიფოს და ინსტიტუტების აღმშენებლობა და შემდგომ მათი მდგრადობის შენარჩუნება. მისთვის არ არსებობდა ჯერ „სახელმწიფოს“ და მხოლოდ მერე „დემოკრატიის“ გაძლიერების დილემა საქართველოში. ეს, მისი აზრით, ყოველთვის პარალელურად მიმდინარე პროცესი უნდა ყოფილიყო.

სხვათა შორის, ზურას ძალიან უყვარდა „ფედერალისტის ჩანაწერებიის“ კითხვა, რომელშიც თავმოყრილია ამერიკის შეერთებული შტატების „მამა-დამაარსებლების“, მათ შორის აშშ-ის რიგით მესამე პრეზიდენტის, თომას ჯეფერსონის შეხედულებები დემოკრატიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის თაობაზე. განსაკუთრებით უყვარდა პრეზიდენტ ჯეფერსონის მოსაზრების გამეორება იმის თაობაზე, რომ „ძლიერი სახელმწიფო სათანადო დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ჩვევების გარეშე განწირულია იმისთვის, რომ ავტორიტარულ წარმონაქმნად გადაიქცეს“. და კიდევ, ხშირად იმეორებდა ჯეფერსონის შემდეგ ნათქვამს: „როგორც ეს ბევრჯერ მომხდარა კაცობრიობის ისტორიაში, ასეთ სახელმწიფოში პიროვნების ან ლიდერის კულტი ყოველთვის უფრო მაღლა დგას, ვიდრე კანონების და ინსტიტუტების უზენაესობა“. ამ პოსტულატის მოშველიებისას, ზურა ყოველთვის დასძენდა ხოლმე: „საერთოდ, საქართველოში, ხშირად ერევათ ერთმანეთში ლიდერობისა და ძალაუფლების არსი“. ამაზე ბევრჯერ გვისაუბრია და ზურას

ეს მოსაზრება დღემდე კარგად მახსოვს. ზურა სულ იმას უსვამდა ხაზს, რომ რევოლუციების გზით შექმნილი სახელმწიფო წარმონაქმნები და სახელმწიფო მანქანა მოგვიანებით საკუთარი „გმირების“ განადგურებას იწყებენ ხოლმე და ამ აზრის დასასაბუთებლად უახლოესი ისტორიის მრავალ მაგალითს იშველიებდა - საფრანგეთისა და ბოლშევიკების რევოლუციებით დაწყებული, პოლ პოტის „რევოლუციური ექსპერიმენტებით“ დამთავრებული.

ზურა თავის ამერიკელ პატრნიორებთან მსჯელობდა იმაზე, თუ შემდგომში როგორ უნდა აეცილებინათ საქართველოსათვის დემოკრატიის განვითარების გზაზე უკვე მომხდარი მიუტევებელი შეცდომები, რომელთა გამეორება არ არის სასურველი თუნდაც ახლად შექმნილი სახელმწიფოებისთვის. მასე უყვარდა ასევე ამერიკის შეერთებული შტატების კიდევ ერთი დამაარსებლის - ჯეიმს მედისონის ცნობილი გამონათქვამის გამეორება: ,,ნებისმიერ ამბიციას უნდა კონტრამბიცია დაუპირისპირდეს. ადამიანები ანგელოზებად არ იბადებიან, მათ ყოველთის უჭირთ ძალაუფლებისადმი ტრფობის დაძლევა, რაც მხოლოდ მდგრადი დემოკრატიული ინსტიტუტების არსებობის პირობებშია შესაძლებელი". დემოკრატიული ინსტიტუტების მდგრადობა და შეუფერხებელი ფუნქციონირება ზურასათვის პოლიტიკური ბიბლიის ტოლფასი იყო თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მისთვის არ იყო დამახასიათებელი ,,დემოკრატიის" გაიდეალებული აღქმა ან დემოკრატიის ზოგიერთი ატრიბუტიკით ზედმეტად მანიპულირება, რაც დემოკრატიული მართვის თანმხლები ინსტრუმენტები და ჩვევებია. ზედმეტად - მეთქი ვთქვი, ვინაიდან, როგორც ამას თვითონ ზურა გულწრფელად აღნიშნავდა, ზოგჯერ მისთვისაც კი არ იყო უცხო ამ ,,მეთოდების" გამოყენება. ,,აბა, რაქვნა? ამ ტიპებს სხვანაირად არაფერი არ ესმით," - იტყოდა ხშირად. ყოველთვის ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი სცოდნოდა ახალი ტენდენციებისა და კონცეპციების შესახებ მსოფლიო პოლიტიკაში, ახალ ლიტერატურას გატაცებით კითხულობდა. არ ყოფილა შემთხვევა, რომ ვიზიტის დამთავრების შემდეგ, ჩვენთვის გარკვეული თანხა არ დაეტოვებინა ახალი წიგნების შესაძენად. ეს საკითხი საელჩოსთვის მისი ,,კონსპირაციული" დავალების განსაკუთრებული თემა იყო ყოველთვის. ამ საკითხებში მისი მთავარი ,,მესაიდუმლე" გახლდათ საქართველოს საელჩოს მაშინდელი ლეგენდარული მრჩეველი, ქართულ-ამერიკული ურთიერთობის მემატიანე და ყველა მაღალი დონის შეხვედრისა თუ საუბრის უცვლელი ჩამწერი - დათო სუმბაძე, რომელიც ზემოთ უკვე

ვახსენე. სხვათა შორის, მისი ,,პაექრობა” და დაუსრულებელი კამათი ზურა ნოღაიდელთან ჟვანიას ვიზიტის პროგრამებთანდაკავშირებით,ალბათ, ქართული დიპლომატიის ერთ-ერთ ყველაზე კომიკურ ფრაგმენტებად შეიძლება ჩაითვალოს. სწორედ დათო სუმბაძეს ჰქონდა დავალებული ზურაბ ჟვანიის ბიბლიოთეკის გამდიდრება ახალი წიგნებით. თბილისისკენ მიმავალი ზურას თვითმფრინავი, ალბათ, ჯერ კიდევ ჰაერში იყო, როდესაც ახალი გამოცემებით სავსე ამანათი ასევე საქართველოსკენ ,,მიემგზავრებოდა”. წიგნში, რომელიც მოგვიანებით, უკვე ზურას ამ ქვეყნიდან წასვლის შემდეგ ნინომ გამოსცა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში მის მიერ წაკითხული ლექციების ბაზაზე, ამ ,,ამერიკული ბიბლიოთეკიდან” ბევრი, უკვე გადამუშავებული და ინტერპრეტირებული მოსაზრება შევიდა.

ზურას საოცრად სიამოვნებდა ამერიკულ პრესასთან შეხვედრები. მისი ყოველი ვიზიტი ვაშინგტონსა და ნიუ იორკში ,,ვაშინგტონ პოსტის”, ,,ნიუ იორკ თაიმსის” ან ,,უოლ სტრიტ ჯორნალის” რედაქციებში შეხვედრებით მთავრდებოდა. ის ხშირად აღნიშნავდა, რომ ქართულ პრესას მაღალი პროფესიონალიზმი და წერის კულტურა აკლია. ერთხელ, ჩემს მეგობარ ბობ ბენეტთან, ამერიკის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ და გავლენიან ადვოკატთან შეხვედრის დროს, პრესის თავისუფლების შესახებ საუბრისას, ბობმა ზურას უთხრა, რომამერიკული პრესა განსაკუთრებული აგრესიისა და დაუნდობლობით გამოირჩევა და სულაც არ იქნება უპრიანი, ქართველი ჟურნალისტებისთვის ამ ჩვევების გადაღება. ზურა თითქოს ჯერ დაეთანხმა ბობს, მაგრამ შემდეგ ჩვეული სტილით უთხრა: ,,იცით რა, ბობ, გასაგებია, რომ თქვენს ჟურნალისტებს ხშირად ზედმეტი მოსდით, მაგრამ მე ეს ,,ხმაურიანი” პრესა მირჩევნია იმ ჩვენი გაზეთების ზოგიერთ ,,ხვალინდელ” პუბლიკაციას, წინა დღეს პარლამენტის თუ საპრეზიდენტო ადმინისტრაციის კაბინეტებში რომ იწერება”. ზურას ამ პასუხმა ბობზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა და მათი

შეხვედრის ეს ეპიზოდი ამერიკაში წელს გამოცემულ, ბესტსელერად აღიარებულ მოგონებებში შეიტანა. ,,ჩემთვის ეს დემოკრატიის ყველაზე დაუვიწყარი შეფასებაა, რომელსაც სრულიად ვეთანხმები," აღნიშნავს თავის მოგონებებში ბობ ბენეტი. ზურასთან იმ შეხვედრის დროს ბობ ბენეტის სახელი ამერიკაში ყველას პირზე ეკერა - ბობი ხომ პრეზიდენტ კლინტონის პირადი ადვოკატი იყო გახმაურებული სექსსკანდალის დროს. ზურას ერთი სული ჰქონდა, რაიმე ეკითხა ბობისთვის, მაგრამ თავს იკავებდა, თუმცა მერე ხითხითით მეუბნებოდა: ,,იქნებ შენ ჰკითხო რა ხდება, რას გადაეკიდნენ ამ საწყალ კლინტონს". ამ ,,თხოვნას" იმავე წამს დაამატებდა ხოლმე: ,,თავი გაანებე ამ ბუნჩულა და საყვარელ ბობს, ამ ჭორების გასაგებად მე დანიელ კუნინიც მეყოფა!" დანიელ კუნინი ვაშინგტონის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ოჯახის წარმომადგენელი გახლდათ და უკვე კარგა ხანი იყო საქართველოს მთავრობის კონსულტანტად მუშაობდა თბილისში. დანიელის დედას კი ძალიან ახლო ურთიერთობა ჰქონდა დემოკრატიული პარტისს ელიტასთან.

როგორც ზემოთ ავღნიშნე, ჩვენ ძირითადად ამერიკის შეერთებულ შტატებში ვხვდებოდით ერთმანეთს და ამიტომ ზურაბ ჟვანიას და მისი საპარლამენტო გუნდის ყველა ოფიციალური შეხვედრის, არაფორმალური დისკუსიისა თუ პრივატული ხასიათის საუბრების თანამონაწილე ვიყავი. მეტიც, ჩემი ამერიკელი მეგობრების უმრავლესობა, რომლებთანაც 30 წელზე მეტი წლის ნაცნობობა მაკავშირებდა, ზურას და მისი კოლეგების ახლო მეგობარი და, შეიძლება ითქვას, თანამოაზრე გახდა. შემიძლია მთელი გულწრფელობით ვთქვა, თუ დღეს ქართულ-ამერიკული ურთიერთობა ასე დინამიკურად ვითარდება თუ ღრმავდება, თუ მისი სტრატეგიული ვექტორი უკვე თითქმის შეუქცევადი გახდა, ამაში, პირველ ყოვლისა, რა თქმა უნდა, წვლილი მიუძღვის ედუარდ შევარდნაძეს, რადგან ამ ურთიერთობას სწორედ მისმა უდიდესმა პიროვნულმა ავტორიტეტმა ჩაუყარა საძირკველი, მერე კი - ზურაბ ჟვანიას, რომელმაც, მე ვიტყოდი, ამგვარ კავშირებს ინტელექტუალური სინატიფე შესძინა და საფუძველი შეუქმნა

ჩვენს ქვეყნებს შორის სტრატეგიული ურთიერთობის პერსპექტივის შეგრძნებას. ,,ეს უნდა იყოს სამაგალითო ურთიერთობის მოდელი დიდსა და პატარა ქვეყანას შორის", - ეუბნებოდა ზურა არა მარტო ქართველ მსმენელებს, არამედ უცხოელ პარტნიორებსაც და პირველ ყოვლისა კი ამერიკელებს და - ეს არის მთავარი.

არა მგონია, ვინმე ასე ადეკვატურად, კამერტონის სიზუზტითაც კი, გრძნობდეს ამერიკულ აუდიტორიას, როგორც ეს ზურას შეეძლო. ზურა ყოველთვის ცდილობდა, ამ შეხვედრებზე ყველა მისი თანხლები პირი ყოფილიყო. ეს საელჩოს მუდმივ თავისტკივილად იქცა. ქართული დელეგაციების წევრთა რაოდენობა ტრდიციულად დიდი იყო, ხოლო შეხვედრაზე დამსწრეთა რიცხვი (საქართველოში არსებული წესებისგან განსხვავებით) ვაშინგტონში ყოველთვის შეზღუდულია. მეორე მხრივ, შეუზღუდავი იყო ქართველი თანხლები პირების დაუოკებელი ამბიციები, და თუ საელჩოს ან ელჩს არ ჰქონდა უკვე მოპოვებული მაღალი დონის კავშირები და ნაცნობობა - საქმე ცუდად იყო!

ზურას შეხვედრას, როგორც წესი, ყველა მისი კოლეგა ესწრებოდა. მას კარგად ესმოდა ამ საკითხთან დაკავშირებით საელჩოსთვის შექმნილი პრობლემები, მაგრამ მაინც ყოველთვის ძალიან დელიკატურად გვთხოვდა, საქმე მომეგვარებინა. ეს მხოლოდ ,,შიდა პოლიტიკასთან" არ იყო დაკავშირებული. ,,მე მინდა, რომ ამ ტიპებმა თვითონ მოისმინონ ის, რასაც ,,შენი" ამერიკელი ძმაკაცები გვეუბნებიან. მინდა, რომ კარგად შეისწავლონ დიპლომატიური და პოლიტიკური დისკუსიის წარმართვის ტექნოლოგიები. დღეს, ამას მე ვაკეთებ, ხვალ ეს მათი საქმე უნდა გახდეს!" - ყოველთვის ამბობდა ზურა. მე არ შემინიშნავს (ზურასაც არასოდეს უთქვამს), მაგრამ, ალბათ, ეტყობა, ,,შინაურული" გარჩევების დროს პარლამენტის თავმჯდომარე მკაცრად ავალებდა მეგობრებს ამ შეხვედრებზე დასწრებასაც და ,,ალტერნატიული" ჩანაწერების გაკეთებასაც. ნებისმიერი ,,შატალო" და, ალბათ, მკაცრად ისჯებოდა, ეს ყველაფერი ზოგჯერ ტრაგიკომიკურ

ხასიათსაც კი იღებდა. ერთხელ ვაშინგტოში, ზურას მორიგი ვიზიტის დროს, სთროუბ ტელბოტის დახმარებით, სახელმწიფო მდივან მადლენ ოლბრაიტთან მოკლე შეხვედრა დაიგეგმა. ეს პირველი შეხვედრა იყო, როდესაც სახელმწიფო მდივანი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ხვდებოდა. შეხვედრა იქვე, სთროუბის კაბინეტში უნდა შემდგარიყო, სადაც, არსებული გეგმის მიხედვით, ქალბატონი ოლბრაიტი, თითქოსდა შემთხვევით (არის შეხვედრების ასეთი ფორმატი - ,,სტეპ-ინ") უნდა შემოსულიყო.

ყველა, პარლამენტის თავმჯდომარის ჩათვლით, ძალიან ვღელავდით, თუმცა ზურა გატაცებით უყვებოდა სტროუბს საქართველოს მიღწევების თუ პრობლემების შესახებ. მიუხედავად ამისა, მან მაინც მოახერხა საუბრის დროს ჩემკენ გადმოხრა და გადმოლაპარაკება: ,,სად არის ის ტიპი?" მიმოვიხედე და შევამჩნიე, რომ ქართულ დელეგაციას აკლდა მისი ერთ-ერთი მთავარი მონაწილე - ფინანსთა მინისტრი დათო ონოფრიშვილი, რომელიც დილიდან ფინანსთა სამინისტროში იყო შეხვედრებზე გამწესებული თვითონ ზურას მიერ.

და აი, უკვე შემოვიდა ქალბატონი ოლბრაიტი თანხლებთან ერთად და დაიწყო ჩვენი მთავარი შეხვედრა. საუბარი თითქმის უკვე მთავრდებოდა, როდესაც სტროუბის კაბინეტის კარს მიღმა ჩოჩქოლი ატყდა - ვიღაც ცდილობდა ლამის შემოემტვრია კარი, ასეთი რამ სახელმწიფო დეპარტამენტის მე-7 სართულზე, სადაც აშშ-ის საგარეო უწყების ხელმძღვანელობაა განლაგებული, მეტად იშვიათად ხდება. ,,თავდასხმა" უკვე რამდენიმე წუთს (შეიძლება მე მომეჩვენა ასე) გრძელდებოდა, თანაც, ეს უცნობი ,,ინტერვენტი''კარის შემოღებას საპირისპირო მიმართულებით ცდილობდა. ამ დროს თვით კაბინეტის მფლობელი ,,შეეშველა" შექმნილ სიტუაციას და სთროუმბმა თვითონ გააღო ,,ნორმალურად" ოდნავ მიხურული კარები, ზღურბლზე კი გაოფლილი დათო ონოფრიშვილი აღმოჩნდა. ქალბატონი ოლბრაიტი

გაოგნებული უყურებდა ჯერ ამ ,,უცნობ ინტერვენტს", მერე კი ჩვენ და თავის მოადგილე ტელბოტს გადმოგვხედა გაკვირვებული სახით. უაღრესად უხერხული სიტუაცია ისევ ზურამ განმუხტა: ,,ქალბატონო ოლბრაიტ, ეს ჩვენი ფინანსთა მინისტრია, რომელიც, საქართველოში არსებული მძიმე საბიუჯეტო მდგომარეობიდან გამომდინარე დაჩვეულია ღია კარის მტვრევას". ყველას გაეცინა, მათ შორის ჩვენს ,,პეპოსაც", რომელსაც სახეზე ადამიანის ფერი აღარ ედო და, ალბათ, იმაზე ფიქრობდა, რა "ორგზომებს" უმზადებდა სასტუმროში დაბრუნებისთანავე პარლამენტის თავმჯდომარე.

უკვე აღვნიშნე, რომ პოლიტიკური ვაშინგტონი უაღრესად რთული ქალაქია - ამპარტავანი, ამბიციური, ხისტი, აგრესიული, თუმცა, უაღრესად დინამიკური და საინტერესო, მაგრამ მუდმივად დამუხტული პიროვნული თუ ინსტიტუციური კონფლიქტებით, მოკლედ, მსოფლიო პოლიტიკის დედაქალაქი, სადაც, ფორმალური დონეების გარდა, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება არაფორმალურ კონტაქტებსა და შეხვედრებს. სწორედ აქ, ამ სიგარეტის ბოლი და ყავის სურნელით გაჟღენთილ ლაბირინთებსა და კულუარებში წყდება რეალური საკითხები, რაც მთავარია, იჭედება ნაღდი მეგობრობა და ძლევამოსილი კონტაქტები, რომლებიც, როგორც ამასზურა ხშირად ამბობდა, ,,ხვალინდელ" პოლიტიკას უნდა გამოადგეს.

რა თქმა უნდა, ნებისმიერ ქვეყანაში და განსაკუთრებით ვაშინგტონში, ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება აღმასრულებელი ხელისუფლების მაღალ ეშელონებზე ,,გასვლის" შესაძლებლობას. ნებისმიერი შეხვედრა თეთრ სახლში სახელმწიფო დეპარტამენტსა თუ პენტაგონში ელჩის კვალიფიკაციასა და ქმედითობაზე მიუთითებს. ამაში საქართველოს საელჩოს ხელს უწყობდა მისი მთავარი ,,ლობისტი" ამერიკაში, ,,ედუარდ შევარდნაძის ფაქტორი" ჩვენთვის ყველა კარი ღია იყო და, რა თქმა უნდა, ამ გარემოებით ჩვენც და ბევრი სტუმრებიც აქტიურად ვსარგებლობდით. მე პირადად ჩემი ძველი კავშირები და

ნაცნობობაც მეხმარებოდა, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს ,,შევარდნაძის ფაქტორს" მეტოქეობას ვერ გაუწევდა.

ზურა სწორედ ამ ოფიციალური ვაშინგტონის ფავორიტად გადაიქცა. მისი შეხვედრების ორგანიზებისას არასოდეს შეგვქმნია პრობლემები - ყველას სიამოვნებდა მასთან შეხვედრა და საუბარი. განსაკუთრებით დიდი წვლილი მიუძღვის ზურას ამერიკის შეერთებული შტატების კონკრესის წარმომადგენლებთან საქმიანი და მეგობრული კონტაქტების დამყარებაში. სამართლიანობა მოითხოვს, ვახსენოთ ჩვენი მაშინდელი ლობისტი კაპიტოლიუმზე პოლ ჯოელი (,,ტურა", როგორც მას ზურა მოფერებით ეძახდა). პოლის დახმარებით, რომელიც წლების მანძილზე კონგრესის დაზვერვის საქმეთა სპეციალური კომიტეტის აპარატის წევრი იყო, ჩვენმა საელჩომ საქმიანობის პირველ პერიოდშივე შეძლო სათანადო დონეებზე გასვლა არამარტო სენატისა და წარმომადგენელთა პალატის პირველ პირებზე, არამედ, როგორც მე ზემოთ ავღნიშნე, ვაშინგტონის ყველაზე უხილავ მაგრამ ძლევამოსილ ფენაზე, სენატორებისა და კონგრესმენების თანაშემწეებსა და მრჩევლებზე, სტაფერებზე. ეს ის ხალხია, ვინც ყოველდღიურ დონეზე ამზადებს კანონმდებლების გამოსვლებს, სხვადასხვა გადაწყვეტილების პროექტებს. მათ მარტივად შეუძლიათ რომელიმე ,,მკვდარი" საკითხი გააცოცხლონ და პრიორიტეტად აქციონ, მათ შორის ამა თუ იმ კონკრეტული ქვეყნის პრობლემა. ,,ასე მუშაობს ამერიკის კონგრესი, თედო", - ხშირად მეუბნებოდა სტივენ ბიგენი, სენატის უმრავლესობის ლიდერის სტაჟიანი მრჩეველი საგაერო პოლიტიკასა და უშიშროების სფეროში, დღეს სტივი უკვე ფორდის კომპანიის ვიცე პრეზიდენტია საერთაშორისო საკითხებში.

სწორედ ამ ,,სტაფერების" დამსახურებაა, რომ საქართველო ამერიკის შეერთებული შტატების ფავორიტი ქვეყანა გახდა. რა თქმა უნდა, ამ საქმეში მათ უბრალო ,,კომუნიკატორები" ჰყავდათ შევარდნაძისა და ჟვანიას სახით. განსაკუთრებით უნდა ავღნიშნო ის

გარემოება, რომ ამ მხრივ ზურას მართლაც ბადალი არ მოეპოვებოდა. პრეზიდენტ შევარდნაძისაგან განსხვავებით, მას, რა თქმა უნდა, მეტი დრო ჰქონდა ხოლმე შეხვედრებისთვის და ამას ბრწყინვალედ იყენებდა. განსაკუთრებით ,,სტაფერებთან" ურთიერთობა უყვარდა. უმეტესობასთან მეგობრული ურთიერთობაც კი ჩამოუყალიბდა. მეტიც, გარდა სტრატეგიული ხასიათის დისკუსიებისა, ამ შეხვედრების დროს ბევრი საჭირბოროტო პრაქტიკული საკითხიც წყდებოდა. მაგალითად ის, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალები ,,უვის" ტიპის ვერტმფრენებით შეივსო, სწორედ ერთ-ერთი ასეთი შეხვედრის დამსახურებაა!

მაგრამ ამ ძლევამოსილი ,,სტაფერების" კოჰორტაში ყოველთვის განსაკუთრებული ადგილი ეკავა რობინ ქლივლენდს, სენატორ მიჩ მაკონელის, სენატის საგარეო ასიგნებათა ქვეკომიტეტის უაღრესად გავლენიანი თავმჯდომარის ,,სუპერ-დტაფერს". რობინი არა მარტო 100%-ით აკონტროლებდა საკომიტეტო ,,გრაფიკს", არამედ უშუალოდ უწევდა კონტროლს ამა თუ იმ საკითხის პრიორიტეტულობას და, ასევე, ამ საკითხების სენატის პლენარულ სხდომებზე გატანის პროცედურას. მას უმაღლესი დონის კონტაქტები ჰქონდა აღმასრულებელ ხელისუფლებაშიც, როგორც ცნობილია, თეთრ სახლში პრეზიდენტ ბუშის პირველ ადმინისტრაციაში უკვე საბიუჯეტო - ადმინისტრაციული დეპარტამენტის მოადგილის პოსტი ეჭირა, ხოლო მოგვიანებით მსოფლიო ბანკის პირადი მრჩევლის მოვალეობას ასრულებდა. რობინი არა მარტო თითქმის ყოვლისშემძლე, არამედ ,,უხილავი" და მიუკარებელი ადამიანის სახით იყო ცნობილი. მასთან ტელეფონით დაკავშირება თითქმის შეუძლებელი იყო, ხოლო რაღაც ქართულ ,,ჩაწყობაზე" ხომ ფიქრიც კი ფანტასკიტის სფეროს განეკუთვნებოდა. მოკლედ, თავი რომ არ შეგაწყინოთ, ეს ,,უკარება რიჟა" რობინი, საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი ქომაგი გახდა კაპიტოლიუმზე და მისი წყალობით ჩვენმა ქვეყანამ ამერიკის მთავრობისგან დიდი დახმარება მიიღო.

ამ საქმეში უდიდესი წვლილი შეიტანა ზურას და რობინის მეგობრობამ, თუმცა მინდა გავიხსენო, რომ პირველი ნაბიჯები ამ გზაზე ჟვანიას ტიპური ,,სცენარით" წარიმართა: ,,ვინ არის ეგ რობინი? რა უნდა? რატომ უნდა შევხვდე? ბოლოს და ბოლოს, მე ხომ პარლამენტის თავმჯდომარე ვარ?" და ასე შემდეგ. ჩემი პასუხი, რომ ეს ,,ვიღაც რობინი" აკონტროლებს სენატის დახმარების მრავალ მილიონიან პროგრამას. ზურამ თითქოს ყურად არ იღო, მაგრამ ეტყობოდა, რომ ინფორმაცია კარგად დაიმახსოვრა. მიხუედავად ამისა, ყოველი ახალი შეხვედრა რობინთან ჩემთვის ეშაფოტზე ასვლის ტოლფასი გახდა.

ერთ ეპიზოდს გავიხსენებ: სენატორ მაკონელთან ტრადიციული ლანჩის შემდეგ, როდესაც რობინიც ესწრებოდა, ზურა, დათო ონოფრიშვილი, რობინი და მე კონგრესის ერთ-ერთი გასასვლელისაკენ მივემართებოდით, ზურას ეტყობა, რომ დაიღალა ან რაღაცაზე ფიქრობს. კიბესთან შევჩერდით და უცებ რობინი ზურას ეუბნება :" თუ დრო გაქვს, აქვე ჩემი კაბინეტია, მოდი, ყავა დავლიოთ და ვილაპარაკოთ. რაღაც საკითხებში გარკვევა მჭირდება, თანაც მინდა ჩემი უფროსიც დავარწმუნო ამ საკითხების სტრატეგიულ მნიშვნელობაში არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ ჩვენთვის, ამერიკისთვის". დღესაც დარწმუნებული ვარ, ასეთი „დაპატიჟება" კაპიტოლიუმის ისტორიაში რობინ ქლივლენდისგან პირველი იყო! „რაო, რაო, რობინმა ყავის დალევა შესთავაზა ვინმეს და თანაც საკუთარ ტერიტორიაზე?!"-აუცილებლად იკითხავდა მავანი.ეს ხომ უნიკალური შანსია იმისა, რომ კონგრესის შიდა პოლიტიკის ნიუანსები გაარკვიო, მაგრამ არ გინდა ამაში ზურა დაარწმუნო?

ზურამ გაბრაზებული თვალებით ჯერ მე შემომხედა, მერე „პეპოს", რომელმაც იმავე წუთს ისევ იქ შესვლა არჩია, სადაც მეფეებიც კი ფეხით მარტონი დადიან. მოკლედ, რის ვაივაგლახით ჩავიყვანეთ ზურა რობინის მუდამ დაულაგებელ "ბუნაგში" . ზურამ გააბოლა და ხელში ყავა მომარჯვებულმა გადაწყვიტა დრო „სვეცკი" საუბარში გაეყვანა.

რადგან კარგად იცოდა რობინის ხასიათი. სად ჰქონდა ქლივლენდს ლაილაის დრო? პირდაპირ საქმეზე გადავიდა: „რით შემიძლია დაგეხმარო? კონკრეტულად მითხარი ის მიმართულებები და სფეროები, რომლებშიც საქართველოს დღეს სჭირდება დახმარება“.

ზურამ მე გადმომხედა, მაგრამ მთელი ჩვენი დავთრები და საქაღალდეები „პეპოს“ ჩანთაში ეწყო, ხოლო თვით „პეპო“ კი არსად ჩანდა. დაიწყო ზურამ საუბარი და უნდა გითხრათ, რომ ეს იყო ერთ-ერთი საუკეთესო „გამოსვლა“, რაც კი მე მისი შეხვედრების დროს მომისმენია. ზუსტი, კარგად ჩამოყალიბებული გზავნილები პირდაპირ რობინის „რადარზე“ ჯდებოდა. მალე „პეპოს“ მოახლოებაც ვიგრძენით, რადგან ვიღაცამ ახლა უკვე რობინის კარის მტვრევა დაიწყო და დაცვამ კვლავ გაფითრებული „პეპო“ შემოიყვანა ოთახში. „ სად დადიხარ? - გამოცრა ზურამ - მომეცი ერთი ის დეტალური მონაცემები! “ მერე ინფორმაციით სავსე საქაღალდე მოიმარჯვა და რობინთან საუბარი განაგრძო. ეს დისკუსია კიდევ ერთ საათს გაგრძელდა. „აი, ასეთი მდგომარეობაა ჩვენთან, ჩემო რობინ“, - უთხრა ზურამ და თან მე გადმომხედა, მოგწონს თუ არა, როგორ ვიქცევი და ვლაპარაკობო. საუბარი შეეხო საქართველოს ინსტიტუციურ მშენებლობას, რუსი მესაზღვრეების გაყვანას, რუსეთთან ბაზების თაობაზე მოლაპარაკების დაწყებას, ზამთრის პერიოდში საწვავისა და ხორბლის მოწოდებას, რა თქმა უნდა, კონფლიქტების მოგვარებას და კიდევ ბევრ რამეს.

უცებ რობინი სავარძლიდან წამოდგა, თავის კომპიუტერთან მივიდა და იქიდან ჰკითხა ზურას: „ მაინც რამდენის დამატება დაგჭირდებათ, რომ მომავალი წლის განმავლობაში წელში გამართულები იყოთ?“ გაოგნებულმა ზურამ ჯერ მე შემომხედა, მერე „პეპოს“. ვატყობ, უკანასკნელს ისევ იმ „ერთ’ ადგილას მოუნდა წასვლა. ამ შეკითხვისათვის აშკარად არ ვიყავით მზად. „ ეს რა კარგი და საინტერესო კითხვა დამისვი, რობინ, - სიამოვნებისგან ნაზად ამბობს ზურა, - აი, კიდევ დამატებით, დაახლოებით ათი მილიონი, რომ

გვქონოდა, კარგი იქნებოდა“, - ოდნავ გაუბედავად განაგრძნობს. „ მაშ, ასე, ვინაიდან შევარდნაძეს და შენ ჩემი ბოსი და პირადად მე დიდ პატივს გცემთ, შევეცდები დამატებით კიდევ ოცდაორი მილიონი გამოგიყოთ, იმ ძალისხმევისათვის, რომლის დემონსტრირებასაცთქვენ ახდენთ“-თქვა რობინმა და კომპიუტერში რაღაც მოინიშნა.“ახლა კი თავი გამანებეთ, უნდა დაგემშვიდობოთ, ჩემს ბიჭს უნდა მივხედო, ფეხბურთზე დადის და ხვალ სერიოზული თამაში აქვს“, - რობინმა გადაგვკოცნა და დაგვემშვიდობა.

ჩვენ მანქანაში ჩავსხედით, და ცოტა ხანს ხმას ვერ ვიღებთ. ზურამ ტრადიციისამებრ გააბოლა. შემდეგ ჩაილაპარაკა, „მშია! ამდენი ჩემს სიცოცხლეში არ მილაპარაკია! ეს ქალი ვინ არის? რატომ მალავდი აქამდე ამ ლამაზ გოგონას?! სადმე წავიდეთ და კარგად ვისაუბროთ, ოღონდ თამრიკოსთან ერთად, შენი ბუზღუნი მომბეზრდა.“ და ჰო, რაც მთავარია, „ის ტურა“ არ დამანახო! რა ვუყო, ვერა და ვერ გამოვუყავით კუთვნილი თანხები“- ამბობს ზურა. ეს ხომ მუდმივი თემაა - ქართული დიპლომატიის დაფინანსება და მათ შორის მოხვედრილი ჩვენი მაშინდელი ლობისტის , „ტურა“- ჯოელისა, რომელმაც, სხვათა შორის, მე გამაცნო რობინ ქლივლენდი, ვისთან ერთადაც კაპიტოლიუმზე მუშაობდა.

მოკლედ, იმ წელს სენატის ასიგნებათა კომიტეტის საგარეო დახმარების ქვეკომიტეტმა ზუსტად 22 მილიონით მეტი დაუმტკიცა საქართველოს. მალე რუსი მესაზღვრეები გაიყვანეს საქართველოდან და დაიწყო რუსეთის სამხედრო ბაზების გასვლასთან დაკავშირებული მომქანცველი მოლაპარაკებები ამ ქვეყნის მთავრობასთან. რა თქმა უნდა, ამ პროცესში უამრავი ხალხი იყო ჩართული - პირადად პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, ვაჟა ლორთქიფანიძე,ირაკლი მენაღარიშვილი, ვალერი ჩხეიძე, ჩვენი ელჩები აზერბაიჯანში, ეუთოსა და ევროკავშირში და კიდევ ბევრი სხვა ადამიანი, თუ უწყება! თუმცა რობინ ქლივლენთან ის მისტიკური საუბარი და „ზედმეტი“ 22 მილიონი

დოლარის გაჩენა ჩემთვის ყოველთვის დაუვიწყარი იქნება.

ზურას უყვარდა ამერიკაში ჩამოსვლა და იქ თავდაუზოგავი მუშაობა. ყოველთვის ცდილობდა მაქსიმალურად გამოეყენებინა ყველა შესაძლებლობა და არა მარტო სრულად აღეწერა საქართველოში არსებული პრობლემები, არამედ საუბრებისა და შეხვედრების დროს ბევრი რამ ადგილზე გადაეწყვიტა.

ამ წერილზე მუშაობის დროს ჩემს არქივებში აღმოვაჩინე მართლაც რომ უნიკალური დოკუმენტი: „ საქართველოს პარლამენტის თავჯდომარის ზურაბ ჟვანიას 2000 წლის აშშ-ში ვიზიტის ანგარიში “. როდესაც ეს დოკუმენტი გადავიკითხე, საოცარი გრძნობა დამეუფლა. ბევრი რამ გამახსენდა, რაც უკვე დავიწყებული მქონდა. ჯერ ვიფიქრე, სრულად მომეყვანა ტექსტი, მაგრამ შემდეგ, გარკვეული მოსაზრებებიდან გამომდინარე, მხოლოდ მისი ფრაგმენტულად გამოყენება გადავწყვიტე. ვფიქრობ, ასეთი ფორმატიც მისცემს საშუალებას მკითხველს, სრულად აღიქვას ზურას მიერ ამ ერთი ვიზიტის დროს ჩატარებული სამუშაოს მასშტაბი, თუმცა , ეს ყველა მისი ვიზიტისთვის დამახასიათებელი იყო. მხოლოდ ერთ დეტალს დავამატებდი: ამ ანგარიშში აღწერილ შეხვედრებს ქართული დელეგაციის უკლებლივ ყველა წევრი ესწრებოდა -ზურაბ ნოღაიდელი, მიშა მაჭავარიანი, მიხეილ სააკაშვილი, რეზო ადამია.

ახლა კი მივყვეთ დოკუმენტს (სტილი დაცულია).

საქართველოს პარლამენტის თავჯდომარის ზურაბ ჟვანიას აშშ-ში ვიზიტის ანგარიში

“2000 წლის 17-28 ივლისს აშშ-ში იმყოფებოდა საქართველოს პარლამენტის თავჯდომარე ზურაბ ჟვანია. ვაშინგტონში ყოფნის დროს ზურაბ ჟვანია შეხვდა აშშ-ის ადმინისტრაციისა და კონგრესის, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების, საქმიანი წრეებისა და კვლევითი ცენტრების წარმომადგენლებს. კერძოდ, გაიმართა შეხვედრები:

აშშ-ის ადმინისტრაციაში - ეროვნული უსაფრთხოების საქმეებში აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტის თანაშემწე ლეონ ფუერტთან, აშშ-ის თავდაცვის მინისტრთან უილიამ კოენთან, ენერგეტიკის მინისტრთან ბილ რიჩარდსონთან, შინაგან საქმეთა მინისტრთან ბრიუს ბაბიტთან, სახელმწიფო მდივნის პირველ მოადგილესთან სტროუბ ტელბოტთან, სახელმწიფო მდივნის მოადგილესთან ფრენკ ლოისთან, თავდაცვის მინისტრის მოადგილესთან ედუარდ უორნერთან, სახელწიფო დეპარტამენტის ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოებისათვის დახმარების მთავარ კოორდინატორებთან და პრეზიდენტის მრჩეველთან აღნიშნულ საკითხებში ბილ ტეილორთან. მოეწყო აგრეთვე შეხვედრა უწყებათშორის ჯგუფთან, რომელსაც უძღვებოდნენ აშშ-ის პრეზიდენტის სპეციალური თანაშემწე, ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის რუსეთის, უკრაინისა და ევრაზიული სახელმწიფოების განყოფილების მთავარი დირექტორი მარკ მედიში და ამავე განყოფილების დირექტორი ჯონათან ელკაინდი, ესწრებოდნენ სახელმწიფო დეპარტამენტის, ენერგეტიკის, ფინანსთა, ვაჭრობის სამინისტროების წარმომადგენლები.

აშშ-ისსენატში - ვაჭრობის, მეცნიერებისა და ტრანსპორტის კომიტეტის თავჯდომარე ჯონ მაკკეინთან, სოფლის მეურნეობისა და სატყეო მეურნეობის საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარესთან რიჩარდ ლუგართან, საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარესთან პიტ დომენიჩისთან, საგარეო ოპერაციების, ასიგნებათა ქვეკომიტეტის თავმჯდომარესთან მიჩ მაკკონელთან, საერთაშორისო ურთიერთობათა

კომიტეტის ახლო აღმოსავლეთისა და სამხრეთ აზიის საქმეთა საქმეთა ქვეკომიტეტის თავმჯდომარესთან სემ ბრაუნბეკთან, საერთაშორისო ურთიერთობათა კომიტეტის საერთაშორისო ეკონომიკური პოლიტიკის, ექსპორტისა და ვაჭრობის ხელშეწყობის ქვეკომიტეტის თავმჯდომარესთან ჩაკ ჰეიგელთან, საერთაშორისო ურთიერთობათა კომიტეტის ევროპული საქმეების ქვეკომიტეტის თავმჯდომარესთან გორდონ სმიტთან, სენატორებთან პატრიკ ლეიჰისთან (ასიგნებათა კომიტეტის დემოკრატების ლიდერი), პოლ უელსტოუნთან (საერთაშორისო ურთიერთობათა კომიტეტის ახლო აღმოსავლეთისა და სამხრეთ აზიის საქმეთა ქვეკომიტეტის დემოკრატების ლიდერი), ედვარდ კენედისთან, კაი ბეილი ჰაჩისონთან, ბარბარა მიკულსკისთან; გაიმართა აგრეთვე სადილი სენატის კომიტეტებისა და ქვეკომიტეტების აპარატების წევრებთან.

აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატაში - საგარეო ოპერაციების, ექსპორტის ფინანსირებისა და მასთან დაკავშირებული პროგრამების ასიგნებათა ქვეკომიტეტის თავმჯდომარე სონი კალაჰენთან, საერთაშორისო ურთიერთობათა კომიტეტის დემოკრატების ლიდერ სემ გეიდენსონთან, კონგრესმენ ნორმან დიქსთან.

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებში - საერთაშორისო სავალუტო ფონდის განმკარგულებელ დირექტორთან ჰორსტ კოლერთან, მეორე ევროპული დეპარტამენტის დირექტორთან ჯონ ოდლინგ-სმისთან, აღმასრულებელ დირექტორთან იოჰანეს ვაინჰოლდსთან და საქართველოს მისიის ხელმძღვანელთან დევიდ იუენთან, მსოფლიოს ბანკის ვიცე-პრეზიდენტთან იოჰანეს ლინთან, რეგიონულ დირექტორთან ჯუდი ო'კონორთან, ჯონათან ვოლტერსთან და საქართველოს საკითხებზე მომუშავე ჯგუფთან.

გაიმართა აგრეთვე შეხვედრები ცნობილ პოლიტოლოგთან, აშშ-ის პრეზიდენტის ყოფილ თანაშემწესთან ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში ზბიგნევ ბჟეზინსკისთან, საგარეო პოლიტიკისა და

უსაფრთხოების საკითხებში აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატ ჯორჯ ბუშის მრჩევლების ჯგუფის ხელმძღვალებთან პოლ ვოლფოვიცთან და რობერტ ზოლეკთან, აშშ-ის კონგრესის ბიბლიოთეკის დირექტორთან ჯეიმს ბილინგტონთან, სხვადასხვა ქვეყნის ელჩებთან, ამერიკის ებრაული ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

შედგა ზურაბ ჟვანიას გამოსვლები ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ სადილზე, ამერიკა-საქართველოს ბიზნესის განვითარების საბჭოსა და დემოკრატიის და უსაფრთხოების ედუარდ შევარდნაძის სახელობის ფონდის სახელით მოწყობილ მიღებებზე.

24-25 ივლისს ზურაბ ჟვანია იმყოფებოდა ქ. სიეტლში, სადაც გაიმართა შეხვედრები სიეტლის მერთან პოლ შერთან, „ბოინგის“ ვიცე-პრეზიდენტთან ფრედ მიჩელთან, სიეტლის პორტის ხელმძღვანელობასთან, საქმიანი წრეების წარმომადგენლებთან (ბობ უოლშთან, სტერლინგ ქრამთან, რიკ დორჩთან და სხვებთან).ზურაბ ჟვანიამ დაათვალიერა აგრეთვე „ბოინგის“ ქარხანა ევერეტში და ეროვნული პარკი „ოლიმპიკი“.

აშშ-ის აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლებთან ზურაბ ჟვანიამ განიხილა შემდეგი საკითხები:

საქართველო - აშშ-ის ურთიერთობები

ზურაბ ჟვანიამ შეხვედრების დროს აღნიშნა, რომ საქართველოს სურს იყოს აშშ-ის სტრატეგიული პარტნიორი, როგორც ეს არაერთხელ განუცხადებია საქართველოს პრეზიდენტს. მართალია, საქართველო

პატარა ქვეყანაა, მაგრამ მას უაღრესად მნიშვნელოვანი როლის თამაში შეუძლია, ვინაიდან არის მთელი სამხრეთ კავკასია/ცენტრალური აზიის (კასპიის)რეგიონის კარიბჭე დასავლეთისაკენ. კავკასიური დერეფანი არის ერთადერთი პოლიტიკურად არამანიპულირებადი მარშრუტი კასპიის ზღვის აუზის ენერგომატარებლებისა და სხვა რესურსების დასავლეთისაკენ წასაღებად, რომელიც თავისუფალია რუსეთისა და ირანის ზეგავლენისაგან.

საქართველო ამ დერეფნის საკვანძო რგოლია და, თუ კი რუსეთი მოახერხებს საქართველოს „დახურვას“, რეგიონი მთლიანად ჩაიკეტება და სხვა ქვეყნებს აღარ ექნებათ რუსეთის ალტერნატივა .ეს კარგად ესმით რუსებს და სწორედ ამიტომ გადაიქცა საქართველო მთავარ სამიზნედ რუსეთისათვის - დაწყებული ქვეყნის პრეზიდენტზე თავდასხმებით და დამთავრებული ათასნაირი ბრალდებით. ხოლო თუ საქართველომ წარმატებას მიაღწია , ეს იქნება მაგალითი და გზის მაჩვენებელი სხვა ქვეყნებისთვისაც. ამდენად , საქართველოს ძალიან მნიშვნელოვანი როლის თამაში შეუძლია რეგიონის ახალი გეოპოლიტიკური კონფიგურაციის ჩამოყალიბებაში. სწორედ ამაში გვჭირდება აშშ-ის დახმარება. ზ.ჟვანიამ აშშ-ის მიერ საქართველოსათვის გასულ წლებში სხვადასხვა სფეროში გაწეული დახმარება/მხარდაჭერის მნიშვნელობა და მადლობა გადაუხადა ამერიკულ მხარეს ამისათვის.

სტროუბ ტელბოტმასაქართველოს პარლამენტის თავჯდომარეს განუცხადა, რომ საქართველოს შეიძლება ჰქონდეს აშშ-ის იმედი. აშშ-ის მხრიდან საქართველოს ორმხრივი დახმარება/მხარდაჭერა კვლავ გაგძელდება, იმის მიუხედავად, ვინ გახდება აშშ-ის მომავალი პრეზიდენტი. მისი გგანცხადებით, არჩევნების მიმდინარეობას და შედეგებს აშშ-საქართველოს ურთიერთობებზე ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლია, რადგან, ჯერ ერთი, აშშ-ში არის ორპარტიული მხარდაჭერა საქართველოს მიმართ და მეორე, სახელმწიფო მოხელეთა ის ნაწილი,

რომელიც კონკრეტულად მუშაობს საქართველოს პრობლემატიკაზე, არ არის დაკავებული წინასაარჩევნო პრობლემებით.

ს.ტელბოტის თქმით,საქართველოს განსაკუთრებული ადგილი უკავია აშშ-ის ინტერესებში რეგიონში და დაამატა , რომ აშშ ამას ყველა ქვეყანას როდი ეუბნება. ს.ტელბოტის განცხადებით , ამას რამდენიმე მიზეზი აქვს. ძირითადი მიზეზი საქართველოს პრეზიდენტის ფიგურაა. თუ იგი და მისი რეფორმატორთა გუნდი მიაღწევენ წარმატებებს, ეს კარგი იქნება არა მარტო საქართველოსთვის , არამედ მთელი რეგიონისა და აშშ-ისთვისაც.

ს.ტელბოტმა აღნიშნა, რომ პრეზიდენტ კლინტონთან მისი ყოველი შეხვედრის დროს , როცა საუბარი რეგიონს ეხება , პრეზიდენტი კლინტონი აუცილებლად ეკითხება , თუ რა ხდება დღეს საქართველოში. და ეს ხდება არა მარტო პრეზიდენტ კლინტონის პირადი ურთიერთობის გამო ედუარდ შევარდნაძესთან , რომლსაც იგი უსაზღვრო პატივს სცემს, არამედ, ს.ტელბოტის თქმით, ამის მიზეზია საქართველოს ფუნქცია რეგიონში და მისი როლი აშშ-ის ინტერესებში.

ს.ტელბოტმა დაადასტურა, რომ აშშ გააგრძელებს თანამშრომლობას საქართველოსთან სხვადასხვა საკითხებში, როგორიცაა ეკონომიკური რეფორმები, თავდაცვისა და უსაფრთხოების პროგრამები, ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების ხელშეკრულების იმპლემენტაცია, ჩეჩნეთის საზღვრის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და სხვ. მაგრამ, გააგრძელა ს.ტელბოტმა, თუ საქართველოს ხელისუფლება არ გადადგამს მკვეთრ ნაბიჯებს ზოგიერთ სფეროში მდგომარეობის გამოსასწორებლად, ამერიკული დახმარება/მხარდაჭერა შეძლება შემცირდეს. მან ხაზი გაუსვა ეკონომიკური რეფორმების დაჩქარებისა და კორუფციასთან ბრძოლის პრობლემებს.

ჯონ მაკკეინმა განაცხადა, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში გუბერნატორ ჯორჯ ბუშის გამარჯვების შემთხვევაში, საქართველო მეტ

ყურადღებას იგრძნობს რეგიონის მიმართ. მისი თქმით, საქართველო აშშ-ისთვის უაღრესად მნიშვნელოვანი ქვეყანაა, მაგრამ, რეგიონში მიმდინარე პროცესების გამო, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდება მომავლში, განსაკუთრებით, თუ მოახერხებს არსებული პრობლემების გადაჭრას და რეფორმების განხორციელებასა და დემოკრატიის მშენებლობაში მიღწეული სტანდარტების კიდევ უფრო უფრო განმტკიცებას. ჯონ მაკკეინმა ხაზი გაუსვა საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის მნიშვნელობას და აღნიშნა , რომ ამ პროცესის დასრულებამდე საქართველო ვერ ჩაითვლება ჭეშმარიტად დამოუკიდებელ ქვეყნად.

პოლ ვულფოვიცის განცხადებით, საქართველო და მთელი რეგიონი უაღრესად მნიშვნელოვანია აშშ-ისთვის და რესპუბლიკელებს ეს კარგად ესმით. მისი თქმით, თუ რუსეთი მოახერხებს „გაიმარჯვოს“ ცენტრალურ აზიასა და სამრეთ კავკასიაში, ეს იქნება ნამდვილი ტრაგედია და ამის დაშვება არაფრით არ შეძლება. ვულფოვიცის განცხადებით, ჯორჯ ბუშის ადმინისტრაცია რუსეთის მიმართ უფრო რეალისტურ პოლიტიკას გაატარებს, ვიდრე დღევანდელი ადმინისტრაცია.შემდეგ ვულფოვიციმა აღნიშნა, რომ საქართველოს „ხმა“ გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე ქვეყნის ზომა, ხოლო პრეზიდენტ შევარდნაძის „ხმა“.კიდევ უფრო დიდია. იგი უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობს რესპუბლიკელებში, განსაკუთრებით დიდ პატივს სცემს მას პრეზიდენტი ჯ.ბუში.

ეკონომიკური რეფორმების მდგმარეობა

საქართველოში, კორუფციის პრობლემა

ზურაბ ჟვანიამ შეხვედრების დროს აღნიშნა, რომ ახალი მთავრობის ფორმირება საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ სულ რამდემე კვირის წინ დასრულდა.მისი შეფასებით, საქართველოს ახალი მთავრობის ეკონომიკური გუნდი არის გაცილებით უფრო კომპეტენტური, ენერგიული და უკეთ ორგანიზებულია, ვიდრე წინა შემადგენლობა. ამის პირველი შედეგები უკვე სახეზეა- ივნისში, პირველად უკანასკნელი თვეების განმავლობაში, შესრულდა გადასახადების აკრეფის გეგმა. კიდევ უკეთესი შედეგებია მოსალოდნელი ივლისში, ხოლო 2-3 თვეში , ზ.ჟვანიას აზრით, შესაძლებელი იქნება ვილაპარაკოთ ახალ მიღწევებზეც.

ზ.ჟვანიამ ისაუბრა არა მხოლოდ წინა წლებში მიღწეულ წარმატებებზე (მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია, ფართომაშტაბიანი ლიბერალიზაცია, მიწის პრივატიზაცია, მცირე და საშუალო საწარმოთა პრივატიზაცია,სასამართლო რეფორმა), არამედ მომავლ გეგმებზეც. მან ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ აგვისტოდან დაიწყება საგადასახადო სამსახურის რეფორმა, ხოლო ოდნავ მოგვიანებით - მსხვილი პრივატიზაციის (ტელეკომუნიკაციების სფერო, ფოთის პორტი, ქიმიური მრეწველობის საწარმოებები და სხვ.) პროცესი.

ზ.ჟვანიამ მადლობა გადაუხადა ამერიკულ მხარეს ეკონომიკური რეფორმების საკითხებში საქართველოს პრეზიდენტის სრატეგიულ მრჩევლად ცნობილი პოლონელი ეკონომისტის ლეშეკ ბალცეროვიჩის დანიშვნისათვის. მან აგრეთვე სთხოვა ამერიკულ მხარეს დახმარების გაწევა საქართველოს ვალების რესტრუქტურიზაციის საკითხში.

ზ. ჟვანიამ ისაუბრა საქართველოში მომხდარი გვალვის მეტად მძიმე შედეგებზე და თხოვნით მიმართა ამერიკულ მხარეს, რათა გაუწიონ საქართველოს შესაბამისი დამატებითი დახმარება.

ზ.ჟვანიამ ილაპარაკა იმ დაბრკოლებებზეც, რომლებიც არსებობს ქვეყნის განვითარების გზაზე. მათ შორის უმთავრესიაქვეყანაში არსებული კორუფცია. ქვეყნის ხელმძღვალობას კარგად აქვს გაცნობიერებული, რომ კორუფცია არა მხოლოდ სოციალური და ეკონომიკური პრობლემაა, არამედ ის არის უდიდესი ხიფათი ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოებისთვის. ქვეყანაში არსებული კორუფციის დონე უარყოფითად მოქმედებს საქართველოს საერთაშორისო იმიჯზე და რეპუტაციაზე. ზ.ჟვანიას თქმით, ქვეყანაში ყველას კარგად ესმის, რომ საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის განმტკიცებისა და დემოკრატიული განვითარებისის გზაზე კორუფცია მთავარ წინაღობად იქცა. ამდენად, მისი დამარცხება ეროვნული გადარჩენის მნიშვნელობას იძენს და მასთან ბრძოლა ხელისუფლების უმთავრესი პრიორიტეტი გახდა.

ზ.ჟვანიას აზრით, უაღრესად მნიშვნელოვანია გატარდეს ენერგიული ღონისძიებები კორუფციასთან საბრძოლველად. ყველას კარგად ესმის, რომ მხოლოდ კორუფციასთან ბრძოლაში კონკრეტული შედეგების მიღების შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, როგორც საქართველოს მოსახლეობის, ისე ჩვენი საერთაშორისო პარტნიორების ნდობია აღდგენა და ჩვენი შემდგომი პროგრესი. ზ.ჟვანიას რწმენით, კორუფციასთან საბრძოლველად არა მხოლოდ კორუმპირებულ პიროვნებებთან ბრძოლაა საჭირო, არამედ, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია ინსტიტუციონარული ცვლილებების გატარება.

ზ.ჟვანიას განცხადება კორუფციასთან ბრძოლის პროცესს პირადად პრეზიდენტი შევარდნაძე ხელმძღვანელობს. ცოტა ხნის წინ მისი განკარგულებით შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელიც ახლო მომავალში შეიმუშავებს კორუფციასთან ბრძოლის სამოქმედო სტრატეგიას და გეგმას. კომისიას ხელმძღვანელობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავჯდომარე ლადო ჭანტურია, ხოლო მის შემადგენლობაში არიან არა მხოლოდ პოლიტიკური მოღვაწეები, არამედ

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და იურისტები, რომლებსაც საუკეთესო რეპუტაცია აქვთ და საზოგადოების ნდობით არიან აღჭურვილი.

აღნიშნული სამოქმედო გეგმის ნაწილებად მოიაზრება ცვლილებების შეტანა არსებულ კანონმდებლობაში, სამართალდამცავი სტრუქტურების, პირველ რიგში, პროკურატურის რეფორმა, სამართალდამცავი ღონისძიებების გატარება, აგრეთვე ცალკეულ პიროვნებათა წინააღმდეგ მიმართული ქმედებები და სხვ. ამასთან, ეს უნდა იყოს არა მარტო საკადრო, არამედ ინსტიტუციონალური რეფორმა. კომისიამ უნდა მოამზადოს აგრეთვე წინადადებები მომავალი ანტიკორუფციული სააგენტოს შექმნისათვის.

თავის მხვრივ პარლამენტსაც კორუფციასთან ბრძოლის დიდი გამოცდილება აქვს. ანტიკორუფციულმა საპარლამენტო კომისიამ, რომელსაც გიორგი ბარამიძე ხელმძღვალობდა, 5 მნიშვნელოვანი მინისტრი დაითხოვა. შექმნილია სოლიდური საკანონმდებლო ბაზა. ახლა მთავარია არსებული კანონების რეალურად ამუშავება.

სტროუბ ტელბოტმა აღნიშნა, რომ ს. სესტანოვიჩზე საქართველოს მთავრობის ახალმა ეკონომიკურმა გუნდმა გულწრფელად მოახდინა შთაბეჭდილება მისი თბილისში ამასწინანდელი ვიზიტის დროს. ახლა საჭიროა კონკრეტული შედეგების მიღება და აშშ ყველაფერს გააკეთებს, რათა დაგეხმაროთ. ს. სტელბოტის თქმით, ლ.ბალცეროვიჩის დანიშვნა საქართველოს პრეზიდენტის მრჩევლად არის საქართველოს მიმართ ამერიკული ინტერესებისა და მხარდაჭერის კიდევ ერთი გამოხატულება.

კორუფციასთან დაკავშირებით ს.ტელბოტმა აღნიშნა, რომ ეს არის „ჟანგი, რომელიც ჭამს სახელმწიფოს“. მისი თქმით, აშშ-ის ადმინისტრაციას იმედი აქვს, რომ პრეზიდენტი შევარდნაძე და მისი გუნდი მოერევიან ამ პრობლემას. ს.ტელბოტმა იქვე დაამატა, რომ

მისთვის უკვე ცნობილია სპეციალური კომისიის ჩამოყალიბების შესახებ, მაგრამ ეს არ არის საკმარისი - საჭიროა კონკრეტული შედეგები.

ლეონ ფუერტი მიესალმა ანტიკორუფციული სპეციალური კომისიის შექმნას და აღნიშნა, რომ მთავარი საქმე მხოლოდ სამოქმედო გეგმის შედგენის შემდეგ იწყება. ეს არის ყოველდღიური ბრძოლა, რომელშიც აშშ უკვე 200 წელიწადზე მეტია ჩაბმული. ამასთან ლ.ფუერტის თქმით, რჩევის მიღება, თუ როგორ უნდა გაკეთდეს ეს, პრობლემა არ არის., მაგრამ უშუალოდ საქმე მხოლოდ ქართველების გასაკეთებელია.

აშშ-ის ფინანსთასამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ნენსი ლიმ საუწყებათაშორისო ჯგუფთან შეხვედრაზე აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობაში მართლაც ძლიერი ეკონომიკური გუნდი შეიკრიბა. შემოსავლებისა და ფინანსთა მინისტრებსა და ეროვნული ბანკის პრეზიდენტს არა მარტო მაღალი კომპეტენტურობა, არამედ თანამშრომლობის სურვილი და პოლიტიკური ნებაც გააჩნიათ.

ნ.ლიმ აღნიშნა, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდი გამიზნულად არ ჩაერია საქართველოს ბიუჯეტის სეკვესტრის პროცესში, რადგან ქვეყანას მახსიმალურად გამოევლინა თავისი ნება და სეკვესტრის პროცესი არ ყოფილიყო აღქმული, როგორც გარედან თავს მოხვეული პროცედურა. მაგრამ, მისი განცხადებით, გაცილებით მნიშვნელოვანი იქნება ბიუჯეტის ახალი პარამეტრების რეალიზაცია. საერთაშორისო სავალუტო ფონდი მზადაა განაახლოს მოლაპარაკებები საქართველოსთან, თუ ოქტომბერში საქართველო შეასრულებს დასახულ მიკროეკონომიკურ მაჩვენებლებს (მიზნებს). ეს მაჩვენებლები კი მხოლოდ 1999 წლის დონეზეა, რომელიც თავისთავად დაბალი იყო. ამ შემთხვევაში შესაძლებელი იქნება საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ახალი შეთანხმების მიღწევა სიღარიბის შემცირების გრძელვადიანი (3-წლიანი) პროგრამის დაწყებაზე. ეს მნიშვნელოვნად

დაეხმარება საქართველოს საგარეო ვალების პრობლემის მოგვარებაში პარიზის კლუბის წევრ ქვეყნებთან. ნ. ლიმ აღნიშნა, რომ საქართველოს მიდგომა საგარეო ვალების რესტრუქტურიზაციის საკითხისადმი უნდა იყოს მრავალმხრივი და სასურველია, აღნიშნული პრობლემის მოგვარება მოხდეს პარიზის კლუბის მეშვეობით, რადგან საქართველოს კრედიტორი ქვეყნების უმრავლესობა სწორედ ამ კლუბის წევრია.პარიზის კლუბში მიღწეული შეთანხმება სავალდებულო იქნება მისი კლუბის წევრ კრედიტორი ქვეყნებისათვის და რესტრუქტურიზაციის პირობები ბევრად უკეთესი, ვიდრე ეს შეიძლება ქვეყნებს შორის ორმხრივი მოლაპარაკების პროცესში შეთანხმდე. პარიზის კლუბის ფარგლებში შესაძლოა ვალების ჩამოწერაც . ამასთან,დაამატა ნ. ლიმ, პარიზის კლუბის ფარგლებში მიღწეული შეთანხმება დაეხმარება საქართველოს კლუბის არაწევრ ქვეყნებთან შეთანხმების მიღწევაშიც.

აქედან გამომდინარე , ხაზი გაუსვა ნ. ლიმ,უმჯობესია, საქართველომ რუსეთისადმი საგარეო ვალის რესტრუქტურიზაცია მოახდინოს პარიზის კლუბის ფარგლებსი და არა ორმხირვი მოლაპარაკებების მეშვეობით, რადგან რუსეთი , როგორც პარიზის კლუბის წევრი ქვეყანა, ვალდებული იქნება დაემორჩილოს კლუბის ფარგლებში მიღწეულ შეთანხმებას. ამასთან,შეიძლება რუსეთმა მოინდომოს გადააფიქრებინოს საქართველოს პარიზის კლუბთან მოლაპარაკებების დაწყება, მაგრამ ამის დაშვება არ შეიძლება. ნ. ლის განცხადებით საქართველომ ამ საკითხში მჭიდროს უნდა ითანამშრომლოს საერთაშორისო სავალუტო ფონდთანაც, რადგან სწორედ სსფ და პარიზის კლუბი დაიცავენ საქართველოს კრედიტორების მძიმე ზეწოლისაგან.

ნ.ლიმ კმაყოფილება გამოხატა საქართველოს პრეზიდენტის მიერ ანტიკორიფციული კომისიის შექმნასა და კომისიისშემადგენლობის თაობაზე,რაც აჩვენებს პეზიდენტის შემართებას, შეებრძლოს და

დაამარცხოს ეს სენი. მისი თქმით, აშშ-ის ადმინისტრაცია ამ კომისიისგან ელოდება რეალურ ქმედებებს, რათა საქართველოს მთავრობამ დაარწმუნოს გარე სამყარო, რომ იგი სერიოზულად ებრძვის კორუპციას. ამისთვის აუცილებელია მთავრობა გაიწმინდოს კორუმპირებული მოხელეებისაგან და ისინი უნდა გასამართლდნენ და დაისაჯონ კანონის ფარგლებში. ნ. ლის აზრით, აუცილებელია აგრეთვე პროკურატურის რეფორმა და მისი დამოუკიდებელ საგამოძიებო ორგანოდ ჩამოყალიბება, საბაჟო კონტროლის გაძლიერება და საბიუჯეტო ხარჯებზე მკაცრი კონტროლის დაწესება . ნ. ლის განცხადებით, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს გააჩნიათ კორუფციასთან ბრძლოლის დიდი გამოცდილება და კარგი იქნება , თუ საქართველო მოითხოვდა მათგან ტექნიკურ დახმნარებას . გარდა ამისა , კორუფციასთან ბრძოლის საქმეში დიდი დახმარების გაწევა შეუძლია ლ. ბალცეროვიჩსაც.

უწყებათაშორის ჯგუფთან შეხვედრაზე სახელმწიფო დეპარტამენტის ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოებთან ურთიერთობების მთავარი კოორდინატორის მოადგილემ დენიელ ფრიდმა განაცხადა, რომ ლ. ბალჩეროვიცის საქართველოში ჩამოსვლა ძალზე დაეხმარება ქვეყანას , რადგან მას გააჩნია გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში რეფორმების წარმატებით ჩატარების უნიკალური გამოცდილება(დ. ფრიდი ამ თანამდებობაზე დანიშვნამდე იყო აშშ-ის ელჩი პოლონეთში და კარგად იცნობს ლ. ბალცეროვიჩს-თ.ჯ)დ. ფრიდის განცხადებით, გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების ერთ-ერთ მთავარ პრობლემას წარმოადგენს ეკონომიკის პოლიტიზება, რაქ ზიანს აყენებს ქვეყნების სწრაფ განვითარებას .

პარიზის კლუბთან დაკავშირებით დ. ფრიდმა განაცხადა, რომ თუ საქართველოს სურს ვალების რესტრუქტურიზაცია პარიზის კლუბში , ამისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს საერთაშორისო სავალუტო ფონდის ფორმალური პირობების შესრულება. ფონდის

პირობების შესრულებამდე და მის მიერ ეკონომიკური რეფორმების გეგმის მოწონებამდე , პარიზის კლუბი არც კი განიხილავს საქართველოს თხოვნას. დ. ფრიდის თქმით, ლ. ბალცეროვიჩმა ეს პროცედურა კარგად იცის.

დ.ფრიდმა განაცხადა აგრეთვე,რომ აშშ-ის ადმინისტრაცია ამჟამად ცდილობს საქართველოს მიმართ გააუქმოს აშშ-ის სავაჭრო აქტის ე.წ. ,, ჯექსონ- ვენიკის დამატება'' და დაამყაროს ,,ნორმალური სავაჭრო პარტნიორის სტატუსი'', მაგრამ ამის წინააღმდეგ გამოდის საბჭოთა ებრაელების ეროვნული კომიტეტი, რომელიც თავის დროზე იყო ,, ჯექსონ- ვენიკის'' დამატების ინიციატორი. პრობლემა მდგომარეობის თბილისში ებრაელთათვის სინაგოგის დაბრუნებაში. დ. ფრიდმა სთხოვა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, ბგაერკვია ეს საკითხი ამერიკული ებრაული ორგანიზაციების წარმომადგენლებთან .

აფხაზეთის პრობლემატიკა

ზურაბ ჟვანიამ შეხვედრების დროს აღნიშნა, რომ გრძელდება მოლაპარაკებები აფხაზურ მხარესთან, თუმცა ხელშესახები პროგრესის

გარეშე. ამავე დროს, მისი აზრით, სწორედ ახლაა ის მომენტი, როცა შეიძლება მივაღწიოთ ასეთ პროგრესს. ამის თქმის საფუძველს იძლევა ის, რომ დღეს აფხაზეთში მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა უაღრესად მძიმეა, სირატაკემ არნახულ ზღვარს მიაღწია, ხალხი ძალიან გაღიზიანებულია და ყველაფერ ამის გამო განჩნდა შიგა ოპოზიცია.

ზ.ჟვანიამ აღნიშნა , რომ პრეზიდენტ შევარდნაძეს და მას ჰქონდათ შეხვედრა აფხაზურ ოპოზიციის წარმომადგენლებთან, რომლებიც მოსკოვიდან ჩამოვიდნენ თბილისში. ეს არის საინტერესო ხალხი, რომლებსაც ესმით, რომ აფხაზეთში შექმნილი მდგომარეობიდან გამოსვლა შეუძლებელია საქართველოსთან კომპრომისების გარეშე. ასე რომ, უკვე გაჩნდა გარკვეული ზეწოლა ვლადისლავ არძინბაზე შიგნიდან. ახლა საჭიროა მან ეს ზეწოლა გარედანაც იგრძნოს. დღეს სავსებით ნათელია, რომ რუსებს ამის გაკეთების არანაირი სურვილი არ გააჩნიათ. ამიტომ უნდა შეიცვალოს სიტუაცია, როცა აფხაზეთის კონფლიქტის მოსაგვარებლად ძირითადად რუსებზე ვიყავით დამოკიდებული.

ზ.ჟვანიას თქმით, აუცილებელია აშშ და დასავლეთის სხვა ქვეყნები უფრო აქტიურად ჩაერიონ აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში. მან ხაზი გაუსვა იმ დოკუმენტის მნიშვნელობას , რომელიც გაეროში მზადდება თბილისსა და აფხაზეთს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობის გამიჯვნის თაობაზე . ზ. ჟვანიამ კიდევ ერთხელ დაადასტურა ის ფაქტი, რომ საქართველოს ხელისუფლება მზად არის მისცეს აფხაზეთს პოლიტიკური თვითმმართველობის ძალიან ფართო უფლებები, ხოლო ცენტრალური მთავრობის ჩარევა რეგიონის საქმეებში იქნება მინიმალური. მან სთხოვა ამერიკულ მხარეს მხარდაჭერა ზემოთ აღნიშნულ გაეროს დოკუმენტის მომზადებასა და მიღებაში.

შემდეგ ზ. ჟვანიამ აღნიშნა, რომ დასავლეთის გააქტიურებისა და რუსეთის როლის შემცირების, აგრეთვე გუდაუთიდან რუსეთის სამხედრო ბაზის გაყვანის შემთხვევაში რუსებმა შეიძლება აფხაზეთიდან

გაიყვანოს სამშვიდობო ძალები , შემდეგ კი შეეცდებიან ყველას აჩვენონ, რომ მათ გარეშე დაიწყება დესტაბილიზაცია და შეიძლება სისხლიც დაიღვაროს. ამისთვის ისინი ყველანაირ პროვოკაციაზე წავლენ. ამიტომ ზ. ჟვანიას აზრით,აუცილებელია ახლავე დაიწყოს ფიქრი და მზადება იმისთვის, თუ როგორ შევცვალოთ რუსეთის სამშვიდობო ძალებით. მისი განცხადებით,ასეთ შემთხვევაში საქართველოს ხელისუფლება მზადაა რუსები მათი ნაწილი იყვნენ. უფრო მეტიც, თანახმა ვიქნებით იყვნენ რუსეთის ჯარები უცხოელი მეთაურით.

„ ზურაბ ჟვანია დაგვამახსოვრდება, როგორც

ერთ-ერთი უდიდესი პიროვნება თქვენი

უძველესი ქვეყნის თანამედროვე ისტორიაში“ .

პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო !

ღრმა მწუხარებით შევიტყვე თავზარდამცემი ცნობა პრემიერ-მინისტრის ბატონი ზურაბ ჟვანიას ტრაგიკული აღსასრულის შესახებ. ზურაბ ჟვანია დაგვამახსოვრდება, როგორც ერთ-ერთი უდიდესი პიროვნება თქვენი უძველესი ქვეყნის თანამედროვე ისტორიაში. ის ეტაპები ,რომლებიც მან გაიარა სტუდენტი აქტივისტიდან პარლამენტის სპიკერამდე და მშვიდობიანი დემოკრატიული საქართველოს ლიდერობამდე , ასახავს თქვენი ქვეყნის გარდაქმნას იმედის სიმბოლოდ ყველა იმათთვის, ვინც იბრძვის თავისუფლებისა და დემოკრატიისთვის.

როგორც პრემიერ-მინისტრმა, ზურაბ ჟვანიამ წამოიწყო რეფორმები, რომლებმაც გააძლიერა თქვენი მთავრობის სწრაფვა კორუფციასთან ბრძოლისა და ქვეყნის წარმატებისკენ. მან შეასრულა კონსტრუქციული

როლი სამხრეთ ოსეთთან და აფხაზეთთან მშვიდობიანი პოლიტიკური შეთანხმების მიღწევაში, რომლის თანახმადაც საქართველო შეინარჩუნებს ტერიტორიულ მთლიანობას და იმავდროულად შესთავაზებს ავტონომიას ამ რეგიონის მცხოვრებლებს.

პრემიერ მინისტრს ჟვანიას ყოველივე ეს მცდელობა ასახავს ქართველი ხალხის სწრაფვას თავისუფლების და მშვიდობისკენ და მათ ეს სწრაფვა გამოხატეს, როდესაც თქვენ აგირჩიეს საქართველოს პრეზიდენტად.

ამ მწუხარების ჟამს კი კიდევ ერთხელ ვადასტურებ ამერიკის შეერთებული შტატების მზადყოფნას თქვენთან თანამშრომლობის გაღრმავებისთვის , რათა საქართველო გახდეს მშვიდობიანი და დემოკრატიული ქვეყანა.

მე და ლორა ვუსამძიმრებთ ქალბატონ ნინო ჟვანიას და ჟვანიების მთელ ოჯახს, თქვენ, როგორც ზურაბ ჟვანიას უახლოეს მეგობარს და საქართველოს მთელ მოსახლეობას.

ჩვენ ყველას მოგიხსენიებთ ჩვენს ლოცვებში.

პატივისცემით,

ჯორჯ ბუში

ამერიკის შეერთებული შტატების სენატის

სპეციალური რეზოლუცია

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას

ხსოვნის უკვდავსაყოფად

08.02.20005

ზურაბ ჟვანიამ, მოწოდებით რეფორმატორმა, განსაკუთრებული ხედვის მქონე ლიდერმა, ქართულ პოლიტიკაში მოიყვანა ახალგაზრდა ლიდერების ახალი თაობა.

ზურაბ ჟვანიას ლიდერობით საქართველოს პარლამენტი გარდაიქმნა ეფექტიან და გამჭვირვალე საკანონმდებლო ორგანოდ.

ზურაბ ჟვანიამ 2001 წლის ნოემბერში პროტესტის ნიშნად დატოვა პარლამენტის თავჯდომარის თანამდებობა, როდესაც წამყვან დამოუკიდებელ ტელევიზიას დახურვის საფრთხე დაემუქრა;

ზურაბ ჟვანიამ ჩამოაყალიბა პოლიტიკური პარტია - „გაერთიანებული დემოკრატები“, რომელიც 2003 წლის ნოემბერში ვარდების რევოლუციის ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი ძალა გახდა;

ზურაბ ჟვანიამ ვარდების რევოლუციის ყველაზე კრიტიკულ მომენტში, მაშინ როცა დიდი იყო საფრთხე , რომ მშვიდობიანი მანიფესტაციის წინააღმდეგ გამოყენებული იქნებოდა შეიარაღებული ძალები, დატოვა დაცვის კორტეჟი და თავის მცირეწლოვან შვილებთან ერთად პარლამენტისკენ მსვლელობას შეუერთდა;

ზურაბ ჟვანია 2003 წლის ნოემბერში გახდა პრემიერ-მინისტრი და სათავეში ჩაუდგა მთავრობის ძალისხმევას ფართომაშტაბიანი ეკონომიკური , იურიდიული და და სოციალური რეფორმების განხორციელებისთვის, რათა რეალობად ექციათ ვარდების რევოლუციის დანაპირები, რამაც ძირეულად გააუმჯობესა ცხოვრება საქართველოში.

ზურაბ ჟვანია იყო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მშვიდობიანი გზების ერთგული და ავტორი ამ უპრეცედენტო შეთავაზებისა, რომ სამხრეთ ოსეთის კონფლიქტი მოგვარებულიყო გაზრდილი ავტონომიური უფლებების მინიჭების საფუძველზე;

ზურაბ ჟვანიამ თავისი ხედვა საქართველოს ისტორიული როლის შესახებ ევროსაბჭოს დარბაზში 1999 წლის 27 აპრილს ასე გამოხატა: „მე ვარ ქართველი და, მაშასადამე, მე ვარ ევროპელი“;

ახლა კი სენატი თავის რეზოლუციით

1.უღრმეს სამძიმარს უცხადებს ზურაბ ჟვანიას ოჯახს, შვილს, მეუღლის, მამის გარდაცვალების გამო;

2. აღიარებს ზურაბ ჟვანიას ვაჟკაცობის , ენერგიულობის , პოლიტიკური ხედვისა და ლიდერობის დიდ მნიშვნელობას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის განვითარების საქმეში;

3. მიიჩნევს , რომ საქართველოს ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია იქნება ზურაბ ჟვანიას ხედვის აღსრულება და მისი ხსოვნისადმი პატივის მიგება.

ზურაბ ჟვანიას ხსოვნისადმი მიძღვნილი სამგლოვიარო საღამო აშშ-ის სენატში 2005 წლის 5 მარტს.

ფრაგმენტები გამომსვლელთა სიტყვებიდან.

ლევან მიქელაძე, საქართველოს ელჩი აშშ-ში:

ყველამ კარგად ვიცით, რომ ზურაბი იყო არა მარტო დიდად ღირსეული პიროვნება და მოქალაქე, არამედ ამავე დროს, უაღრესად

ნიჭიერი და გამორჩეული თვისებების მქონე ადამიანი. მას ჰქონდა ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა ყველა სფეროში, პოლიტიკური იქნება ეს თუ ეკონომიური, კულტურული თუ სოციალური. ამასთან, იგი უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობდა საქართველოს კანონმდებლობის ჩამოყალიბებაში. როგორც იცით, სწორედ ამ წლების განმავლობაში, როდესაც ის ხელმძღვანელობდა საქართველოს პარლამენტს, ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი საქართველოს კანონმდებლობა, რომელიც სრულ ჰარმონიაშია საერთაშორისო კანონმდებლობასთან.

ზურაბმა ასევე დიდი წვლილი შეიტანა დემოკრატიისა და დემოკრატიული ინსტიტუტების შექმნასა და განვითარებაში. ეს იყო პიროვნება, რომელსაც არა მარტო ღრმად ესმოდა დემოკრატიის პრინციპები და მისი თეორიული კონცეფციები, არამედ იცოდა ამ ღირებულების პრაქტიკული განხორციელების გზები.

ზურაბმა დიდი როლი ითამაშა საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ორმხრივი, სრულყოფილი და საქართველოსათვის სრულიად უნიკალური ურთიერთობის ჩამოყალიბებაში. აქ მე ვხედავ სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლებს, რომლებსაც მასთან ყოველდღიური საქმიანობდა აკავშირებდათ და რომლებიც გრძნობდნენ, რაოდენ მნიშვნელოვანი იყო ზურაბის როლი ამ მიზნის განხორციელებაში.

კიდევ ერთი საკითხი, რასაც მინდა ხაზი გავუსვა, არის ის, რომ ზურაბი მხარს უჭერდა საქართველოს მისწრაფებას ევროპისა და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციისკენ. ჩვენ ყველას გვახსოვს - თითოეულ ქართველს ახსოვს - ევროსაბჭოში საქართველოს გაწევრიანების დროს მის მიერ წარმოთქმული ცნობილი ფრაზა: ,,მე ვარ ქართველი და, მაშასადმე, ვარ ევროპელი“. რომელიც ზედმიწევნით

გამოხატავს ამ პიროვნების პოლიტიკურ მრწამსს. ეს იყო ცენტრალური ფიგურა საქართველოს საზოგადოების ტრანსფორმაციის საქმეში.

მე დიდი სიამოვნებით მინდა მოგახსენოთ, რომ ზოგიერთი მისი მეგობრის ინიციატივით და თხოვნით ჩვენ შევქმენით ფონდი ზურაბის სამი შვილის განათლების დაფინანსების მიზნით. თუ რომელიმე თქვენგანს გაუჩნდება სურვილი თავისი წვლილი შეიტანოს ამ ინიციატივის განხორციელებაში, შეგიძლიათ მიიღოთ ამ ფონდის მონაცემები და იმ პირთა გვარები, რომლებსაც უნდა მიმართოთ.

სენატორი რიჩარდ ლუგარი (რესპუბლიკური პარტია):

ჩემთვის დიდი პატივია ამ ღონისძიებაში მონაწილეობა და კმაყოფილების გრძნობით ვარ სავსე იმის გამო, რომ შევიკრიბეთ, რათა პატივი მივაგოთ ჩვენი მეგობრის ხსოვნას. გავიხსენოთ ეს დიდებული, ფართომასშტაბიანი და ყველასაგან პატივცემული პოლიტიკოსი, რომელსაც ნათელი მომავლისკენ მიჰყავდა თავისი ერი.

ზურაბს პირველად შევხვდი ჩემი პირველი ვიზიტის დროს საქართველოში 1998 წელს. ჩემთვის მაშინვე ცხადი გახდა, რომ ის იყო ცენტრალური ფიგურა ქართულ პოლიტიკაში, მის გარემოცვაში მყოფ რამდენიმე სხვა ახალგაზრდა პოლიტიკოსთან ერთად.

ზურაბს ყოველთვის გავიხსენებთ, როგორც თავისი ქვეყნის დემოკრატიისთვის ერთ-ერთ შეუდარებელ მებრძოლს.

ზურაბი არ მოერიდა რისკს თავისი რეპუტაციისა და პირადი უსაფრთხოების მიმართ იკისრა ლიდერის უმნიშვნელოვანესი როლის შესრულება. მან დიდი ზეგავლენა მოახდინა ქართულ პოლიტიკასა და ვარდების რევოლუციაზე.

სენატორი ჩაკ ჰეიგელი (რესპუბლიკური პარტია):

მინდა ვილაპარაკო, როგორც სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ. ზურაბი იყო პიროვნება, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა არა მარტო საკუთარი ქვეყნისა და რეგიონის, არამედ მსოფლიო ისტორიაში. მან ბევრის გაკეთება მოასწრო. ჩემი აზრით, ამ პიროვნების სიდიადე იზომება იმ ზეგავლენის ხარისხით, რომელიც მან მოახდინა თავისი მოკლე, სამწუხაროდ, მეტად მოკლე ლიდერობის მანძილზე. მან საათობით შეძლო ესაუბრა იმაზე, თუ რა შეიძლებოდა გაეკეთებინა მსოფლიოს საქართველოსთვის და მთელი რეგიონისთვის. მაშინ ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა იმან (რაც ჩვენი ნაცნობობის მომდევნო წლებშიც მაოცებდა), თუ რაოდენ პოზიტიურად იყო განწყობილი და, ამასთან, იმდენად რეალისტურად, რა ტაქტით, პატივისცემით, რა განსაკუთრებულად უდგებოდა იგი საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის მეგობრობის განმტკიცების საკითხს. ის ამბობდა, რომ, საქართველოს აქვს პოტენციალი, იყოს ძლიერი, დამოუკიდებელი სახელმწიფო და მისი განვითარება სწორედ ამ გზით უნდა წარიმართოს. საჭირო იყო თუ არა დახმარება? რასაკვირველია, მაგრამ ამ ფაქტის მიმართ არასოდეს არ იგრძნობოდა მომხმარებლური დამოკიდებულება, რასაც მე ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ვანიჭებდი.

ამას ვერავითარი ვარჯიშით ვერ მიაღწევ, ვერ გამოიმუშავებ, არც ერთ სასწავლებელში ამას არ ასწავლიან. ეს დაბადებიდან ან არის ადამიანში, ან არ არის. სწორედ ამის გამო იყო იგი ასე გამორჩეული ლიდერი, ამიტომ სჯეროდა და სწამდა მისი ხელმძღვანელობისა ამდენ ადამიანს. მთელ მსოფლიოში ცნობილი იყო მისი სიმტკიცე და პატიოსნება. გამოვხატავთ უღრმეს მწუხარებას ამ

დიდი დანაკარგის გამო. ჟვანიას იდეები გვინერგავს დიდ შთაგონებას და განიჭებს სიმტკიცეს. მინდა, მისი ამერიკელი მეგობრებისა და შეერთებული შტატების კონგრესის სახელით სამძიმარი გამოვუცხადო ქართველ ხალხს და განვაცხადო, რომ ჩვენი მეგობრობა გრძელდება.

რობინ კლივლენდი, აშშ-ის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ეროვნული კავშირებისა და საგარეო საქმეთა სამსახურის დირექტორი:

აქ ითქვა, რომ ზურაბი მნიშვნელოვანი პიროვნებაა ისტორიაში, მიზანდასახული და შემოქმედი. მას ჰქონდა განსაკუთრებული პროფესიული რეპუტაცია და ღირსებები, რასაც მეც და სხვა ადამიანებიც კარგად ვგრძნობდით. მისი ყოველი მისწრაფება დაკავშირებული იყო საქართველოსთან და განსაზღვრავდა მის მიზნებს.

ის შესანიშნავი პარტნიორი იყო თავისი კოლეგებისთვის, თითქმის ყველასთვის, რომლებშიც შემდგომი მინისტრები გახდნენ, ხოლო ერთ-ერთი მათგანი დღეს ქვეყნის პრეზიდენტია.

ჩვენ ხშირად ვკამათობდით კორუფციასა და პოლიტიკურ რეფორმებთან დაკავშირებულ საკითხებზე. ამ ცხარე კამათებისა და დისკუსიების პროცესში უფრო კარგად ჩანდა მისი მიზანდასახულობა და ჭკუა. მან მოთმინებით იცოდა სხვისი მოსმენა.

ჩვენ, მისმა მეგობრებმა და კოლეგებმა, უნდა განვაგრძოთ მის მიერ დაწყებული საქმე. ეს ახლა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე უწინ. ჩვენ ახლაც ძალიან გვჭირდება ზურა.

მეთიუ ბრაიზა, სახელმწიფო მდივნის მოადგილე:

...ყოველივე იმის მიღწევა, რაც გაკეთდა, შესაძლებელი იყო მხოლოდ ზურაბის ,,ზეადამიანური ადამიანობის" თვისების შედეგად.

კავკასიაში ყველა ძმას ეძახის ერთმანეთს, ზურაბი კი ჩემთვის ნამდვილი ძმა იყო, თუმცა არა, შემიძლია ვთქვა, რომ ძმა კი არა - მამა, მიუხედავად იმისა, რომ თანატოლები ვიყავით, გინდ დაიჯერეთ და გინდ არა.

მოკლე დროის განმავლობაში მან იმდენის გაკეთება მოასწრო, რომ გახდა არა მხოლოდ საქართველოს დემოკრატიული მოძრაობის, წინსვლის, დამოუკიდებლობის მამა, არამედ მამად იქცა იმ ლიდერებისათვის, რომლების მისი მეგობრები და კოლეგები იყვნენ.

შევეცდები მოკლედ გადმოგცეთ, რაოდენ მნიშვნელოვანი იყო მისი როლი პრეზიდენტ ბუშისთვის. თბილისში ზურაბ ჟვანიას დაკრძალვაზე ჩვენი გამგზავრების წინ მომზადდა პრეზიდენტ ბუშის წერილი. თავადაც გაოცებული დავრჩი, როდესაც თვალნათლივ დავინახე ამ წერილშიც, თუ რამდენად მრავალფეროვან როლს ასრულებლდა ზურაბი: იგი იყო შესანიშნავი ხელმძღვანელი მთავრობაში, ბრწყინვალედ ერკვეოდა ეკონომიკის საკითხებში, არაჩვეულებრივად წარმართავდა ურთულეს მოლაპარაკებებს და შეეძლო შერკინება ყველაზე ჯიუტ და მოუდრეკელ ოპონენტებთან სამხრეთ ოსეთსა თუ აჭარაში. ის იყენებდა თავის ადამიანობას და რჩებოდა კეთილგანწყობილი რთულ სიტუაციებშიც კი; იგი პოულობდა საერთო ენას მაშინაც, როდესაც ეს ერთი შეხედვით შეუძლებელი ჩანდა.

ასევე, მას შესანიშნავად შეეძლო კოალიციების შექმნა, ურთიერთგაგების ჩამოყალიბება, მაგრამ რისი მეშვეობით ახერხებდა ამას? - თავისი ჰუმანურობით, რაც ნამდვილად ასე ფასობს მსოფლიოში. აქაც, ვაშინგტონშიც, ჩვენ ყველა ამ ფასეულობის გარემოცვაში ვარსებობთ - ახლაც და ჩვენამდეც, რადგან ყოველთვის იყვნენ ამგვარი ჭეშმარიტი ჰუმანისტები.

ზურაბის უდიდესი ჰუმანურობა გამოვლინდა 2001 წელს, როდესაც იგი გადადგა და მისი ზეწოლით თანამდებობა დატოვა ღრმად კორუფციული რეჟიმის ბევრმა მნიშვნელოვანმა ფიგურამ. ეს იყო სრულიად უანგარო ჟესტი, რამაც დიდი როლი ითამაშა საქართველოში კონსტრუქციულობის განვითარებაში.

იგი შემწყნარებელი იყო თავისი პოლიტიკური ოპონენტების აზრის მიმართ, რაც ნამდვილად შესაშური თვისებაა.

ზურბს ჰქონდა ნათელი თვალთახედვა და იყო შორისმჭვრეტელი, განსაკუთრებით, თუ საქმე ეხებოდა მისი ქვეყნის მომავალს. მან შეიმუშავა და განახორციელა მრავალი რეფორმა. ზურაბს ესმოდა ყველა ქართველის გულისტკივილი და სკუთარ თვალთახედვას ამის მიხედვით აყალიბებდა, ხოლო ჩვენ, ყველანი, ვიზიარებდით მას. ჩემი აზრით, როგორც მისი მეგობრები, ძმები თუ, გარკვეული გაგებით, შვილები, მოვალენი ვართ ვიხმაროთ ყველა ღონე ამ თვალთახედვის ხორცშესხმისათვის.

ლორა კენედი, სახელმწიფო დეპარტამენტის ევროპისა და ევრაზიის ბიუროს ხელმძღვანელის მოადგილე:

სახელმწიფო დეპარტამენტში ჩვენ გვქონდა ბედნიერება, გაგვეცნო ზურაბი, როგორც პრემიერ-მინისტრი და, რასაკვირველია, პარტიის ლიდერი, ყოფილი პარლამენტის სპიკერი და, ასევე, როგორც საქართველოს რიგითი მოქალაქე. ყველაფერთან ერთად, ზურაბი მეტად უბრალო ადამიანი იყო. შარშან, პრემიერ-მინისტრის რანგში პირველი ვიზიტის დროს, მან სენსაცია გამოიწვია ჩვენს რიგით თანამშრობლებს შორის. ქართული დელეგაცია რომ გვეწვია, ჩვენი უსაფრთხოების

თანამშრომელი ჰალსტუხა და მუქ კოსტუმში ამოწყობილი სხვა სასტუმროსკენ გაემართა მისასალმებლად და გვერდით ჩაუქროლა ზურაბს, რომელაც ჯინსი და მაისური ეცვა.

მისი დიდი სურვილი - აეშენებინა დემოკრატიული და დამოუკიდებელი საქართველო - დიდ იმედებს უნერგავდა ქვეყნის მოსახლეობას. მას არ სჩვეოდა დასახული კურსიდან გადახვევა, იყო ყოველთვის შეუვალი და იბრძოდა უკიდურესად გაყალბებული არჩევნების პირობებშიც კი. ის იყო ამაღლებული, ამაყი და თავისუფლებისთვის მებრძოლი პიროვნება.

დარწმუნებული ვარ, ამერიკელების უმრავლესობა გრძნობდა, რომ მათი მეგობარი იყო უნიკალური პიროვნება, რომელსაც ჰქონდა პოტენციალი, მოეხდინა უდიდესი ცვლილებები. და მათ, ვისაც წილად ხვდა მუშაობა მისი წამოწყებებისა და დასახული მიზნების განხორციელებისთვის, ეს უნდა გააკეთონ კანონის უზენაესობის დაცვით, წარმატებულად და ერთობლივად. ზურაბის მიზნები უნდა განხორციელდეს, რადგანაც მას ესმოდა, თუ რაოდენ დიდი იყო და არის ქართველებში თავისუფლების სურვილი. ჩვენ ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, რათა მხარში ამოვუდგეთ საქართველოს - ისე, როგორც ეს ზურაბს სურდა. ჩვენ, ყველანი, ვალში ვართ მის წინაშე და ქართველი ხალხის წინაშე.

ქრისტინა როკა, სახელმწიფო მდივნის თანაშემწე:

მინდა შევეხო ერთ საკითხს, თუ რატომ იყო ეს პიროვნება ყველა ჩვენგანისთვის ასე მნიშვნელოვანი. ზურაბი კარგი მეგობარი იყო, მას გულწრფელად აღელვებდა ყველა თავისი მეგობრის პრობლემა. ეს იყო

მისი ერთ-ერთი საუკეთესო პიროვნული თვისება, რომელიც გამოსჭვიოდა ზურაბის როგორც პირად, ისე პროფესიულ ურთიერთობებში; შენ გეუფლებოდა გრძნობა, რომ მთლიანად ენდობი მას და ეს იყო მისი, როგორც ლიდერის ძალა.

კენ ვოლაკი, ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის დირექტორი:

ჩვენ აქ შევიკრიბეთ, როგორც საქართველოს მეგობრები, რათა პატივი მივაგოთ დემოკრატიისთვის მებრძოლი, ალბათ, მსოფლიო მნიშვნელობის ერთ-ერთი გმირის ხსოვნას. ამ დარბაზში მყოფთაგან ყველა კარგად იცნობდა ზურაბ ჟვანიას, რომელიც გამოჩენილი პოლიტიკოსი იყო. მან მთელი სიცოცხლე მიუძღვნა თავისი ხალხის კეთილდღეობის საქმეს.

მათ, ვინც აბსოლიტურად დარწმუნებულია თავის სისწორეში, იდეალისტებს ეძახიან. სხვები არანაკლებ არიან დარწმუნებული თავიანთი მიზნების სისწორეში, მაგრამ ხედავენ როგორც დადებით, ისე უარყოფით მხარეებს. ასეთი ადამიანები პრაგმატისტები არიან.

უნდა აღინიშნოს, რომ ზურაბი იყო ერთ-ერთი იშვიათ პოლიტიკოსთაგანი, რომელსაც ერთდროულად ახასიათებდა ორივე ეს თვისება. ის იდეალისტიც იყო და პრაგმატისტიც, ეს იშვიათი ნიჭი საშუალებას აძლევდა მას, ემართა პარლამენტი და მთავრობა, გასძღოლოდა დემოკრატიულ რევოლუციას.

ალბათ, უნდა გავიხსენოთ ისიც, რომ ზურაბი არასდროს აყენებდა პირადულ საჭიროებებს საქმეზე მაღლა, ის აძლევდა საშუალებას სხვებს, ეთამაშათ ლიდერის როლი, თუ ეს საჭირო იყო. როგორც მეთიუ ბრაიზამ აღნიშნა, მან თავისი ნებით დატოვა პარლამენტის სპიკერის

თანამდებობა კორუმპირებული მინისტრთა კაბინეტის გადადგომის სანაცვლოდ.

როდესაც პიროვნება არის პოლიტიკური ლიდერი და რევოლუციური მოძრაობის ხელმძღვანელი, ეს ძალიან დიდ დროს მოითხოვს და მას, ჩვეულებრივ, ცოტა დრო რჩება ოჯახისა და მეგობრებისათვის. ზურაბი ამ მხრივ უნიკალური ადამიანი გახლდათ - მეგობრები და ოჯახი მისთვის ყველაფერი იყო.

მახსოვს, 2003 წლის ივნისში ზურაბმა თავისი ვაჟი მოიყვანა დემონსტრაციაზე პარლამენტის შენობის წინ, რათა მისთვის შთაენერგა მომავლის იმედის გრძნობა. მიუხედავად მძიმე პოლიტიკური სიტუაციისა დედაქალაქში, ის მაინც ყოველთვის გამონახავდა ხოლმე დროს, რათა თავისი მეგობრები გაეყვანა ქალაქგარეთ ისტორიული ძეგლების, მონასტრების დასათვალიერებლად. ის ესაუბრებოდა ბერებს და იხსენებდა ღირსშესანიშნავ მომენტებს საქართველოს ისტორიიდან. თავის ოფისში სავალდებულო სადილის ნაცვლად, იგი ჩასული მეგობრებისთვის აწყობდა პიკნიკებს ისეთ ადგილებში, რომლებიც მოცილებული იყო საპარლამენტო პრობლემებს. საოჯახო სადილებს მართავდა თავისი დედის უბრალოდ მოწყობილ აგარაკზე. ზურაბისთვის მთავარი იყო, რომ ადამიანს მასთან კომფორტულად ეგრძნო თავი. ყავას თავისი ხელით ამზადებდა. მას განსაკუთრებული მომხიბვლელობა ჰქონდა. უყვარდა ისტორია, თავისი ქვეყანა, ოჯახი, ბუნება. ნუ დაგვავიწყდება, რომ თავდაპირველად ის იყო საქართველოს მწვანეთა პარტიის ლიდერი.

საქართველომ, ამ რეგიონისა და მთელი მსოფლიოს დემოკრატიულმა საზოგადოებამ, უდიდესი პიროვნება და ერთგული მეგობარი დაკარგა.

ჩვენ ყოველთვის მივაგებთ პატივს ზურაბის ხსოვნას, რადგან მან უდიდესი წვლილი შეიტანა მსოფლიოს დემოკრატიული განვითარების საქმეში.

ლორან კრეინერი, საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის დირექტორი:

ახალი ტაძარი თბილისში, რომელიც ბუმბერაზი ნაგებობაა, ვერ იტევდა დელეგაციებსა და ქართველი სახოგადოების წარჩინებულ წამომადგენლებს. აქ იყვნენ რიგითი მოქალაქეებიც, რომლებიც მოვიდნენ, რათა პატივი მიეგოთ გარდაცვალების ხსოვნისადმი. პანაშვიდის შემდეგ ათასობით ქართველი გაჰყვა პროცესიას თბილისის ქუჩებში.

მისი მისწრაფება, შეეცვალა თავისი ქვეყნის განვითარების მიმართულება, პირველად შესამჩნევი გახდა 80-იანი წლების ბოლოს, როდესაც იგი ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდა იყო და ანტისაბჭოთა დემონსტრაციებს ხელმძღვანელობდა. ის უკვე იყო გამოკვეთილი ლიდერი. მისი სიტყვები სიმამაცის, იდეალიზმის, თავისუფლებისა და დემოკრატიის პრინციპების შესახებ ამ ცნებების პრაქტიკულ განხორციელებას უკავშირებდა. ზ

ურაბი თვითონაც დაუღალავად შრომობდა და სხვებისთვისაც იყო შთაგონების წყარო თავისი მისწრაფებითა და რწმენით. 40 წლის ასაკში მას უკვე უდიდესი წვლილი ჰქონდა შეტანილი თავისი ქვეყნის თავისუფლების საქმეში.

კენ იალოვიცი, აშშ-ის ყოფილი ელჩი საქართველოში:

ვფიქრობ, ჩვენ ყველას საერთო ტკივილი გვაწუხებს და გვინდა, პატივი მივაგოთ ნამდვილად გამორჩეული პიროვნების ხსოვნას. მე მინდა ვილაპარაკო ჩემი სახელით, აგრეთვე, საქართველოში ჩემი ორი წინამორბედის - ბილ კორტნისა და კენტ ბრაუნის სახელით.

ყველა ჩვენგანი უდიდეს პატივს სცემს ზურაბ ჟვანიას და ამიტომ ვაძლევ თავს უფლებას, ყველას სახელით ვისაუბრო.

იმედი მაქვს, ზურაბის ყველა მეგობარი თავის წვლილს შეიტანს იმ შესანიშნავ ფონდში, რომელიც მის პატივსაცემად და მოსაგონრად შეიქმნა.

ძალიან ლამაზი სიტყვები მოსვისმინეთ დემოკრატიის განვითარებაში მისი ღვაწლის შესახებ. მისი, როგორც რეფორმატორისა და ლიდერის შესახებ. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ჩვენი ნაცნობობის დასაწყისში, არის ის, რომ ზურაბი იყო პირველი, ვინც, ყოფილ საბჭოთა ქვეყნების ლიდერებისაგან განსხვავებით, ქმნიდა საკუთარ პოლიტიკას. ეს იყო პიროვნება, რომელსაც ესმოდა კოალიციების შექმნის არსი, რომელსაც ესმოდა ოპოზიციის მნიშვნელობა, რომელმაც იცოდა, რომ აუცილებელი იყო სხვების აზრის მოსმენა. ასე უნდა იქცეოდეს ძალაუფლების სათავეში მდგომი ყველა პოლიტიკოსი, ნაცვლად მუშტების ქნევისა და დიქტატურის დამყარებისა. ეს არის საქმისადმი რეალისტური მიდგომა.

ძალაუფლების ფლობა და, ამავე დროს, თანამშრომლობის უნარი ნამდვილად მნიშვნელოვანი რამ არის.

ზურაბი კარგად გრძნობდა საქართველოში მცირე მიწის მფლობელთა კლასის შექმნის აუცილებლობას. ჩვენ რამდენჯერმე ერთად დავესწარით მიწის მფლობელთათვის სერთიფიკატების გაცემის ცერემონიალს. მე მსიამოვნებდა ურთიერთობა ადამიანთან, რომელსაც მტკიცედ სწამდა, რომ საქართველოს მიერ მიღწეული დამოუკიდებლობა და იქ მომხდარი რევოლუცია საგრძნობი უნდა ყოფილიყო. პირველ ყოვლისა, რიგითი ადამიანებისთვის - ადამიანებისათვის, რომლებსაც ჰქონდათ საკუთარი აზრის გამოთქმის საშუალება.

რამდენიმე ღონისძიებაზე, რომლემსაც ერთად ვესწრებოდით, ზურაბმა მითხრა: ,,კენ, საჭიროა რამე გავაკეთოთ მცირე ბიზნესის ხელშესაწყობათ. ჩვენ უნდა გამოვიხსნათ ხალხი დაგებული მახიდან. რა ვქნათ?" ჩვენ ვისხედით და განვიხილავდით პროგრამას მიწის მცირე ნაკვეთების გაცემასთან დაკავშირებით, აგრეთვე, სხვა პროგრამებს, და აქაც იგრძნობოდა მისი შორსმჭვრეტელობა, ცოდნა, შედეგის განჭვრეტის უნარი, რაც მეტად უჩვეულო და იმედის მომცემი იყო.

დასასრულ, ზურაბს კავკასია მიაჩნდა თანამშრომლობის ზონად, რასაც ართულებდა მთიან ყარაბახთან დაკავშირებული აზერბაიჯან-სომხეთის პრობლემები. ზურაბი იყო ის პიროვნება, რომელმაც განაცხადა, რომ შეეცდებოდა დალაპარაკებოდა თავის კოლეგებს ორივე ქვეყნის პარლამენტში, მოსინჯავდა ამ გზას. ,,ვნახოთ, რა გამოვა", - ამბობდა იგო. ჩვენ ხშირად ვისხედით და ვსაუბრობდით საბაჟოს პროცედურებზე, საზღვრის გადაკვეთის პროცედურებზე, ვაჭრობის საკითხებზე რეგიონებში...

ამგვარი შეხვედრები ხშირად მეორდებოდა და მე ნამდვილად ვფიქრობ, ყველამ იცის, რა საოცარი თანამოსაუბრე იყო იგი. ეს იყო პიროვნება, რომელიც ოცნებობდა რეფორმებზე, დემოკრატიაზე, იმაზე, რომ თითოეული ადამიანი თავისფუალი და ძლიერი ყოფილიყო საქართველოში. შემდეგ, როდესაც ოპოზიციაში გადავიდა, ის იგონებდა ჩვენს ამ საუბრებს და ცდილობდა რეალობად ექცია თავისი ოცნებები.

მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოში რეფორმების განხორციელებაში, საფუძველი ჩაუყარა ახლებურ პოლიტიკას რეფორმებთან და დემოკრატიზაციასთან დაკავშირებით. ზურაბმა მეტად მდიდარი მემკვიდრეობა დატოვა და მჯერა, რომ მისი კვალი წარუშლელი დარჩება საქართველოს ისტორიაში.

პოლ ჯოელი, საქართველოს ყოფილი ლობისტი კონგრესში:

დღეს ნამდვილად სამწუხარო მიზეზის გამო ვართ აქ შეკრებილნი. ზურაბ ჟვანიას უდროო, ტრაგიკული გარდაცვალებით ენით აუწერელმა სიცარიელემ დაისადგურა ჩვენს გულებში. ზურაბი იყო მრავალი, მრავალი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი, რაც თქვენ ყველას კარგად მოგეხსენებათ. ინტერესების დიაპაზონი და პოლიტიკური სამყაროს ცოდნა, გამორჩეულ პიროვნებად წარმოაჩენდა მას. მისი მსმენელი მაშინვე ხვდებოდა, რა მასშტაბის პიროვნებასთან ჰქონდა საქმე და როგორი ქვეყანაა საქართველო.

მას შემდეგ, რაც ზურაბი პარლამენტის სპიკერი გახდა, ტრადიციად იქცა ყოველწლიური სადილის მოწყობა კონგრესის თანამშრომელთათვის. აი, რა მინდა გავიხსენო: მას შეეძლო დისკუსიის გამართვა კონგრესის ორივე მხარესთან. განსაკუთრებით საინტერესო იყო ამგვარი შეხვედრები, როდესაც ზურაბი იყო მასპინძელი. მისი იუმორი გადამდები იყო. მისი ჰუმანურობა - უბადლო. ეს იყო ადამიანი, რომელიც იბრძოდა თავისი ქვეყნის უკეთესი მომავლისათვის. ზურაბის გარდაცვალება დიდი დარტყმაა მათთვის, ვინც მას იცნობდა და ვინც აღფრთოვანებული იყო მისი პიროვნებით.

დარწმუნებული ვარ, ამერიკის შეერთებული შტატების სენატი სწორედ ის ადგილია, სადაც ეს შეხვედრა უნდა გამართულიყო, ვინაიდან სწორედ სენატში შეიძინა მან თავისი პირველი მეგობრები, აქ წამოწყებული ბევრი პროგრამა ახლა წარმატების ხორციელდება დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოში.

მასთან მეგობრობა მართლაც საჩუქარი იყო ჩემთვის.

რევაზ ადამია, საქართველოს ელჩი გაეროში:

ჩემთვის მართლაც ძნელია ვილაპარაკო ზურაბზე, ვილაპარაკო ემოციების გარეშე. მე და ბატონი კახა ჩიტაია (რომელიც ჩვენთან ერთად არის აქ) მისი ახლო მეგობრები ვიყავით უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში. პირადად მე ზურაბმა მომიყვანა მეცნიერებიდან პოლიტიკაში. მაშინ ის თვითონ დამწყები პოლიტიკოსი იყო და ბევრი ჩვენგანი აიყოლია, რადგან ეს ქვეყანას სჭირდებოდა. მინდა გითხრათ, რომ ეს იყო მისი ცხოვრების დევიზი - აკეთო ყოველთვის ის, რაც სჭირდება ქვეყანას.

ქვეყანას კი ძალიან ბევრი რამე სჭორდებოდა, რადგან იმ დროს, როდესაც ზურაბი საქართველოს დამოუკიდებელ ქვეყნად ჩამოყალიბების ერთ-ერთი ლიდერი გახდა, იქ არ არსებობდა პრაქტიკულად არც ერთი სახელმწიფო ინსტიტუტი.

აქ მინდა მოკლედ მიმოვიხილო ის პოლიტიკური მემკვიდრეობა, რომელიც ზურაბ ჟვანიამ დატოვა. ზურაბმა დაარსა პირველი გარემოსდაცვითი მოძრაობა არა მარტო საქართველოში, არამეც მთელს პოსტსაბჭოთა სივრცეში. საქართველოს მწვანეები, რომელიც ზურაბის

პირმშო გახლდათ, იყო პირველი ევროპული დონისა და მასშტაბის პოლიტიკური პარტია.

ზურაბმა ჩაუყარა საფუძველი ძლიერ და ქმედობაუნარიან პარლამენტს საქართველოში. მისი ხელმძღვანელობით პარლამენტი გარდაიქმნა აქტიურ პოლიტიკურ ორგანიზაციად, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა ჩვენი ქვეყნის ყოველდღიურ ცხოვრებაში დემოკრატიულ ღირებულებათა დამკვიდრებაში. დაწყებული 1995 წლიდან, საქართველოს პარლამენტმა ზურაბის ხელმძღვანელობით შექმნა სამართლებრივი ჩარჩო ქვეყნის ყველა სახელმწიფო დაწესებულებისათვის.

აქ უნდა აღვნიშნო, რომ ზურაბი დაკვირვებით სწავლობდა აშშ-ის კონგრესის მოძრაობას, მის სამოქმედო ბერკეტებს, ლობისტების ინსტიტუტის ფუნქციონირებას და დემოკრატიის ამ ტაძარში დამკვიდრებულ ტრადიციებს. საქართველოს პარლამენტის ფორმირების პროცესში იგი ხშირად იყენებდა აქ მიღებულ ცოდნას.

ეგრეთ წოდებული მესამე სექტორი, ანუ არასამთავრობო ორგანიზაციები საქართველოში ზურაბის დამსახურებით განვითარდა. ეს მისი მხარდაჭერის შედეგია. ვფიქრობ, ელჩებს ეს იალოვიცსა და კორტნის ემახსოვრებათ, რაოდენ დიდ დროსა და ძალისხმევას უთმობდა ზურაბი არასამთავრობო ორგანიზაციების შექმნასა და განვითარებას. ის ალბათ, ერთადერთი იყო საქართველოს ხელმძღვანელთა შორის, ვისაც სრულად ჰქონდა გააზრებული დემოკრატიის განვითარების ხელშესაწყობად საზოგადოებაში ჰორიზონტალური კავშირების აუცილებლობა.

შეუძლებელია არ დავინახოთ ზურაბის წვლილი საქართველოში თავისუფალი საინფორმაციო საშუალებების განვითარებაში. ის იყო ერთადერთი პოლიტიკური ლიდერი მთელს ყოფილ საბჭოთა სივრცეში, რომელსაც ბოლომდე ესმოდა, რომ შეუძლებელია დემოკრატიის

მდგრადი განვითარება თავისუფალი მასობრივი საინფორმაციო საშუალებების გარეშე. ჩვენ ყველას გვახსოვს, როგორი თავდადებით იცავდა ზურაბი რუსთავი 2-ს, მაშინ ერთადერთ დამოუკიდებელ სატელევიზიო მაუწყებლობას, როდესაც მას საფრთხე შეექმნა უშიშროების სტრუქტურების მხრიდან. დარწმუნებული ვარ, სწორედ ამგვარი ქმედების საპასუხოდ მოიპოვა ვარდების რევოლუციამ ესოდენ დიდი სახალხო მხარდაჭერა.

დასასრულ, მინდა გავიხსენო ზურაბის, ალბათ, ყველაზე ცნობილი ფრაზა: ,,მე ვარ ქართველი და, მაშასადმე, ვარ ევროპელი!" უსაზღვროა ზურაბის წვლილი საქართველოს ევროპულ ოჯახში მიღების საქმის. ზურაბი იყო ლოკომოტივი, მამოძრავებელი ძალა, თუ გნებავთ, პიროვნებაც, რომელმაც დაამკვიდრა საქართველოს და ქართველების, როგორც ევროპელების აღქმა როგორც ევროპელებში და თავად ქართველებშიც.

შეუძლებელია სრულად შეაფასო ის დანაკარგი, რომელიც ჩემმა ქვეყანამ განიცადა. შეუძლებელია გაიზომოს ის სიცარიელე, რომელიც ზურაბ ჟვანიას მეგობრების გულებში დარჩა მისი გარდაცვალების შემდეგ. ალბათ, ყველაზე უკეთესი, რაც ჩვენ, მის მეგობრებს შეგვიძლია გავაკეთოთ, არის ის, რომ ყოველნაირად ვეცადოთ მისი გეგმებისა და ოცნებების განხორციელებას.

რემა ჟვანია

ასე ვცხოვრობდით…

…ზურა მეხუთე კლასში იყო, როცა სკოლაში ბავშვებს მისცეს თავისუფალი თემა - ,,ვინ მინდა გამოვიდე". მასწავლებელმა ზურას ნაწერი მაჩვება: ,,მე მინდა დავემსგავზო სენ-სიმონს, იმიტომ რომ ის გრაფი იყო და მთელი თავისი სიმდიდრე გაჭირვებულ ხალხს დაურიგა…"

ამ ამბიდან ათეული წლების შემგედ უამრავი ადამიანი მიყვება ზურასთან დაკავშირებულ თავის ცხოვრებისეულ ისტორიებს, - მადლიერებით იხსენებენ მას, გულისტკივილს და თანადგომას გამოხატავენ.

ბევრი მეკითხება, როგორი იყო იგი ბავშვობაში, როგორ იზრდებოდა, რა ინტერესები ჰქონდა…

ზურამ ადრეული ბავშობა მცხეთის ქუჩაზე, დიდ ტრადიციულ ოჯახში გაატარა. ერთ დიდ სახლში ვცხოვრობდით ჩემი დედამთილი თამარ (თალიკო) ახვლედიანი, ჩემი მული ანტუანეტა (ატუ) ჟვანია, თავის მეუღლესთან კოტე გუნიასა და შვილებთან, გიასთან და ბადრისთან ერთად, ჩემი მეუღლე ბესარიონ (ბუსა) ჟვანია, პატარა ზურა და მე. ხშირად გვსტუმრობდა დედაჩემი - სარა.

ამ ახალ საერთო ოჯახში სუფევდა ჰარმონია და სითბო. ოჯახურ სადილებზე იკრიბებოდნენ ჩვენი ახლო თუ შორეული ნათესავები ჟვანიების, ახვლედიანების, ანტონოვებისა და გოლდბაუმების მხრიდან.

მიუხედავად იმისა, რომ ჩემი და ჩემი მეუღლის ოჯახები სათავეს განსხვავებული ნაციონალური ტრადიციებისგან იღებდა, ჩვენი დედები კი სხვადასხვა ენაზე საუბრობდნენ, ჰქონდათ განსხვავებული ხასიათი და ტემპერამენტი, მათ შორის არაჩვეულებრივი დამოკიდებულება, ურთიერთგაგება, ადამიანური სიახლოვე და გულწრფელი სიყვარული სუფევდა. მოხუცები ეხმარებოდნენ ერთმანეთს და ჩვენც გვერდში გვედგნენ ნებისმიერ სიტუაციაში. ასეთ ატმოსფეროში იზრდებოდნენ ჩვენი შვილები...

ყველაფერი კი რამდენიმე წლით ადრე დაიწყო. ჩემი მომავალი მეუღლე და მე ფიზიკის ინსტიტუტში, ერთ ლაბორატორიაში ვმუშაობდით. 1962 წელს დავქორწინდით, 1963 წელს, 9 დეკემბერს, შეგვეძინა ზურა. იმ წლებში ფიზიკის ინსტიტუტის ეზოს ამშვენებდა შესანიშნავი ბაღი ბებერი კაკლის ხეებით და ლამაზი ბუჩქებით. პატარა ზურას ხშირად ვასეირნებდი ამ ბაღში.

გადიოდა წლები, ზურა იზრდებოდა, ცნობისმოყვარე ბავშვი იყო, ბევრს კითხულობდა, წერდა, ოცნებობდა... ერთხელ, მეოთხე თუ მეხუთე კლასში იქნებოდა, მის ოთახში შევედი და დავინახე, რომ ტიროდა. ,,ნახე დედა, რა გადაიტანა ჩვენმა ერმა", - ამბობდა გულამომჯდარი და ცრემლები ღაპაღუპით სდიოდა. თურმე, ვეღარ შეეკავებინა. გასაოცარია, რომ ჯერ კიდევ სულ პატარა ბიჭი ოცნებობდა ქვეყნის დამოუკიდებლობაზე. მე და ჩემს მეუღლეს ნამდვილად გაგვკვირვებია მისი შეგნებული გადაწყვეტილება, კომკავშირში არ შესულიყო, რაც უკვე ბევრისმთქმელია, თუ გავითვალისწინებთ საბჭოთა ეპოქის სინამდვილეს.

ზურას სიყვარულს სამშობლოსადმი, ალბათ ისიც განაპირობებდა, რომ საქართველოს ყველა კუთხე ფეხით ჰქონდა შემოვლილი, რასაც საფუძველი მამამისმა ჩაუყარა. მე თბილისში გავიზარდე, სოფელი თვალით არ მენახა. ეტყობა, ბუსამ გადაწყვიტა ამ ,,ხარვეზის" გამოსწორება და ულამაზესი ადგილები სულ ფეხით შემომატარა. ჩვენი

ცხოვრების წესად იქცა ყოველ შაბათს ან კვირას ქალაქგარეთ გასვლა. პირველად, როცა ზურა ასეთ ,,გასეირნებაზე" გავიყვანეთ, 8 თვისა იყო. იმხანად წყნეთში, ბიძაჩემის აგარაკზე ვისვენებდით. იქიდან ბეთანიაში ფეხით გადავედით. ჩემმა მეუღლემ ფიცრითა და მსხვილი ღვედებით ,,კენგურუს" მსგავსი მოწყობილობა გააკეთა, რომლისთვისაც მე ლეიბი შევკერე... ჩავსვით ბავშვი, მოვიკიდეთ ზურგზე ჩანთები და გავუყევით გზას. დილაადრიან გავედით და შეღამებისას დავბრუნდით. ეს ზურას პირველი მოგზაურობა გახლდათ. მომდევნო წელიწადს უკვე ბაკურიანში ვისვენებდით და იქიდან ფეხით ჯერ ციხისჯვარში გადავედით, შემდეგ კახისის ტბას ვესტუმრეთ, საიდანაც ბორჯომში ჩავედით. თქვენ წარმოიდგინეთ, ცოტა ზურამაც იარა. მახსოვს, მწყემსები შეგვხვდნენ. გაოცდნენ ფეხით მიმავალი პატარა ბიჭუნა რომ დაინახეს, თავზე ჩამოფხატული სვანური ქუდით... ეს ზურა იყო. მწყემსებმაიქვე ძროხა მოწველეს, ბავშვს რძე და ერთი თავი ყველი მიართვეს. კახისის ტბა ისეთი ცივი იყო, რუსი ტურისტებიც კი ერიდებოდნენ ბანაობას. ბუსამ იქვე გაშალა კარავი და ბავშვი დასაბანად წაიყვანა. გული მისკდებოდა, იმ ალპურ ზონაში ბავშვი რომ გამცივებოდა, ექიმს ან მაშველს როგორ ვიპოვიდი... მამა-შვილი ტბიდან ამოვიდა თუ არა, საშინელება წვიმამ დაუშვა და კარავში შევედით. ბიჭს მშვიდად ჩაეძინა და ერთხელაც არ დაუცემინებია.

სად არ დავდიოდით... მახსოვს, შატილში ყოფნისას ერთი უაზრმაზარი ქვა მოგვეწონა, საოცრად ლამაზი იყო, ბუსამ ზურგით ატარა, თბილისშიც ჩამოვიტანეთ და დღემდე სახლში გვაქვს. შატილიდან მუცოში წასვლა გადავწყვიტეთ, რაც არც ისე იოლი აღმოჩნდა. იქამდე გზად მრავალი წვრილი ბილიკი და ბევრი ხიდია გადასასვლელი. ზურგჩანთები, საძილე ტომრები... იმდენი ბარგი გვქონდა, ფეხით სიარული ძალიან გვიჭირდა. თან პატარა ძაღლიც მიგვყავდა... ბუსამ ვირის დაქირავება გადაწყვიტა. შატილში ერთი ოჯახი სიამოვნებით დაგვეხმარა, თანაც უანგაროდ, ოღონდ ვირი თავისი ჩოჩორით გამოგვაყოლა. ცხადია, ვირი თავის ჩოჩორს არ დატოვებდა და

გზიდან მაინც უკან დაბრუნდებოდა. ბავშვებს ამ ჩოჩორის წამოყვანა უფრო გაუხარდათ, ეფერებოდნენ, ხტოდნენ, ყირაზე გადადიოდნენ. ამ დროს დაიწყო კოკისპირული წვიმა, ჩვენ კი ფიცრებიან ხიდზე გადავდიოდით. ფეხი საშინლად გვისრიალებდა. უეცრად ჩოჩორი წინ გავარდა, სახედარი მას დაედევნა, ფეხი აუცურდა და ვხედავთ, წყალში ტვირთიანად ვარდება... მივცვივდით და ვექაცებით, მაგრამ ვერ ვქაჩავთ. ამ დროს ,,ჭკუის კოლოფმა" გოკლამ მოიფიქრა, საიდანღაც დიდი კეტი მოიტანა და ვირს ქვემოთ ბერკეტივით შეუცურა. ასე ძლივსძლივობით გამოვათრიეთ საცოდავი ცხოველი. იმ დროს ბუსა, მე და ზურა ერთად ვექაჩებოდით სახედარს. ალბათ ძალიან სახალისო სანახავები ვიყავით, მაგრამ ვირი რომ დაღუპულიყო, რა პასუხი უნდა გაგვეცა მისი პატრონისათვის. მოკლედ, რის ვაივაგლახით მივაღწიეთ მუცომდე, უკვე ღამდებოდა და გადავწყვიტეთ, კარავი გაგვეშალა. იქვე ქოხი იდგა, სადაც ერთი მოხუცი ქალი ცხოვრობდა, იმ ქალბატონმა ერბო და გუდის ყველი მოგვცა, ჩვენ, ჩვენი მხრივ, ტკბილეული დავუტოვეთ... ასე ვცხოვრობდით...

ჩვენს მოგზაურობებში განსაკუთრეული ადგილი უკავია ლეჩხუმის ერთ ულამაზეს სოფელს - დერჩს, სადაც ზურას ბებია თალიკო ახვლედიანი გაიზარდა. თავის დროზე იქ ცხოვრობდნენ ზურას დიდი ბებია-ბაბუა - ევგრასტი (სიმონი), ვალერიანი, გიორგი, სერგო, პასიკო (ანასტასია), თალიკო, ეკატერინე. სწორედ ამ ოჯახს ეწვია აკაკი წერეთელი რაჭა-ლეჩხუმში მოგზაურობისას. ახვლედიანების სახლი რევოლუციის დროს ბოლშევიკებმა დაწვეს. გადარჩა მხოლოდ ქოხი, ე.წ. ,,კუხნა-სახლი", რომელიც ძველისძველი მუხისგან ნაგები სამი პატარა ოთახისგან შედგებოდა. იატაკის ფიცრები კი სიძველის გამო იმხელა მანძილით დაშორებოდა ერთმანეთს, რომ ხვრელებში ყვავილები ამოდიოდა. პირველად იქ რომ მოვხვდი, ქოხი გზას იყო მოწყვეტილი, რადგან შუაში პატარა ღელე ჩადიოდა. მოკლედ, ეზოს ჭიშკრამდე მისასვლელად ფეხზე გახდა და ღელის გადალახვა იყო საჭირო. ეს პატარა, ლამაზი ქოხი,არაჩვეულებრივი, მაგრამ მოუვლელი ბაღითა და

ისეთი ჭის წყლით, რომლის მსგავსი არსად დამილევია, ჯადოსნული ზღაპრის თეატრალურ დეკორაციასავით გამოიყურებოდა. იქ სწორედ ამ სახლში ვცხოვრობდით.

ბავშვებს ძალიან უყვარდათ დერჩი. ხშირად ამ ,,ჩვენს ქოხში" ისევნებდა ზურას ბაბუა გიორგი ახვლედიანი (თალიკოს ძმა, მსოფლიოში განთქმული ლინგვისტი). მან მშობლიურ სოფელს დიდი პატრონობა გაუწია. მოგვიანებით (ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს) გადაწყდა გიორგი ახვლედიანის სახლ-მუზეუმის გახსნა, ის ქოხი აიღეს და მის ნაცვლად იმერული სახლი დადგეს, დაახლოებით ისეთი, როგორიც ადრე დაიწვა.

დერჩის სიყვარული ზურას ბოლომდე შერჩა. მას უცხოეთიდან ჩამოსული მეგობრებიც მიჰყავდა იქ. წესად გვქონდა ისიც, რომ დერჩის მერე აუცილებლად მივემგზავრებოდით სოხუმში, სადაც ბუსას ბიძაშვილის - ირაკლი ჟვანიას ოჯახს ვსტუმრობდით ხოლმე...

ზურას სოხუმიც, მშობლიური ონტოფოც (რომელსაც ასევე ხშირად სტუმრობდა) და, საერთოდ, საქართველოს ყოველი კუთხე უზომოდ უყვარდა.

ასეთ მოგზაურობებში უამრავ ადამიანს ხვდებოდა, ადამიანები უყვარდა და მათთან ურთიერთობისას ძალიან უშუალო იყო. ზურა მეგობრობდა ერთ შესანიშნავ პიროვნებასთან, თუშ მეცხვარესთან, გოგალესთან. სამწუხაროდ, ორი წლის წინ გოგალეც გარდაიცვალა, ტირილშიც ვიყავითჩასულები, - მისი და ზურას სურათები გვერდიგვერდ ეკიდა. ჩვენს თუშ მეცხვარეს ,,ოქროს ხელები" ჰქონდა, ხეზე მუშაობდა, არაჩვეულებრივ ჭურჭელს ამზადებდა. მან ზურასათვის თავისი ხელით ოთახიც გააკეთა, ამბობდა, ზურა რომ ჩამოვა, თავისი ოთახი ექნებაო, მაგრამ ჩემს შვილს ეს აღარ დასცალდა...

თავიდან ზურა ბიოლოგიით იყო გატაცებული. ჩვენ მას ხელს ყველანაირად ვუწყობდით, ბავშვს მიკროსკოპი ვუყიდეთ და სახლში

პატარა ზოოპარკიც გვქონდა მოწყობილი, რადგან ზურას ბავშვობიდანვე აინტერესებდა ცხოველების ქცევა. ძალიან მოსწონდა სეტენ ტომსონისა და აკიმუშკინის წიგნები, დარელზე ხომ სულ ,,გაგიჟებული'' იყო და თვითონაც დაიწყო დაკვირვება ცხოველებზე. ჩემმა მეუღლემ მისთვის აკვარიუმში საგანგებოდ მოაშენა ჭიანჭველები. ზურა მეოთხე კლასში იყო, როცა ჭიანჭველებზე, პრაქტიკულად, მთელი ტრაქტატი დაწერა. მან იდეალურად აღწერა, როდის ეზრდებათ ფრთები... მერე სახლშიც გაჩნდნენ ჭიანჭველები და ჩემთვის ეს მართლაც პრობლემა აღმოჩნდა. ზურას ხათრით ზაზუნებიც მოვაშენეთ. ბავშვი მათაც საათობით აკვირდებოდა და მერე ყველაფერს იწერდა. ჩვენს ზემოთ ზოოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი ზაიცევი ცხოვრობდა, ზურა მას არ მოსწრებია, თუმდა მისი ქალიშვილიც ბიოლოგი იყო და ზურას ძალიან საინტერესო ლიტერატურას აწვდიდა. მან ჩემს შვილს გააცნო იასონ ბადრიძეც, რომელიც იმხანად მგლების ქცევას აკვირდებოდა. ერთ მშვენიერ დღეს აღტაცებული ზურა სახლში მოვარდა და გვითხრა, მგლის ლეკვს მოვიყვან, თუ შეიძლებაო. ეგ აღარ დავანებე... არც საამისო პირობები გვქონდა და ზურაც მაშინ ძალიან პატარა იყო. ჩვენს სახლში ბინადრობდნენ თეთრი ვირთხები, გველხოკერა... ზურამ უკვე სტუდენტობის დროს შხამიანი პატარა გველებიც მოიყვანა და მათაც აკვირდებოდა. ერთი პერიოდი სახლში ფრთამოტეხილი არწივიც კი გვყავდა.

გასაოცარია, მაგრამ ყველაფერ ამას ზურა ახერხებდა, იმის მიუხედავად, რომ ბავშვობის ერთი პერიოდი თაბაშირის ბორკილებში გაატარა, მას სხვადასხვა დროს ბარძაყის ძვალზე ოთხი ოპერაცია გაუკეთდა. ამ მძიმე დროს ზურას ეყო ვაჟკაცობა და სიმტკიცე, ეცხოვრა ჩვეულებრივი, ინტერესებით სავსე ცხოვრებით, რამაც ხელი შეუწყო მის საბოლოო გამოჯანმრთელებას. ამ პერიოდში ეზიარა იგი საოცარ თანადგომას და სიყვარულს, რომელსაც ავლენდნენ მის მიმართ სკოლის მასწავლებლები და კლასელები. ისინი ერთად მოდიოდნენ. ყოველივე

ამის ინიციატორი და სულისჩამდგმელი გახლდათ არაჩვეულებრივი ადამიანი, კლასის დამრიგებელი ნათელა გამყრელიძე.

... ზურა საინტერესო მოთხრობებს წერდა ბავშვობაში, ამაში აშკარად იგრძნობა ჟიულ ვერნის გავლენა, თუმცა ისინი ყოველთვის ,,ჰეფი-ენდით" არ სრულდებოდა. ამავე დროს, ის ძალიან ბევრს კითხულობდა. უკვე ათი წლის ასაკში შექსპირს ვუმალავდით, ვფიქრობდით, რომ სწორედ ვერ აღიქვამდა, მაგრამ, როცა შინ არ ვიყავით მაინც პოულობდა საგულდაგულოდ გადამალულ წიგნებს და კითხულობდა. მოგვიანებით შექსპირის წაკითხვა ინგლისურადაც შეძლო. უცხო ენის მასწავლებელმა მისი პიროვნების ფორმირებაში უდავოდ დიდი როლი შეასრულა. ზურას ინგლისურ ენას ასწავლიდა ნიკოლოზის დროინდელი დახვეწილი ინტელიგენტი ქალბატონი - ვერა ფიოდოროვნა, დიდი რუსი მხატვრის ვასილი შუახევის მეუღლე. შუახევი დიდი ხნის განმავლობაში პარიზში ცხოვრობდა. საბჭოთა კავშირში დაბრუნების შემდეგ გადაასახლეს. ქალბატონ ელენე ახვლედიანს დიდი ძალისხმევა დასჭირდა, რომ მისთვის გადასახლების შემდეგ როგორღაც თბილისში ცხოვრების ნება დაერთოთ. იმ დროს აქ სხვა საუკეთესო რუსი მხატვრებიც მოღვაწეობდნენ: ლანსერე, რომელიც თბილისის სამხატვრო აკადემიის რექტორი იყო, სომოვი და სხვები. ზურა შვიდი წლის ასაკიდან დადიოდა ქალბატონ ვერასთან ინგლისურის გაკვეთილებზე და ჩვენ დავმეგობრდით. ვერა ფიოდოროვნა ისეთი არაჩვეულებრივი და უსუფთავესი პიროვნება იყო, ანგელოზი გეგონებოდათ... მას ზურაზე მართლა დიდი გავლენა ჰქონდა, ჩემს შვილს კარგ გემოვნებას უყალიბებდა, საინტერესო ლიტერატურას აწვდიდა.

ზურას სულიერი სამყაროს ჩამოყალიბებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის მის ბიძას, ერლომ ახვლედიანს. ერლომმა თავის სახლში ,,საკვირაო სკოლა" გახსნა, სადაც ახლობლების ბავშვებს ძველ და ახალ აღთქმას უკითხავდა. ზურა დიდი მონდომებით ესწრებოდა ასეთ

,,გაკვეთილებს", რის შედეგადაც დამოუკიდებლად მიიღო გადაწყვეტილება, მონათლულიყო. მან ერლომს სთხოვა, მისი ნათლია გამხდარიტო. ზურას ერლომ ახვლედიანთან მეგობრობა არასოდეს შეუწყვეტია.

ბუსა და მე ვცდილობდით, ჩვენი შვილები ნატიფ ხელოვნებას ბავშვობიდანვე ზიარებოდნენ და ამისთვის, რაც შეგვეძლო, ვაკეთებდით. მახსოვს, ძილის წინ გოგლას და ზურას მოცარტს ვასმენინებდი. გოგლა მაშინვე იძინებდა, ზურა კი უსმენდა. კლასიკური მუსიკის ფირფიტების ძალიან კარგი კოლექცია გვქონდა. ზურას უზომოდ უყვარდა კლასიკური მუსიკა. იგი განსაკუთრებული მუსიკალური მონაცემებით გამორჩეული არ იყო, თუმცა იმდენი იმუშავა, რომ თანდათან სმენაც განუვითარდა. სკოლაში კლასიკური გიტარის ჯგუფში ჩაეწერა და დაკვრაც ისწავლა.

სკოლის დამთავრების შემდეგ ზურამ მისაღები გამოცდები ჩააბარა ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ბიოლოგიის ფაკულტეტზე, სადაც უკვე მეორე კურსზე ამერიკელი მეცნიერის დევიდ ადამსის ხელმძღვანელობით შექმნა ეთოლოგიის სტუდენტური კვლევითი ლაბორატორია. უნივერსიტეტი 1985 წელს დაამთავრა და ფიზიოლოგიის კათედრაზე დატოვეს. 1988 წელს მას უკვე დაწერილი ჰქონდა საკანდიდატო დისერტაცია, აპრობაციაც იყო დანიშნული, მაგრამ დაიწყო ცნობილი მოვლენები და ისიც მთლიანად ჩაეფლო ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში...

საერთოდ, ზურა ემოციური იყო, თუმცა, როცა სიტყვით გამოდიოდა, ეს არ იგრძნობოდა. იგი ყოველთვის გაწონასწორებული ჩანდა, არადა, მამასავით პრინციპული ხასიათი ჰქონდა და ფეთქებადიც გახლდათ. ერთხელ რაღაცაზე დამიყვირა და ავტირდი, ისე წავიდა, არაფერი უთქვამს, თუმცა 15 წუთში დარეკა და მითხრა, - ,,გკოცნი, დედა, გკოცნი!.." მეუღლესთან, ნინოსთანაც ასეთი იყო. თუ რაღაც უსიამოვნება ჰქონდა, ურთიერთობას სწრაფად და უმტკივნეულოდ

აგვარებდა. ადამიანების მიმართ ძალიან ყურადღებიანი გახლდათ და ყველაზე მეტად ამ თვისებას, რა თქმა უნდა, საკუთარი ოჯახის მიმართ ავლენდა. მიუხედავად უმძიმესი ცხოვრების რეჟიმისა, იგი ჩვენ ტრადიციას არ ღალატობდა და მაინც ახერხებდა ოჯახთან ერთად ქალაქგარეთ გასვლას ან, უბრალოდ, ბავშვებთან ერთად სადმე გასეირნებას.

... ისე, ზურას სიყვარულის ამბავი რაღაცნაირად მხედველობიდან გამომეპარა. შესაძლოა იმიტომ, რომ იმხანად ჩემი მეუღლე ავადმყოფობდა. ზურამ ოქროყანაში კოტეჯი დაიქირავა და ზაფხულს იქ ვატარებდით. ერთ დღეს მან ამოგვაკითხა და შევამჩნიე, ახალი ჯემპრი ეცვა. ,,ეგ საიდან, ზურა?" - ვკითხე. ,,არ გეტყვი". - მიპასუხა. იმ წუთში მივხვდი, რომ ამ ყველაფერში ქალის ხელი ერია. ,,თვითონ მოქსოვა?" - ჩავეკითხე მაინც. ,,კი", - კვერი დამიკრა. გავიდა ცოტა ხანი, ზურამ მითხრა, ცოლს ვირთავო. როცა ნინო პირველად მოიყვანა ჩვენთან, გამოგვიცხადა, დღეს თქვენ დაგიტოვებთ, ოღონდ ნუ შეჭამთო... მე სამზარეულოში გავედი და ბუსა ნინოსთან მარტო დავტოვე... ისინი ისე უშუალოდ ესაუბრებოდნენ ერთმანეთს, თითქოს დიდი ხნის ნაცნობები ყოფილიყვნენ. ნინო რომ წავიდა, ბუსამ მითხრა სწორედ ასეთი ცოლი უნდა ზურასო.

...ხშირად მეკითხებიან: ,,კი მაგრამ, რატომ არ არიდებდა ზურა თავს იმ საფრთხეს, რომელიც შეიძლებოდა ადამიანების მხრიდან დამუქრებოდა?" მეც არაერთხელ მისაუბრია მასთან ამის შესახებ, განსაკუთრებით ბოლო წლებში. მისი პასუხი, როგორც ყოველთვის, ლაკონური იყო - ყველაფერი ღვთის ნებით მოხდებაო...

(ქალბატონი რემას მოგონება ჩაიწერა და დასაბეჭდად მოამზადა ჟურნალისტმა ეკა ასათიანმა)